2234
2

ఆచార్య శ్రీనివాసరావు

მღვდელი მიქელ თამარაშვილი.

პასუხად
სომხის მწერლებს,

რომელნიც უარყოფენ ქართველ კათოლიკობას

(ისტორიული გამოკვლევა)

К 2254/2

ᲨᲘᲜ ᲐᲠ ᲒᲐᲘᲪᲔᲛᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
ელექტრონის საბეჭდავი გრ. ნ. დიასამიძისა, ისახლის ქ.
1904.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Февраля 1904

წინასიტყვაობა.

სომხის ზოგიერთ მწერალთ, რომლებსაც საგნათა აქვსთ სამარისკენ გასტუმრება ქართველებისა და ქვეყანაზე მათი ხსენების ახოცვა, იპოვეს ერთი სუსტი მხარე და ამით ცდილობენ, თავიანთ სურვილს ეწიონ: ქართველებს სამარე გაუთხარონ. კერძოდ ქართველ კათოლიკობის შესახებ მოგახსენებთ.

აგერ რამდენიმე წელიწადია, სომხებმა საშინელი ომი დაუწყეს ჩვენებურ კათოლიკებს. ყოველგვარ საშუალებას მიმართეს: სიცრუეს, შურს, ცილის-წამებას, მტრობას, ჩხუბს, ჩივილს, დაბეზღებას! ერთის სიტყვით, რაც-კი შეეძლოთ, არაფერი დაზოგეს, ქართველთ ჩამომავალნი კათოლიკენი უარეყოთ. მისიონერების ყოველგვარი ზრუნვა ქართველებისათვის გააუქმეს, უარყვეს და ყველა თვით მიიწერეს: კათოლიკობა მთლად თავიანთ საკუთრებად გაიხადეს! ჟურნალ-გაზეთები გაავსეს ყალბის მოთხრობანით, ქართველები სრულებით არ უსმენდენ მისიონერებს, მტრულად უყურებდენ და მარტო სომხები გადადიოდენ მათ სარწმუნოებაზედო. საქმე იქამდე მიიყვანეს, კათოლიკებს ან ერთიან უნდა უარ ეყოთ თავიანთი სისხლი და ხორცი, მამა-პაპა, ზნე-ჩვეულება, ენა, თვისება და სომხებივით აღეარებინათ თავიანთი თავი სომხად და „ტერვოლორმია“ ეძახათ, ან არა-და, ერთიან ხელი უნდა აეღოთ და განშორებოდენ თავიანთ მამა-პაპეულს ეკკლესიებს, ხატებსა და სალოცავებს ჩვენის მამა-პაპის სისხლით მორწყულს ქვეყანაში.

გალაღებულის სომხების ასეთმა ქცევამ ძრიელ დაგვაღონა და იძულებული გაგვხადა, გამოგვეცა ჩვენი წიგნი „კათო-

ლიკობის ისტორია ქართველთა შორის“, მასთანავე საჭიროდ დავინახეთ, ცალკე წიგნში მოგვექკია ყველა ის საბუთები, რაც ცხადად ეწინააღმდეგება ჩვენდა მომართ გამოთქმულს ცრუსა და უსამართლო აზრებს სომხის მწერლებისას. ამიტომ ამ წიგნში მოკლედ განვიხილავთ 1, მათ მიერ უსაფუძვლოდ ქართველ კათოლიკების უარყოფას; 2, სომხების მოჩვენებულ კათოლიკობას და მათ მიერ კათოლიკობის მტრობა-დევნას; 3, მათ საქართველოში გადმოსახლებას და მათი მწერლების სიყალბეს; 4, მათ მიერ გაზეთებში დაბეჭდილს აზრებს.

აზრად არა გვაქვს, პოლემიკა გავმართოთ სომხის მწერლებთან; გარნა უპასუხოდ არ გვინდა დავტოვოთ ეგოდენი უსაფუძვლო და ცრუ აზრები, რომელიც კადნიერად გამოაქვეყნეს ქართველ კათოლიკების წინააღმდეგ სომხურ გაზეთში „მშაკში“ 1897 და 1898 წლებში.

მღ. მ. თ.

თავი I.

რა უსაფუძვლოდ უარყოფენ სომხები ქართველ კათოლიკეებს.

ადამიანი, როგორც ღვთის მსგავსებად და ხატებად შექმნილი, ვალდებულია, ყოველ შემთხვევაში, სიმართლე და მხოლოდ სიმართლე წაიმძღვაროს წინ. სიმართლის ლაპარაკს გვავალებს თვით ჩვენი სვინიდისი და ეგრეთვე ამ ქვეყნიური ცხოვრების კეთილდღეობაც. ქრისტეს სარწმუნოებაც ხომ სრულიად აგვიკრძალავს სიცრუეს და გვავალებს სიმართლის თქმას. სომხის ზოგიერთმა მწერლებმა ამ კანონს ღვთისას გვერდი აუქციეს, სიცრუის გზას დაადგნენ და შეუპოვრად დაიწყეს ქართველ კათოლიკეთა უარყოფა და ყველანი სომხებად და სომხის ჩამომავლებად გახადეს.

თავიანთ ჟურნალ-გაზეთებში სომხებმა არა მარტო ამ უკანასკნელ საუკუნეში მყოფი ქართველი კათოლიკენი, არამედ სხვა ყველა საუკუნებისაც უარყვეს და ცდილობენ, მოსპონ სამუდამოდ მათი სახსენებელი. ქართველებში კათოლიკობა მარტო საბა სულხან ორბელიანიდან დაიწყეს და ისევ იმითვე დააბოლოვესო. ყოველის თავიანთი სიცრუის დასასაბუთებლად შარდენი იმოწმეს. რადგან მისიონერები და ერთიან ლათინები ქართველებივით მარხვას მტკიცედ არ ინახავდენ, ქართველები მათ ქრისტიანედ არ რაცხდენო, არც მოძღვრებას უსმენდენ და ამის გამო კათოლიკე სარწმუნოებასაც არ ღებულობდენო. ამნაირად ერთის კალმის მოსმით ფეხით გაქელეს და გააქარწყლეს ყველა ის საბუთები, რაც მათ წინააღმდეგ ღაღადებს და უტყუარ ჭეშმარიტებას ამტკიცებს.

უტყუარი და ჭეშმარიტი პრინციპია, რომ ბუნებრივის ინსტინკტით ყოველი არსი მიდრეკილია, თავის თავი დაიც-

ვას და დარჩეს იმად, რაც არის და გაამარადილოს თავისი თვისება. ესრეთი პრინციპი დაფუძნებულია თვით ბუნებასა, განსჯასა და ყოველ დღიურ ფაქტზედ. ამ პრინციპს ემორჩილება არა მარტო კერძო არსება, არამედ საზოგადოებაც, რომელიც ბუნებითად იცავს და ავრცელებს თავის ვინაობას. ყველა კერძო, თვითეულ ინდივიდუუმს თანა სდევს გაუყრელად ესეთი პრინციპი, ამიტომ საზოგადოებაზედაც, რომელსაც თვითეული ინდივიდუუმი შეადგენს, შეუცვლელად გადადის ესრეთი პრინციპი. ამის გამო არის, რომ, არა მარტო ყველა ინდივიდუალ არსება, არამედ ყველა საზოგადოებასაც უნდა და ცდილობს დარჩეს იმად, რადაც ყოფილა იმ თავიდგანვე. მაგალითად, პეტრეს უნდა მუდამ დარჩეს პეტრედ და არასოდეს ისურვებს მთლად გადაქცევას პავლედ, რადგან ამ შემთხვევაში გაქრება პეტრეს ინდივიდუალობა, ანუ არსება, რაიცა ეწინააღმდეგება არსის ინსტიკტურ მიდრეკილებას, თუმცაკი პეტრემ, შეიძლება, ხშირად ინატროს პავლეს საუკეთესო თვისება, ანუ მისი მდგომარეობა. ამავე ნაირად მოხდება საზოგადოებაშიაც. მაგ.: ინგლისის საზოგადოება არასოდეს მოინდომებს, ხელი აიღოს ინგლისელობაზე და შეიქმნას ფრანგის, ანუ გერმანიის საზოგადოებად, თუმცა-კი ხშირად ეცდება, შეიძინოს, რაც-კი კარგი რამეა სხვა რომლისამე ტომის საზოგადოებაში. ესეთი ბუნებითი მიდრეკილება, ყოველი ეჭვის გარეშე, ჰგიებს გონივრულ არსებაშიაც. ამიტომ არის რომ ყველა ტომს უნდა და კიდევაც რჩება იმ ტომად, რომლათაც გაჩენილ-დაბადებულა, რადგან ეს ნათესავ-ტომობა ერთი ბუნებრივი თვისებაა და თან ჰყვება კაცს დაბადებიდგანვე. მაგალითად სომეხს შვილი ებადება სომხურის და ქართველს ქართულის თვისებით, ამიტომ ვერც ერთს შეუძლია თავიდან აიცილიოს, გაშორდეს თავის ტომობას და სხვა ტომად გადაიქცეს. უკეთუ ვინმემ მოინდომა ამის ქმნა, მაშინ იგი იძულებული იქმნება ხელ-ახლავ დაიბადოს სხვა დედ-მამისაგან, რომლებიც არ ეკუთვნოდენ იმ წინანდელ ტომობას. ხოლო ეს შეუძელბელია, რადგან ვერ ასრულდება ერთსა და იმავ ინდივიდუალ არსებაზედ. ამის გამოა, რუსს, ქართ-

ველს, სომეხს, გერმანელს, ურიას... უნდა და რჩება: რუ-
სად, ქართველად, სომხად, გერმანელად, ურიად... თუმცა
პოლიტიკურად შეიძლება კაცმა გამოიცვალოს თავისი დაბა-
დების ტომი და სხვა ტომის სახელი დაირქვას, შაგრამ ნამდ-
ვილად და ბუნებრივად-კი ის იქმნება მუდამ იმ ტომისა და
სისხლ-ხორცისა, რა ტომის დედ-მამისაგანაც შობილა.

სწორედ ამ აუცილებელის პრინციპის ძალით ჩვენ, სა-
ქართველოს კათოლიკენი, ვამბობთ და აღვიარებთ, რომ ჩვენ
ქართველნი ვართ, რადგან ქართველი დედ-მამისგან ვშობილ-
ვართ, ამიტომ ჩვენს არსებაში ვგრძნობთ ჩვენს ქართველო-
ბას, ქართველის სისხლსა და ხორცს, ამის უარყოფა ჩვენ არ
შეგვიძლია და ვერც აღვიარებთ ჩვენს თავს სომხად, რად-
გან ჩვენს არსებაში სომხობისას არაფერსა ვგრძნობთ. უკეთუ
ჩვენში რამე ყოფილიყო სომხისა, შეიძლება სხვისთვის და-
გვეფარა, მაგრამ ჩვენს თავს-კი ვერ დავუმალავდით, რადგან
გრძნობა და გული მუდამ ამას გვამხელდა და ვერას გზითაც
ვერ შევიძლებდით ამნაირის მაყვედრებელის ხმის აცილებას.
ესე რომ არ ყოფილიყო, ნებით თუ უნებლიეთ ჩვენვე აღვი-
არებდით ჩვენს თავს სომხად; აღარც-კი დაგვჭირდებოდა ახ-
ლად მოვლენილ სომხის მწერალთ გაუგებარი ქადაგება ამ
საქმის თაობაზე.

სწორედ ამ უტყუარის პრინციპის წინააღმდეგ სომხის
მწერლებმა კადნიერად დაგვიწყეს ქადაგება: თქვენ და თქვენი
პატრები სომხის ჩამომავალნი ხართ, ქართველებისა ენის მე-
ტი არაფერი გაქვსთ; ქართველობას ნუ ირქმევთ, რადგან
ქართველი კათოლიკენი არ ყოფილან, თუ იყო ვინმე, ისიც
გაქრა და ხსენებადაც არა ღირს; მისიონერებმა ქართველები
ვერ შეითვისეს, ვერ გააკათოლიკეს; სულ სომხები იყვნენ მა-
თი დამოწაფებულნი, მარტო სომხებმა მიიღეს კათოლიკობა
და კავკასიაში მათ გარდა, სხვა კათოლიკენი არ არიანო და
სხვა... ესრეთ სიმართლეს მოკლებული აზრები გამოსთქვეს,
როგორც უნდოდათ და რაოდნათაც-კი შეეძლოთ!

მართალია, ზოგჯერ ქართველ კათოლიკობაშიაც აღმო-
ჩენილა იმისთანა პირი, რომელიც უარყოფდა ქართველობას,

მაგრამ სიმართლე მოითხოვს, ვთქვათ, რომ ესრეთი უარყოფა შეეხებოდა სარწმუნოებას და არა ტომობას. არც ამის უარს ვიტყვით, რომ ზოგიერთ ქართველ კათოლიკეთაგანს თავისი თავი სომხად აღეარებინოს, რადგან ესრეთი აღსარება შეეხება სარწმუნოებას და არა მის ტომობას. ეს ცხადი და ყველგან შენიშნულია, რომ ტომობა სარწმუნოების მაგივრად ჩაითვლების, მეტადრე აღმოსავლეთის ქრისტეანეთა შორის. ამიტომ ჩვენში თუ ვინმე უარყოფს ქართველობას, ამისთანა პირი უეჭველად უარყოფს არა თავის გვარ-ტომობას, არამედ მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას, რომელსაც ქართველთა ტომი აღიარებს. ეგრეთვე ახალციხის მხარეს თუ რომელმამე უმეცარმა თავისი თავი სომხად აღიარა, რადგან სომხის კათოლიკის წესი აქვს, ამითიც უეჭველად იმან იგულისხმა არა სომხის ტომი, არამედ ის სარწმუნოება და ტიპიკონი, რომელსაც ერთი ნაწილი სომხის ტომისა აღიარებს. საქართველოს კათოლიკებში ესეც მიღებულია, რომ, როდესაც ლაპარაკია სარწმუნოებისა, ანუ საეკკლესიო საგნის შესახებ, ქართველის სახელით არა მარტო იგულისხმების ქართლ-კახეთის ერი, არამედ თვით იმერეთის, გურიის და სამეგრელოს ერიც, რომელიც აღიარებს მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას. კათოლიკეთა შორის ამისთანა მრუდე აზრის გავრცელებას, უმეცრებას გარდა, ხელი შეუწყო იმანაც, რომ დღეს ქართული ტიპიკონის მქონე კათოლიკენი აღარ მოიპოებიან საქართველოში. ამისთვის სრულიად უსაფუძვლო იქმნება, სომხებმა ამნაირ თქმულებას, თვინიერ საგნის გარჩევისა, ხელი მოჰკიდონ და საბუთად წარმოადგინონ ქართველ კათოლიკობის უარ საყოფლად.

სომხის მწერლებმა ქართველ კათოლიკობის უარყოფით მრთლად გამოწყვიტეს ქართველი ტომი იმ საქმეში, რომელშიაც თითქმის ყველა ტომს ასე, თუ ისე მონაწილეობა მიუღია. ამნაირის უარყოფით კათოლიკე სარწმუნოებაც ისე დაამცირეს, რომ არა თუ სომხის სარწმუნოებაზედ მდაბლად შერაცხეს, არამედ თვით მაჰმადიანების და ურიების სარწმუნოებაზედაც უფრო დაბლა დააყენეს. რადგან, როგორც საბუ-

თებიდგან სჩანს, ქართველები სხვა-და-სხვა გარემოების გამო, არათუ სომხის სარწმუნოებას ღებულობდენ, არამედ თვით მაჰმადიანებსა და ურიებსაც-კი უერთდებოდენ სარწმუნოებაში. ამნაირ მდგომარეობაში მყოფი ქართველები სომხის მწერლებმა მთლად გამორიცხეს კათოლიკე სარწმუნოებიდან და მათ ეს სარწმუნოება შეაძულეს. სომხის მწერალთა ასეთს საქციელს მათ უმეცრებას ვერ მივაწერთ, რადგან დიდ განათლებულებას და ფილოსოფოსობას ჩემულობენ. ასე რომ იძულებული ვართ, მათი ესრეთი საქციელი ჭეშმარიტების წინააღმდეგ მათ შურსა და სიბოროტეს მივაწეროთ.

ეს ცხადია და სომხები ვერ უარყოფენ, რომ ქართველი ტომი კათოლიკე სარწმუნოების დიდი და შეურიგებელი მტერი არას დროს ყოფილა; ის კი არა, თითქმის ყველა ტომზედ მეტად მას გამოუცხადებია ლათინებისათვის მეგობრობა და კათოლიკე სარწმუნოებისადმი მიდრეკილება. ისიც ცხადია, რომ ქართველი ტომი არც ყველა ტომზედ უმეტესად განათლებული და არც ყველაზედ უმეცარი და ნადირი ყოფილა, რომ ან ერთისა და ან მეორე მიზეზის გამო შეურაცხ ეყოს კათოლიკე სარწმუნოება. გარნა კიდეც რომ ყოფილიყო ესეთი, მაშინაც-კი სომხის მწერლებს საბუთი არ ექმნებოდათ სრულიად უარ ეყოთ კათოლიკობა ქართველთა შორის, რადგან, როგორც ყველაზე მომეტებულად განათლებულ ტომებში, ისე ყველაზე უმეცარ და ნადირ ტომებშიაც, მოიპოვებიან კათოლიკე სარწმუნოების აღმსარებელნი, და ესეც არა მარტო ლათინურის წესით, არამედ იმ ყველა ტიპიკონით, რომლითაც კი აღსარებულა ქრისტიანობა. ჩვენ აქ არ გამოვუდგებით სხვადასხვა ტომებისა და ტიპიკონის მქონე კათოლიკეთა ჩამოთვლას, დავასახელებთ მხოლოდ იმ ტომს, რომელიც შეურიგებელ მტრად ირიცხება რომის ეკკლესიისათვის. ეს ბერძენთა ტომია. საბერძნეთის სამეფოსა და ოსმალეთის საბრძანებელში დღეს ბერძნის ტომის კათოლიკეთა რიცხვი 181,170 სულზედ მეტია. ამ კათოლიკეთათვის 22 ეპარქიაა განწესებული, რომელთაგან ათი ლათინის ტიპიკონისაა და თორმეტი ბერძნის ტიპიკონისა. ამ რიცხვში არ შედის სხვა-

დასხვა სამეფოში გაფანტულნი ბერძნის კათოლიკენი და არც კოსტანტინეპოლში მყოფი კათოლიკე ბერძნები, რომლებიც სხვა ტომების კათოლიკებთან ერთად არიან არეულნი და ითვლებიან 45,000 სულამდე. ახლა თუ ბერძნის ტომის ამოდენა რიცხვმა მიიღო კათოლიკობა, განა წარმოსადგენი და დასაჯერებელია, რომ ქართველებში არავის მიეღოს კათოლიკობა საბა ორბელიანის მეტს, როდესაც ეგოდენ საუკუნეთა განმავალობაში თითქმის შეუწყვეტლივ გუნდ-გუნდად მისიონერები მოდიოდენ ქართველების გასაკათოლიკებლად?

პაპები და რომის კარდინალები სომხებივით შურით როდი იყვნენ გამსჭვალულნი. ესენი კარგად არჩევდენ ქვეყნებსაც და ტომებსაც. ზედმიწევნით იცოდენ, თუ სად სცხოვრებდა სომხის ტომი და რომელი იყო მისი ქვეყანა. ამისთვის, როდესაც პაპები მისიონერებს გზავნიდენ საქადაგებლად, კარგად უსაზღვრავდენ, თუ რომელ ტომთან და რომელ ქვეყნებში უნდა მისულიყვნენ. საქართველოში გამოგზავნის დროს უჩვენებდენ ერსა და ქვეყანასა ამ სიტყვებით: **Iberia, Giorgia** და **Iberi, Giorgiani** (ივერია, საქართველო, ივერიელნი, ქართველნი). ეგრეთვე მისიონერებიც, ჩამოდიოდენ საქართველოში, კარგად გრძნობდენ, რომ ისინი იყვნენ გამოგზავნილნი განსაკუთრებით ქართველების მოსაქცევად, ამიტომ გულმოდგინედ სწავლობდენ ქართულს ენას, და აგრეთვე რომში გზავნიდენ ვრცელ წერილებს და დაწვრილებით აღუწერდენ ქართველების გარემოებას, პოლიტიკას, ზნე-ჩვეულებას და მათი ეკკლესიების ვითარებას. ასე იქცეოდენ თითქმის ყველა ახლად მოსული მისიონერები. ეგ ვიანთ წერილებში თითქმის მუდამ ქართველებზე ჰქონდათ ლაპარაკი და არა სომხებზედ. საქართველოდან მისიონერები ძრიელ იშვიათად სწერდენ რასმე სომხებისა და მათი შეცდომილებისას, და თუ რასმე სწერდენ, სწერდენ ისევ სომხების მდევნელობისა, ანუ სხვა რამ განსაკუთრებულის შემთხვევის შესახებ. ქართველებს რომ გამოეჩინათ წინააღმდეგობა, ან მტრობა და ყურადღება არ მიექციათ მისიონერებისათვის, როგორათაც სომხის მწერლები ამბობენ, მაშინ ხომ აღარც

მისიონერები მიაქცევდენ მათ ყურადღებას, მათთვის აღარ ეცდებოდენ და კიდეც თავს გაანებებდენ და მარტო სომხების წვრთნა-მოქცევას შეუდგებოდენ.

რადგან მისიონერები დარწმუნებული იყვნენ, რომ საქართველოში იგზავნებოდენ განსაკუთრებით ქართველების გასაკათოლიკებლად, ამიტომ არა მარტო ქართულ ენას სწავლობდენ, არამედ სხვადასხვა წიგნებსაც სთარგმნიდენ და კიდეც სთხზავდენ ქართულად, რათა თავიანთი დამოწაფებული და დასამოწაფებელი ქართველი ერი კარგად გაეწვრთნათ. მაგალითად, ტფილისში ლათინის პირველმა ეპისკოპოსმა ივანე ფლორენციელმა ბევრი წიგნი სთარგმნა და შეთხზა ქართულად, როგორათაც მოწმობენ ძველი მწერლები. თეათინლების მისიონერმა ანტონ ჯარდინამ, დასწერა ქართული გრამატიკა თავისგანვე დაარსებულს გურიის სკოლაში ქართველის ბავშვების გასაწვრთნელად; მისმა ამხანაგმა, ქრისტეფორე კასტელიმ, შეთხზა ორი სასულიერო წიგნი და მიუძღვნა ერთი გურიელს კათალიკოზს მალაქიას და მეორე მესხეთის ათაბაგის გაკათოლიკებულ ქალს ელენეს; კაფუცინმა პატრი ბერნარდე ნეაპოლელმა ხომ ყველას გადააჭარბა, რადგან ქართულად ბევრი წიგნი სთარგმნა და შეთხზა.

ეს წიგნები რომ განსაკუთრებით ქართველებისათვის იყო, ამას მოწმობენ თვით იგივე ქართულად დაწერილი წიგნები. მაგ.: პატრი ბერნარდემ შეადგინა ქართულად კათოლიკე სარწმუნოების შესახებ ერთი წიგნი, რომლის წინასიტყვაობაში ასე სწერს: „ქართველები თუმცა ძრიელ გონიერნი და კაცთ მოყვარენი არიან, გარნა სულიერ საგნებში-კი უსწავლელნი და კათოლიკე სარწმუნოების შესახებ ცრუ აზრები აქვსთ ჩაგონებული და არც უყვარსთ მოსმენა სწავლა-დარიგებისა; უფრო ეხალისებათ ბეჟანიანისა, ბარამიანისა, როსტომიანისა და მათი მსგავსი წიგნების კითხვა. ამისთვის მოთხრობასავით დავსწერე ეს წიგნი, რათა მისი კითხვით ხალისი აღუძრაო“ [1]).

[1]) კაფუცინების არხივი Torre del Greco-ს მონასტერში.

გარდა ამ ხელთ-ნაწერებისა, რომში 1629 წ. დაარსდა საგანგებო ქართული ტიპოგრაფია და სხვადასხვა დროს დაიბეჭდა სასულიერო და საკათეხიზმო წიგნები. მაგალითად, 1629 წ. ლოცვების პატარა წიგნი დაიბეჭდა ქართველის ნიკოლოზ ერბახის და იტალიელის სტეფანე პაოლინას მოთავეობით; 1681 წ. ნეაპოლელმა პატრი ბერნარდემ დააბეჭდინა ქართული კათეხიზმო, რომელიც შეამოწმა ქართველ კათოლიკე ენიბეგანთ ზალინამ; 1741 წ. გორელის ტულკანო დავითას კათეხიზმო დაიბეჭდა ტფილელ ქართველ კათოლიკე ჯიგანანთ ივანეს მოთავეობით; ესევე წიგნი შევსებული და გადამახინჯებული ხელმეორედ გამოიცა 1800 წ. რომ ეს ქართული კათეხიზმოებიც განსაკუთრებით იბეჭდებოდა ქართველებისთვის, ეჭვ გარეშეა, რადგან თვით კათეხიზმოების სათაური, ანუ ზედ-წარწერა მოწმობს ამას. მაგალითად, 1741 წ. რომში დაბეჭდილ კათეხიზმოს იტალიურად სათაური ასე აწერია: „საქრისტიანო მოძღვრება საქართველოს მისიონერებში სახმარებლად იტალიანურიდან გადმოთარგმნილი ქართულ მხედრულს ენაზედ დავით ტულკანთ ქართველისაგან იმავე ტომის კათოლიკეების საუოველთა სულიერ სასარგებლოდ“. ქართველ კათოლიკეების სახმარებლად რომ არ ყოფილიყო, რად და როგორ დასწერდენ და რად მოიხსენიებდენ ქართველ ტომობას?

არც ის აზრია შესაწყნარებელი, ვითომც XVII და XVIII საუკუნეში საქართველოში ყოფილ სომხებს არა ჰქონოდესთ ხმარებაში თავიანთი სომხური ენა. მისიონერები და იმ დროის მოგზაურები ხშირად იხსენიებენ თავიანთ წერილებში, ტფილისში, გარდა ქართულისა და თათრულისა, სომხური ენაც იხმარებაო.

მისიონერები თავიანთი ნაშრომი ქართული წერილებით და ეგრეთვე სხვა წიგნებითაც, არა მარტო კათოლიკე სარწმუნოებას ავრცელებდენ ქართველთა შორის, არამედ მათში სხვა მეცნიერებასაც ჰფენდენ. მისიონერებისგან ქართველების დამოწაფებამ და მათმა გულმოდგინე ზრუნვამ ქართველთა გასანათლებლად იქამდე მიაწია, რომ უკეთუ რომელიმე ქარ-

თველი რაიმე მეცნიერებას და ნასწავლობას გამოიჩენდა, მაშინვე ფრანგს უწოდებდენ [2]).

სომხის მწერლებმა, როგორც ქვემოდ ვნახავთ, არა მარტო მიაფუჩეჩეს კაფუცინების შრომა ქართველებისათვის, არამედ თვით XIII და XIV საუკუნეში მოსულ მისიონერთა მოღვაწეობის ნაყოფიც უარყვეს. გარნა ფაქტი რომ ისევ ფაქტად დარჩა და მათ ყველა გამოგონილს საბუთებს პირქვე ამხობს და ნიადაგ მათ წინააღმდეგს ღაღადებს, ეს ყველასთვის ცხადზედ უცხადესია. პირველადვე მოვიდენ თუ არა მისიონერები, ისე ადვილად მოამზადეს კათოლიკე სარწმუნოების მისაღებად ქართველი ერი, რომ პაპმა ნიკოლოზ მეოთხემ 1289 წ. საქართველოს კათალიკოსს და ეპისკოპოსებს მოსწერა და რომის ეკკლესიასთან შემოსაერთებლად მოიწვია. შემოერთების ესრეთი წერილები მტრობას და გადგომილებას კი არა, მეგობრობას და მიდრეკილებას უნდა გამოეწვია, ხოლო თუ შემოერთება ვერ მოხერხდა, უნდა მიეწეროს სხვა მიზეზებს: ქვეყნის სხვადასხვა გარემოებას. რადგან ქართველების მეგობრობა და კათოლიკობაზედ მიდრეკილება პაპებს იმედს არ უკარგავდა, ამისთვის პაპმა ივანე მეოცდაორემ გიორგი ბრწყინვალესაც მოსწერა და წინადადება მისცა, თქვენის სამეფოთი შემოუერთდით ჩვენს სარწმუნოებასაო.

თუმცა ეს სანატრელი შემოერთება სრულიად საქართველოისა ვერ სრულდებოდა, გარნა ქართველ გაკათოლიკებულთა და მონაზონთა რიცხვი იმდენი იყო, რომ ესენი ინდოეთშიაც მიდიოდენ, როგორც მისიონერნი, კათოლიკე სარწმუნოების გასავრცელებლად. მაგალითად, ქართველი ტფილელი ძმა დიმიტრი კათოლიკე სარწმუნოებისათვის კიდეც ეწამა [3]).

ქართველი კათოლიკენი მალე ისე გამრავლდენ, რომ მათ სამწყსოდ პაპებმა ტფილისში კათოლიკე საეპისკოპოსო

---

[2]) კალმასობა, აღწერილი ივანე ბატონიშვილის მიერ,—მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, გვ. 341, ტფილისი, 1896.

[3]) იხილე ჩვენი წიგნი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ გვ. 28.

დააარსეს და ტფილისის პირველ ლათინის ეპისკოპოსად დანიშნეს თვით ის ფლორენციელი ივანე დომინიკიანი, რომელსაც ათი წლის განმავალობაში ბევრისგან ბევრი ქართველი მოექცია კათოლიკობაზედ [4]). ეს საეპისკოპოსო მოკლე ხნის განმავალობაში ისე აღორძინდა და გაძლიერდა, რომ ტფილისში შესდგა ადგილობრივი სამღვდელოება და კაპიტულოც. გარდა ამისა ამ საეპისკოპოსოს იმდენი ყმებიც შეეძინა, რომ პაპები მათ საგანგებო წერილებსაც სწერდენ. კათოლიკობის ესრეთმა წარმატებამ მანამდე გასტანა, ვიდრე საქართველოს შემოესეოდენ უწყალო მტრები მუღალნი და სპარსნი, რომელთაც ქვეყანა მრავალგზის აიკლეს და ქვა ქვაზედ აღარ დასტოვეს. ამ აოხრების დროს ქართველ კათოლიკების საეპისკოპოსოც მთლად დაამხეს და კათოლიკობის წარმატებასაც ერთიან ფრთები შეაკვეცეს. მაგრამ ისევ მალე გაძლიერდა კათოლიკობის სურვილი და შემოერთება. კიდეც მალე შესრულდა ესა, რადგან მალე, ესე იგი 1459 წელს მეფემ გიორგი მერვემ და ყვარყვარე ათაბაგმა თავიანთ პატრიარხად აირჩიეს მინორიტების წესის პატრი ლუდოვიკე ბოლონიელი, რომლის არჩევაც პაპმა დაამტკიცა [5]). შემდგომ, 1495 წ., მეფემ კოსტანტინე მესამემ განაახლა ესევე ერთობა პაპთან ელჩისა და წერილის გაგზავნით [6]).

ოსმალების გაძლიერებამ საქართველოში, მათმა ხშირმა შემოსევამ ჩვენთან მოსვლის გზა შეუკრა ევროპელ მისიონერებს და რომის ეკკლესიასთან ერთობაც ძრიელ შეასუსტა, მაგრამ ქართველების გულში-კი ვერ აღმოფხვრა ის სიყვარული და მიდრეკილება, რომელიც ძველათგანვე ჰქონდათ რომის ეკკლესიისადმი. ამ დროს ნახიჩევნის გაკათოლიკებულ სომეხ-უნიტორთა ბერებმა საქართველოში ევროპელი მისიონერების ადგილი დაიჭირეს და უქადაგეს კათოლიკე სარწმუნოება. რა სცნო ქართველების ესრეთი კეთილი გრძნობა პაპ-

---

[4]) იგივე, გვ. 33.

[5]) იგივე, გვ. 57.

[6]) იგივე, გვ. 64.

მა პავლე მესამემ, ლუარსაბ მეფეს და საქართველოს დანარჩენ სამს მთავარს, 1545 წ. მოსწერა წერილი მათ სარწმუნოებაში გასამტკიცებლად და ერთობის გასაახლებლად. ერთი წლის შემდგომ, საქართველოში ნამყოფი ნახჩევნის არხიეპისკოპოსი სტეფანე თავის ნუნციოდ დანიშნა პაპმა და მიანდო შემოეერთებინა რომის ეკკლესიისათვის საქართველოს ოთხივე მთავარნი [7]).

ამნაირად XIII საუკუნიდან მოკიდებული ვიდრე XVI საუკუნის დასასრულამდე ხშირად საქართველო რომთან შემოერთებული იყო. ხოლო მაზე დამოუკიდებელის მიზეზების, ანუ გარემოების გამო, როდესაც სცხრებოდა ეს ერთობა, მაშინაც მუდამ ერთგული, პატივისმცემელი და მიდრეკილი იყო რომისადმი, რის გამო მრავალნი იყვნენ ქართველთა შორის კათოლიკე სარწმუნოების აღმსარებელნი და ერთგულნი კათოლიკენი. ამისთანა ცხადზედ უცხადესი ფაქტები სომხების ახალმა მწერლებმა თავიანთის გაუგებარის ლოგიკით მთლად უარყვეს და პირდაპირ გამოაცხადეს XIV საუკუნეში მოსულმა მისიონერებმა საქართველოში ვერაფერი ნაყოფი გამოიღეს, ვერავინ გააკათოლიკესო. ესრეთი აზრი გამოსთქვეს რისამე საბუთის მოუყვანელად.

საქართველო არც შემდეგ საუკუნებში ყოფილა ორგული რომისა, არამედ მუდამ მის პატივისმცემელი და ერთგული, რის გამო ხშირად და უკლებლად იყვნენ ქართველთა შორის კათოლიკენი. ამას ცხად ჰყოფს მისიონერების მოწმობა და აუარებელი ფაქტები.

თითქმის ყველა მისიონერები ერთპირად აღიარებენ, აღმოსავლეთის ტომთა შორის ქართველები უფრო მიზიდულნი და პატივისმცემელნი არიან რომის ეკკლესიისა და მათი შემოერთება ძრიელ ადვილიაო. მაგალითად, პატრი პავლე ფაენცელმა, რომელიც საქართველოში 1616 წ. იყო, მოკლე, მაგრამ მეტად შესანიშნავი მოხსენება გამოსცა ნეაპოლში ქართველების პატივისა და ერთგულების შესახებ რომის

---

[7]) იგივე, გვ. 74.

ეკლესიისადმი [8]), ამისი მსგავსი მოხსენება წარუდგინეს 1626 წელს პროპაგანდას პატრი გრიგოლ ორსინი დომინიკიანელმა, რომელიც მოვიდა საქართველოში 1620—1624 წლებში და შესანიშნავმა რომაელმა მოგზაურმა პეტრე დელლა ვალლემ. ამასვე იმეორებდენ თავიანთ წერილებში მათ შემდგომ მოსულ მისიონერებიც და რომს არწმუნებდენ, ყველაზე საუკეთესო და ნაყოფიერი სამისიონერო ქვეყანა საქართველოაო, რადგან ქართველები ნამეტნავად რომის ერთგულებას აცხადებენო.

რომისა და მისიონერების მოლოდინი არ გაცრუებულა: ყოველს დროს და საქართველოს ყოველს პროვინციაში აღმოჩენილან თვით უმაღლესი ხარისხის პირნი, რომელთაც გულწრფელად მიუღიათ კათოლიკე სარწმუნოება და სიკვდილამდე უცვლელად დაუცვიათ. მაგალითად: გურიაში მთავარი გურიელი, რომელმაც 1615 წ. იქ მისულ იეზუიტებთან აღსარება სთქვა და პაპის მორჩილება აღიარა; გურიელი მალაქია, აფხაზეთის კათალიკოსი, ელენე, მესხეთის ათაბაგის ქალი, სამეგრელოში ლევან დადიანი, რომელმაც ხელმეორედ ნათლისღება მიიღო და შეიქმნა კათოლიკობისათვის, როგორც მეორე კოსტანტინე; მისი შემდეგი მთავარი, სარეკ სარაზია, რომელმაც ყველას გადააჭარბა თავისი ერთგულის კათოლიკობით; ალავერდელი არხიეპისკოპოსი; ქუთაისში, კათოლიკოსი ბესარიონი, რაჭის ერისთავი როსტომ, წინამძღვარი სტეფანე და მეფე ალექსანდრე; ქართლში: მეფე თეიმურაზ, მეფე გიორგი თავისი ძმით და შვილით, ქაიხოსრო ლევანის შვილი, სულხან საბა ორბელიანი, ბარძიმ ერისთავი; ვახტანგ მეფე, ამილახვარი, მთლად ორბელიანთ გვარი, ნიკოლოზ კათალიკოსი, თბილელი არხიეპისკოპოსები ევთიმე და ქრისტეფორე, ანტონ კათალიკოსი და სხვა... ხოლო თავად-აზნაურობასა და მდაბიო ხალხში ხომ ურიცხვნი იყვნენ კათოლიკენი.

ესრეთი ფაქტები არამც თუ მეცნიერთათვის, არამედ

---

[8]) Sincera relatione de'regni della Georgia del R. P. Maestro F. Paolo da Faenza. Napoli.

თვით უმეცარ და უსწავლელ პირთათვისაც ცხადი და უცილობელი უნდა ყოფილიყო, გარნა სომეხთა ახალმა მეცნიერებმა, გამოაშკარავების მაგიერ, ეს ფაქტები, ასე აშკარა, დაჰფარეს და უარყვეს ყველა. იმათ შეეტყოთ, რომ ჩვენ რომის არხივებში ქართველი კათოლიკების შესახებ დოკუმენტებს ვეძებდით. სწორედ იმ დროს სომხის მწერლებმა რომში გამოგზავნეს თავიანთი კაცი, ვინმე მხითარისტი მღვდელი ვენეციის მონასტრისა. ამან რომში მარტო ერთი წიგნი იპოვნა ამ საგნის შესახებ: „კაფუცინთა მისიონების ისტორია“ პატრი როქე ჩეზინელისა [9]), რომელსაც საქართველოს მისიონის შესახებ ძრიელ ცოტა დოკუმენტი აქვს შემოკრებილი. (თვით ამ მღვდელთან ჩვენ მიწერ-მოწერა გვქონდა). ამას ხელში არა ჰქონდა ყველა ის დოკუმენტები, რაც ჩვენ შევკრიბეთ. რაც ამ წიგნში ნახეს სომხის მწერლებმა ქართველ კათოლიკების სასარგებლო, ისიც დაამახინჯეს და ყველა უარყვეს. ეს საკვირველი თხზულება პროფესორის ალ. ხახანაშვილის წინააღმდეგ დაბეჭდეს პეტერბურგს რუსულ გაზეთში სარუხანის სახელით [10]).

ხსენებულ წიგნში პროპაგანდის აკტები ამ ნაირად „Acta ec.“, რაიც შემოკლებულია და ნიშნავს: „Acta S. C. de Prop. Fide“, ვითომ აკტი პროპაგანდის წმიდა კრებისაო, როგორათაც წიგნის პირველ გვერდზედვეა მოხსენებული, სომხის მწერლებმა, რათა მკითხველებს თვალები აუხვიონ, გადააკეთეს საეკლესიო აკტებად ესე: „Acta Ecles“ (საეკკლესიო აკტები), ვითომც სხვა წყარო იყოს წიგნი და სხვა წყარო იყოს ესა. ქართველ კათოლიკეთა შესახებ ყველა დოკუმენტები მათვე დაჰფარეს და უარყვეს გარდა ერთისა, ბარძიმ ერისთავის გაკათოლიკებისა; სუყველაფერი სომხებს მიაწერეს. მაგალითად, ამავე წიგნის 341 გვ. მოხსენებულია, რომ მოლაპარაკება იყო ქართველთა ეკკლესიის რომთან შემოერთები-

---

[9]) Storia delle Missioni dei Cappuccini per P. Rocco da Cesinale. Roma, 1873.

[10]) С.-Петербургскія Вѣдомости, г. 1900, № 156.

სათვის. 345 გვერდზედ, როცა სომხების მდევნელობაზეა ლაპარაკი, თუ როგორ დაუჩაგრავთ მისიონერები, იქვე მოხსენებულია, ქართველები სომხების წინააღმდეგ მფარველები ყოფილან კაფუცინებისა, მათი სიყვარული ჰქონიათ; რადგან ისინი ჭეშმარიტების მოყვარენი ყოფილან, სიამოვნებით უსმენდენ კაფუცინებს მოძღვრებას და ხშირად კათოლიკობაზედაც გადადიოდენო. წიგნის 362 გვ. და შემდეგ გვერდებზედ მოხსენებულია გაკათოლიკება გიორგი მეფისა, ტფილელის ევთიმე არხიეპისკოპოსისა და მისი სამღვდელოების ერთის ნაწილისა, რომლებსაც ცხადად აღუარებიათ პაპის მორჩილება და წერილებიც მიუწერიათ მისთვის. იქვეა პაპის მიწერილი წიგნები გიორგი მეფესთან და არხიეპისკოპოსთან. ხოლო 377 გვ. მოყვანილია პლატონ იოსელიანის მოწმობა, რომელიც ამბობს, კაფუცინებმა სომხებზედ უფრო ბევრი ქართველები გააკათოლიკესო. ესრეთი ცხადი მოწმობანი და ამათი მსგავსი ყველაფერი გამოსტოვეს და გამოაცხადეს, მარტო სომხები გახდებოდენ კათოლიკებიო. ამდენი ფაქტების შემდგომ, სომხის მწერლები კი ურცხვად ასე დასძენენ: სომეხ-კათოლიკების გარდა ქართველ კათოლიკებიც რომ ყოფილიყვნენ, რა დასაჯერებელია, კაფუცინებს საჭიროდ არ დაენახათ მათ შესახებ რამე არ ეთქვათო! ამნაირ საუცხოვო და სამარცხვინო უარყოფის წინააღმდეგ ღაღადებს ჩვენი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ თხზულების ყოველი გვერდი და სტრიქონი [11]). ქვემოდ ვნახავთ, რომ ამ გაკათოლიკებულ სომხებშიაც ბევრნი ქართველ ტომისა იყვნენ და ეგრეთვე კაფუცინების სკოლაში მომეტებულად ქართველი მოწაფეები სწავლობდენ. სომხის მწერალთა მოყვანილის სხვა მოწმობის გაბათილებას აქ აღარ გამოვუდგებიო, რადგან ქვემოდ გვექმნება მათთვის საუბარი.

---

[11]) უადგილოდ არ ვრაცხთ, ვუჩვენოთ სომხის მწერლებს გასამტყუნებლად ქართული გაზეთებიც: ,,ივერია'' 1900 წ. №№ 133, 134; 1902 წლ. №№ 178, 179, 181, 185, 187, 201. ,,ცნ. ფურცელი'' № 1903, 1916. ეგრეთვე ჩვენი დაუღალავი მშრომელის ზ. ჭიჭინაძის გამოცემული წიგნი „კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში“, ტფილისი, 1903 წ.

რადგან ყველა ეს დოკუმენტები თვით მიისაკუთრეს, კათოლიკებად, გარდა ერთი-ორი ქართველისა, მარტო სომხები შერაცხეს და მისიონერების ერთგულ მოკეთედ და მიმდევრად მარტო ესენი გახადეს, გამოვიძიოთ შემდეგ თავში, თუ კათოლიკობის რანაირი მოყვარე, ანუ კათოლიკების და მისიონერების რა მეგობრები იყვნენ სომხის ასეთი მწერლები.

თავი II.

რანაირი კათოლიკენი იყვნენ და არიან ჩვენი მოკამათე სომხის მწერლები და საზოგადოდ სომხებს როგორი მიდრეკილება ჰქონდათ კათოლიკობისადმი.

ჩვენის ვინაობის უარმყოფელმა სომხის მეცნიერებმა მონოპოლიად აიღეს ყველაფერი: კათოლიკობა მარტო თვით დაისაკუთრეს, ქართველები ყველაფერში გამოწყვიტეს და მხოლოდ თვით შეიქმნენ მისიონერების მოკეთენი, ერთგულნი და თანამგრძნობნი მოწაფენი. ამის გამოა, რომ ვითომ სომხის კათოლიკებს ქომაგობენ და კათოლიკების სახელით გამოდიან ასპარეზზედ; ამითი უნდათ გააკანონიერონ ჩვენი დევნა. ჩვენ კი დიდი ეჭვი გვაქვს ამისთანა პირების გულწრფელის კათოლიკობისა. ესრეთი პირები უნდა იყვნენ იმ მეცნიერთა გუნდისაგან, რომელსაც მიზნად აქვსთ საქართველოს გადასხვაფერება, მთლად გასომხება. ამათ მიაგნეს სუსტ მხარეს, ქართველ კათოლიკობას, იმიტომ კათოლიკების სახელით გამოდიან, თუმცა კათოლიკობისა არაფერი აქვთ, ან თუ არა, მარტო სახელით არიან კათოლიკენი. ამნაირ პირთა კატეგორიაში უნდა შეირიცხონ ის ორი ახალი სომხის მწერალი, რომელთაც 1897 წ. „მშაკში“ ქართველ კათოლიკების წინააღმდეგ გამოილაშქრეს. ერთი ცხადად აღიარებს თავის თავს სომხის კათოლიკედ, ხოლო მეორე აცხადებს თავის სახელის მარტო პირველ ასოებს „ა.“ და „ს.“, გარნა მის შემდეგ წერილებიდან სჩანს, რომ ესეც კათოლიკე ყოფილა და ვენეციაში, თუ ვენაში, სწავლა მიუღია, როგორც სხვებმაც დაგვარწმუნეს.

თუმცა არავის უარ-უყვია სომეხ-კათოლიკების ყოფნა, მაგრამ რადგან ამ გამოჩენილმა მწერლებმა მარტო სომხებს

დაასაკუთრეს კათოლიკე სარწმუნოების მიღება და ქართველები, გარდა ერთი-ორის პირისა, მთლად გამორიცხეს კათოლიკეთა სარწმუნოებიდგან, ამისთვის საჭიროდ ვრაცხთ გამოვიძიოთ ამ თავში, თუ როგორი კათოლიკენი და მისიონერების რაოდნათ მოყვარენი ყოფილან ასეთი სომხის მწერლები და ან თუ საზოგადოდ სომხებს როგორი მიდრეკილება ჰქონიათ კათოლიკე სარწმუნოებისადმი, რათა მის დაგვარ განვსაჯოთ მათი ნათქვამი და ნამოქმედარი.

ამასთანავე საჭიროდ ვრაცხთ აქვე გამოვაცხადოთ: ამ წერილში სრულებით აზრად არა გვაქვს, შევეხოთ სომხის ტომის ყველა კათოლიკეთ, რომელთა შორის ბევრნი სიტყვით და საქმით ნამდვილნი კათოლიკენი არიან და ჩვენთა მოწინააღმდეგე—სომეხთა უსამართლო და ეკკლესიის საწინააღმდეგო მოქმედებაში სრულებით არავითარი წილი უდევსთ. იძულებული გავმხდარვართ ხმა ამოვიღოთ წინააღმდეგ სომხის კათოლიკებისა, რომელნიც იმ ორ ხსენებულ ახალ მწერალთა აზრების მომხრე არიან, რომლებიც სომეხ-გრიგორიანებთან ერთად მოქმედობენ კათოლიკეთა წინააღმდეგ და რომლებსაც ნამდვილ კათოლიკობისა სახელის მეტი არაფერი აქვსთ. ჩვენი აზრია კარგათ ვამცნოთ მეტადრე იმ სომხის კათოლიკებს, რომლების წინამძღვრობასაც ეს ბატონები ჩემულობენ, რომ ესენი კათოლიკობის მოსარჩლენი-კი არა, მათი შემაცდენელნი და სულიერად წამწყმედნი არიან. ამის დასამტკიცებლად სხვა საბუთიც რომ არა გვქონდეს რა ხელში, მარტო ისიც კმარა, თვალი გადავავლოთ, თუ რას ამბობენ და რას მოქმედობენ. ყოველსავე ამას, მადლობა ღმერთს, ისევ თვითონვე მოგვითხრობენ, და ველარ დაგვწამებენ, თქვენ მოიგონეთო. ეგრეთვე ვაცხადებთ, რომ ამ წერილში ჩვენი აზრი არ არის, შევეხოთ მთლად სომხის ტომს, ანუ სომხის ყველა მწერლებს. მხოლოდ სახეში გვაქვს ის წრე, ანუ გვყვანან ის პირები, რომლებიც, თუ უწინ და თუ ახლა, ცრუობენ და ცდილობენ საქართველოს ჩამოართვან თავისი დიდება, ქართველებს სული ამოართვან და სამარე გაუთხარონ.

1897 წ. „მშაკის“ № 110-ში ერთი ვინმე სახელად „სომხის

კათოლიკე“, შემდგომ ბევრის სიცრუისა და ცილის-წამებისა ჩვენ წინააღმდეგ, გაკადნიერდა და წარმოსთქვა სხვათა შორის ესეც: „ტფილისის სომხის კათოლიკენი, რა მოაკლდენ თავიანთ სულიერ მწყემსებსა, მრავალ წლების განმავალობაში ჩივოდენ თუ სასულიერო და თუ სახორციელო მთავრობასთან და ბოლოს მოიგეს თავიანთი დავა; ეკკლესიებში მოსპობილ იქმნა ქართული ჟამნის თქმა, მაგრამ იმისი სომხურად შეცვლის მაგიერად სომხური ენის მტრებმა ახლაც ჟამკანონის შესრულება დაიწყეს ლათინურად. სომხის კათოლიკებმა ხელმეორედ იჩივლეს მთავრობასთან და ბოლოს 1893 წ. მაისში გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რომლითაც დადგენილია, ტფილისის ღვთის მშობლის ეკკლესია, შუა ბაზარში მყოფი ჩამოერთვას ლათინის სამღვდელოებას და ჩაჰბარდეს სომხის კათოლიკე მღვდლებსა... ხოლო ტფილისის სომხის კათოლიკენი, თავიანთ სამართლიან მოთხოვნილებათათვის ლათინის სამღვდელოების წინააღმდეგ საბრძოლველად ძალიან სუსტნი არიანო...“ [12]) ამ რავდენსამე სიტყვაში სხვა არა რაი სჩანს, თუ არ მტრობა, ბრძოლა და საჩივრები სომეხ-კათოლიკებისა ლათინების წინააღმდეგ. ვინ არ უწყის, რომ ესრეთი საქციელი ცხადად წინააღმდეგია როგორც ღვთისა, ისე ეკკლესიის კანონისა; ვინ არ უწყის, რომ ესრეთი საქციელი

---

[12]) *Թիֆլիսի Հայ-կաթոլիկները, զրկված լինելով իրանց հոգևոր հովիւներից, երկար տարիներ բողոքում էին թէ հոգևոր և թէ մարմնաւոր իշխանութեան և վերջապէս իրանց դատը վաստակեցին: Եկեղեցում խափանվեց վրացերէն ժամասացութիւնը։ Բայց նրան հայերէնի փոխարինելու տեղ, հայ լեզուի թշնամիները այժմ էլ ժամասացութիւն սկսեցին կատարել լատիներէն լեզուով։ Հայ կաթոլիկները նորից սկսեցին բողոքել կառավարութեան և վերջապէս 1893-ին Մայիսին հրատարակվեց բարձրագոյն հրաման որով կարգադրված է Թիֆլիսի Միջին փողոցում գտնվող ս. Աստուածածնի եկեղեցին առնել վրացի կղերականների ձեռքից և յանձնել Հայ կաթոլիկաց։*

Իսկ Թիֆլիսի Հայ-կաթոլիկները, իրանց օրինական պահանջով հանդերձ՝ շատ տկար են, և չեն ուզում լատին կղերի դէմ պայքար մղել, զի իրենց դիրքը նրանց թույլ չէ տալիս։ („Մշակ“ № 110, 1897 թ.).

წინააღმდეგია მოყვასის მიმართ სიყვარულისა და, რასაკვირველია, თვით ქრისტეს პირველი ბრძანების დამარღვეველი. თუ ამ სახით მომქმედნი სომეხნი თავიანთ თავს კათოლიკედ რაცხვენ, მით ეღიარებენ, რომ იგინი ეკუთვნიან ერთსა და იმავე ეკკლესიას, როგორც ლათინები, რომლებსაც დაუცხრომელად ებრძვიან და უჩივიან. რაღა თქმა უნდა, ორნივე ერთმანერთისთანა ძმანი ყოფილან, რადგან ერთისა და იმავე ეკკლესიის შვილად ითვლებიან. ერთი ვკითხოთ ასეთ სომხებს, თავიანთ ძმებს ლათინებს ასე რომ სდევნიან, უჩივიან და ყველგან აბეზღებენ, განა სვინდისის ქვეშ შეუძლიათ სთქვან, ლათინების ძმანი და ერთისა და იმავე ეკკლესიის შვილნი ვართო? ამისთანა უსამართლო საქციელის შემდგომ აღარავითარი სიმართლე მიუძღვისთ, თავიანთი თავი ნამდვილ კათოლიკედ აღიარონ. ხოლო თუ ისევ გარეგნად ამავე ეკკლესიაში ირიცხებიან და მის სახელს ატარებენ, ამითი სხვას არასფერს ამტკიცებენ, თუ არ იმას, რომ ამ ეკკლესიას გულს მწუხარებითა და ნაღვლით უვსებენ. კარგად დარწმუნდენ, რომ ესრეთი მათი საქციელი ეწინააღმდეგება არა მარტო ლათინის ეკკლესიის ბრძანებას, არამედ ყველა ქრისტიანთა საერთო წესდებასაც.

შურის სათვალეები რომ აიხადონ და პატიოსნების თვალი აიხილონ, ცხადად დაინახვენ, რომ მართლმადიდებელთა ეკკლესიებში რუსი, ქართველი, ბერძენი და სხვა ერთად ლოცულობენ და ასრულებენ ღვთის-მსახურებას; შფოთს, ჩხუბს და ჩივილს მათ შორის ადგილი არა აქვს, რადგან ერთის და იმავე ეკკლესიის შვილნი არიან. ამნაირ მაგალითებს სხვა ტომებშიაც შენიშვნენ, უკეთუ გულწრფელად გამოიძიებენ. ეკკლესიას სახელი ეკკლესია იმიტომ ეწოდების, რომ იგი საერთოდ ეკუთვნის ყველა იმ პირთა, რომელნიც აღიარებენ მისგან მიღებულს სარწმუნოებას; ამისთვის ამათ ყველას უფლება აქვსთ, რომ იქ თავისუფლად შევიდენ და ღმერთი ადიდონ. ჯერ არავის სმენია და არც ვისმე უხილავს, რომ როდისმე ლათინებს ეკკლესიებიდან გაეძევებინოთ სომხის კათოლიკენი და არ მიეშვათ იქ სალოცავად. ამისი

მაგალითი ჩვენ არ ვიცით; ხოლო თუ სომხები წარმოგვიდგენენ ამ ნაირ მაგალითს, ეს ან ახალი ცილის-წამება იქმნება, სხვებთან ჩასათვლელი, ან თუ არა იმისთანა შემთხვევა იქმნება, როცა კანონი ავალებს ესრე მოიქცეს. მაგალითად: როდესაც ვინმე შევა ეკკლესიაში არა ღვთის სადიდებლად, არამედ მის სამკრეხლოდ და მორწმუნეთა აღსაშფოთებლად, უეჭველად ამისთანა ვინმე უნდა გაძევებულ იქმნას იქიდან და აღეკრძალოს შესვლა. ახლა სომხებს რა სიმართლე აქვსთ, რომ ცდილობენ განდევნონ ლათინის მღვდლები, მათი მრევლი და დაისაკუთრონ ტფილისის ღვთის-მშობლის ეკკლესია? ამისთანა საქმეს ჭეშმარიტი ღვთის-მოსავი და ეკკლესიის ერთგული შვილი არა თუ არ იზამს, არამედ ფიქრადაც ვერ წარმოიდგენს. ახლა გაშინჯოს პატიოსანმა მკითხველმა, თუ ამ ნაირი საქმის მომქმედი როგორი ქრისტიანე და კათოლიკე უნდა იყოს?! განა რომ საბუთი გვაქვს ვუთხრათ: „სიტყვითა შენითა განისაჯო“.

თუმცა კიდევ ბევრი რამე შეიძლება ითქვას მათი ნათქვამისა და ნამოქმედარის შესახებ, მაგრამ ესეც კმარა, რადგან აქედანაც ცხადად სჩანს, რომ ეგრეთ წოდებული სომხის კათოლიკენი, ჩვენი მოწინააღმდეგენი, არიან მოჩვენებულნი და არა ნამდვილნი კათოლიკენი. ამის სინამდვილეს უფრო ცხადად დავინახავთ, უკეთუ განვიხილავთ მათს ნამყო მოქმედებასაც.

რაც ჩაიდინეს ზოგიერთმა სომხის კათოლიკე მღვდლებმა საქართველოდან კაფუცინების გასაძევებლად, ეს ბევრისათვის ცხადია. ამისთვის საჭიროდ არ ვრაცხთ მის შესახებ ლაპარაკს. ხოლო ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ თუმცა კაფუცინების მოწინააღმდეგეთა მოთავე იყო მღვდელი პავლე შაჰყულიანი, მაგრამ მარტო ის არ ყოფილა, მეტადრე მოხუცებულობის დროს: იმას ერთგული შემწენი ჰყავდა უფროსერთად სომხის ტომის კათოლიკე მღვდლებში. მათი მტრული მოქმედება ეგოდნად შესანიშნავი და ცხადი იყო, რომ უცხოელთაც აკვირვებდა. აი 1841 წ. ინდოეთის აგრა ქალაქიდან რას სწერდა პროპაგანდის უფროს კარდინალს იოსებ—ანტონ ბეთ-

ს‌აიდის ეპისკოპოსი, რომელმაც ტფილისში გზად გამოიარა: „სომეხ-კათოლიკეთ სამღვდელოება ცდილობს არა მარტო თვით იუფლოს ლათინების განძევებით, არამედ კვალად უნდა, რომ ადგილი დაიჭიროს იმ მონასტრებსა და ეკლესიებში, რომლებიც აქვსთ კაფუცინებს; იმიტომ, რომ იქ უფრო მეტია ჯამაგირი და ხშირია ერის მიერ მიცემული მოწყალება“ [13]). აი რა ყოფილა მიზეზი ამ პატიოსან სომხის კათოლიკე მღვდლებისა, რომლებიც, რაოდნათაც შეეძლოთ, ცდილობდენ თავიდან მალე მოეშორებინათ კაფუცინები. ამ ნაირად ლათინების მდევნელები კიდევ საჯაროდ გამოდიან და თავიანთ თავს კათოლიკეს უწოდებენ!

ვგონებთ არა ერთხელ ილაპარაკეს ჩვენმა მწერლებმა მღვდლის ალექსანდრე არარატიანის გამო, თუ იგი რაოდნად მტრობდა ლათინებს. მეტი არ იქმნება, ჩვენც აქ გაიხსენოთ და მოვიყვანოთ ზოგიერთი სიტყვები, ორი მისი წერილიდგან, რომელიც ხელში გვაქვს.

1848 წ. როდესაც რომმა იმპერატორის თანახმობით, კავკასიის სომხის კათოლიკებიც ჩააბარა სარატოვში მყოფ ტირასპოლის ლათინის ეპისკოპოსს, ცხადია, სომხის კათოლიკე მღვდლებიც უნდა დამორჩილებოდენ და ამისგან უნდა მიეღოთ ყველა თავიანთი სასულიერო უფლება. უფალ არარატიანს არ იამა და ეცადა იმის მორჩილებისათვის თავი დაეწია და მისი სასულიერო უფლება თვით ხელში ჩაეგდო. როდესაც ახალციხის სასულიერო მართველობის წევრად დაინიშნა არარატიანი, მაშინ უფრო ეცადა თავის გულის ნადები აღესრულებინა. 1876 წ. იანვრის 28, შეჰკრიბა იქაური მრევლი, დიდის მჭევრ-მეტყველებით აუხსნა, საჭიროა, გვყავდეს ერთი უფროსი, ყოველის სასულიერო უფლებით მორჭმული, რათა არ გვჭიროდეს ლათინებს მივმარ-

---

[13]) Il Clero poi Armeno Cattolico vorrebbe non solamente dominare ad esclusione de'Latini, ma di più vorrebbe essere impiegato in quell'Ospizzi e Chiese possedute da Cappuccini, a motivo che quivi più lucruose sono le rendite, e più frequenti l'incerti. (კაფუცინების არხივი რომში).

თოთ ხოლმე და მათზედ დამოკიდებული არ უნდა ვიყოთო. ხალხს რომ არ შეეტყო მისი მანქანება, ჯერ უჩვენა თავისი ერთგულება რომის ეკკლესიისადმი: „ჩვენ რომის ეკკლესიის შვილნი ვართ, პაპის ერთგულნი ვართ, მის სახელს წირვაში ვიხსენიებთ, სამღვდელო უფლებას მისგან ვღებულობთ და სხვა...“ ესე რა მოამზადა ერი, დაიწყო ლათინების განკიცხვა თავის შედგენილის წერილის 16 მუხლში ესრედ: „კარგად ვიცით, რომ ჩვენი მომავალი ჩამომავლობა თვინიერ სასულიერო უფროსისა არ დარჩება. მაშ ახლავე ვიფიქროთ, რომ ჩვენის გვარტომისაგან გვყავდეს უფროსი; ის რაერთიც უწყალო იყოს, მაინც გვარ-ტომის სისხლისგან ძალდატანებული, ნამდვილ მშობელის დედის ლმობიერება ექმნება ჩვენდამი. ხოლო თუ უფროსი თანამორწმუნე უცხო გვარტომისა გვეყოლება, ის, რაერთიც გულკეთილი იყოს, მაინც დედინაცვლის გული და თვალი ექმნება ჩვენზედ. აბა დააკვირდით ყმაწვილს, რომელიც მშობელის დედის იღლიისა და მფარველობის ქვეშ არის და ყმაწვილს, რომელსაც დედინაცვალი ჰყავს: ნამდვილი მშობელი დედა თუ ერთის ხელით სცემს თავის შვილსა, მეორე ხელით-კი დაუყვავებს ხოლმე. ხოლო ობლად დარჩენილის ყმაწვილის თავში საცემლად დედინაცვლის ორივე ხელებიც ცოტა არის.—ფარშავანგის წიწილზე მშვენიერი არა არის რა, მაგრამ ბრმა ბუს თვალში სახიჩრად სჩანს. მოიგონეთ ამ საგანზედ სოლომონ ბრძნის ამ ნაირ დედებისა და ყმაწვილების თაობაზე გარდაჭრილი სამართალი. უცხოელთა მომეტებულ დაყვავებას ნუ ენდობით, „ცხენს თოფშო, თოფშოთ“ დაიჭერენ, მერმე ალვირს ამოსდებენ და ჩაიგდებენ ხელში. ასე დაგვემართება ჩვენა და ჩვენს ჩამომავლობას, თუ შორს მჭვრეტელობა არ გამოვიჩინეთ.“ ესრეთის ახალ მოციქულის ქადაგება რომ მოისმინეს, ყველანი განკვირდენ და აღშფოთდენ; ბევრმაც მაშინვე დაუტევა კრება. ამიტომ ეს არარატიანი ბევრხანს ველარ დარჩა. თუმცა-კი იმ აზრით იყო მისული, რომ სამუდამოდ მოეკალათებინა იქ. მაგრამ სანამ იგი ახალციხეს განშორდებოდა, 1876 წ. ივლისის 26 დღის 337 ნომრით, თავად სვიატოპოლკ-მირსკის გაუგზავნა ქალალდი,

რომელშიაც სხვათა შორის, მოახსენა: „ტირასპოლის ეპისკოპოსნი მკაცრად გვემუქრებიან და გვიბრძანებენ, ყველა საქმეები მათ გავუგზავნოთ ხოლმე; რაც შაჰყულიანს სასულიერო უფლება ჰქონდა, იმათ მიითვისეს და ახლა ეს სასულიერო უფლება როცა დაგვჭირდება, ვის უნდა მივმართოთო და სხ...“ ამაზედ მეტი ერთგული კათოლიკე გინდათ! რუსის მთავრობის მიერ მოწონებულს პაპის დადგენილებას ეურჩება, მის დაყენებულ ეპისკოპოსს უფროსად არა სცნობს და ამ ეპისკოპოსის ბრძანებასაც ფეხქვეშ ჰქელავს... ამისა და კიდევ სხვა ბევრის რისამე მომქმედი გამოდის და იძახის, რომის ეკკლესიის შვილი ვარ და ერთგული კათოლიკეო! ამ კათოლიკობის სახელს კიდევ იჩემებენ მაშინაც-კი, როცა შორდებიან რომის ეკკლესიას და უერთდებიან სომეხ-გრიგორიანებს, ვიდრე საქვეყნოდ გამოაცხადებდენ ამ თავიანთ აპოსტასიას, კათოლიკობის უარყოფას! ამის ერთს შესანიშნავს მაგალითს მოვიყვანთ.

შემთხვევით ხელში ჩაგვივარდა ერთი ვრცელი წერილი, სომხური გაზეთიდან ნათარგმნი. დაწერილია ერთის ვინმე სომეხ კათოლიკესაგან, მაგრამ, სამწუხაროდ, წერილი უთარიღოა. ხოლო ნაცნობებმა დაგვარწმუნეს, რომ ეს ოცდახუთი, ანუ ოცდა-ათი წლის წინეთ მომხდარი ამბავი უნდა იყოსო. მისი დამწერის ვინაობაც გვითხრეს, ის ყოფილა ავეტის ეზეკოვი, ახლა სომეხ-გრიგორიანებთან შეერთებული. ამას სწავლა მიუღია ვენეციის სომხების მონასტერში, ვგონებთ, იმ ზოგიერთ პირებთან ერთად, რომლებიც დღეს ტფილისში უჩივიან და ებრძვიან ლათინის კათოლიკეს. ეს სომხის კათოლიკე, სომეხ-გრიგორიანებთან შეერთებამდე, ერთ სომხურ გაზეთში აქვეყნებს თავისს წერილს, რომლითაც იწვევს ყველა სომხის კათოლიკებს, რათა მის გზას დაადგნენ და შეუერთდენ სომეხ გრიგორიანებს. ამ წერილში რომის ეკკლესიას სხვადასხვა სახედ ხატავს დიდ და უწყალო მტრად. მასთანვე უჩვენებს, ეს ეკკლესია გამბნეველი და შთამთქმელია სომხის ტომისაო. მეტი არ იქმნება მისი წერილის რამდენიმე სტრიქონი მოვიყვანოთ აქ. „სომეხნო ძმანო (ამბობს ეს სომ-

ხის კათოლიკე), ერთმანერთისგან განუშორებლად ფეხი წარ-
ვდგათ, წყვილად ვიაროთ, ერთად ვიბრძოლოთ პატარა ერ-
მა როგორც ნაწილ-ნაწილ, ისე მრთლივ ერთად ჩვენ მტერ-
თა წინააღმდეგ [14]) დიდსა და ფართო კავშირში დანთქმად.
უკეთუ არ გვაქვს ძრიელის ღონე, ვიქონიოთ მაინც უძლუ-
რის მეცადინეობა და ჭკვიანი და ფხიზელი წინდახედულობა
თვითეული ჩვენგანის უვნებლად დაცვისათვის. ხმლის პირი
ჯერ-ჯერობით ჩვენთვის არ სჭრის. ჩვენი თაოსნობა თავის
უშიშარ მყუდროებას სომხის ერთ მორწმუნოებაში ჰპოვებს.
ჩვენი სარწმუნოება უარ-არ ვყოთ და არ შევცვალოთ სხვა
სარწმუნოებად. მამათა ჩვენთაგან აგებულის საკურთხეველის
ქვაკუთხედს მაგრა ხელი მოვსჭიდოთ, იქ არის ჩვენი ხსნა.
იმათ, რომელთაც ჩვენის ერის ერთის ნაწილისათვის ნამდვი-
ლი სახელი შეუცვლიათ და, თითქო ხელმეორეთ მოუნათლი-
ათო, უწოდებიათ სომეხ-კათოლიკე, მეორისათვის სომეხ-
მართლ-მადიდებელი, მესამისათვის სომეხ ახალ მწვალებელი.
მათის აზრით, განა ჩვენთვის სიკეთის ქმნა და ჭეშმარიტების
სწავლა სდომებიათ?.. არა. ყველას შეგვიძლია შეტყობა, რომ
არა. კვალად გამეორებით ვიტყვი, რომ არა. თითვეულის მათ-
განის სურვილი ის ყოფილა, რომ თავისი ლუკმა გაერბო�ა-
ნებინა და ამპარტავნულად დაეკვეხნა, ჩემი ლუკმა ყველაზედ
უფრო ერბოიანიაო... ნუ გვკითხავთ იმათსას, რომელთაც
ჩვენ ჩვენის სამწყსოსაგან გარედ გამოვუყვანივართ, რა უთ-
ქვამსთ, ანუ რა უქნიათ?.. ნუ თუ მაგალითად, იმ ლათინს,
რომელიც შენ თავისკენ გიზიდავს და მიჰყევხარ, არ შეუ-
ტყვია აქნობამდე სარწმუნოების ჭეშმარიტება, რომლის წერ-
ტილზე არის დაფუძნებული. თუ შეუტყვია და მიჰყევხარ,
ჰსცან, რომ მისი აზრი შენი სულის სასარგებლო არ არის,
კარგად თვალი გაახილე. ხოლო უკეთუ არ შეუტყვია და
გწევს და მიჰყევხარ, ჰსცან, რომ ის, რომელიც შენ პირვან-
დელის გზიდგან გაბრუნებს, და შენ, რომელიც შენი გზის
გამრუდებით განუზრახველად მისდევ, ორნივეც შემცდარნი

[14]) რომის ეკლესიას გულისხმობს.
მ. თ.

ხართ და თვალებ ახვეულნი—„რა ჟამს ბრმა ბრმას უწინამ-
ძღვრებს, ორნივე ორხრილში ჩაცვივდებიან“. ნუ შეკრთები,
ძმაო, თხრილის თქმით შენთვის ჯოჯოხეთის კარის ჩვენება-
არ მინდა, როგორც შენი მოძღვარი გასწავლის, არამედ ჩე-
მის ფიქრით ეგოდენია შენი თხრილ'ში ჩავარდნა, რომ შენის
ერობიდგან გამოსული გორდები და უგვარობაში ვარდები,
და რა ჟამს მიხვდები შენს შეცდომას, ვშიშობ, მაშინვე მო-
გაგონდება და ის სამწუხარო სინანული შენზედაც მოაწევს,
როგორც ეწია მცურავს მეძებარს... გამიგონე, ჩემო ძმაო,
ჩემს სიტყვას უფრო შენკენ მოვაქცევ, მეც სომეხთ კათო-
ლიკედ წოდებულთა მამის და დედისაგან ვშობილვარ შენსა-
ვით. ჩემი გული და ფიქრი უმშვენიერეს დედა ქალაქში აღუ-
ზრდიათ და შეუმუშავებიათ ჩემ ძმა კათოლიკეთა, მაგრამ ბუ-
ნებითმა ნათელმა და მიღებულმა სწავლამ მოაშორა მთლად
ჩემ ფიქრსა და სულსა ყოველი ნისლი, რომლითაც სომხის
სარწმუნოებისადმი გაგულგრილებული მოძღვრები ჰლამობ-
დენ ჩემი ფიქრის დაბურვას, საიდგანაც დაბურვას და ანწ იდუ-
მალის ხმით მცნებას აძლევენ თავიანთ სამწყსოს, ვით ღმერ-
თი ისრაილისა სინას მთაზედა ღრუბლით მოცული... ვირ-
ჩევ მრავალ გზის მოქცევად და დარჩენად იმ სარწმუნოებაში,
რომელიც მამათა ჩვენთა დაუვედრებიათ ჩემთვის, როგორც
უწმიდესი სამკვიდრებელი, რომელიც ჩემ დიდებულ წინაპარ-
თა საკუთრებათაგან მხოლოდ ეს მოწევნილა ჩემამდე შეუ-
მუსვრელად, მეტადრე როცა ეს არის ჩემი დამაკავშირებელი
რიცხვით მრავალ ჩემ ძმებთან, იმათ, თითქმის ნახევარ მილი-
ონ ოდენ ერს, რომელსაც ის კავშირი გაუწყვეტია, რა შე-
უძენია? უცხო სასულიერო ხელთა შინა სათამაშო გამხდარა,
და მათი დიდების მოყვარეობის მსხვერპლი, და უკეთუ უსა-
მართლოდ შეძენილი კანონიერი უფლების წართმევაც შეემ-
თხვას და მას ზედ ხმა ამოიღონ, მაშინვე შეჩვენების მეხს
დააყრიან თავზედ.—სანამ ეგრედ თვალებ დახუჭულნი და
წინწალალულნი უნდა ვიყვნეთ კრაველ მოსილ ხელთაგან.
გარდავჰყაროთ ერთხელ ჩვენის გონებისაგან შეცთომილების
სამოსელი, დავინახოთ ნათელი ჩვენისავე გონების თვალით,

კმარა, რავდენიც სხვის თვალით დავინახეთ... ამოჭკვეთოთ წვალების და განყოფის მავნე ფესვები და სხ... „ვინმე სომხის კათოლიკე.“

სრულებით ნამეტანი იქმნება, ამაზედ სიტყვა გავაგრძელოთ, რადგან თითქმის ყველა ლექსი ცხადად ამტკიცებს კათოლიკობის შეურაცხყოფას და მისდამი წინააღმდეგობას. ყველა მკითხველს, თვით იმათაც, რომელთაც საკმაოდ არ აქვსთ გაცნობილი კათოლიკობა, შეუძლიათ განსაჯონ და დარწმუნდენ, რომ ამის დამწერი სრულებით აღარ ეკუთვნის იმ სახელს, ესე იგი, კათოლიკობას, რომელსაც თვით ამის გამოცხადების ჟამსაც ისაკუთრებს. ჩვენ იმას კი არ ვწუხვართ მარტო, რომ კათოლიკე ეკკლესიას აუპატიურებს, რადგან მისი პირის დამხშობი არავინ არის, რაც უნდა სთქვას, მაგისთანა ორგულები ეკკლესიიდგან ბევრი გამოსულან და კიდევ ვინ იცის, რავდენი გამოვა. ეს ახალი ხმა როდია; ხოლო ჩვენ იმას უფრო ვსწუხვართ, თუ რაღად იჩემებს და ჩირქს რადა სცხებს კათოლიკობის სახელს? რატომ არ აღიარებს იმას, რადაც გამხდარა და რისთვისღა იფარავს კიდევ თავს ამ პატიოსანის სახელის ქვეშ? ამ ბატონის უტყუარის აზრის გამოცნობას ბევრი თავის მტვრევა არ სჭირია; ყველა ადვილად მიხვდება, რომ იგი ასე იმიტომ იქცევა, ადვილად და ბლომად მიიზიდოს ამ განდგომილებისაკენ სხვა სომხის კათოლიკებიც. მოვიხსენიოთ მაცხოვრის სიტყვა, რომლითაც გვაუწყებს, რომ ესრეთი მტაცებელნი მგელნი იმიტომ მოდიან, კრავის სამოსით, რათა უფრო კარგად გასწყვიტონ და განაბნიონ სამწყსო. იმის ძიებას არ გამოვუდგებით, თუ ვინ და ან რავდენი კათოლიკე შეუდგა იმის გზას, ხოლო ეს-კი შეგვიძლია ვსთქვათ, რომ სომეხ კათოლიკებში როგორც თავის ნათესავებში, ისე მეგობრებში, მის საკვირველ მოძღვრებას ცოტა, თუ ბევრი თანამგრძნობი უნდა ჰყავდეს; მისი მოჩვენებული კათოლიკობა და რომის ეკკლესიისაგან განშორება პირველი და უკანასკნელი მაგალითი არ არის. ამას გვიმტკიცებს შემდეგი ოფიციალი დოკუმენტი.

ყველამ უწყის, მთელ რუსეთის საბრძანებელში საზოგა-

დო კანონია, რომ თუ ვინმემ მოინდომა ერთის სარწმუნოებიდგან მეორე სარწმუნოებაზე გადასვლა, უეჭველად მინისტრს უნდა აცნობოს და მისი თანახმიბა უნდა მოიპოვოს, რასაკვირველია ეს კანონი შეეხებოდა სომეხ კათოლიკებსაც, როდესაც მოინდომებდენ სომეხ-გრიგორიანებთან შეერთებას. ეს კანონები ცოტა, თუ ბევრად აბრკოლებდა სომხის კათოლიკები გრიგორიანთა სარწმუნოებაზედ გადასულიყვნენ, რადგან ამისთვის იძულებულნი იყვნენ მინისტრისათვის მიემართათ. ამ სიძნელესაც წამალი უშოვეს სომხებმა. ნერსეს კათალიკოსმა თავადის ვარანცოვის საშუალებით ხელმწიფე იმპერატორს სთხოვა, რომ სამუდამო ნება მიეცა სომეხ-კათოლიკების შეერთებაზე, რათა ყველა შემთხვევაში მინისტრისათვის არ მიემართა თხოვნით. ეს ნება მალე ეოვიდა. 1852 წ. იანვრის 18 შინაგან საქმეთა მინისტრმა პეროვსკიმ ნერსეს კათალიკოსს, სხვათა შორის მოსწერა: „მათმა საიმპერატორო უდიდებულესობამ კეთილ ინება და მოგანიჭათ უფლება, მიიღოთ სომეხ-კათოლიკების ნებსითი უარყოფა და ესრეთ ისინი შეუერთო თავიანთ მამა-პაპის სარწმუნოებას.“ [15]) ამ დოკუმენტიდგან ცხადად სჩანს, რომ სხვა-და-სხვა დროში ბევრნი ყოფილან სომხის კათოლიკებში ავეტიკ ეზეკოვის ნაირი კათოლიკენი, რომელთაც დაუტოვებიათ კათოლიკე ეკლესია და შეერთებულან სომეხ-გრიგორიანებთან.

თუ უწინ ყოფილან, განა ახლა-კი არ იქმნებიან ესრეთი ორგულნი და მოჩვენებულნი კათოლიკენი? ამის წინააღმდეგი ვგონებთ, ვერავინ დაგვიმტკიცოს, რადგან საჭირო იქმნება წარმოადგინონ დოკუმენტები იმისა, რომ ერთიან წინააღმდეგი იყვნენ ეზეკოვის მსგავს კათოლიკეთა მოქმედებისა. ამის-

---

[15]) ...Sa Majesté a daigné accorder à votre grandeur le droit de recevoir abjuration volontaire des Arméniens catholiques, et d'opérer leur retour á la foi de leurs pères. ეს წერილი კოსტანტინეპოლში სომხურმა გაზეთმა „ნოიან აღავანი“-მ გამოსცა 1853 წ. 5 იანვრისას. შემდგომ დელორიემ ფრანგულად დაბეჭდა თავის წიგნში: Société Arménienne du XIX siècle. Revue de deux-mondes. 1854, t. 6, pag. 241.

თანა ამბავს ჩვენც დიდის სიხარულით მივეგებებოდით; მაგრამ, სამწუხაროდ, სულ წინააღმდეგს ვხედავთ. შეგვიძლია უტყუვრად ვსთქვათ, რომ როგორც ამ ეზეკოვს, ისე იმ სომხის კათოლიკებს, რომლების შეერთებისათვისაც ნერსეს კათალიკოსმა საზოგადო ნება-რთვა გამოიტანა, იქამდე არ მოუწყვიათ კათოლიკობის წინააღმდეგი საქმე, რასაც დღეს ჩვენ მიერ დასახელებული ცრუ კათოლიკენი ჩადიან.

სომხის კათოლიკებში რომ ხშირად ჩნდებიან რომის ეკკლესიის ორგულები, ახალი და მარტო ამ დროების ამბავი რადია: ამისთანა მაგალითს ბევრს შევხვდებით გასულ დროთა ისტორიაშიაც, თუმცა ჩვენ ერთგულ სომხის კათოლიკეთა კალმოსნებმა დაგვიმტკიცეს თავიანთ გაზეთებში, გასულ საუკუნეებში თუ საქართველოში კათოლიკები ყოფილან, უეჭველად სომხები იყვნენო. ჩვენ გულმოდგინებით შევუდექით ძიებას ისტორიის ყოველ ხანში, რათა გვენახა სომხის კათოლიკების წინანდელი საზოგადოების კარგი, ანუ ავი. ისტორიაში, გარდა ტურნეფორის ნაამბობისა, ვერაფერს შევხვდით საქართველოში მყოფ სომხის კათოლიკეთა საზოგადოების შესახებ. თუ რაოდნად მართალია ამ მგზავრის ნათქვამი, ქვემოდ ვნახავთ. ხოლო იმას, რასაც „ა. ს.“ „მშაკში“ სწერს 400 სომხის კათოლიკეთა და მათის ეკკლესიის შესახებ შარდენი ამას და ამას ამბობსო, ესეც ერთიან სომხების გამოგონილია, რადგან შარდენს თავის მგზავრობის წიგნში ამისთანა არაფერი დაუწერია. ამასაც შემდეგში თავის ადგილს დავამტკიცებთ. ხოლო ამავე წიგნში ბევრი რამე შეგვხვდა როგორც ოსმალეთის, ისე სპარსეთის სომეხ-კათოლიკეთა შესახებ ისეთი, რომ სომხებს არა გვგონია, საიმისოდ ესიამოვნოსთ. რადგან არ ვლაპარაკობთ ერთიან სომხის კათოლიკეთათვის, ამიტომ მარტო სპარსეთში მყოფ სომხის კათოლიკების შესახებ მოვიხსენიებთ რავდენსამე გარემოებას, მეტადრე იმიტომ, რომ საქართველოში მყოფი სომხები ბევრნი ძველ დროდან სპარსეთის სამფლობელოდგან არიან შემოსულნი, მაშასადამე მათი ძმანი არიან.

პირველად ანტონ დე-გოვეას ნათქვამს ვიმოწმებთ. ის იყო

პორტუგალელი მღვდელ-მონაზონი, მოვიდა ინდოეთიდგან სპარსეთში პირველად 1602 წ., როგორც პორტუგალიის მეფის ელჩი, და შემდეგ იქვე დარჩა, როგორც მისიონერი. დე-გოვეა დაესწრო ყველა იმ უბედურებას, რომელიც სომხებს მიაყენა შაჰ-აბასმა სასომხეთიდგან გადასახლების თაობაზედ და აღწერა ვრცლად სომხების გამოვლილი გაჭირვება. მასთანვე მოგვითხრობს მათი სარწმუნოებისა და ზნე-ჩვეულებების ამბავსაც. სხვათა შორის ამასაც გვიჩვენებს, თუ სპარსეთში მყოფი სომხები რა თვალით უყურებდენ კათოლიკობას და როგორი კათოლიკები გამოდიოდენ. აი რას ამბობს: „რას არ იზმენ ამნაირად ლათინების მიმართ შურით აღზრდილნი სომეხნი? ერთმა საპატიო და მდიდარმა სომეხმა რა ნახა, ჩვენი მამები თუ რაოდნათ შრომობდენ, რათა სომხები კათოლიკე ეკკლესიისათვის დაემორჩილებინათ, სთქვა: რისთვის სწუხდებიან ეგრედ ეს აგვისტინიანთ მონაზონები? უწყოდენ კარგად, რომ მე ვირჩევ მაჰმადიანად გახდომას, ვიდრე ლათინადო“ [16]). იმავე წიგნში ლაპარაკობს ერთი ავტორის წერილისთვის, სადაც წერილიყო, სომხებმა თითქმის მთლად შეიწყნარეს ტრენტოს კრების გარდაწყვეტილებანიო; გაკვირვებით ეკითხება და ამბობს ესრეთ: „შეიძლება ამ ავტორს ეს ამბავი გაეგონოს ევროპაში გამვლელის, ანუ იქ მყოფის სომხის ვაჭრებისგანო, რომლებიც საზოგადოდ იმნაირად ლაპარაკობენ, როგორათაც იამებათ თავიანთ მოსაუბრებსო, ამის გამო ხშირად სიცრუეს ამბობენო, როგორათაც უფროსიერთ შემთხვევაში შვრებიან მათი ეპისკოპოსები და ვართაპეტები, როდესაც მიდიან რომში და პაპს მორჩილებას უცხადებენო; მას ჰპირდებიან თავიანთი ერის დამორჩილებასაც, მაგრამ როცა უკან ბრუნდებიან, მაშინვე აღთქმას ივიწყებენ და გულ-გრილნი დგებიან“ [17]). ამ აგვისტინიანთ მონაზონებმა მაინც დიდი

---

[16]) Relation des Grandes guerres et victoires obtenues par le Roy de Perse, Cha Abbas, par le P. Antoine de Govvea. p. 363. Rouen, 1646.

[17]) იგივე, გვ. 367.

მეცადინეობა გასწიეს სპარსეთში ახლად გადასახლებულის სომხებისათვის და ბევრნაირი შემწეობა აღმოუჩინეს. თავიანთის კაცთმოყვარეობით და ქველმოქმედებით ისეთი გავლენა მოიპოვეს, რომ ბევრი პირი და თვით დავით პატრიარქიც, რომელიც იმ დროს ისპაანს იმყოფებოდა, მოაქციეს, რომის ეკკლესიას შემოუერთეს და მისი სარწმუნოება აღიარებინეს. ამ პატრიარქმა კიდეც დასწერა მორჩილების წერილი და გადასცა ამ მონაზონებს, რათა პაპის პავლე მეხუთისათვის გაეგზავნათ. მაგრამ პატრიარქმა, სხვადასხვა საპოლიტიკო მიზეზების გამო, თავისი შემოერთება რომის ეკკლესიასთან მალე შეინანა და მონაზონებს უკანვე გამოართვა პაპთან დაწერილი მორჩილების წიგნი [18]). ამნაირად დააჯილდოვეს სომხებმა ეგოდენი მათი მოღვაწეობა!

ამავე დროებში, ესე იგი 1619 წ., მოვიდა სპარსეთში ერთი სხვა ელჩი ისპანიისა, გარჩია სილვა დე ფიგოვეროა, რომელიც იქ წელიწადზე მეტს დარჩა. ესეც მოკლედ მოგვითხრობს მისიონერების შრომას სომხების მოქცევისთვის და სხვათა შორის ამბობს: „იეზუიტები სრულებით სომხებს ვერ აკათოლიკებენო... ეს სომხები ძრიელ მაგრა დგანან თავიანთ სარწმუნოებაზედაო“ [19]). ამით სრულებით უარს არ ვყოფთ, ვითომ იმ დროს სპარსეთში კათოლიკობა არავის მიეღოს, არა. ჩვენ სომხებივით უარს არ ვყოფთ იმას, რასაც ისტორია გვიჩვენებს. იმ დროს რომ ყოფილან კათოლიკები, ამის შესახებ სხვათა შორის, მოგვითხრობს მგზავრი პეტრე დელლა ვალლე, რომელიც ხშირად იხსენიებს ერთი პატიოსანი ოჯახის ორ-სამ პირს. ეს კი უნდა აღვიაროთ, რომ ესრეთნი ერთგულნი სომხის კათოლიკენი ძრიელ ცოტა და იშვიათი იყვნენ. თუ კათოლიკობაზედ მოიქცეოდენ როდისმე, უფრო გარეგნად, მოჩვენებით და რაიმე სარგებლობისათვის, ვიდრე კათოლიკე სარწმუნოებისათვის. ამას თვით პეტრე დელლა ვალლე

---

[18]) იგივე, გვ. 417.

[19]) L'Ambassade de Garcias Silva de Figoveroa. p. 194, Paris, 1667.

მოგვითხრობს: „როდესაც შაჰაბასმა სპარსეთში გადაასახლა სომხები, ბლომად ფული ასესხა უსარგებლოდ, რათა ყველგან ევაჭრათ; ხოლო ეს პირობაც ჩამოართვა, თუ ფულს არ დაუბრუნებდენ, მაჰმადიანობა უნდა მიეღოთ. ესრეთის მანქანებით შაჰაბასმა თავის სარწმუნოებაზედ ბევრი გადაიყვანა. ეს რა ნახეს მისიონერებმა და იქ მყოფმა პორტუგალიის ვაჭრებმა, შეიბრალეს სომხები და ფულით შემწეობა აღმოუჩინეს, რათა სარწმუნოების უარყოფისაგან დაეხსნათ. ამის გამო სომხები კათოლიკენი გამხდარან, რათა ფული ადვილათ მოეპოვებინათ. ეს რა შეიტყო შაჰაბასმა, განრისხდა და სთქვა: „თანახმად მოცემული პირობისა, მაგ სომხებმა მიიღონ სარწმუნოება თვინიერ რისამე გადახდისაო; რადგან ფულისათვის სომხები სარწმუნოებას იცვლიან და ფრანგდებიანო, ჩემგან მიიღონ ფული და გახდენ მაჰმადიანიო“ [20]).

პეტრე დელლა ვალლეს შემდგომ (1626—1627) დიდხანს არ გაუვლია, სპარსეთი მოიარა თომა ჰერბეტ ინგლისელმა. არც ამან მოგვითხრო სანუგეშო ამბავი სომხების გაკათოლიკებისა. აი, სხვათა შორის, რას ამბობს: „იეზუიტები ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, ჯულფის სომხები დაუქვევრდომონ რომის საყდარსა; მაგრამ აქამდე მათი შრომა სრულიად უნაყოფო დარჩენილა, რადგან სომხები თავიანთ სარწმუნოებაზე, მისის სიძველის გამო, უფრო მტკიცედ დგანან... ჩვენ შევნიშნეთ, რომ ისპაანში პორტუგალიის მონაზონებს ორი მონასტერი აქვსთ, ერთი ეკუთვნის კარმელიტანებს და მეორე აგვისტინიანებს. მათი ეკკლესიები გამშვენებული და შემკული არიან ორგანოთი, ტრაპეზებით, ჯვარცმებით და ხატებით. ამის საშუალებით ფიქრობენ, იქაური მცხოვრებნი კათოლიკე სარწმუნოებაზედ მოაქციონ. მაგრამ სომხებს სრულებით არ უყვარსთ ახალ-ახალი რამეები; სპარსელებს ხომ ერთიან სძულსთ ხატები“ [21]).

---

[20]) Viaggi di Pietro della Valle. Persia, parte I-a, p. 237. Bologna, 1677.

[21]) Relation du voyage de Perse, de Thomas Herbet en 1626. p. 251, 265. Paris, 1663.

ამ მგზავრთა შორის უფრო შესანიშნავი ივანე ფავერნიეა, ფრანგი, რომელმაც ექვსჯერ იმგზავრა სპარსეთსა და სხვა ადგილებში 1630—1669 წლებში. დაწვრილებით აღწერა ყველაფერი, რაც-კი თვალით ნახა სპარსეთში მყოფის სომხების ამბავი. ეგრეთვე ლაპარაკობს იქ ყოფილის ლათინებისა და მათ მიერ გაკათოლიკებულის სომხებისთვისაც. ცოტაც ამას მოვუსმინოთ და ვნახოთ, თუ რას გვეუბნება: „ზემოდ შევნიშნეთ, რომ ისპაანსა და ჯულფაში ოთხის წესის ფრანგის მისიონერები არიან. ისპაანში არიან აგვისტინიანები, კარმელიტანები, კაფუჩინები და ჯულფაში იეზუიტები, ესე იგი ორი, ანუ სამი კაცი თითვეულის წესისა. ამ მონაზონების რიცხვი მათ მრევლისაზე უფრო მეტია... ხოლო რაც შეეხება სომხებს, ისინი ძრიელ მტკიცედ დგანან თავიანთ სარწმუნოებაზე და სრულიად არ უნდათ, სხვა სარწმუნოების შესახებ რამე ლაპარაკი გაიგონონ. ხშირად შენიშნულია სხვადასხვა დროს, რომ მარტო ფულის სიხარბემ მიიზიდა ზოგიერთი მათგანი, რომელთაც მოაჩვენეს, სარწმუნოებას ვიცვლითო. პატრი ამბროზიო კაფუცინმა, რომელიც ახლა სურატშია (ინდოეთში), რავდენსამე ხანს დაჰყო ჯულფაში. რავდენმამე გავლენიანმა სომეხმა, იმ იმედით, რომ საფრანგეთთან დიდის ვაჭრობის გამართვა შეეძლოთო, ამ კაფუცინებთან და იეზუიტებთან დაიწყეს გაგზავნა თავიანთი შვილებისა, ფრანგული ესწავლათ; მაგრამ ამ გარემოებამ ბევრ ხანს არ გასტანა. სომხების არხიეპისკოპოსმა და ეპისკოპოსებმა რომ შეიტყეს, შეაჩვენეს ყველა მშობლები, რომლებიც თავიანთ შვილებს იმ სკოლებში გზავნიდენ, იმიტომ, რომ ბავშებს სხვისი სარწმუნოებისა არაფერი ესწავლათ. ხოლო ამ ეპისკოპოსებმა რა ნახეს, მათ შეჩვენებას ყურადღება არავინ მიაქცია, ყველა ეკკლესიები დაკეტეს და მთელი ერი ააღელვეს წინააღმდეგ იმ ფრანგის მონაზონებისა, რომელნიც იძულებული გახდენ, დროებით იქაურობას გაშორებოდენ. პატრი ამბროზი დაბინავდა ერთს სომხების სოფელში ჯულფის მთის იქით ხუთის მილის სიშორეზე. აქაც დაიწყეს მასთან ბავშების გაგზავნა წიგნის სასწავლებლად. მაგრამ რა შეიტყეს ეპისკოპოსებმა, მაშინვე გაგზა-

ვნეს იმ სოფელში ერთი ხროვა ახალგაზდა მონაზონებისა, რომლებმაც დიდი შეურაცხება მიაყენეს პატრი ამბროზისა, ასე რომ იძულებული გახდა მოშორებოდა სპარსეთს და წასულიყო სურატსა, საცა ამ ჟამად არის. სომხებს ადვილ საქმედ მიაჩნდათ, რომ ამ აყალ-მაყალში ფრანგის მონაზონი იგი მოეკლათ კიდეც, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, ერთის კაცის გულისათვის ჩვენს ტომს არ დაღუპვენ და ჩვენც არავითარი უბედურება შეგვემთხვევაო“ [22]).

მარტო ეს მგზავრი როდია მთხრობელი, სპარსეთში საზოგადოდ სომხები მოჩვენებით და მარტო ანგარის მოყვარეებით გამხდარა კათოლიკედო. ამას კვალად ცხადად გვიმტკიცებს კაფუჩინი პატრი რაფაელი, რომელმაც დიდ ხანს დაჰყო სპარსეთში და აღწერა იქაური მდგომარეობა. ერთი ამასაც მოვუსმინოთ სომხის ერთგულ კათოლიკეთა შესახებ.

„როდესაც ინდოეთში პორტუგალელთ წარმატება და ვაჭრობა გაძლიერებული იყო, სპარსეთში მყოფ პორტუგალელ პატრებს ბევრისგან მოწყალება მოსდიოდათ დასარიგებლად. იფიქრეს, ძრიელ კარგი იქმნებოდა ამ ფულით სომხების ვალი გადაეხადათ იმ პირობით, რომ სომხებსაც რომის კათოლიკე სარწმუნოება აღეარებინათო. სომხებმა ეს პირობა ადვილად აღასრულეს, ესე იგი ფულებთან კათოლიკე სარწმუნოებაც მიიღეს. რა ნახა შაჰაბასმა, რომ მოულოდნელად იხდიდნენ თავის ნასესხ ფულებს, სომხებსა ჰკითხა, საიდან შოულობთ ფულსო. ყველმა რა შეიტყო გარემოება, სთქვა: „რადგან ფულისათვის იცვლიან სარწმუნოებას, ჩემი ფული მიიღონ, ესეც ხომ ფრანგების ფულისავით კარგიაო“. ამის შემდგომ ბევრს მათგანს ძალა დაატანა, რათა მისი სარწმუნოება მიეღოთ“ [23]).

შეიძლება სომხის მწერლებმა ეს მოწმობა დაგვიწუნონ, რადგან რაც-კი მათ არ იამებათ, მათთვის ისე ადვილად მისა-

---

[22]) Les Six Voyages de Jean B. Tavernier 1-ere partie. Livre 4-e, p. 381—382. Paris, 1678.

[23]) Estat de la Perse en 1660, par le P. Raphael du Mans, p. 185. Paris, 1890.

ღები და დასაჯერებელი არ არის. მაგრამ როდესაც ერწმუნენ ამა თუ იმ ავტორის სიტყვებსა და კიდეც ჩვენ წინააღმდეგ წამოაყენეს, ამისთვის ამ ავტორის მოწმობის უარყოფა, ვგონებთ, ველარ გაბედონ. ბატონმა „ა. ს.“ ჩვენ წინააღმდეგ „მშაკში“ დაბეჭდილ წერილებში წარმოგვიდგინა შარდენის აღწერილობა კათოლიკობის შესახებ; არც-კი დასჯერდა, რაც შარდენმა სთქვა, არამედ იმავე შარდენს, რაც არ უთქვამს, ისიც მიაწერა. მაგალითად შარდენს კიდეც დაათვლევინა, რომ ტფილისში ოთხასი სომხის კათოლიკე ყოფილა და თავიანთვის ეკლესიაც ჰქონიათო. ჩვენც, ვიდრე კარგად გავსჯიდეთ მის მიერ მოყვანილს ვითომ შარდენის ნათქვამს წარმოვაყენებთ თვით ამ შარდენის მოწმობას, რომლის უარყოფა ისევ ცხადი თავისივე გამტყუნება იქმნება, მაშ მოვუსმინოთ ამ შარდენსაც, რას მოგვითხრობს სომხების კათოლიკობისას.

საქართველოს რომ მოშორდა, მხოლოდ მაშინ დაიწყო სომხების შესახებ ლაპარაკი შარდენმა, და დიდად ყურადსაღებიც არის მისი ნათქვამი.

„ზემოთ შევნიშნე, რომ სომხები ძრიელ მტკიცედ დგანან თავიანთ ძველს სარწმუნოებაზედ. დიდად გასაკვირველი და თითქმის სასწაულია, რომ აგერ თერთმეტ საუკუნეზედ მეტია, რაც სომხები მაჰმადიანების მფლობელობის ქვეშ არიან, თუმცა-კი ამნაირის მონებრივის მდგომარეობის გამო, გლახაკნი და უმეცარნი არიან, მაგრამ თავიანთი სარწმუნოება შეურყევლად დაიცვეს. ეგოდნად მაგრად უპყრიათ, რომ ვერც მაჰმადიანების უსამართლოებამ და ვერც რომის ეკლესის მისიონერებმა ვერ მიაღებინეს თავიანთი სარწმუნოება. აგერ ორ საუკუნეზედ მეტია, რაც შრომობენ მისიონერები, როგორც მღვდლები, ისე მონაზონებიც მათ შემოსაერთებლად; კაცი ვერ წარმოიდგენს, თუ რაოდენი ღონისძიება იხმარა და რაოდენი ფული დახარჯა რომმან მათთვის, მაგრამ ყველაფერმა უნაყოფოდ გაიარა, ვინადგან როდესაც ზოგიერთი სომხები კათოლიკდებიან ევროპაში, შინ მობრუნდებიან თუ არა, წინანდელზე უფრო იწყებენ სომხობას, სწყევლიან ლეონ პაპს,

რადგან ჰგონიათ, ეს პაპი იყო, რო დაარღვია ერთობა აღმოსავლეთისა ღა დასავლეთისაო. ეგრეთვე სწყევლიან მის ყველა მოსაყდრეთაც; მასთანვე იძულებენ რომის ეკკლესიის აზრსა და მოძღვრებას, რომელიცაკი წინააღმდეგია მათი მოძღვრებისა. რომში უმთავრესად ავედრებენ სომხის მღვდლებს და ფიცსაც ართმევენ, რომ წირვის დროს ბარძიმში წყალიც შეურიონ ღვინოს. სწორეთ ამის წინააღმდეგი მოქმედებით იწყებენ ისინი თავიანთ ეკკლესიასთან შემოერთებას... ამ სოფლის (ნახჩევნის ახლოს) და ეგრეთვე სხვა შვიდის სოფლის მცხოვრებნი არიან რომის კათოლიკენი. მათ ჰყავსთ დომინიკიანები თავიანთ ეპისკოპოსებად და მღვდლებად... უწინ სხვა ოც სოფელზე მეტი შემოერთებულნი იყვნენ პაპთან; მაგრამ უკანვე დაუბრუნდენ თავიანთ სარწმუნოებას და სომხის პატრიარქის მორჩილებაში შევიდენ, ხოლო ვინც დარჩა რომის მორჩილებაში, მუდამ დღე ცოტავდებიან სომხის პატრიარქის და ნახჩევნის მმართველის გამო“ [24]). შარდენის მოწმობა ესე ცოტა ვრცელია, მაგრამ საკმაოდ შესანიშნავია. ამისთვის ჩვენც, რაც შეეხება სომხების კათოლიკობას, არაფერი გამოვსტოვეთ. არ გამოვტოვებთ არც იმ მოწმობას, რომელიც ამ საგანზე შარდენისაგან მოიყვანა ბ. გ. ა.ეზოვმა თავის „Сношенія Петра Великаго съ Армянскимъ народомъ“ წიგნში: „მისიონერები აღმოსავლეთის ქრისტიანებში კარგად იმარჯვებდენ და წინ მიდიოდენ კათოლიკობის საქმეში, მაგრამ სომხებში-კი ვერ გაიმარჯვესო„ [25]). ამ ბატონს, ისე ჰგავს, დავიწყებია ქართველების გამორიცხვა, როგორც სხვები სჩადიან.

მეჩვიდმეტე საუკუნის მწერლები და მგზავრები ყველა რომ გამოგვეძია, შეიძლება უფრო მომეტებული და შესანიშნავი მოწმობანი აღმოგვეჩინა ჩვენის ნათქვამის დასამტკიცებლად; მაგრამ ვგონებთ საკმაო იყოს, რაც მოვიხსენეთ. რადგან

---

[24]) Chardin, Voyage en Perse, vol. 1. p. 156, 179. Amsterdam, 1711.

[25]) Эзовъ. Сношенія Петра Великаго съ армянскимъ народомъ. (Cardin, t. 9, p. 109.

აქ მოყვანილი საბუთები ერთპირად ამტკიცებს როგორც სომეხ-კათოლიკების ძრიელ მცირე რიცხვსა, ისე მათ მოჩვენებით მიღებულ კათოლიკობას და მათ ხელმეორედ უწინდელ სარწმუნოებაზე მიქცევას. ეს ზემოდ მოყვანილნი მოწმობანი უფრო იმით არიან შესანიშნავნი, რომ არა მარტო ეკუთვნიან სხვადასხვა დროს, არამედ მათი ავტორებიც სხვადასხვა მდგომარეობისა და სხვადასხვა სარწმუნოების არიან: ზოგი პროტესტანტი, ზოგი ვაჭარი, ზოგი ელჩი და ზოგიც მისიონერი.

შეიძლება, ჩვენმა მოკამათე სომხის მწერლებმა, ეს მოჩვენებული კათოლიკობა სომხებისა, ანუ მათი მცირე რიცხვი მიაწერონ მეჩვიდმეტე საუკუნის რომელსამე წარმავალ გარემოებას, ესრედ თავი გაიმართლონ და კვალად დაიჟინონ: თუ იქ როდისმე კათოლიკე ყოფილა, სომხის კათოლიკე იყოვო; თუ ლათინებს როგორმე ქრისტიანები გაუკათოლიკებიათ, უეჭველად სომხები ყოფილანო! ამის გასამტყუნებლათაც საკმაოდ გვაქვს ხელში საბუთები. ეს საბუთები ცხადად ამტკიცებს, რომ სომხებს თავიანთი ჩვეულებისათვის არ უღალატიათ; როგორი კათოლიკებიც ყოფილან მეჩვიდმეტე საუკუნეში, ეგრეთივე დარჩენილან შემდეგ დროებშიაც. ამის დასამტკიცებლადაც განვაგრძობთ კვალად მოყვანას საბუთებისას, რომელიც ეკუთვნის მეთვრამეტე საუკუნეს და არა ნაკლებ ამტკიცებს ჩვენ მიერ ზემოდ გამოთქმულს აზრს სომეხ-კათოლიკებისათვის.

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში ისტორია გვიჩვენებს ერთ გარემოებას, რომელიც ყურადღების ღირსია არა მარტო სარწმუნოების მხრით, არამედ თვით საპოლიტიკო მხრითაც და, ჩვენის აზრით, დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ეს გარემოება შეეხება სომეხს ისრაელ ორის, რომელმაც დიდი როლი ითამაშა არა მარტო სასომხეთში, არამედ მთელს ევროპაშიც. არ გამოვუდგებით ყველა იმის ნამოქმედარს და წერილების ჩხრეკა-ძიებას. მხოლოდ გამოვიძიებთ, რაც-კი შეეხება საქართველოს და კათოლიკობას, ამის კარგა შესატყობლად საჭიროა, ცოტა თვალი გადავავლოთ იმის ისტორი-

ულს ვითარებას. ამიტომ მოვიყვანთ აქ მოკლედ, რასაც ვკითხულობთ სპარსეთის რევოლიუციის ერთს ისტორიაში.

მეჩვიდმეტე საუკუნეში ეჩმიაძინის პატრიარქმა იაკობმა ბევრი ვალი დაიდვა კოსტანტინეპოლში ოსმალებისაგან, რადგან იქ მივიდა საჩივლელად წინააღმდეგ იერუსალიმის სომხების პატრიარქისა, რომელსაც მოეპოვებინა ქრთამით სულთანისაგან ნება, მთელ ოსმალეთის სომხებს მისგან მიეღოთ მირონი და არა ეჩმიაძინის პატრიარქისაგან. ოსმალებმა და სპარსეთის მთავრობამ დიდი ძალა დაატანეს, აღებული ვალი გადაეხადა. მაგრამ ღონისძიება კი არაფერი ჰქონდა ამის გადახდისა. ვგონებთ ეს ვალი და ამის გადასახდელად მიყენებული შეწუხება გამხდარიყოს უმთავრესი მიზეზი იმისი, რომ ამ პატრიარქსა და რავდენსამე სომხების გავლენიან პირს პაპისათვის მორჩილების წერილი მიუწერიათ. ეს წერილი წაიღეს პაპთან იმ პატრიარქმა და სხვა რავდენმამე პირმა, რომელთა შორის იყო ისრაელ ორიც. პატრიარქი რა ჩავიდა კოსტანტინეპოლს, ოსმალებმა არ გაუშვეს და იქვე დარჩა; ხოლო ისრაელ ორი გადურჩა მათ ხელს, ევროპაში წავიდა და იქ დაჰყო 19 წელიწადსა. დიდი სურვილი აღეგზნა იმას სომხების სამეფოს ხელახლავ აღდგენისა. ამის გამო მთელის ევროპის სახელმწიფოები დაიარა, საფრანგეთში 12 წელიწადს დაჰყო და ყველგან ცდილობდა, რასმე გამხდარიყო, რომ განეთავისუფლებინა სასომხეთი ოსმალებისა და სპარსელების ხელისაგან. ცდილობდა ყველასთვის შეეგრალებინა სომხები, ოსმალები ძალზე სტანჯვენ, ლამის არის, სული ამოხადონ ამ ქრისტიანე ხალხსაო. პრუსიის მთავრობამ თანაგრძნობა გამოუცხადა. იქაურმა მთავარმა პალატინ-ამრჩეველმა, ივანე ვილჰელმა, დიდი სურვილი გამოაცხადა ამ გაჭირვებულის ქრისტიანების შესაწევნელად. ამას ისრაელ ორიმ თავისი თავი ისე მოაჩვენა, ვითომც საქართველოს მეფის გიორგის მიერაც ყოფილიყოს გამოგზავნილი შემწეობის სათხოვნელად. ამასთანვე დააჯერა, რომ საქართველო სასომხეთის ნაწილია, დიდ სასომხეთში იმყოფება და იქაური მორწმუნე ქრისტიანები სულ სომხები არიანო. იმ მთავარმაც გიორგი მეფეს მეგობრული

წერილი მოსწერა 1698 წ. 3 მაისს: „ივანე ვილჰელმი ღვთის წყალობით მთავარი პალატინი რეინისა, წმიდა რომის იმპერიის მოლარეთ-უხუცესი, თქვენს უმაღლესობას და უბრწყინვალესობას, ბატონს გიორგის, დიდს მთავარს საქართველოისას დიდ სასომხეთში და ყოველის სასომხეთის ქრისტიანების წარჩინებულ პირველს მთავარს და წინამძღვარს, ჩვენს ერთგულს მეგობარს, მშვიდობა...“ [26]) ამ წერილში მოუთხრობს, რომ ისრაელ ორიმ ევროპის მთავრობათ ენახულა შემწეობის სათხოვნელადაო. უცხადებს, მზათა ვარ ყოველგვარი შემწეობა აღმოვუჩინო და ეგრეთვე ამაზედ სხვა მთავრებიც შევაგულიანო. ხოლო სთხოვს, რომ კარგად დაარწმუნოს მას ამ ისრაელის ყოველი ნათქვამის სინამდვილე და უჩვენოს გზა დღონე, თუ როგორ უნდა შეეწიოს. ეს წიგნი ისრაელს გიორგი მეფისათვის-კი არ გადაუცია, არამედ ნახჩევნის მოწინავე სომხებისათვის მიუტანია. ამათაც საჭიროდ არ დაუნახავსთ, ეს წიგნი პატრონისათვის ჩაებარებინათ! ერთის წლის შემდგომ იმ მთავარს თვით ეს სომხები პასუხად სწერენ, სხვათა შორის, ამას: „ჩვენ მთავარნი და წინამძღვარნი დიდის სასომხეთისა... ჩვენ არა ვსცანით საჭიროდ, რომ გარდაგვეცა საქართველოს მეფისათვის ის წერილი, რომელიც იყო მისთვის გამოგზავნილი თქვენის უმაღლესობის მიერ. ამის შესახებ უმორჩილესად მოახსენებს ისრაელ ორი თქვენს დიდს უმაღლესობას. ყოველ შემთხვევაში კი ჩვენ მალე წავალთ და ვნახავთ ხსენებულ მთავარს, შევატყობინებთ ჩვენს საქმეებს და ვთხოვთ დაკავშირებასაც. ამაზედ ყველაფერს ვაცნობებთ შემდეგში ორის მიერ თქვენს უმაღლესობას...“ [27]).

---

[26]) Joannes Wilhelmus Dei gratia Comes Palatinus, sacri Romani Imperii Archithesaurarius et Elector... Celsissimo ac Illustrissimo Principi ac domino, Domino Georgio Magno Principi (Georgiae), dicto Jurgie, in Armenia Majori, omnium crhistianitatis Armeniae potentatum Primo, Principi ac Duci, amico nostro carissimo salutem. (მუნიკის სამეფო არხივში). იხილე ეგრეთვე: Г. А. Эзовъ. Сношенія... გვ. 2. პეტერბურგი, 1898.

[27]) Nous, principaux et magistrats de la Grande Armenie... Nous n'avons aussy pas trouvé bon de donner la lettre au prince

ისრაელ ორი თუ მართლა იყო გაგზავნილი გიორგი მეფისაგანაც, ჩვენი ისტორია არასფერს გვეუბნება და არც მისიონერები იხსენიებენ რასმე. ამის მსგავსი რამე რომ ყოფილიყო, უეჭველად ასეთ მნიშვნელოვან გარემოებას ისტორია არ გაუჩუმდებოდა. უფრო საბუთი გვაქვს, ვიფიქროთ, იმ ინტრიგანტის (ასე უწოდებს ისტორია) სომხის მოქმედებულ საქმეში გიორგი მეფეს არავითარი მონაწილეობა მიუღია. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, იმ მოწინავე სომხებს რა უფლება ჰქონდათ, მისი წიგნი თვით დაიჭირეს და არ გადასცეს! ამ წიგნში არც სასომხეთისთვის და არც საქართველოსთვის რაიმე წინააღმდეგი-კი არა, ორივე ქვეყნისათვის სასარგებლო და სასიამოვნო ამბავი იყო, სწორეთ ის ამბავი, რასაც სომხები და მათი მოციქული ისრაელი ნატრობდენ. რადგან იმ წერილში გამოყვანილია ის აზრი და სურვილი, რომელსაც ვითომც გიორგი მეფე უცხადებდა ომის შესახებ, სწორეთ ამის გამო არ გადასცეს, რათა თავიანთი მოციქულის სიცრუე არ გამომჟღავნებულიყო. ამას ცხადად გვიმტკიცებს თვით აქ მოყვანილი სომხების პასუხი, ვინაიდგან ეუბნებიან წიგნის მომწერს ივანე მთავარს, რომ მალე გიორგი მეფეს ვნახავთ, ჩვენს საქმეს შევატყობინებთ და თავის დაკავშირებასაც ვთხოვთო. თქმა არ უნდა, აქამდე გიორგი მეფეს არ სცოდნია სომხების გარემოება, არც ევროპაში მათი კაცის გაგზავნის ამბავი და სხ. ამნაირის სიცრუით ისრაელ ორიმ თავისი თავი გიორგის მეფის ელჩადაც დასახა ევროპელების წინაშე და იქაურებსაც დააჯერა, საქართველო დიდ სასომხეთშია და ყველა იქაური ქრისტიანებიც სულ სომხები არიანო. ეს სიმართლის მოციქული!

---

de Georgie, qui était pour luy de la part de Votre Altesse Electorale. Monsieur Israël se donnera l'honneur d'en dire le suje (c) t à Votre dite haute Altesse en toutes soumissions; toutes-fois en peu de temps nous irons donner part audit prince de nos affaire, et luy demanderons son alliance, sur quoy nous rendrons très humblement compte à Votre Altesse Electorale par monsieur Ory... de Ingiagakoute, le 29 Avril, 1699. (ეზოვის იგივე წიგნი, გვ. 14)

არც იმის საბუთი გვაქვს, თუ მართლა სომხები ენახულენ გიორგი მეფეს და მასთან მოილაპარაკეს, ანუ, მართლა გიორგი მეფემ შემდგომ მიანდო ისრაელ ორის, წასულიყო და იმისი სახელით კავშირი შეეკრა სხვა სახელმწიფოებთან. ხოლო თუ დავუჯერებთ იმ ორის, იგი იმავე ივანე მთავართან მისულა და წერილით ვრცელი მოხსენება მიუცია 1704-ს, სადაც სხვათა შორის, ამბობს: „მე დავუწყე თხოვნა პატონს საქართველოს მთავარს, რათა (თავის ერებთან ერთად შეერთებული) დაუკავშირდეს მათ ხელმწიფებას, მაშინ მას დაუმტკიცებენ ამ ომის სარგებლობას. რადგანაც საქართველოს მთავარი დიდი ხანია იცნობს ჩემს ნათესავებს და მეც ძრიელ უყვარვარ, ყველაფერი მე მომანდო, რასაც მე გავარიგებ, ყველაფერზე თანახმა იყოს; ეგრეთვე იგი ნატრობს, სამუდამოდ დაუკავშირდეს მათს საიმპერატორო ხელმწიფებას, როგორათაც როგორც მათმა იმპერატორობამ, ისე თქვენმა უმაღლესობამ ნახეს იმის წერილებიდგან“. [28]) ყველა ამა სიცრუის გამოსაცხადებლად კმარა მოვიხსენოთ ის გარემოება, რომ გიორგი მეფე დიდი ხანია განშორებული იყო საქართველოდგან, რადგან ის წავიდა სპარსეთში 1696 წ. და იქიდგან აღარ-კი დაბრუნებულა.

იქიდგან ისრაელ ორიმ, ივანე მთავრის შემწეობით, მიმართა რომს; იქ, როგორც სხვა ადგილებში, თავისი თავი ერთგულ და მხურვალე კათოლიკედ გამოაცხადა და ამბობდა თვით მე ვარ სომხების უწარჩინებულესი პირთაგანი და დიდი გავლენა მაქვს გრიგორიან სომხებზედაც; ამისთვის ჰპირდებოდა, ყველას რომის ეკლესიას შევუერთებო; ამნაირათ პაპს კლემენტე მეთერომეტეს სპარსეთის შაჰსთან ერთი წერილი გამოსტყუა. [29])

ისრაელ ორიმ, თავისი უწინდელის მგზავრობის დროს და მეტადრე ახლა, ყველგან ხმა დაყარა, როგორც საფრან-

---

[28]) იხილე იგივე, გვ. 191.

[29]) Histoire de la dernière revolution de Perse. vol. 1, p. 213. Le Haye, 1728.—ეგრეთვე იხილე: F. Leandro. Persia, ovvero secondo viaggio in Oriente, vol. 2, p. 43. Roma, 1757.

გეთსა, ისე იტალიაშიაც, სადაც-კი დაიარა, საქართველოსა და სპარსეთში მყოფი კათოლიკენი სულ სომხები არიანო. თავის თავსაც, რასაკვირველია, ერთგულ კათოლიკედ აცხადებდა, რათა მითი უფრო კარგად გაემარჯვებინა თავის დაწყებულ საქმეში. ეგრეთვე პაპს და სხვებს დიდად შეაბრალა ეს ქრისტიანები და უფროსიერთად კათოლიკენი. ამნაირის მოხერხებულობით პაპს დასტყუა სპარსეთის ყეენთან ერთი წერილი, სადაც ის გამოყვანილია, როგორც დიდი მორწმუნე კეთილი კაცი; ეგრეთვე გამოცხადებულია პაპის ელჩად. ერთის სიტყვით ისე მოაგვარა საქმე, როგორც თვით ნატრობდა, აქვე მოგვყავს ამ წერილის ის სტრიქონები, რაიც შეეხება ისრაელ ორის.

პაპი კლემენტე XI.

„უბრწყინვალესო და უძლიერესო ხელმწიფევ, მშვიდობა და საღვთო მადლის ნათელი... რადგანაც ჩვენი საყვარელი შვილი ისრაელ ორი შემკულია კეთილ ზნეობით, პატიოსნებით, სიბრძნით და სარწმუნოებით, ამისთვის დაიმსახურა ჩვენი განსაკუთრებული მწყემსებრივი სიყვარული. მანდეთ წამოსვლა რა დააპირა, ვინებეთ ჰქონოდა ჩვენის კეთილ მსჯელობის მოწმობა, რომლითაც თქვენ გიცხადებთ, რომ ჩვენთვის დიდად სათნო საყოფელი იქმნება, თუ მაგას ჩვენს მაგიერად მიიღებთ, სახიერებით მოუსმენთ და შეეწევით ყველა იმ სამართლიან და გონივრულს საქმეში, რასაც-კი ითხოვს თქვენგან... რომი. 15 ივლისისა, 1705“. [30])

ისრაელ ორიმ რაკი იშოვნა ეს წერილი 1707 წ. სპარსეთს წავიდა. იქ კათოლიკებს-კი არ შეეწია, როგორც ჰპირდებოდა პაპს და სხვა მთავრებს, არამედ მათ დევნა დაუწყო, ყველანი ძრიელ შეავიწროა; მსაჯულებად და უფროსებად დაუყენა თვით ისინი, რომლებსაც კათოლიკე სარწმუნოება უარ-ეყოთ და საშინლად მტრობდენ კათოლიკებს. გარდა ამისა იქ ყოფილ მისიონერებსაც გადასწვდა. მეტად შეაწუხა და-

[30]) Clemente XI, anno V. ვატიკანის არხივი.

დაუპირა ერთიან სპარსეთიდგან განდევნა. ამ ამბავს მგზავრი მისიონერი ლეანდრო ესე აღგვიწერს: „ეს ელჩი, სხვათა შორის, იქადდა, შაჰსთან მივალ თუ არა, სპარსეთიდგან ევროპის მისიონერები ყველა უნდა განვდევნოვო. ამით უნდოდა თავისკენ მიემხრო თავის ტომის ყველა სქიზმატიკი სომხები, რომლებიც ბუნებითად მტრები არიან კათოლიკე მისიონერებისა“. [31]) გარნა ორიმ ბოროტი გულის წადილი იგი ვერ შეასრულა, რადგან იმ დროს სპარსეთში ჩასულიყო საფრანგეთის მეფის ლუდოვიკ XIV ელჩი მიქელ. ამან დიდი შემწეობა აღმოუჩინა კათოლიკებს და მისიონერებს, თავისი მეცადინეობით დაიხსნა ისრაელ ორის მიერ დევნულებისაგან. რა შეიტყო პაპმა ისრაელის ესრეთი იუდობა და ბოროტობა, მაშინვე სპარსეთის შაჰს მეორე წიგნი მოსწერა და სთხოვა, დაესაჯა ესრეთი კათოლიკების მდევნელი და ქვეყნის მომტყუებელი ადამიანი. შემდეგი წერილი ნათლად გვიჩვენებს, რაც ჩაუდენია კათოლიკების წინააღმდეგ ამ ერთგულს კათოლიკეს. მოვიყვანთ აქ პაპის წერილის იმ ნაწილს, რომელიც შეეხება ისრაელ ორის.

პაპი კლემენტე XI.

„უბრწყინვალესო და უძლიერესო მეფევ, მშვიდობა და საღვთო მადლის ნათელი... რავდენისამე წლის წინეთ, სიამოვნებით მივეგებეთ იმ შემთხვევას, რომელიც მოგვეცა ისრაელ ორის მანდეთკენ წამოსვლის დროს. ვინაიდგან ის კაცი ჩვენ ბევრმა შემოგვავედრა, ამიტომ 1705 წ. ივლისის 15, მას გამოვატანეთ თქვენთვის გადმოსაცემად წერილი, რომლითაც მას განსაკუთრებით და ყველა ნაირის გულს მოდგინებით გავედრებდით, რადგან ჩვენ იმედი გვქონდა, დიდს შემწეობას აღმოუჩენდა კათოლიკებს, როგორც თავის მეცადინეობით და გულს მოდგინებით რომელსაც აცხადებდა, ისე თავისის სარწმუნოების წყალობით, რომლითაც დავალებული იყო. იმ წერილში ჩვენი სურვილი და თავი და თავი საგანი

[31]) F. Leandro. Persia, vol. 2, p. 43

იყო, იმის შუამავლობით შეღავათი მიგეცათ რომის ეკკლესიასთან შემოერთებულ კათოლიკეთათვის, რომლებიც სცხოვრებენ თქვენს სამთავროში, ანუ რომლებიც დროებით მანდ მოდიან, და გებრძანებინათ თქვენი მოურავებისათვის, სინდისიანად მოპყრობოდენ მათ და ნება არ მიგეცათ, შეეწუხებინათ და არც უსამართლოდ რაიმე ზარალი მიეყენებინათ; ეგრეთვე გთხოვდით, არ დაგეჩაგვრინებინათ კათოლიკენი იმ პირებისათვის, რომელთაც ჩვენი სარწმუნოება უარ-უყვიათ, შექმნილან კათოლიკების დიდ მტრებად და ცდილობენ თავიანთი ცილის-წამებით და მანქანებით მათ ყველა ნაირი უბედურება და შეწუხება მიაყენონ. ესეთი იყო ჩვენი აზრი და სურვილი იმ წერილში, რომელიც გამოგიგზავნეთ, როცა შემთხვევა მოგვეცა, მაგრამ დიდად შევსწუხდით, რა შევიტყეთ, ხსენებულ ისრაელ ორის გლისპურად ფეხქვეშ გაუქცლია ჩვენი მინდობილი მოვალეობა, და, რა მოსულა მანდ, სრულიად წინააღმდეგს გზას დასდგომია, აქა გვპირდებოდა კათოლიკეთ შემწეობას აღმოვუჩენო, მაგრამ პირობა არ აღუსრულებია; ნაცვლად ამისა აუღელვებია და შეუწუხებია ისინი. მისი დიდი სიბოროტე უფრო ის არის, რომ ამავე კათოლიკეთა უფროსად დაუყენებია ჩვენი სარწმუნოების უარმყოფლები და ესრეთ ჭეშმარიტება დაუმდაბლებია და სიცრუეკი აუმაღლებია. ერთის სიტყვით, მანდ ისე მოქცეულა, თითქოს ჩვენგან განგებ გამოგზავნილი ყოფილიყოს დასაჩაგრავად ნამდვილ კათოლიკებისა, რომელთა უვნებლობისა, თავისუფლების მოპოებისა და ცხოვრებისათვის უნდა ეზრუნა, უკეთუ ღვთის სიმართლის შიში ჰქონდა და ჩვენ დაგვმორჩილებოდა. ამიტომ საჭიროდ ვრაცხთ, გაცნობოთ თქვენ, რომ ეგ ისრაელ ორი არავითარი პატივის, რწმუნების და არც თქვენი მფარველობის ღირსია. საჭიროა, უბრძანოთ და ნება არ მისცეთ, კვლავ ჩაიდინოს უსჯულოება წინააღმდეგ კათოლიკეთა, რომლებიც რომის ეკკლესიის სარწმუნოებასთან შემოერთებული არიან. ეგრეთვე ვნატრობთ, რომ მათ ყველაფერში გულკეთილობით მოეპყრათ. ჩვენც ვეცდებით, რაც შეგვიძლია, მაგიერი უხვად მოგაგოთ ყველაფრით; რასაც-კი

თქვენ სათნო საყოფელად შევრაცხავთ. 2 მარტს, 1709“ [32]). ამ წერილში ისრაელ ორის მოქმედება ყველა ცხადათ გამოყვანილია. ამას განმარტება აღარ სჭირია. ხოლო ეს-კი საჭიროა შევნიშნოთ, რომ იმ დროს სპარსეთში მარტო ისრაელ ორი არ ყოფილა კათოლიკე სარწმუნოების უარის-მყოფელი და კათოლიკების მდევნელი, არამედ მასთან ყოფილან სხვანიც ბევრნი, რომლებსაც აზრად ჰქონიათ კათოლიკების დაღუპვა.

ისე ჰგავს, შემდგომ სცნა ისრაელ ორიმ თავისი სიბოროტე და უსამართლობა, კათოლიკების წინააღმდეგ ჩადენილი. შეინანა კიდეც. რა ნახა, კათოლიკების მტრობით ვერაფერს გახდა, მეგობრობა დაუწყო ამათ თავის სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში და ხელმეორედ ისევ კათოლიკობას შეუდგა. კრუზინსკი მისი თანამედროვე და თვალით მნახველი ასე მოგვითხრობს: „შემდეგში კათოლიკე მისიონერების მეგობრობა დაიწყო. ჩემთან ერთად მობრუნდა ასტარხანში, სადაც დალია თავისი ცხოვრების უკანასკნელი დღენი. აღარ უსმინა სომხის ეპისკოპოსებს და კათოლიკედ მიიცვალა 1711 წ. თუმცა თავის სიცოცხლეში ერეტიკად სცხოვრებდა და ერეტიკობას იჩენდა საპოლიტიკო მიზეზების გამო, ბოლოს-კი კეთილი სიკვდილი აირჩია„ [33]) ხოლო თუ დავუჯერებთ ბ-ნ. ეზოვს, ამას კათოლიკე სარწმუნოებაში-კი არ დაუსრულებია თავისი ცხოვრება, არამედ ისევ სომეხ-გრიგორიანის ეკკლესიის წესი და საიდუმლოება მიუღია და ისე მიცვლილა სომეხ-გრიგორიანად.

რაკი კრუზინსკი ვახსენეთ, საჭიროა იმისიც ვსთქვათ რამე და მოვიყვანოთ მისივე რავდენიმე სიტყვა ამ ჩვენი საგნის შესახებ.

კრუზინსკი იყო პოლონელი იეზუიტი და მოვიდა განჯას მისიონერად მეთვრამეტე საუკუნის პირველ წლებში, და როგორც, იქ ისე სპარსეთის სხვა ადგილებშიც დარჩა ვიდრე

[32]) Clemente XI, anno IX. ვატიკანის არხივი.

[33]) Tragica vertentis belli Persici Historia, Krusinski, p. 254. 1740, Leopoli.

1728 წლამდე. თავის ისტორიაში მოგვითხრობს ვრცლად, რაც-კი შემთხვევიათ სპარსეთში მეფეს გიორგი მეთერთმეტეს, ქაიხოსროს (ხოსრო ხანს), მისსავე ძმისწულს და ვახტანგ მეფეს. ამან შაჰისაგან დიდი შემწეობა მოუპოვა ტფილისში მყოფ კაფუცინებს, მეტადრე 1718 წ., როდესაც სომხების პატრიარქმა მათ დევნა დაუწყო და დიდი ვნებაც მიაყენა. ესა და ამისი თანა ძმანი განჯასა, ერევანსა და ეგრეთვე სხვა ადგილებშიაც ბევრს შრომობდენ სომხების გაკათოლიკებისათვის. მაგრამ მათი შრომა, ვითარცა ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, რჩებოდა უნაყოფოდ და არა ეგრე ხშირი იყო სომხების მოქცევა კათოლიკობაზე, როგორც ჩვენი ახლანდელი სომხის კათოლიკები ქადაგებენ. აი რას ამბობს ეს კრუზინსკი შემდგომ ეგოდენის ხნის შრომისა: „რათა გავიხსენო სახარების სიტყვა გლახაკთა ეხარების, ოსმალეთში ბევრი სომხები გადავიდენ კათოლიკე სარწმუნოებაზე, მაგრამ სპარსეთში ნიადაგი სრულებით უნაყოფოა, მისიონერების ეგოდენ უსაზღვრო შრომას და ოფლის მოწურვას სრულებით არ შეეფერება. ამიტომ სამართლიანად შეგვიძლია ვიდრტვინვოთ და ვთქვათ ეს ანტითეზი: მუშაკნი მრავალნი ვრიან, მხოლოდ სამკალი მცირედ. როგორ შეიძლება კაცმა მიაღებინოს ამათ კათოლიკე სარწმუნოება, როდესაც ამის მიღებით მათ ვალდებულ ჰყოფთ, თავიანთ უსამართლოდ შეძენილ სიმდიდრეზე ხელი აიღონ და უკანვე დააბრუნონ?“ [34])

ამის შემდგომ იეზუიტები კიდევ ბევრნი სხვანი მოვიდენ სხვა-და-სხვა დროს სპარსეთში, რათა სომხებისათვის კათოლიკე სარწმუნოება მიეღებინებინათ, მაგრამ მათი შრომაც, როგორც წინა მოადგილე მისიონერებისა, უნაყოფოდვე დარჩა. აი ერთი იეზუიტი გრიმოდ რას იწერება ისპაანიდგან 20 აგვისტოს, 1750 წ.: „ხოლო, როგორც იმედი მაქვს, თუ დავრჩით ჯულფაში, სადაც თითქმის კათოლიკები სრულებით აღარ არიან, ვეცდები ხელი მოვკიდო საქმეებს ღვთის სადიდებლად. აქ მწვალებელნი მრავლად არიან, უკეთ ვთქვათ,

[34]) იგივე, გვ. 74.

მარტო ისინი არიან... აქ მწვალებელნი უზომოდ ჯიუტნი არიან. მიზეზი ის არის, რომ მათ აქვსთ აქ 24 ეკლესია და ბლომად ჰყავსთ თავიანთი სარწმუნოების მღვდლები, რომლებიც ჩასძახიან შეცთომილებას და მეტადრე ჩვენ წინააღმდეგ დიდს სიმძულვარეს“ [35]). ესევე მისიონერი ცოტა ქვემოდ ასე განმარტებს: „იგივე მღვდლები და ეპისკოპოსები საჯაროდ გვწყევლიან და შეგვაჩვენებენ, ეგრეთვე შეაჩვენებენ წმიდა ლეონ პაპს და ქალკიდონის კრებას“. მსგავსადვე ერთი სხვა მისიონერი მოგვითხრობს, რომ სომხები ამ წყევლა-შეჩვენებას იმეორებენ წელიწადში ოთხ გზისაო. მაგალითად, ყველიერის შაბათს, ფერისცვალებას, ღვთისმშობლის მიძინებას და შობის წინა დღესო“ [36]).

ამ მისიონერების ყველა წერილებს რომ გამოვუდგეთ, ბევრს შევხვდებით ამის მსგავს საბუთებს, რომელიც ცხადად ამტკიცებს სპარსეთში სომხის კათოლიკების ძრიელ მცირე რიცხვს და მეტადრე მათ სისუსტეს კათოლიკე სარწმუნოებაში. ხოლო საკმაოდ ვრაცხთ ხსენებულ პირთა მოწმობას, რადგან ეს საგანი თავის თავადაც ცხადია.

ზემოდ ვთქვით და აქაც ვიმეორებთ, რომ სრულებით არ ვამბობთ, ვითომც სომხებში ეროგული კათოლიკენი არ ყოფილიყვნენ. ისტორიის წინააღმდეგს ვერაფერს ვიტყვით. ისტორია გვიჩვენებს, რომ როგორც მეჩვიდმეტე, ისე მეთვრამეტე საუკუნეშიც ყოფილან სპარსეთის სახელმწიფოს სომხებში ნამდვილი და ერთგული კათოლიკენი, რომლებსაც დიდი და ბევრი შეწუხება გამოუვლიათ სარწმუნოების გამო და ზოგს მათგანს სარწმუნოებისათვის სისხლიც-კი დაუღვრია. ასეთ ერთგულ პირებს კიდეც გვისახელებენ მწერლები. მაგალითად ასახელებენ შერიმანის სახლობას, რომელსაც ჯულფაში კათოლიკის ეკლესიაც აუშენებია, მისიონერებს დიდად შესწევია და სხ... მაგრამ, სამწუხაროდ, ამისთანა პირების რიცხვი ძრიელ ცოტა და იშვიათი ყოფილა. ამას თვით მისიო-

---

[35]) Lettres édifiantes, de P. Grimod, vol. 4, p. 361.

[36]) იგივე, გვ. 363, 410.

ნერები ამბობენ. ისინი მოგვითხრობენ, სომხებში ძრიელ ცოტანი არიან, ვისაც ნამდვილად ეწამებინოს კათოლიკე სარწმუნოებაო [37]).

აქ მის გამოძიებაში არ შევალთ, თუ სომხების პატრიარქებმა და ვართაპეტებმა რაოდნად სდევნეს ლათინის მისიონერები, არა მარტო ერევანში, საცა მოწამლეს კაფუცინი პატრი გაბრიელი [38]), არამედ მთელ სპარსეთის სახელმწიფოში, სადაც-კი შეიძლეს, იმ ზომამდე, რომ ყველანაირი ცილი დასწამეს და სასიკვდილოდაც არ დაზოგეს. ეს უტყუარი ისტორიული ფაქტია. ამას ვერავინ უარჰყოფს. სომხების მტრობა კათოლიკობის წინააღმდეგ მრავალ საუკუნეთა ამბავია. მათ მიერ დევნულების შესახებ თითქმის ყველა ორდენის მისიონერებს ვრცელი წერილები გაუგზავნიათ თავიანთის უფროსებისთვის. ვრცელ მოხსენებაში არსად არის ნათქვამი, გარდა თეიმურაზ მეფისა, ქართველები როდესმე მტრულად მოპყრობოდენ კათოლიკებს. ისე სჩანს, მარტო სომხებს ჰქონიათ იჯარით აღებული მტრობა და დევნა კათოლიკობისა.

თუმცა-კი ამისთანა საისტორიო საბუთები, რომელიც ერთპირად ამტკიცებს ჩვენს ნათქვამს, ხელში კიდევ სხვებიც გვაქვს, გარნა საკმაოა, რაც მოვიყვანეთ. ხოლო საჭიროდ ვრაცხთ, მოვიყვანოთ მოწმობა ტურნეფორისა, რომელიც წარმოადგინეს ჩვენ წინააღმდეგ „მშაკის“ კალმოსნებმა. ამისთვის თვითვე ვალდებული არიან ტურნეფორის ყველა სიტყვები იწამონ უმეტ-ნაკლებოდ და ცხად ჭეშმარიტებადაც. ჩვენ კი საფუძველი გგაქვს, ჩვენ წინაღმდეგ მოყვანილი მისი სიტყვები გამოვიძიოთ, ერთიმეორეს შევადაროთ და ისე შევიწყნაროთ, რაც-კი აღმოჩნდება ჭეშმარიტი და შესაწყნარებელი. მაშ მოუსმინოთ ტურნეფორს ჯერ იმისი, რასაც გვეუბნება სომხების კათოლიკებთან ურთიერთობისას: „სამის ეკკლესიის მონაზონებს სასიქადულოდ მიაჩნიათ, უჩვენონ ხალხს

---

[37]) იგივე, გვ. 363

[38]) Acta S. Congregationis de Prop. de Fide, an. 1671, Jan. 12, vol. 16. (პროპაგანდის არხივი).

რომიდგან მიღებული ძვირფასი ნივთები. ხოლო თუ შეერთებისა მათ რამე უთხრეს, ამის მთქმელს სასაცილოდ იგდებენ. პატრიარქებმა აქამდე სულ ატყუილეს მისიონერები. ეს ცხადია, რადგან ძნელი არ არის ალალ გულის მქონე კაცების მოტყუება. სარწმუნოებათა შეერთება სასწაულია, რომელსაც ღმერთი მაშინ მოახდენს, როდესაც საჭიროდ შერაცხს. ამ სქიზმატიკების ნამდვილს მოქცევას მარტო ზეციდან უნდა მოველოდეთ. მათი რიცხვი ბევრად და განუსაზღვრელად მომეტებულია სომეხ კათოლიკების რიცხვზედ. ეს უბედური სქიზმატიკები თავიანთი გავლენით და ფულით მაშინვე ტახტიდან გადმოაგდებენ იმ პატრიარქს, რომელიც მოინდომებს, შეერთებას ხელი შეუწყოს. დაუცხრომელი და შეურიგებელია მათი სიმძულვარე ლათინების წინააღმდეგ" [39]).

აქ უნდა შევნიშნოთ პირველად ესა, რომ ტურნეფორი ლაპარაკობს არა იმ პატრიარქებისთვის, რომლებიც ლათინებს სდევნიდენ, არამედ მათთვის, რომლებმაც მეგობრობა აღმოუჩინეს, შეერთების სურვილი გამოაცხადეს და პაპებს მორჩილების წერილებიც გაუგზავნეს. სწორედ ამისთანები იყვნენ, რომ ატყუებდენ არა მარტო მისიონერებს, არამედ თვით პაპებსაც. ამის ერთს მაგალითს ინგლისელი მგზავრი რიკოც მოგვითხრობს. ამ მგზავრს რომში ყოფნის დროს შეეტყო, სომხის პატრიარქი დათანხმებია რომის ეკკლესიასთან შეერთება-

---

[39]) Les moines des Trois Eglises se font honneur de montrer leur richesses qu'ils ont reçues de Rome, et font des sourirs moqueurs quand on leur parle de la réunion. Les Patriarches jusqu' ici ont amusé les Missionnaires; il n'est pas mal aisé de tromper les gens qui ont de bonne foi. La réunion des Religions est un miracle que le Seigneur operera lorsqu'il jugera á propos. C'est du ciel qu'il faut attendre la véritable conversion des Schismatiques, dont le nombre est infiniment plus grand que celui des Arméniens Romains. Ces Malheureux Schismatiques, par leur crédit et par leur argent, feraient déposer un Patriarche qui donnerait les mains à la réunion. La haine qu'ils ont pour les Latins paraît irreconciliable. (Relation d'un voyage du Levant par Pitton de Tournefort. (1718, Amsterdam); tom. 2, p. 139).

სო და ამ ცოტა ხანში მოვა და პაპს მორჩილებას გამოუცხადებსო. ამის გამო რიკოს რომში რავდენსამე თთვეს მოუცდია, რათა ენახა, თუ როგორ მიიღებდა პაპი იმ პატრიარქს. მაგრამ რა ნახა, რომაელები ტყუილად მოელოდენ და ეს პატრიარქი აღარ ჩნდებოდა, ისიც მიხვდა, რომ სომხური ოინბაზობა იყო და გულ-მოსული წავიდა, ამდენ ხანს ასე უბრალოდ მაცდევინესო; თანაც სთქვა: „ეს პატრიარქი იმდენად შორავს პაპისადმი დამორჩილებას, რავდენათაც შორავს სასომხეთი რომის საყდარსაო“ [40]).

მეორედ ეს უნდა შევნიშნოთ, რომ ტურნეფორი როდესაც ლაპარაკობს სომხების მოქცევის შესახებ, იმის თქმა სწადიან, რომ ყოფილა შემთხვევა სომეხთ მოქცევისა კათოლიკობაზე, მაგრამ მათი მოქცევა, იმის აზრით, ნამდვილი და ჭეშმარიტი კი არ ყოფილა, არამედ მოჩვენებული. ეგრეთვე როდესაც სომეხ-გრიგორიანების რიცხვს კათოლიკე სომხების რიცხვს ადარებს, ამითი ის-კი არ ადარებს თავის მიერ დათვლილს 500 ტფილისის კათოლიკეს, არამედ მხედველობაში ჰყვანან სპარსეთსა და ოსმალეთში მყოფი ყველა სომხის კათოლიკები.

ტურნეფორი არა სჯერდება იმის თქმას, რომ პატრიარქები ათამაშებდენ და ატყუილებდენ ლათინებს, ისე, როგორც უნდოდათ, არამედ დაწვრილებით გვიჩვენებს, სომხების სიმძულვარე და მტრობა სადამდე მიდიოდა და მათ რას უშვრებოდენ. აი კვალად მისი სიტყვები: „ჩვენი მისიონერები ყველას აკვირვებენ თავიანთის მეცნიერებით, გულმოდგინებით და გულუხვობით, მაგრამ სქიზმატიკები თავიანთის ფულით (და ქრთამებით) პირქვე ამხობენ ამ სამოციქულო გვამთა სიკეთეს. თუ ღმერთი ამ სქიზმატიკებს არ შეუცვლის გულს, ბოლოს ყველა მისიონები მოისპობა, რაგინდ კარგი აღყვავებულიც იყოს. ამ უბედურებს ისე არაფრისა ეშინიათ, როგორც ჩვენი მღვდლების წარმატებისა. ამიტომ აგონებენ მთავრობის გავლენიან პირებს და მათ მუდამ არწმუნებენ, თუ რა-

---

[40]) Histoire de l'Eglise Grecque et de l'Eglise Arménienne, par Ricaut, p. 391. Paris, 1688.

ოდნად სახიფათო იქმნება, რომ მათ ლათინებს მხარი დაუჭირონ და თავიანთ შორის გაამრავლონ, რადგან ჩასძახიან მათ, მისიონერებს მთავრობისათვის ბორბტი სწადიათ, განწირული არიან პაპისა და ქრისტიანე მთავრობისათვისო; ეგენი ყველანი მზვერავებად უნდა მიიჩნიოთ, რადგან სარწმუნოების სახელით აქ მოდიან, რათა კარგად სცნონ ქვეყნის ძალა და სიმტკიცეო; თავიანთის ტიპიკონის შემდგომთ სხვას არაფერს აგონებენ, თუ არ შფოთსა და განდგომილებასო; ევროპის უძლიერესი მთავრები მათ შემწეობას არ აღმოუჩენდენ, უკეთუ მათგან არ იყვნენ გამოგზავნილნი მეთვალყურედ, რომ ერთ დღეს აქაურობაც დაიპყრანო. ამისთანა ცრუ მიზეზებით და ფულის ბლომად მიცემით თვალებს უხელენ მაჰმადიანებს, რომლებიც, მიუხედავად იმდენის რეკომენდაციებისა, აძალებენ მისიონერებს, იქაურობას განშორდენ“ [41]).

ამ რავდენსამე სიტყვაში საკმაოდ განმარტებულია, თუ როგორ ეპყრობოდენ სომხები ლათინებს, მათ როგორ უსმენდენ და როგორი მეგობრები იყვნენ მათი. აქედან ისიც

[41]) Nos Missionnaires se font admirer par leur science, par leur zèle, et par leur générosité, mais les schismatiques détriusent, par leur argent ce que ces hommes Apostoliques édifient de plus solide. Les Missions les plus fleurissantes tomberont à la fin si Dieu ne change le coeur des schismatiques. Ces malheureux n'apprehendent rien tant que les saints progrès de nos prêtres, intéressent des puissances de l'Etat et ne cessent de leur représenter combien il serait dangereux de soutenir que les Latins se multiplissent chez eux; que ces gens malintentionnés pour le gouvernement sont devoués au Pape et aux Princes Chrétiens, qu'il faut les regarder comme autant d' espions, qui sous pretexte de la religion viennent pour reconnaitre les forces du pays; qu'ils n'inspirent à ceux de leur rite que l'esprit de sedition et de revolte; que les plus puissants Princes d'Europe ne s'intéresseraient pour eux s'ils ne s'en servaient comme d'autant d' Emissaires propres à étendre un jour leurs conquêtes. Toutes ces fausses raisons appuyées de forces sequins, font ouvrir les yeux aux Mahometans, et malgré toutes les recommandations on oblige les missionnaires à se retirer. (Tournefort, tom. 2 p. 166).

საკმაოდ იგულისხმება, თუ როგორი კათოლიკები უნდა ყოფილიყვნენ ამის ჩამდენი სომხები.

ამაზე უფრო უტყუარი მოწმობა კიდევ სხვა გვაქვს ხელში და ეს მოწმობა სომხებისათვის უნდა იყოს ყოველნაირად უცილობელი. ეს არის მოწმობა ზემოთ დასახელებული ბ-ნის ეზოვის, სომეხთ დიდის მეცნიერისა, რომელმაც, უმიზეზოდ, გავლილ წლებში გამოაქვეყნა, რაც-კი ქართველებისათვის ცუდი თქმულიყო, რათა ამითი ქვეყნის წინაშე დაემდაბლებინა ქართველები და მით უფრო აემაღლებინა სომხების პატიოსნება, დიდება და მეტადრე მით დაეფარა, რაც ცუდი რამ თქმულიყო სომხებისათვის.

სხვათა შორის ბ-ნი ეზოვი მოგვითხრობს: „სომხებს ვერ გაეგოთ, თუ ეს მისიონერები, იმის ნაცვლად, რომ ურწმუნოთათვის ღვთის სიტყვა ექადაგებინათ, რად ცდილობდენ მოექციათ სწორე გზიდგან, ვინც იყვნენ ნამდვილი ქრისტიანებიო. ამისთვის სომხებს ეს მისიონერები სძულდათ, მათ ყველანაირს ცილს სწამებდენ, სდევნიდენ და მზად იყვნენ, მათთვის ყველანაირი უბედურება მიეყენებინათ. სომხებს არ სჯეროდათ, თუ ეს მისიონერები მოქმედებდენ თავიანთი სასულიერო უფროსის პაპის თანახმობით. ამისგამო ეჩმიაძინის პატრიარქ-კათალიკოსებმა ზოგჯერ პაპებს წერილით მიმართეს, თავიანთი გარემოება ყველაფერი შეატყობინეს და სთხოვეს, რათა აეკრძალათ მისიონერებისათვის ესრეთი ქრისტიანების წინააღმდეგი საქმე“ [42]). ეს ლათინების მოქცევა ქრისტიანების წინააღმდეგ

[42]) Армяне недоумѣвали, почему проповѣдники Слова Божія вмѣсто того, чтобы учить невѣрющихъ и магометанъ, старались совратить ихъ христіанъ и для сего преслѣдовали ихъ всею ненавистью, клеветали и готовы были причинить имъ всякое зло; они не допускали, чтобы это дѣлалось съ вѣдома римскаго папы, духовнаго начальника миссіонеровъ, и поэтому эчмядзинскіе патріархи-католикосы не разъ обращались къ папамъ съ посланіями, въ которыхъ, объясняя настоящее положеніе дѣла, просили ихъ воспретить миссіонерамъ столь противохристіянскіе поступки. (Г. А. Эзовъ, Сношенія Петра Великаго съ Армянскимъ Народомъ, стр. XVI).

სხვა არაფერი იყო, თუ არ ის, რომ ცდილობდენ სომხებისათვის კათოლიკობა მიეღებინებინათ.

ეს ყველა, რაც აქამდე ვნახეთ, მოქმედებულია საქართველოს გარეთ, სპარსეთში მყოფ სომხებისაგან. ხოლო თუ გამოვიძიებთ იმ ყველა უსამართლოებას და დევნულებას, რომელიც საქართველოში სომხებმა მიაყენეს ლათინის მისიონერებს მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეში, მაშინ ყველა ცხადად ნახავს, რომ სომხებზედ უდიდესი მტერი რომის ეკკლესიას არა ჰყოლია და მათნაირ ბარბაროსულად არც ერთ ერს უდევნია იგი. თუმცა მისიონერების აღწერილი ყველა საბუთები ვერ ვიპოვეთ, ხოლო რაც-კი ვნახეთ, ისიც საკმაოდ გვიხატავს სომხების დიდს უღმრთოებას და მათ სიმძულვარეს კათოლიკე სარწმუნოების წინააღმდეგ. აწ მოკლედ თვალი გადავავლოთ იმ საბუთებს, რომელიც შეეხება სომხების მოქმედებულ დევნულებას საქართველოში.

რომიდან წამოსული თეათინელი მისიონერები, 1628 წ. პირველად ერევანს ჩამოვიდენ საქართველოში შემოსასვლელად. ამ ქალაქში სპარსელებმა და მეტადრე ერთმა გამაჰმადიანებულმა სომეხმა, უმტრეს და დაატყვევეს და სხვა და სხვა ცილი დასწამეს. ეს გამაჰმადიანებული სომეხი, სახელად იანაკარიო, ისე ძრიელ გადაემტერა მათ, რომ ბევრად გადააჭარბა სპარსელებს თავისი გამოგონილის ტყუილის საჩივრებით. ძრიელ ბევრს ეცადა, რომ ეს მისიონერები დაეხოცათ, ან სამუდამოდ საპყრობილეში დაეტყვევებინათ. მაგრამ ღვთის შემწეობით, როგორც იყო, გადურჩნენ იმ სომხის დაგებულ მახეს [43]).

თეათინელების უფროსი პატრი პეტრე ავითაბილე, 1632 წ. მეორედ რომ მობრუნდა რომიდგან საქართველოში, ტფილისს მოახლოების დროს, რაც ფული გადარჩენოდა, ოსმალების მიერ გაძარცულს, ერთიან სომხებს წაურთმევიათ, რაის გამო ისე საწყლად დარჩენილა ამხანაგებითურთ, რომ იძულებული გამხდარან თავიანთი ტანისამოსი გაეყიდათ, რათა მით საჭმე-

[43]) Archivio di S. Silivestro de P.P. Tęalini in Poma. № 9.

ლი პური ეშოვნათ [44]). თუ რაოდენი შეურაცხება მიაყენეს აგრეთვე ამ მისიონერებს სომხებმა ახალგაზდა ქართველის გორელის ნასყიდა ლიპამონის გაკათოლიკების გამო, ჩვენი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ წიგნის 126 გვერდზე ვრცლად ვუჩვენეთ მკითხველს. სხვა რაც შეამთხვიეს სომხებმა თეათინელ მისიონერებს, ამისას ბევრს ვერაფერს ვიტყვით, რადგან იმ დროის საბუთი ბევრი დაკარგულია. ხოლო შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ რა დღეც დააყენეს შემდეგში კაფუცინების მისიონერებს, ის დღე უეჭველად ამათთვისაც უნდა დაეყენებინათ, რადგან ისინიც კაფუცინებსავით ერთისა და იმავე სარწმუნოების გავრცელებას ცდილობდენ.

კაფუცინები პირველად მოვიდენ ტფილისს 1663 წ. ვახტანგ მეხუთემ, შაჰნავაზად წოდებულმა, კარგად მიიღო, სახლი და საეკლესიო ადგილიც მისცა. ეგრეთვე ტფილელი ეპისკოპოსიც მათ ტკბილად მოეპყრა, პირველადვე თავის სახლში დააყენა და ყოველგვარი შემწეობა აღმოუჩინა. იმავე წელს რომში სწერს ამ სასიამოვნო ამბავს პატრი სერაფინო მელიქოქელი ესრეთ: „ჩემი ორი ამხანაგიც ჩამოვიდა ტფილისში და ამ ქალაქის ეპისკოპოსმა თავისთან დააყენაო“ [45]). ქართველების მიერ ამ სასიამოვნო მოპყრობამ კაფუცინებზე ძრიელ იმოქმედა, ისე, რომ სიხარულით რომში წიგნს წიგნზე სწერდენ და ყველას ატყობინებდენ, ქართველები კარგად დაგვხვდენო. ამნაირ კარგ დახვედრას და დამეგობრებას შედეგად ის მოჰყვა, რომ მალე ერთმანეთში ჩამოაგდეს ლაპარაკი საქართველოს და რომის ეკლესიათა შეერთებისათვის. ეს ამბავი 10 დეკემბერს 1666 წ. კაფუცინმა კარლო სან მარინელმა აცნობა რომში: „ეხლა პატრი გაბრიელ და მასთან ყველა პატრები ლაპარაკში არიან ქართველებისა და ლათინის ეკლესიათა შეერთებისთვის, და იმედია, მოკლე ხანში კეთილად დაგვირგვინდეს მათი ცდა“ [46]). ამ გარემოებას უფრო კარგად აგვიწერს

---

[44]) იგივე.

[45]) კაფუცინების არხივი, რომში.

[46]) პროპაგანდის არხივი, ტომი 229.

ავსტრიის ქვეშევრდომი სომეხი პეტროს ბედიკ, რომელიც იმ დროებში სპარსეთში იყო მთავროობისაგან გაგზავნილი. ამანაც შეიტყო ეს გარემოება, ერეკლე პირველიც ნახა, რომელსაც დიდად აქებს და ამბობს, რომ კათოლიკობის მისაღებად მომზადებულიაო. ვუსმინოთ ზოგიც ამას: „აქვე (ტფილისში) არის მათი პატრიარქი, რომელიც არჩეულია მეფისგან, რომელიც პატიოსანი ვინმეა და ძრიელ მიდრეკილია, რომის ეკკლესიას შეუერთდეს, რაის გამო წინად მოვიდა კაფუცინებთან, რომელთაგან ზოგნი ახლა მათ ქალაქშიც არიან, ხალხის საყვარელი გამხდარან. მეფის შემწეობით კაფუცინებმა ეკკლესია ააშენეს, სადაც ბავშვებს და ახალგაზდებს ქრისტიანურს წესზე სწვრთნიან. ხსენებულმა პატრიარქმა თავის შემოერთების აზრი მიცვალებულს პატრი პრისკოს და მეც გამოგვიცხადა კაფუცინთა უფროსის საშუალებით. ხოლო მისი განხორციელება ველარ მოხერხდა, რადგან დიდი მთავარი მისი ძმისწული (ან დისწული) იმ ხანებში სპარსეთის მეფეს გაუდგა და ოსმალეთს შეეხიზნა, ამის გამო მთელი საქართველო აირ-დაირია სპარსეთის შიშით. ამიტომ პატრიარქთან ველარ მივსულვართ შემოერთების საქმის დასაბოლოვებლად“ [47]). ქართველებმა პირველადვე ყოველნაირი თანაგრძნობა აღმოუჩინეს მისიონერებს და ბოლომდე ესე გაატანეს, რადგან არასდროს უღალატნიათ თავიანთი სამეგობრო თანაგრძნობისათვის. ხოლო სომხებშიკი სრულიად წინააღმდეგსა ვხედავთ. მათ პირველადვე დაუწყეს მტრობა და ბოლომდე მათ მტრებად დარჩნენ.

მისიონერების მეგობრული განწყობილება ქართველებთან და მათი ლათინის ეკკლესიასთან დაახლოება სომხებმა ვერ დაითმინეს, მალე დაუწყეს კაფუცინებს მტრობა და ბევრჯელ სცადეს, მათთვის ევნოთ როგორმე და ხელი შეეშალათ კათოლიკე სარწმუნოების გავრცელებისათვის. მათმა მტრობამ და შეურაცხყოფამ პირველადვე იქამდე მიაწია, რომ მისიონე-

[47]) Petrus Bedik, Cehil Sutun, seu Explicatio Theatri Guadraginta Columnarum in Perside, p. 339, Yienna, 1678.

რებს ქუჩაში გავლის დროს ქვას უშენდენ, პირში აფურთხებდენ და ჯოხითაც-კი ჰსცემდენ [48]).

მათი მტრობა უფრო გაძლიერდა 1668 წ. სომხებს უნდოდათ პირველადვე მოეშთოთ და ბოლო მოეღოთ კაფუცინების მისიონისათვის, როგორათაც უკვე ექმნათ ერევანში. ამ დევნულების შესახებ პროპაგანდისადმი გაგზავნილ ერთ მოხსენებაში, სხვათა შორის, თქმულია შემდეგი: „ზემოთ ხსენებულმა ვართაპეტებმა და სომხის სხვა ერის კაცებმა დაუწყეს მსგავსი დევნა ტფილისის მისიონერებსაც და უნდოდათ მათი იქიდგან განდევნა. ამას კიდეც აღასრულებდენ, იქაურ მეფეს რომ არ დაეფარა მისიონერები“ [49]).

რადგან ეკლესიის ასაშენებლად კაფუცინებმა საქართველოს კათალიკოსს საჩუქარი არ მისცეს, როგორათაც მაშინდელი ჩვეულება მოითხოვდა, ამისთვის მათ შორის უსიამოვნება ჩამოვარდა და კათალიკოსმა კიდეც დააკეტინა სკოლა; გარნა ეს შემთხვევითი და მოკლე დროთი იყო, რადგან კათალიკოსმა ისევ მალე ნება მისცა სკოლის გაღებისა. ამის შემდგომ მუდამ მეგობრობა ჰქონდა კაფუცინებთან. ხოლო მათდამი სომხების მტრობას-კი არაფერი ეშველა და დღითი დღე ძლიერდებოდა.

სომხების მიერ მტრობა და დევნულება უფრო საშიშარი შეიქმნა 1679 წ., რადგან ხელ-ახლავ დააპირეს კაფუცინების განდევნა საქართველოდან. ამის შესახებ სომეხთა მღვდლებმა კრება მოახდინეს და სცადეს ესა, მაგრამ ბოლომდე ვერ გაატანეს, რადგან ქართველობა მისიონერებისკენ იყო და მეტადრე მეფე მათ იფარავდა. ეს რომ არ იქმნა, მერმე დაადგინეს— ორასი პიასტრი (მარჩილი) ჯარიმად გადაეხადათ მეფისა და

---

[48]) Missionari Toscani, M. S. tom, 1, p. 753. Firenze. (კაფუცინების არხივი).

[49]) Si sudetti Vartabeti et altri secolari Armeni havevano suscitato uno simile persecuzione a Tiflis controi Missionarii a fine di parli di la discaciare il che sarebbe loro riuscito, se non fossero stati protetti da quel Principe (Acta S. Congregationis de Propda Fide, an. 1669, Iulli 30, fol. 257. პროპაგანდის არხივი).

ქართველთ კათალიკოსისათვის ყველა იმათ, ვინც-კი კაფუცინების ეკკლესიაში შევიდოდენ. ვერც ამ ხერხით მიიმხრეს მეფე და კათალიკოსი კაფუცინების წინააღმდეგ. საკმარისი იყო საქართველოს მეფეს, ან კათალიკოსს მხოლოდ ერთი-კი ეთქვათ რამე სომეხთა სასარგებლოდ, რომ კაფუცინები გაედევნათ და მათი ეკკლესიაც მთლად დაენგრიათ. მაგრამ გულისწადილი ვერ აუსრულდათ და ყოველმა მეცადინეობამ ფუჭად ჩაუარათ [50]): გაბრაზებულმა სომხებმა ყოველი საშუალება იხმარეს, რომ კაფუცინების მისიონისათვის ერთიან ბოლო მოელოთ. მაგრამ ღმერთმა არ მიუშვა და დაიხსნა ისინი მათ მახისგან, რომელიც ყველანაირის ოსტატობით დაეგოთ. თუმცა სომხებმა ვერ გაიმარჯვეს და ბოროტი გულის ნადები ვერ აისრულეს, მაგრამ მაინც არ ისვენებდენ. უფრო სხვა უკეთეს საშუალებას მიმართეს. ამ გარემოებასაც ერთი კაფუცინი ესე აუწერს რომში ყოფილ თავისს უფროსს 5 მარტს 1683 წ. ტფილისიდგან: „ამ დიდ მარხვაში საქადაგებლად ეშმაკმა აქ მოუსია ერთი ვართაფეტი, რომელიც ჯოჯოხეთებრივი სიბრაზით სავსეა წინააღმდეგ მისიონისა და ამ საბრალო კათოლიკეებისა. ესენი ჯერჯერობით მტკიცედ არიან. სამი წლის წინეთ ამ გაეშმაკებულმა მღვდელმა აქ იქადაგა და მით ჩვენ ბევრი გვავნო; მაგრამ ახლა უფრო ძრიელ ცდილობს და ჩვენ წინააღმდეგ ყოველ ზომას ხმარობს, აქეზებს ერს, რათა ჩაგვაქვაონ, ან აქედან გაგვდევნონ. ამას კიდეც შეასრულებდენ, უკეთუ მეფე ჩვენი მომხრე არ ყოფილიყო. ახლა ვნახოთ, რა მოხდება ამ დიდ მარხვაში“ [51]). ამ დროის სომხების მიერ მტრობა და დევნულება იქამდე გაძლიერდა, რომ ამ ამბავმა ევროპის მთავრებამდისაც მიაწია და მათი გამოსარჩლება და გულ-შემატკივრობა გამოიწვია.

სომხების მიერ დევნულებისათვის რომ თავი დაეწიათ, კაფუცინებმა მისწერეს რომში, დაევედრებინათ იგინი იმ მთავრებისათვის, რომლების ქვეყნებშიაც დაიარებოდენ, ანუ სცხო-

---

[50]) პროპაგანდის არხივი, Georgia, ტომი 1, № 53.

[51]) იგივე, № 77.

ვრებდენ სომხები, რომმაც ყურად ულებელი არ დასტოვა ესეთი სათხოვარი და მალე მიმართა ევროპის მთავრებს, რის გამო ფლორენციის დუკამ, კოზიმო მესამემ, 26 ნოემბერს 1686 წ., გიორგი მეფეს მოსწერა სამდურავის წიგნი, სომხები მისიონერებს სდევნიან და გთხოვთ, გამოესარჩლოთ და დაიფაროთ ამ დევნულებისგანო [52]). სომხებმა მაინც არ დაანებეს თავი მტრობას. 1690 წ. ეჩმიაძინიდან ვანგებ გამოგზავნეს ერთი ვართაპეტი, რომელმაც 300 თუმანზე მეტი დახარჯა გავლენიან პირებთან მათ მოსამხრობლად, მაგრამ ვერ გაიმარჯვა და მისიონერებს ამ შემთხვევაში ვერაფერი ავნო.

ბარძიმ ერისთავმა კათოლიკობა მიიღო თუ არა, მაშინვე დაიწყო კაფუცინების მფარველობა. გარნა სომხებმა მალე, იმავე წელს, კიდევ აღძრეს დევნულება და საკმაოდაც ავნეს მისიონერებს. მაგრამ ბარძიმ კვალად მალე მიეშველა, ჩააჩუმა გამხეცებული სომხები მუქარით და სხვა ზომების მიღებით, რის გამო რომიდან დიდი მადლობა მიიღო.

ტფილისში რომ სომხები ვერას გახდენ ბარძიმის შიშით, გორში გაემაცდენ, დაიძაბუნეს კაფუცინები და იმოდენი შეურაცხყოფა მიაყენეს, რამდენიც-კი შეეძლოთ, ისე რომ კაფუცინებს რაც-კი გააჩნდათ, ყველა დაისაკუთრეს. ხოლო ქართველების დახმარებით მისიონერებმა შემდგომ, როგორც იყო, ჩამოართვეს სომხებს ყოველი თავიანთი საკუთრება.

ეს დაუძინებელი მტრები კათოლიკეთა, სომხები ერთს წამს არ ისვენებდენ და სულ იმის ცდაში იყვნენ, როგორ ევნოთ კაფუცინებისა და კათოლიკე ეკკლესიის მიმდევართათვის. როდესაც საქმით ვერ შეძლებდენ მათ ვნებას, სიტყვით ხშირად ბევრს სიავეს ჩადიოდენ; ხოლო როდესაც საქმითაც მოახერხებდენ ვნებას, მაშინ მათ უსჯულოებას ზომა და საზღვარი აღარ ჰქონდა; ყველანაირს შემთხვევას ეძებდენ, რათა თავიანთი ულვთო საწადელი აღესრულებინათ. სწორეთ ეს ფავიანთ სანატრელი შემთხვევა ჩაიგდეს ხელში 1698 წ. ყველანაირი უწყალობა იმოქმედეს კაფუცინების და კათოლიკების

---

[52]) იხილე ჩვენი „ისტორია ეკლესიისა“ გვ. 261.

წინააღმდეგ. ამ დევნულების შესახებ კაფუციანებმა რომში აი
რა შესანიშნავი წერილი გაგზავნეს: „კათოლიკობის მტერმა
წრეულს დაგვიწყო ეგრეთი სასტიკი დევნა, რომ მისი მსგავ-
სი ჯერ არას დროს გვსმენია; მასთანვე ისე გაძლიერდა
და გამტკიცდა ეს დევნულება, რომ მარტო ღვთის შემწეო-
ბას შეუძლია, დაგვიხსნას მისგან. მოკლედ გაუწყებ ამ
დევნულების ამბავს. ვინაიდგან კათოლიკები კარგად გა-
მრავლდენ და დაიწყეს ხშირად მოსვლა ჩვენს ეკკლე-
სიაში, კათოლიკე სარწმუნოების მტერმა სომხებმა ველარ
მოითმინეს... ფულის მოსაკრებად პატრიარქისგან გამოგზავ-
ნილმა ვართაპეტმა ყველა მღვდელებთან და ქალაქის ხუთ-ექვს
მოწინავე პირთან ერთად გადასწყვიტეს ჩვენი ეკკლესიის
დანგრევა და ჩვენი ამ ქალაქიდან განდევნა. მთავრობისგან
ნების გამოსატანად ეს ბოროტები მივიდენ ვეზირთან და მის-
კეს 100 ოქრო (ძექინი)... იმედით, რომ ნებას გამოიტანდენ. ამ
დაწყევლილმა ეშმაკის მუშებმა ერთ ეკკლესიაში პირველგზის
შეჰკრიბეს ყველა ისინი, რომლებიც წინააღმდეგნი არიან კათო-
ლიკებისა... შემდგომ ვართაპეტმა უბრძანა, ეკკლესია დაეკეტათ
და ზარები აღარ დაერეკათ, რათა ყველას მარტო ის ეფიქრათ,
რის აღსრულებაც უნდოდათ. ხოლო გული არ გავიტეხეთ და
არც ზარების რეკა შევაყენეთ პარასკევამდე. მეორე დღეს ად-
რიან დილაზე ყველა მღვდლები შეიკრიბნენ ტერ-დავითას
ეკკლესიაში, სადაც იდგა ის დაწყევლილი ვართაპეტი და მოი-
ლაპარაკეს, რაც უნდა ეთქვათ მთავრისათვის. შემდგომ დიდ-
ძალის ხალხითურთ მივიდენ მთავრის სასახლეში და დაუცა-
დეს, ვიდრე მთავარი გამოვიდოდა; რა გამოვიდა საწოლიდგან,
ის საძაგელი ბრბო მრავლად შევიდა შიგნით და დაიწყეს თავი-
ანთი ეშმაკებრივი აზრების წარმოთქმა, ჩვენზედ დრტვინვა და
ლაპარაკი, ქალაქი ნახევრად გაფრანგებულაო, ამის თანახმა არა
ვართ, არც გვინდა სომხები მათ ეკკლესიაში დადიოდენო,
ისინი მატყუვრები არიანო... აღარ გვინდა პატრები ქალაქში
დარჩნენო, არამედ ქალაქს უნდა გაშორდენო. სპარსეთის შაჰ-
მა რომ შეიტყოს, ქალაქი ნახევრად გაფრანგებულაო, არც
თქვენ მოგივათ კარგი საქმეო... გაბრაზებული გამოვიდა ვარ-

თაპეტი თავის მღვდლებთან ერთად და დაიწყო შეჩვენება და წყევლა ყველა იმათი, ვინც არ დაკეტდა დუქნებს და ჩვენის ეკკლესიის და სახლის დასაქცევად არ მოვიდოდა. ამ შეჩვენებისა და წყევლისგან შეშინებულმა ვაჭრებმა და მეღუქნებმა ყველამ დაკეტეს დუქნები, და ყველანი საშინელის ყვირილით, შეიარაღებულნი კეტებით და ცულებით, წამოვიდენ ჩვენი სახლისკენ. იმ ეშმაკის ცოფიანის მონების ყვირილი ისეთი იყო, რომ ქუჩებში ყველა დედაკაცები სახლებიდგან გარეთ გამოცვივდენ და ზოგნიც თავიანთ სახლების ბანებზედ ავიდენ, რათა იქიდგან ეცქირათ წარმოდგენისათვის, რომელიც მართლა მეორედ მოსვლის დღეს ჰგავდა; რა მოვიდენ, დიდრონის ქვებით, კეტებით და ცულებით დაიწყეს კარების შემტვრევა, მაგრამ ვერ ჩამოაგდეს კარი, რადგან მაგარი იყო... ხალხმა რა ნახა, კარიდგან ადვილათ შემოსვლა არ შეიძლებოდა, უმეტესობა ავიდა ბანზედ, ჩვენი ბაღის წინ რომ იყო, და იქიდგან დაუწყეს სეტყვასავით ქვების სროლა ეკკლესიასა და ყორეს დიდის ხმაურობით. ამ დროს როცა ეს გაცოფებული ხალხი თავის ჯავრს ქვების სროლით იყრიდა, ჩვენის ბაღის ქვეითა გზით გაიარა ცხენით დივანბეგმა, რომელსაც თან ახლდა მრავალი თვისი კაცები. ამ ბატონმა რა დაინახა ჩვენი სახლის გარეშე ამდენი ხალხი და გაიგონა რახარუხი, რომელსაც ჩვენს სახლს უყოფდენ, სასწრაფოდ გამოგზავნა შეიარაღებული კაცები, რომ დაეცვათ ჩვენი ეკკლესია, სახლი და ჩვენ ყველანი ისინი საჩქაროდ მოვიდენ ჩვენ კარებთან, მაგრამ რა ნახეს, ხალხის სიმრავლის გამო კარებიდან ვერ შემოვიდოდენ, ავიდენ ბანზედ, რომელიც გადმოსცქეროდა ჩვენს ბაღს და საიდანაც ხალხი სარკმლებს და ეკკლესიას ქვებს უშენდა. მდივანბეგის კაცები ხალხს მისცვივდენ ჯოხებით და შეაყენეს კიდეცა; ზოგი მათგანი გადმოხტა ბაღში და მოეშველნენ კარებს, რომელიც კიდეც ჩაემტვრიათ. ხალხმა რა დაინახა, ბატონის კაცები შიგ იყვნენ, კარის მტვრევაზე ხელი აიღო... მამასახლისმა მეფეს გამოართვა ერთი წერილი, რომლის ძალითაც, თუ რომელიმე სომეხი მოვიდოდა ჩვენს ეკკლესიაში, უნდა გადაეხადა 12 თუმანი მეფისთვის; შემდგომ ასეთის კაცისათ-

ვის სომხებს ან თვალები უნდა დაეთხარათ, ან წყალში უნდა გადაეგდოთ... [53])

გარნა სომხებმა კიდევ, ამავე წელს დრო ჩაიგდეს, ბარძიმის განშორებით. ბარძიმი აგარაკად წავიდა ტფილისში გაჩენილი ჟამის გამო, რომელიც იქაურობას მუსრს ავლებდა. ამ დროს ყველანაირი უბედურება მიაყენეს ტფილისში მისიონერებს და კათოლიკებს; ეკკლესიაც დაუკეტეს და ყველას აუკრძალეს მათ ეკკლესიაში მისვლა; მასთანვე სიკვდილით უნდა დაესაჯათ, ვინც ამ აკრძალვის წინააღმდეგ მოიქცეოდა და მისიონერებთან მოვიდოდა, გარნა ახლაც მალე მიეშველა მათ მფარველი ბარძიმი. ამან რა შეიტყო დევნულების ამბავი, მაშინვე მობრუნდა ტფილისში, დააწყნარა ყველა და შეაკეთა დაზარალებული ეკკლესია, რაც-კი შესაძლებელი იყო.

ამ განახლებულმა დევნულებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რომში. პაპმა მაშინვე თავის ელჩად გაგზავნა სპარსეთის მეფესთან კაფუცინი ფილიპე სელანოველი, რათა ტფილისის კაფუცინებისათვის ერთი ფირმანი მოეპოვებინათ დევნულების წინააღმდეგ. ეს კაფუცინი სპარსეთში თავის მგზავრობის მიზეზს ესე აღგვიწერს: „როდესაც რომში ვიყავი მისიონის საჭიროებისათვის, იქ მივიდა ხსენებულის პატრი პრეფექტოს და სხვა მისიონერების წერილები, რომლითაც იუწყებოდენ სომხების მიერ ატეხილ ფიცხელ დევნულობას ტფილისისა და განჯის მისიონის წინააღმდეგ საქართველოსა და სპარსეთში: უნდოდათ ერთიანად გაეოხრებინათ, კიდეც შეასრულებდენ ამ თავიანთ ყოვლად ბოროტ წადილს, რომ ღმერთს თავისი სახიერებით არ აღეძრა ქართველების და მაჰმადიანების გული კაფუცინების შესაწევნად“ [54]).

---

[53]) პროპაგანდის არხივი, Giorgia, ტომი 1, № 124.

[54]) Enel mentre che mi tralleneno in Roma per tale efletto, capitarano lettere di detto P. Pretetto ed altri missionarü notificando in esse le fiere persecuzioni masse dagli Armeni scismatici alle due Missioni, l'una di Tiflis in Giorgia, l'altra di Gangia nel Regno di Persia, a tal segno, che le volevano affatto desolare et avrebbero eseguito il loro pessimo intento se l'altissimo Iddio per

ვიდრე ეს კაფუცინი ისპაანს მივიდოდა, იქ მყოფმა კაფუცინებმა კიდეც მოიპოვეს ფირმანი (შაჰის ბრძანება), რომლითაც ეკრძალებოდა სომხებს კაფუცინების და კათოლიკების შეწუხება. გარნა ამ ბრძანებამ დიდი არაფერი გავლენა იქონია სომხების სიბრაზეზედ. კაფუცინი რეჯინალდო ლენთინელი 20 სექტემბერს 1700 წ. სწერს რომში და აუწყებს, რომ ტფილისში ერთი სომხის ვართაპეტი, სახელად მესროფი, სხვა არაფერს ჰყოფს, თუ არ ამას, რომ დილიდგან საღამომდე სწყევლის პაპსა და ყველა კათოლიკე ხელმწიფეებს; ეგრეთვე ერისკაცთაც აქეზებს, ესე მოიქცნენ. ამისთვის შეთხზა ერთი ჯოჯოხეთური წყევლა და თითქო ლოცვა რამე იყოს, ყველა ეკკლესიაში აკითხვინებს და გათავებისას მთელს ერს სამჯერ ათქმევინებს ამინსო. იმ სომხური წყევლის ერთ პირსაც უგზავნის თავის წერილთან ერთად. წერილში, სხვათა შორის, აი რას ამბობს ეგრეთვე: „რაიმე შეძლება რომ მქონდეს, არც ერთს მწვალებელ სომეხს არ გავაჭაჭანებ იტალიაში, რადგან, როცა მანდ არიან, სრულებით ვერ ხედვენ იმდენ კეთილ სასულიერო წესებს, რასაც ეკკლესიებში ასრულებენ, არამედ მიმოდიან გარყვნილ ადგილებში და ხედვენ იქაურ უწესოებასო; როდესაც აქ ბრუნდებიან, იმას-ღა შვრებიან, რომ გვწყევლიან და საჯაროდ თავს ლაფს გვასხმენ. გარდა ამისა დიდს მკრეხელობასაც ჩადიან იტალიაში, რადგან იქ თავიანთ თავს კათოლიკედ აჩვენებენ და ესრედ მიდიან, აღსარებას ამბობენ და ზიარებასაც ღებულობენ; ამნაირად ღმერთსაც და ხატსაც ატყუილებენ. ხოლო როცა აქ მოდიან, უფრო უარესი მწვალებელი დგებიან, ვიდრე უწინ იყვნენ“ [55]).

არც ახლა აუღიათ ხელი სომხებს თავიანთ სიბოროტეზე, არამედ უფრო გაუცხოველებიათ ჩვეულებრივი დევნულება კათოლიკების წინააღმდეგ. ხოლო რამდენათაც სომხებს სძულდათ მისიონერები და მათ სდევნიდენ, იმდენათ უფრო

---

sua pietà e misericordia, non avesse mosso i cuori Giorgiani e Turchi ad accorrere agli poveri Cappuccini missionarü. (P. Raphaël du Mans, Estat de la Perse, d. 376 Paris, 1890.

[55]) პროპაგანდის არხივი, Giorgia, vol. 1, № 129.

ქართველებს უყვარდათ და არა თუ მარტო პატივს სცემდენ, არამედ იფარვიდენ კიდეც. ქართველი თავადების ესრეთმა ერთგულობამ კათოლიკე სარწმუნოების მიმართ სომხებს უკან დაახევინა, მათ სიცოფეს კაფუცინების წინააღმდგ აღვირი ამოდვა და მშვიდობა დაამყარა. მაგრამ, საუბედუროდ, ბევრ ხანს ვერ გაატანა თავისუფალმა მდგომარეობამ, რადგან სომხებმა კვალად მოიპოვეს სპარსელებისგან ნება და დაუწყეს მისიონერებს ჩვეულებრივი მტრობა და დევნა.

ამის გამო საქართველოში მისული ერთი ეპისკოპოსის წერილი გვაქვს, გამოგზავნილი სპარსეთში მყოფის საფრანგეთის კონსულისათვის. ისიც ამ ამბავს აცნობებს თავის მთავრობას პარიზში. აი ეს წერილი: „ბაბილონის თანა შემწე აგათოპლე ბატონი ეპისკოპოსი, თავის უკანასკნელ წერილებში, რომელსაც საქართველოს დედა ქალაქ ტფილისიდან, 3 აგვისტოს 1711 წ. იწერება, ამბობს, რომ იქაური კათოლიკები დიდს შიშსა და ძრწოლაში არიანო, რადგან საფრანგეთის მისიონერებისაგან შეუტყვიათ, სომხებს შაჰისაგან უკვე მოუპოვებიათ ახალი ბრძანება იმის წინააღმდეგ, რაც წინათ მისიონერებისთვის მოეპოვებინა ბ-ნ მიქელსა... ამ ბრძანების ძალით სქიზმატიკებს კიდეც დაუწყიათ და უღვთოდ უდევნიათ რავდენიმე მისიონერი და მათი სახლობაც სულ უკანასკნელ მდგომარეობაში ჩაუგდიათო“ [56]).

ხოლო ცოტა ხნის შემდგომ სომხებს კვლავ განუახლებიათ თავიანთი ულმრთოება ისეთის სიბრაზით, რომ საზღვარი აღარ ჰქონია.

---

[56]) Le S-r Evêque d'Agathople Coadjuteur de Babylon dans ses dernières lettres du 3 Août 1711, datées de Tiflis capitale de Géorgie dit qu'il a trouvé tous les catholiques dans une grande consternation, et qu'ayant appris par divers avis des missionnaires français que les Arméniens avaient obtenu du Sophi des ordres contre ceux qu'on avait accordé à M. Michel en faveur des Missions... et qu'en consequence de ces ordres ces schismatiques ayant déjà cruellement maltraité quelques Missionnaires, étaient en état de ruine tous leurs établissements. (Perse, vol. 3, p. 17.—Archives du Ministère des Affaires étrangères. Paris).

მოვიხსენიებთ მხოლოდ ერთს შესანიშნავ დევნულებასა, რომელიც გამოუწვევია უფრო იმ გარემოებას, რომ როდესაც საბა სულხან ორბელიანი 1715 წ. რომიდგან საქართველოში მობრუნდა, თან მოიყვანა 12 ახალი მისიონერი. ამ დროს მისიონერების მეცადინეობით და ქადაგებით კათოლიკე სარწმუნოება იფინებოდა ხალხში უფრო ადვილად. აი ამ ამბავს მოჰყვა დევნულება, რომელიც ყველაზედ უფრო საზარალო შეიქმნა, რადგანაც სომხებს ზოგიერთი საბას მტერი ქართველებიც შეუერთდენ და მათ თანაუგრძნეს. პატრი ანტონიო რომაელმა, რომელიც იმდროს მობრუნებულიყო რომში, დევნულების ამბავთან ერთად ისიც მიუთხრა, თუ რა მონაწილეობა მიიღეს ქართველებმა: „1717 წ. სომხებმა ჩვენი სახლი გაცარცვეს და ერთიან დაანგრიეს. თავიანთი ჩვეულების წინააღმდეგ, ქართველებიც შეუერთდენ, თუმცა ისეთის სიბრაზით არ მოქმედებდენ, როგორც სომხები, გარნა მაინცკი ცეცხლის გაღვიებას ხელი შეუწყეს„ [57]). ხოლო, როგორც სჩანს ერთი სხვა წერილიდან, ქართველებს ცხადათ მონაწილეობა არ მიუღიათ ამ დევნულებაში და თუ რამ ბრალი მიუძღვისთ, სახელდობრ ისა, რომ გაჩუმებულან და სომხების წინააღმდეგ უწინდელსავით ხმა არ ამოუღიათ. ქართველები თავიანთის სიჩუმით თანახმა რომ არ ყოფილიყვნენ, სომხები ისე საზიზღარს საქმეს ვერ ჩაიდენდენ. რადგან ეს დევნულება დიდად დამახასიათებელია სომხების უზომო უსჯულოებისა, ამისთვის აქ ცოტა ვრცლად გავაცნობთ მკითხველს ერთ წერილს, რომელიც 8 აპრილს, 1718 წ. თავრიზიდან მისწერა საქართველოში ნამყოფმა კაფუცინმა ანჯელო პოპიელმა ტოსკანში მყოფ თავის უფროსსა.

„ამ ქვეყნის ამბავი—სწერს კაფუცინი—საკმაოდ სატირელია. გავლილის წლის სექტემბერში ჩვენი ტფილისის მისიონი, ესდენ შვენიერი და დიდებული ღვთისა და კაცის წინაშე, სომხების სიბრაზით, თუ სულ არ გაოხრდა, უკანასკნელ მდგომარეობაში ჩაყენებულა. ღვთის და რომის საყდრისაგან

---

[57]) პროპაგანდის არხივი Giorgia, rol. 1, № 143.

გამდგარნი არ დაკმაყოფილდენ ჩვენის მონასტრის საფუძ-
ვლიანათ დაქცევას, იმ მონასტრისა, რომელიც დაიტევდა 13
მონაზონს, არამედ მისცვივდენ ეკკლესიასაც. რაკი ის დღე
ვერ დააყენეს, როგორიც სახლსა, და შენობა მაგარი იყო, ბევრს
ადგილს ცეცხლი წაუკიდეს და გამოსწვეს, მერმე გაუჭირვე-
ბლად შევიდენ შიგ; რადგან ამ დროს ორი პატრის მეტი არ
იყო, შიგ შესულთ ტრაპეზი ერთიან დაანგრიეს, ყველა ხა-
ტები ნაკუწ-ნაკუწად დასჭრეს, ჯვრები და ჯვარცმები დაამ-
ტვრიეს; ერთმა უბოროტესმა ამოიძრო ხმალი და შემოუქნია
ერთს შვენიერს და დიდად ძვირფასს ღვთის მშობლის ხატსა,
მაგრამ (დახე სასწაულს) სანამ ხატს მოხვდებოდა, ხმალი შუა-
ზე გადატყდა. რა ნახა ეს ბოროტმა და გაშმაგებულმა სო-
მეხმა, ნაცვლად შენანებისა, უფრო გაკერპდა, აიღო ერთი
დიდი დანა და მით ბევრს ადგილს დასჭრა წმიდა ღვთის მშო-
ბლის ხატი. ამითი არ დასრულებულა მათი ურიული სიბრა-
ზე. ამ სომხების შეიძლება ვსთქვათ, რომ ურიებზედ უარესნი
არიანო. შემდგომ ღვთის დედის შეურაცხყოფისა, მიესივნენ
მის ძესა, ხანჯლით გამოგლიჯეს ტაკუკის კარები, გამოიღეს
წმიდა ზიარების კოლოფი, რომელიც ხანჯლით ორად გაჩე-
ხეს და წმიდა ზიარება მიწაზედ მოაპნიეს და დაიწყეს ზედ
ხტუნვა და სიმღერა: ზოგმაც წირვის შესამოსი ჩაიცვა და ისე
დაიწყო თამაში, მათი ფეხქვეშ ქელა და ფრეწა. ამნაირად
იქცეოდენ, ვიდრე კარგად დაიღლებოდენ. შემდგომ რა
ულმრთოებაც ვერ უყვეს ცოცხლებს, ის მიაყენეს მკვდრებს;
შევიდენ აკლდამაში, სადაც თუთხმეტი დღის დასაფლავებუ-
ლი იყო ერთი ჩვენი პატრი, უფროსად ნამყოფი. ულმრთოდ
და უწყალოდ გაუპატიურება მრავალი მიაყენეს და გამოს-
ვლის შემდგომ, შიგ გამოამწყვდიეს ერთი ძაღლი, რათა დამ-
შეულს შეეჭამა მკვდარი პატრი. მეტს აღარ გავაგრძელებ ამის
აღწერას, რათა უმეტესი ზიზღი არ მოგგვაროთ. ახლა ჩვენი
საბრალო პატრები დარჩნენ უმონასტროდ და უეკკლესიოდ,
დგანან ერთ პატარა სახლში. მანდეთ და რომში ნამყოფ ბა-
ტონ საბაზე განრისხებულ ქართველებს თუმცა ისეთი მკრე-
ხელობა და ულმრთო დევნულება არ ჩაუდენიათ, მაგრამ-კი
წააქეზეს სომხები და ჩაადენინეს ესეთი ულმრთოება.

„ეს ბატონები (სომხები) თაყვანს სცემენ წმინდა ზიარებას და შემდგომ მას კი ფეხით ქელენ, პატივს სცემენ წმინდა ხატებს და შემდგომ მათ ფრეწენ, პატივს სცემენ ეკკლესიას და შიგ-კი მკრეხელობას ჰყოფენ და ანგრევენ. ასეთია სარწმუნოება ამ სქიზმატიკის—მწვალებელის სომხებისა. ასეთი უწყალობის ქმნა არ შეეძლოთ, ქართველებს რომ ნება არ მიეცათ. აწ ნახეთ, თუ მართალი არ არის, რომ საბრალო მისიონერები დასჯილნი არიან მხეცებში, თუმცა კაცი ღვთის მტრებისაგან ამის მეტს არაფერს უნდა მოელოდეს, მაგრამ დიდად სამწუხაროა მონაზონისათვის, როცა ხედავს წმინდა ზიარების ფეხით თელვას, წმინდა ხატების აოხრებას მათგან, რომლებსაც თავიანთი თავი ქრისტიანებად მოაქვსთ და ურწმუნო-ულმერთოები კი არიან. როცა მანდეთ არიან, თავიანთ თავს კათოლიკედ აჩვენებენ, ხოლო როცა აქ ბრუნდებიან, იკვეხიან, იტალიაში იმდენი ზიარება ვსჭამეთო. არ ვიცი ეს სასჯელი ღმერთმა მოგვივლინა ჩემი უღირსების გამო, თუ იმიტომ, რომ მწუხარებისაგან მომკვდარვიყავი, იქ რომ ვყოფილვიყავი და მენახა ასეთი მკრეხელობის მოქმედება წინააღმდეგ წმიდა ზიარებისა და ღვთის-მშობლისა. გარნა ტფილისიდგან ერთი თვის წამოსული ვიყავი, რადგან თავრიზს დამიბარეს ერთის ჩვენი ფრანგის პატრისა გამო, რომელსაც ამხანაგი მოჰკვდომოდა და თითონაც, რადგან სნეული იყო, შიშობდა საიდუმლოების მიუღებლად არ მომკვდარიყო. ამიტომ არ დავსწრებივარ იმ სატირელ ტრაგედიას, რომელიც უყვეს ღმერთსა და რომის ეკკლესიას სქიზმატიკ-მწვალებელმა სომხებმა. ამ ულმრთოების მოსაქმედებლად იგინი აღძრეს მათმა უბედურმა პატრიარქმა და ერთმა სომხის ეპისკოპოსმა, რომელმაც სწავლა რომში მიიღო. აქაური სხვა ამბავი არა არის-რა მის მეტი, რომ შესაძლოა, წრეულაც ჟამი ისევ გაჩნდეს, როგორც ამ ხუთი წლის წინ იყო. თავრიზი 8 აპრილს, 1718, მორჩილი მონა პატრი ანჯელო პოპიელი“ [58]).

ეს ფაქტი ცხადად ღაღადებს სომხების დიდ მტრობას და

---

[58]) Missionarü Toscani, Parte Seconda, M. S.

უსჯულოებას კათოლიკე სარწმუნოებისა და მისიონერების წინააღმდეგ, ეგრეთვე ცხად ჰყოფს, თუ სომხები როგორი მოჩვენებული კათოლიკები ყოფილან. ამისთანა ფაქტს ჩვენ მიერ განმარტება აღარ სჭირია. ხოლო ამას კი ვიტყვით, რომ ამისთანა ბარბაროსულ და ანტექრისტურ მოქმედებას თვით წარმართებში და ნადირ ერთა შორისაც ძნელად შევხვდებით.

ვერც ერთ წერილში ვერ ვხედავთ, სომხები ამისთანა უსამართლო საქციელის შემდგომ დამცხრალიყვნენ და კათოლიკების დევნაზე ხელი აეღოთ. ეგრეთვე არც ის ვიცით, თუ ამის შემდგომ ვიდრე 1740 წ. რა ჰქმნეს და რამდენ ნაირი უსამართლობა მიაყენეს კაფუცინებს, რადგან ამ დროს შესახები საბუთი ბევრი გვაკლია. ხოლო შემდეგი დროებისა კი ბლომად გვაქვს სომხების მიერ სხვა-და-სხვა მოქმედებულის ულმრთოების საბუთი, რომლის ძალითაც შეგვიძლია, ვიგულისხმოთ, რომ 1718 წ. ვიდრე 1740 წლამდე სომხები არ დამცხრალან, არამედ, თავიანთი ჩვეულებისამებრ, უდევნიათ კათოლიკე სარწმუნოება და მისიონერები, რაოდნათაც კი შეძლებიათ.

როგორც ჩანს, სომხებმა აქ მოთხრობილი ბარბაროსობა კიდევ განაახლეს 1741 წ. ამისი ბევრი საბუთი გვაქვს ხელში. ახალციხის მღვდლები 2 ივნის 1742 წ. ტრაპიზონში სწერენ ერთს სომხის მღვდელს მინას ვარტაპეტს ესრედ: „თუ იკითხავთ ამ ქვეყნის ამბავს, მოგახსენებთ, რომ ტფილისში დიდი დევნულება აღსძრეს კათოლიკების წინააღმდეგ, რადგანაც დიდი სასომხეთის პატრიარქმა მოიპოვა ერთი ფირმანი შაჰთამაზისაგან, რათა არც ტფილისში და არც გორში აღარ დააყენონ კაფუცინები. ეს ფირმანი რა მოუტანეს ტფილისში მეფის მოადგილეს, მაშინვე ჩამოართვა კაფუცინებს, რაც გააჩნდათ და მათი ეკკლესიაც გააოხრა და ყველა იქ მყოფი პატრები გადევნაო“ [59]). ამავე დევნულებას აღგვიწერენ ეგრეთვე პატრი ნიკოლა მარია ბორგოელი, რომელიც იმ დროს ტფილისის კათოლიკების უფროსად ყოფილა, და პატრი ლეონ ბა-

---

[59]) პროპაგანდის არხივი Monte Caucaso, ტომი 2, № 35.

ვალელი. ამათ წერილებში მოთხრობილია, რომ სომხებმა თავიანთი უწყალო მოპყრობით და ცემით ერთი დედაკაცი კიდეც მოჰკლეს, ბევრ სხვა დედაკაცებსაც ჰსცემეს უწყალოდ. ამ გალახულ დედაკაცებს კაფუცინებისათვის აღუარებიათ ფიცის-ქვეშ, რომ როდესაც ხელებზე გვცემდენ, ტკივილს სრულებით ვერ ვგრძნობდითო. ბევრსაც დაუნახავს, რომ ცემის დროს ხელებიდგან მათ ნათლოვანი სხივები გამოსდიოდათო. ბევრი წვალების შემდგომ ზოგიერთისთვის კათოლიკე სარწმუნოებაც უარუყოფინებიათ; კაფუცინები დაუტყვევებიათ და შემდგომ ტფილისიდგანაც გაუდევნიათ. ამათი განდევნის შემდგომ ტფილისში საშინელი მიწისძვრა მომხდარა. მიწისძვრამ თურმე ხუთს თვეს გასტანა, ესე იგი კაფუცინების განდევნიდან ვიდრე მათ ტფილისში მობრუნებამდე: როდესაც მობრუნებულან, მაშინ ერთიან დამცხრალა მიწისძვრა. სომხების შესარცხვენლად მაჰმადიანებს აღუარებიათ, განგებ ღვთის რისხვა იყო მოვლენილი ამისთვის, რომ ფრანგები განდევნესო, რაის გამო ბევრ ამ ურწმუნოთაგანს უცვნია ჭეშმარიტება და მიუღია კათოლიკე სარწმუნოება [60]). ეგრეთვე ამბობენ, მოკლე ხნის განმავალობაში, დევნულების მოთავე სომხები ყველა დახოცილან სხვა და სხვა უბედურებითო, ესეც კარგად შეუნიშნავთ მაჰმადიანებს და კაფუცინებისათვის უთქვამსთ, თქვენმა ჯვარმა ამოსწყვიტა ისინიო.

ამ კაფუცინთა წერილების გარდა ხელთ ორი სხვა უფრო შესანიშნავი დოკუმენტი გვაქს. ესენი მოკლედ, მაგრამ ზედმიწევნით აღგვიწერენ ამ სომხების უსჯულოებას და უწყალო დევნულებას. ერთი არის საქართველოს კათალიკოსის ნიკოლოზ VII წერილი და მეორე ერთის თავადის ამილახვრისა. ამ დევნულების ამბავს ორივე თითქმის ერთნაირად მოგვითხრობს, ამისთვის მოვიყვანთ კათალიკოსის შემდეგ სიტყვებს, რომელიც პაპს მისწერა 1742 წ. „კარგა ხანია, რაც თქვენი პატრი კაფუცინები აქ ჩვენს საქართველოში იყვნენ, მეც განსაკუთრებულის სიყვარულით ვეპყრობოდი და

---

[60]) იგივე არხივი, Romania, vol. 8.

მათთვის ყოველი სიკეთისა და ბედნიერების მოპოებას ვნატრობდი, მეტადრე, ამ მოკლე დროს, სამი, ანუ ოთხი თვის განმავალობაში, რა ჟამს მიიცვალა დომენტი პატრიარქი და მის ადგილს პატრიარქობის ღირსება მე მომეცა; მაშინვე შეუდექი, მათთვის ყოველი სიკეთე და ბედნიერება მომეპოვებინა. მაგრამ ჩემი დიდი ხნის წადილის შესრულება სომხებმა არ დამაცალეს, რადგან ისინი ახლა ჩვენ არ გვიჯერებენ და ამ ქვეყანაში თავიანთ ნებისებრ ბატონობენ. თქვენი პატრი კაფუცინები დაამწყვდიეს, ისე ჰგვემეს და დააწყლულეს, უარესის ქმნა აღარ შეიძლებოდა, გააუპატიურეს წმიდა ხატები და ჯვრები თქვენი ეკკლესიისა, შემდგომ თვით ეკკლესია და სახლიც ჩამოართვეს და თვით მიითვისეს, კაფუცინები ამ პროვინციაში აღარ დააყენეს, არამედ უწყალოდ აქედგან განდევნეს. ამ უწყალო დევნულებაში უფრო დიდად სამწუხარო ჩემთვის ის შეიქმნა, რომ ჩვენის თვალით ვნახეთ, როგორ დაიჭირეს კათოლიკები მამაკაცები და დედაკაცები და რანაირათ შეურაცხჰყვეს: ქონება სულ წაართვეს და ძალით კათოლიკე სარწმუნოებასა და თავიანთ მშობლებს განაშორეს. აწ ყველა ქართველნი უმდაბლესად გევედრებით, რათა ამ პროვინციაზე თქვენი ხელი არ აიღოთ და უკაფუცინებოდ არ დაგვტოვოთ. ღვთის სიყვარულისათვის შეგვეწიეთ, ნუ მიუშვებთ, რათა ამდენი ხალხი წარწყმდეს, ნურც ჩაუგდებთ თქვენს შეძენილს ერს გაცოფებულ ურწმუნოებს; თქვენის უმაღლესის დიდსულოვნებისათვის ძნელი არ არის, როგორც ერს, ისე ჩვენც შეგვეწიოთ. სხვა დანარჩენს ჩვენს ამბავს მოგახსენებენ თქვენივე პატრები. კათალიკოზ პატრიარქი ნიკოლოზ“ [61]).

აი საკვირველი და საუცხოვო კონტრასტი! პატრიარქიდგან დაწყებული ყველა სომხები სდევნიან პატრებს, მათ სასიკვდილოთაც არ ზოგვენ და გარეთ აძევებენ; ხოლო ქართველები, პატრიარქიდგან დაწყებული, მათ პატივსცემენ, მხარს უჭერენ, იფარვენ და, როცა მათ მფარველობას ველარ

---

[61]) ვატიკნის არხივი, Miscelanea, vol. 30.

ულნენ, პაპს ეხვეწებიან შემწეობას და მათ იქ დატოვებას. თუ ამ პატრიარქმა საჭირო შემწეობა ვერ აღმოუჩინა კაფუცინებს, იმიტომ მოხდა, რომ სომხებისაგან დაქრთამული სპარსელებიც მათ წინააღმდეგობდენ და სომხებს მხარს უჭერდენ.

ეს წერილები დევნულების შესახები, როცა დევნა დასცხრა, პატრი ნიკოლამ წაიღო რომში 1742 წ. პაპმაც, ამ ამბის მოსმენაზე, საჩქაროდ სპარსეთის მეფეს ელჩი გაუგზავნა და წერილიც მისწერა. ეგრეთვე ევროპის მთავრებმაც მისწერეს. ამ საშუალებით მოუპოვეს კვალად თავისუფლება კათოლიკებს საქართველოში. კაფუცინები ხუთი თვის შემდგომ დაბრუნდენ ტფილისში, უკან დაიბრუნეს ეკკლესია და სახლი; სახლის ავეჯეულობა და ეკკლესიის ნივთები კი ველარ მიიღეს. სომხებმა მაჰმადიანები დაქრთამეს, რათა ამ ნივთების შესახებ კაფუცინების სათხოვრისათვის ყურადღება არ მიექციათ.

გაკათოლიკებული ორბელიანები ივანე და ვახტანგ ძრიელნი იყვნენ ყოველ მხრივ და ბევრი ყმაც ჰყავდათ, იმ ზომამდე, რომ სპარსეთის მთავრობას წელიწადში ხუთი ათას ჯარისკაცს აძლევდენ. აი ესრეთი ძლიერნი ყოვლითურთ დაჩაგრეს კათოლიკების მტრებმა სომხებმა თავის მიერ მოსყიდულ სპარსელთა დახმარებით იქამდე, რომ იძულებულ ჰყვეს, თავიანთი ნათესავი, გაკათოლიკებული ეპისკოპოსი ქრისტეფორე რომში გაეგზავნათ პაპის შემწეობის სათხოვნელად თავიანთ მდევნელთა წინააღმდეგ. თუ სომხებმა ესე ძრიელი მთავრები, სხვა ქართველი კათოლიკები და თვით კათოლიკოსიც ეგრე დაიძაბუნეს, რომ კათოლიკობის წინააღმდეგ ყოველი სიბოროტე თავისუფლად იმოქმედეს, იმის წყალობით მოახერხეს, რომ საქართველოს მბრძანებლები, სპარსელი მთავრები, ფულით მოყიდული ჰყავდათ და მათი მომხრეობით ყოველ უსჯულოებას მოქმედებდენ არა მარტო მისიონერების წინააღმდეგ, არამედ თვით ქართველების წინააღმდეგაც [62]).

---

[62]) იხ. ჩვენი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 355. ეგრეთვე იხილე: Storia delle Missioni dei Cappuccini, per P. Rocco, tom. 3, p. 375.

სომხები რომ ხშირად ქრისტიანების გამცემნი იყვნენ და მაჰმადიანების მომხრენი, უეჭველია. საკმაოა, მოვიხსენოთ, რომ ტრაპეზუნტის იმპერია მათ გასცეს და მათ დაამხობინეს მაჰმადიანებს. ეგრეთვე ჯვაროსნობის დროს ხშირად უმტრეს ქრისტიანებს და მიემხრნენ ურწმუნოებს [63]).

1742 წ. ეტეხილი დევნულებაც ძრიელ სასტიკი და არა ჩვეულებრივი იყო. სპარსელების დახმარებით გათამამებულმა სომხებმა არა მარტო გაკათოლიკებულები სდევნეს, კაფუცინებიც ძრიელ ბევრი გალახეს, მათი სახლ-კარი მაჰმადიანებს ააკლებინეს, ეკკლესია თვით მიითვისეს და ცოცხალ-მკვდარი კაფუცინები ტფილისიდანაც განდევნეს, რაიცა სხვა დროებში ვერ შეიძლეს [64]).

ესრეთი ფიცხელი დევნულება რა სცნო რომმა, კვალად მიმართა ევროპის მთავრებს, რომ სპარსეთის მეფის წინაშე ეშუამდგომლათ. თავის მხრითაც პაპმა მიმართა შაჰისა და სთხოვა კათოლიკების მფარველობა და მდევნელის სომხების დასჯა, რაის გამო სპარსეთის მთავრობამ ფიცხი ბრძანება გამოსცა და სომხებს დაემუქრა. ამ ახალმა ბრძანებამ უწყალო დევნულება ცოტა შეაჩერა და სომხები ალაგმა. იგინი მაინც არ დაწყნარდენ, პირიქით მუდამ ცდილობდენ და შემთხვევას ეძებდენ, კათოლიკების წინააღმდეგ დევნულება განეახლებინათ. ესრეთი თავიანთი სანატრელი მარჯვე დრო რომ ვერ მოიპოვეს, მიმართეს ერთს ახალ საშუალებას მისიონერების სავნებლად. ამას აღგვიწერს კაფუცინი იოსებ მარია მოდენელი, რომელმაც 3 იანვარს 1756 წ. რომში ვრცელი მოხსენება გაგზავნა. სხვათა შორის აი რას გვეუბნება: „სომხები წინააღუდგნენ პატრებს 1753 წ. მათმა მოთავემ, სახელად ალამელიქმა, ტფილისის ქართველების პატრიარქს მოლტანა ერთი ქისა ფული 500 თუმანი და სთხოვა, ან გააძევეთ აქედან კაფუცინები და ან არა-და ეკკლესია ჩამოართვითო, პატრიარქ-

---

[63]) Caterin Zeno, Storia delle sue avventure in Persia, p. 35. Venezia, 1783.—Revue de l'Orient latin, vol. 7, 1899, p. 279, 288.

[64]) პროპაგანდის არხივი, Romania, vol. 8.

მაც უპასუხა, მათ წინააღმდეგი არაფერი მაქვს და ასეთს უსამართლობას მათ არას დროს ვუზამო, ამისთვის ეგ ფული ისევ შენთვის შეინახეო. ესე შერცხვენილი გაისტუმრა“ [65]).

იგივე კაფუცინი ვრცლად მოგვითხრობს კიდევ სხვა-დასხვა შემთხვევას. სხვათა შორის ამბობს, რომ თუმცა კი ხანდისხან სომხები დაწყნარდებოდენ, მაგრამ არაოდეს ჰსტოვებდენ მტრობას და სიმძულვარეს ჩვენ წინააღმდეგ და სულ ძმას ცდილობდენ, აქედან გავეძევებინეთ, ამისთვის სხვადასხვა ლონეს ეძებდენ და სხვადასხვა მანქანებას ხმარობდენო. ეგრეთვე მოგვითხრობს იმასაც, რომ 1754 წ. ტფილისისა და გორის სომხები ერთად შეერთდენ, მეფესთან მივიდენ და დაიწყეს ჩივილი და თხოვნა ჩვენი აქედან განძევებისაო; ერეკლე მეფემ უარი უთხრა, მაშინ მიმართეს დედოფალს, რამდენიმე საჩუქარი მიართვეს და სთხოვეს, იმას მაინც შეესმინა მათი თხოვნა. ამ გზით იმის ნება-კი ვერ გამოიტანეს, კაფუცინები გაეძევებინათ, მაგრამ კი გამოართვეს მეფეს ერთი წიგნი, რომლითაც იგი ყველას უკრძალავდა მომავალში კათოლიკედ გახდომას; თუ ვინმე კათოლიკობას მიიღებს, მაშინვე ყველაფერი უნდა ჩამოერთვას და განძევებულ იქმნას თავის სახლიდანაო. ამ წერილმა დიდად გაახარა სომხები, რომლებმაც ყველა ეკკლესიებში წააკითხვინეს ეს წიგნიო. როგორც ეს, ისე სხვა საბუთი ნებას გვაძლევს ვთქვათ, რომ 1755 წ. მოხდენილი დევნულება კაფუცინების წინააღმდეგ თეიმურაზ მეფისგან მიეწერება უფრო ბერძნებს და სომხებს, ვიდრე ქართველებს. რადგან ბერძნებმა და სომხებმა აღძრეს თეიმურაზ მეფე კაფუცინების განსაძევებლად. ჯერ ეს, რომ კოსტანტინეპოლის ბერძნების პატრიარქმა თეიმურაზს წიგნი მისწერა და განგებ მღვდელი გამოუგზავნა, რომ კაფუცინები განეძევებინა თავის სამეფოდან. ეგრეთვე სომხებმაც კარგი შემთხვევა ჩაიგდეს ხელში, მისიონერებისთვის ბოლო მოელოთ. ამისას ჯულიო ბონავენთურა ტრენტელი, 1757 წ., რომისადმი თავის მოხსენებაში ასე ამბობს: „ამ ამბავზე საქართველოს

---

[65]) პროპაგანდის არხივი Monte Caucaso, vol. 2, № 69.

ყველა ადგილებიდან შემოიკრიბნენ მეფის ნაცვლები და მსაჯულები, რომლებიც უმეტესად სქიზმატიკი სომხები არიან. იმათ უფრო შეაგულიანეს მეფე ჩვენ წინააღმდეგ; ბევრი ელაპარაკნენ, ბევრს ეცადნენ და დიდი ფულიც მისცეს მეფეს ჩვენ განსადევნელად. ბოლოს მოგვივიდა ბრძანება ჩვენის განძევებისა მის სამფლობელოდან და აღარც მიგვიღო თავისთან"[66]).

ერთი უტყუარი საბუთიც ის არის, რომ მეფემ კაფუცინები რა განდევნა, მალე მეგობრული წიგნი მისწერა და მოსთხოვა ერთი მღვდელი ტფილისის უმწყემსოდ დატოვებული ერის მოსავლელად. აი მისი წერილი: „ქ. მეფის. თეიმურაზის. და. მეფის. ირაკლის. კეთილად. სახსენებელო. და. არას. ოდეს. არ. დასავიწყარო. ახალციხის. ხუცების. უფროსო. პატრი. ლეონარდო. მერმე. რაც. ამ. ჩვენს. ქვეყანაში. თქვენის. სარწმუნოებისა. არიან. ვინმე. და. რადგანაც. იმათ. ღვდელი. ეჭირებოდათ. მოვიდნენ. და. შემოგვეხვეწნენ. და. ჩვენც. თქვენთვის. მოგვიწერია. რომ. ერთი. ახალციხელი. ხუცესი. გამოგზავნო. ამათ. უმღვდლოს. ახალციხელი. ტერ-სტეფანა. რო. არის. თუ. ის. სიბერკაცით. არ. დაზარდება. და. წამოვა. კარგი. იქმნება. თუ. არა. და. რომელიც. შენ. მუნასიბი. ნახო. ის. გამოგზავნე. მაგრამ. ახალციხელი. ხუცესი-კი. იყოს. მოვიდეს. აქ. იმათ. ულვდლოს. მანამდინ. ან. თქვენი. და. ან. ამ. ხუცის. ნება იყოს. და როცა. წამოსვლა. უნდოდეს. ეს. წამოვიდეს. და მანდედამ. მაგიერს. სხვას. გამოგზავნიდეთ. ნუ. რა. ეფიქრება-რა. კაცებს. გამოვატანთ. ღვთის. შეწევნით. შვიდობით. გამოვატარებინებთ. და. მანდედამაც. მშვიდობით. წამოვაყვნინებთ. თქვენს. ამბავს. მოგვწერდეთ. იანვრისა კგ. ქეს. უმტ. [ბეჭედი თეიმურაზისა] [ბეჭედი ერეკლესი]

---

[66]) Al rumore di questi successi concasero da tutti i luoghi della Georgia i vicari, e giudici del re i quali per lo più sono armeni scimmatici per istuzzicare il re contro di noi, e tanto dinero, tanto fecero e tanto offrirono d'oro al re peril nostro discacciamento, che alla fine ci fu intimato il bando, e l'esiglio dai suoi stati, senza più volerci ammottere allo suo présenza. (პროპაგანდის არხივი Monte Caucaso, vol. 2, № 69).

ეს წერილი მტრის წერილი არ არის, არამედ ერთგულ მეგობრისა და ინახავს პროპაგანდის არხივი, ტომი მესამე, Giorgia.

ამ დევნულების შემდგომ სომხები მაინც არ დასცხრნენ, ტფილისში მოქმედებულს უსჯულოებას არ დასჯერდენ, ახალციხის კათოლიკებსაც მისწვდენ და დაუწყეს საშინელი ბრძოლა. ამ ამბავს პირველად რომში აცნობებს კოსტანტინეპოლის ლათინის არხიეპისკოპოსი. ახალციხელი ქართველები, როგორც თვითანვე უწოდებს, საჩქაროდ მისულან მასთან და უთხოვნიათ, როგორმე ერთი ფირმანი მოეპოვებინა ხვანთქრისაგან, რათა დაეხსნათ თავიანთი მღვდლები და დაებრუნებინათ ჩამორთმეული ეკკლესიები. ამის შესახებ ასე სწერს რომში 30 აგვისტოს 1769 წ. „უკანასკნელად საქართველოში ის მოხდა, რომ ერეტიკ სომეხს ეჩმიაძინის პატრიარქს მიუცია 15 ქისა ფული ახალციხის ახალ ფაშისათვის, დაუჭერინებია იმ ქალაქის მღვდლები და შებორკილი თავის მონასტერში წაუყვანინებია, სადაც ახლა ხელში ჰყავს ყველანი; ამათი ეკკლესიები გაუცარცვინებია და დაუბეჭდვინებია: ხუთი კაფუცინიც დაუჭერინებია და ტყვედ წაუყვანინებია ერთს მაჰმადიანების სოფელში, ახალციხიდგან რვა დღის სავალზე, რომელსაც ეწოდება ბარდუს. ესრედ მთელი კათოლიკები შეუძრწუნებია და დაუტოვებია უღვდლოდ და უეკკლესიოდ“ [67]). ამ ტყვეობაში რაც შეწუხება გამოუვლიათ ოთხ ახალციხელ მღვდლებს და პატრებს ვრცლად სწერს რომში პატრი ალიოზი პრაგელი თვით იმავე ბარდუსის სატყვეოდან 11 ნოემბერს 1769 წ. თურმე პატრიარქს უწყალოდ უცემინებია ამ მღვდლებისათვის, რათა კათოლიკე სარწმუნოება უარეყოთ; კაფუცინებიც გამოუმწყვდევინებია იმისთანა საშინელს და ვიწრო ადგილში, საცა ფეხის გაშლაც არ შესძლებიათ, საჭმელად ვერაფერი უშოვიათ; იქაურებს კიდეც დაუპირებიათ მათი დახოცვა. იქ მღვდლები ორ წელს და რვა თვეს დარჩენილან, ხოლო კაფუცინები-კი ადრე დაუხსნიათ, რადგან კოსტანტინეპოლს სა-

---

[67]) პროპაგანდის არხივი Monte Caucaso, vol. 3, № 40.

ფრანგეთის ელჩს მალე აუღია მათი გათავისუფლების ფირმანი.

თუმცა კაფუცინები და იქაური მღვდლები ახალციხეში დაბრუნდენ, გარნა სომხები მაინც არ ასვენებდენ. ბუდამ სხვა და სხვა მიზეზით მტრობდენ იქაურ კათოლიკებს და დევნულებას უახლებდენ. სომხების პატრიარქისვე ჩაგონებით იყო, რომ ხვანთქარმა ახალციხის კათოლიკები დაუქვევრდომა ეჩმიაძინის პატრიარქს, რაისგამო სამწელიწადში ერთხელ განგებ ერთი ვართაპეტი მიდიოდა და კათოლიკებს ხარკს ართმევდა. ერიც ამ გადასახადს მორჩილებით ტვირთულობდა, რათა პატრიარქის უწყალო დევნულება თავიდგან აეცილებინა. მაგრამ ეჩმიაძინის გამძაფრებული პატრიარქები არ ჰსჯერდებოდენ ამ გადასახადს. რამდენათაც და როდესაც-კი შეიძლებდენ, იქაურ კათოლიკებს სდევნიდენ და ხშირად მათ სახლ-კარსაც ოსმალებს აკლებინებდენ. ესრედ იქაური კათოლიკები მუდამ წამებული იყვნენ სომხების პატრიარქების და მათ მიერ წაქეზებულ მაჰმადიანთაგან.

თემურაზის მიერ განდევნილი კაფუცინები მალე მობრუნდენ ტფილისში, საცა ერეკლე მეფემ დაუწყო უწინდელივით პატივისცემა და მისცა თავისუფლება კათოლიკე სარწმუნოების ქადაგებისა. გარნა სომხებმა არ დააგდეს თავიანთი დევნულების იარაღი; მუდამ მტრობდენ კაფუცინებს და, რაც-კი შეეძლოთ, შეურაცხებას აყენებდენ. ასე რომ პაპი კლემენტე XIV იძულებული გახდა და 23 აგვისტოს, 1769 წ. ერეკლეს მოსწერა წიგნი, რომლითაც სთხოვა კათოლიკები და კაფუცინები დაეფარა კათოლიკობის მტრების წანააღმდეგ. ერეკლემ კარგად დაიწყო, ბევრ გზის შემწეობა და მფარველობა აღმოუჩინა მათ. მაგრამ საქმემ ასე კარგად ვერ გასტანა ყოველთვის.

კათოლიკების დაუძინებელმა მტრებმა სომხებმა რა ნახეს, საქართველოში თავიანთი მოსყიდული სპარსელები ისე ველარ ბატონობდენ, როგორც უწინ, რაის გამო თავიანთი ბოროტი წადილი სისრულეში ადვილად ველარ მოჰყავდათ, ეცადნენ მოესყიდათ მეფე ერეკლეც, რათა კათოლიკები უფრო თამამად ედევნათ. მათ ბოროტ გულისთქმას ხელი შეუ-

წყო ერეკლეს პირველის შვილის ქორწინებამ, რომელზედაც მოწვეულ იქმნა სომხების პატრიარქიც 1775 წ. პატრიარქმა თავის მაგიერად გამოგზავნა ორი ვართაპეტი. ამათ და ტფილელმა სომხებმა ერეკლეს მისცეს სამასი თუმნის საჩუქარი და შვიდასი თუმანი ნაღდი ფული; მასთანვე კიდევ სხვა ბევრ რასმე დაჰპირდენ. ამ საშუალებით ისე მოხიბლეს სომხებმა ერეკლე, რომ რაც უნდოდათ, ის აქმნევინეს. დაუწყეს უწყალო დევნა კათოლიკებს და იმოდენი უსამართლობა მიაყენეს, რომ უარესი აღარ შეიძლებოდა. ამნაირმა დევნულებამ კარგა ხანს გასტანა, ასე რომ 1777 წ. პატრი დომინიკე რომში სწერს და სთხოვს, ავსტრიის იმპერატორს დასატუქსი წერილი მოაწერინოს და დაემუქროს კოსტანტინეპოლელ სომხების პატრიარქს, რომ იშუამდგომლონ ეჩმიაძინის პატრიარქთან დევნულების შეყენებისათვის [68]). ერეკლემ მალე აიღო ხელი უსამართლობაზე და კაფუცინებს ძველებური მეგობრობით ეპყრობოდა და მფარველობდა, მაგრამ სომხების სიბოროტეს და მტრობას არაფერი ეშველა და დროს განმავლობამ ვერავითარი ზედმოქმედება იქონია მათზედ.

თითქმის ისე წელიწადი არ გასულა, რომ სომხებს ხელახლავ არ დაეწყოთ ახალი დევნულება ამა თუ იმ ადგილს, რასაც ტფილისის კაფუცინებს უშვრებოდენ, იმას არც გორში მყოფთ აკლებდენ. მაგრამ იქ 1782 წ. უფრო ფიცხად დაუწყეს დევნულება. ამის შესახებ გორიდგან რომში პატრი ანდრია პალერმელი იმავე წლის 25 აგვისტოს სწერს ესრედ: „ამ წელიწადს დაგვიწყეს ხანგრძლივი დევნულება ყოველგვარის ერეტიკის სიცოფით, შემდგომ ბევრი ჩხუბისა და სისხლის დაღვრისა, შეერთდენ ყველა მწვალებელნი და დაუწყეს ჩვენს ეკკლესიას ჩაქვავება. მოწინავე კათოლიკები ყველანი გაიქცნენ და ტფილისში მიმართეს მეფეს, რომლისაგანაც ექვსი თვის შემდგომ მოიპოვეს ბრძანება კათოლიკების სასარგებლოდ“ [69]). სომხების მტრობამ ზოგჯერ იქამდე მია-

---

[68]) იხ. ჩვენი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 388—392.

[69]) პროპაგანდის არხივი Giorgia, vol. 4, № 11.

წია, რომ კაფუცინები სასიკვდილოთაც არ დაზოგეს: ახალ-ციხეში ერთი კაფუცინი მოწამლეს [70]).

სომხები ერთ ადგილს რა გაათავებდენ დევნულებას, მა-შინვე დაიწყებდენ მეორე ადგილს, ასე რომ სრულებით მო-სვენებას არ აძლევდენ. კათოლიკებს იგივე კაფუცინი ანდრია ტფილისიდგან სწერს რომში 3 თებერვალს 1790 წ. „გავლილ-წლებში ჩვენმა დაუძინებელმა მტრებმა სომხებმა დაგვიწყეს დევნულება, დახარჯეს შვიდასი თუმანი და მეფეს დაჰპირდენ დიდძალი ფულის მიცემას, ოღონდ კაფუცინები განდევნეთ აქედანო. მან უპასუხა, მე და ჩემი სახლობა უექიმოდ ვერ დავრჩებითო. სომხები დაჰპირდენ, ერთი კარგი ევროპელი ექი-მი მოეყვანათ თავიანთის ხარჯით. მართლაც კოსტანტინეპოლს გაგზავნეს კაცი და მოიყვანეს ერთი ფრანგი მკურნალი. ეს ექიმი რადგან ცოტა სუბუქისა და დაუდგრომელის ხასიათისა იყო, ამისათვის აქ დიდხანს ვერ დარჩა და სხვაგან წავიდა“ [71]).

ამ რავდენისამე საბუთის მოხსენებას საკმაოდ ვრაცხთ, რადგან ამითაც ნათლად სჩანს, თუ რაოდენი ულმრთოება ჩაუ-დენიათ სომხებს საქართველოში ლათინის მისიონერების და კათოლიკე სარწმუნოების წინააღმდეგ. ამ რავდენისამე საბუ-თის მოყვანაც კმარა, რომ საქვეყნოდ და სამუდამოდ შერ-ცხვნენ და გამტყუნდენ ის ორი ვაჟბატონი, „მშაკის“ ახა-ლი მწერლები, რომელთაც კადნიერად და დიდის ფახით დას-წერეს, ვითომც საქართველოში მარტო სომხები ყოფილიყვნენ მისიონერების თანამგრძნობნი და მარტო მათ მიეღოთ კათო-ლიკე სარწმუნოება. ეგრეთვე ეს რავდენიმე ფაქტი საკმაოდ გვიჩვენებს მიზეზსა, თუ მისიონერები რისთვის უწოდებენ სომ-ხებს თავიანთ უდიდეს, დაუძინებელ, შეურიგებელ და სამუ-დამო მტრებს; თუ რისთვის იხსენიებენ მათ მუდამ წყევლით და შეჩვენებით, და თუ რათ რაცხვენ მათ ყველაზე უბოროტ-ეს მტრებად.

---

[70]) იხ. ჩვენი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ გვ. 454.

[71]) პროპაგანდის არხივი Giorgia, vol. 4, № 58.

უტყუარი და ცხადი ფაქტია და მისიონერებიც ხშირად თავიანთ წერილებშიაც ამბობენ ამას, რომ ქართველი ერი და სამღვდელოება მუდამ მეგობარი იყვნენ კაფუცინებისა, სომხის სამღვდელოება და ერი-კი მუდამ შეურიგებელი მტერიო. მარტო ერთ შემთხვევაში ვხედავთ, რომ სომხები დამეგობრებიან კაფუცინებს. ესეც ის დროა, როდესაც რუსის მთავრობის წყალობით სომხებს აღარ შეეძლოთ თავიანთებურად ედევნათ და ჩაექვავებინათ მისიონერები და კათოლიკები. ამ გარემოებას სწერს რომში, 23 იანვარს 1815 წ., მეტად სახელგანთქმული პატრი ფილიპე [72]). ამ ერთი შემთხვევის გარდა, სომხები 1628 წლიდან მოკიდებული ვიდრე 1800 წლამდე, მუდამ და შეუწყვეტლად მტრობდენ კათოლიკე სარწმუნოებას და უწყალოდ სდევნიდენ მისიონერებს და კათოლიკებს, რომლებსაც, მოსყიდულ მაჰმადიანთა დახმარებით, ყოველნაირ ბარბაროსობას და ულმრთოებას უშვრებოდენ. თუ ერთ-ორ შემთხვევაში მისიონერებმა თავიანთ წერილებში სთქვეს, უფრო მომეტებულად სომხები დგებოდენ კათოლიკედ, ვიდრე ქართველებიო და მარტო სამას გაკათოლიკებულ სომეხს იხსენიებენ, რაც ჩვენმა მოკამათე სომხებმა თავიანთის ნათქვამის დედაბოძად გაიხადეს და დიდის ამბით წარმოგვიდგინეს რუსულ გაზეთებში [73]), ეს უნდა მიეწეროს განსაკუთრებულ და ბედნიერ შემთხვევას და გარემოებას და არა სომხების კათოლიკობაზე მიდრეკილებას და მათ კაფუცინებთან მეგობრობას. ესე რომ არ ყოფილიყო, მაშინ არც იმ საზიზღარ დევნულებას ექნებოდა ადგილი. არც ეს უნდა დავივიწყოთ, რომ გაკათოლიკებული სომხები, განუწყვეტელისა და უწყალო დევნულებისა გამო, ხშირად სტოვებდენ ძალა-უნებურად კათოლიკე სარწმუნოებას და ისევ თავიანთ ძველ სარწმუნოებაზე გადადიოდენ, რათა ყოველი უბედურება თავიდან აეცილებინათ [74]).

---

[72]) იხ. ჩვენი ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 504.

[73]) Storia delle Missioni dei Cappuccini, per P. Rocco, p. 349, 370. Roma, 1873.

ხოლო ქართველთა მისიონერებისადმი მტრობას მარტო სამ შემთხვევაში ვხედავთ; პირველად 1669—1670 წლებში, როცა კათალიკოსმა სკოლა დააკეტინა, მაგრამ ისევ მალე ნება მისცა გაღებისა, ამის გამო არავითარი ვნება მოსვლიათ მისიონერებს; მეორედ 1717 წ., რა დროსაც ქართველებმა მარტო თანაუგრძნეს სომხებს, დევნულება არ დაუშალეს და მისიონერები უწინდებურად აღარ დაიფარეს სომხების წინააღმდეგ; ხოლო მესამე ნამდვილი დევნულება მოხდა 1755 წ., როდესაც თეიმურაზ მეფემ კაფუცინები ტფილისიდან განდევნა და მათი ეკკლესია მიითვისა. ამ სწორე და ერთად ერთი დევნულების მიზეზი მარტო ქართველები არ ყოფილან, არამედ, როგორც ზემოთ ვნახეთ, უფროსიერთად ბერძნებსა და სომხებს ედებათ ბრალი. ესეც შემთხვევითი და დროებითი იყო, ვინაიდგან ერეკლე მეფემ ისევ მალე მოიწვია კაფუცინები, პატივი სცა მათ და მისცა ყოველი უფლება.

აქ არ ვასახელებთ ერეკლეს მიერ დროებით მტრობას და დევნულებას, რადგან მან მხოლოდ სომხების ჩაგონებით იმოქმედა და ფულის გამო შეიქმნა მათი ბრმა იარაღი. ამას არ ვრაცხთ ქართველების მიერ ატეხილ დევნულებად, რადგან ერეკლეს გარდა სხვა ქართველებს არ მიუღიათ მონაწილეობა. ყველა ქართველი წინააღმდეგი იყო ერეკლეს ამნაირი მტრულის მოქმედებისა. ხსენებული პატრი, როდესაც რომში სწერს ერეკლეს უსამართლობას, მასთანვე ამასაც აცნობებს ქართველების შესახებ: „რადგან ერეკლე მეფის ასეთი უსამართლობა ყველასთვის ცხადი იყო, ამიტომ ქართველების მომეტებული და საუკეთესო ნაწილი ბერძნის სარწმუნოებისა, განსაკუთრებით მონაზონები, ეპისკოპოსები და მათი

---

[74]) იხ. ჩვენი ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 468.

ეგრეთვე პატრი ფილიპე 11 ნოემბერს 1815 წ. ტფილისიდან სწერს რომში: „ვაუწყებ წმიდა კრებას, რომ სომხის ტომი გამძლე არ არის. თუ შეუერთდა კათოლიკობას, ბევრ ხანს არ დარჩება ერთობაში, როგორათაც ამტკიცებენ ამას ნამყო ფაქტები. (პროპაგანდის არხივი Giorgia, vol. 5, № 54).

კათალიკოსი, ცხადად ჰკიცხავდენ მეფის ასეთ უსამართლო მოქცევას; არა მარტო ბერძნის მონაზონები (ქართველები), არამედ თვით კათალიკოსიც და ეგრეთვე მეფის უფროსი შვილიც მოდიოდენ ჩვენ სანახავად და გვანუგეშებდენ, რადგან გვხედავდენ, თუ რა უსამართლოდ ვიყავით დევნულნი; ვერც გაეგოთ, თუ ფულმა ისე როგორ დააბრმავა და შესცვალა ერეკლე, რომ თვით თავის საუკეთესო ქვეშევრდომებსაც კი აღარ უსმენდა, როდესაც რასმე ეტყოდენ ჩვენ სასარგებლოდ" [75]). სწორედ მაშინ იყო, რომ ქართველთ კათალიკოსმა ჩააგონა კაფუცინებს, ავსტრიის კეისრისათვის მოეწერინებინათ წიგნი ერეკლეს შესარცხვენად და სომხების პატრიარქის დასამუქრებლად. ამისთვის ამ დევნულებასაც სრულიად ვაწერთ სომხებსა.

ხოლო ეს სამი ზემოდ ხსენებული დევნულება, ქართველების მიერ მოქმედებული, თუ როგორმე შეიქმნა კათოლიკობის მავნებელი და შეაფერხა ცოტად, თუ ბევრად, ქართველების გაკათოლიკება, რაღა უნდა ვსთქვათ სომხების მიერ იმდენ გზის აღძრულ უწყალო დევნულებათათვის და შესახებ სომხების გაკათოლიკებისა? სომხების მიერ დევნულებას ზომა და რიცხვი არა ჰქონდა. უკეთ რომ ვსთქვათ, სომხები მუდამ სდევნიდენ კათოლიკობას და არასოდეს სცხრებოდენ მისიონერების მტრობისგან. განა შესაძლებელი და შესაწყნარებელია, რომ მარტო შეურიგებელი მტერი სომხები გაკათოლი-

---

[75]) Come che le ingiustizie del principe Eraclio erano a tutti palesi, cosi la maggiore e megliore parte delli Giorgiani, cioè di fede greca, e particolarmente li monaci, vescovi ed il loro catolicosi apertamente disaprovavano l'ingiusto procedere del principe e non solamente li monaci greci, ma il loro patriarca medesimo come pure il primogenito del principe per lo compassione, che ebbero in vederci da tante ingiustizie oppressi, venivano a visitarci e consolarci nelle nostre tribulazioni, ne potevano capacitarsi come il principe Eraclio s'abbia lasciato dal danaro acciecare, ed impervertire in maniera, che non dava orechio a gualsisia soggetto riguardevole, che parlava in nostro favore. (პროპაგანდის არხივი, Monte Caucaso, vol 3, № 60).

კებულიყვნენ და არა მისიონერების მეგობარი და მფარველი ქართველები? დასკვნა აზრისა გონიერის მკითხველისათვის მიგვინდვია.

თუ გავიხსენეთ ეს ზემოდ მოყვანილი რამდენიმე საისტორიო ფაქტი სომხის კათოლიკების ორგულობისა, მათის მცირე რიცხვისა და ეგრეთვე მისიონერების ეს წერილები საქართველოში სომხების მიერ მოქმედებულის დევნულების შესახებ, ვყავით იმ აზრით, რომ კარგად დაინახონ ჩვენმა მოკამათე სომხის მწერლებმა, თუ უწინ როგორი და რავდენი სომხის კათოლიკები ყოფილან, თუ სომხებს საქართველოში რანაირი განწყობილება და ურთიერთობა ჰქონიათ მისიონერებთან და კათოლიკე სარწმუნოებასთან, რათა აღარ სთქვან დაჟინებით „მარტო სომხის ტომმა გამოიჩინა მიდრეკილება კათოლიკობაზე და მარტო სომხებმა მიიღეს კათოლიკობაო“. კვალად იმიტომ გავიხსენეთ ესრეთი არა სასიამოვნო გარემოებანი, რათა კარგად სცნან და გაუფრთხილდენ ნამდვილი და ერთგული სომხის კათოლიკებიც და არაფერში მიენდონ იმ მოჩვენებულ და მატყუარ სომხის კათოლიკებს, როგორნიც არიან „ᲨᲐᲙᲘᲡ“ მწერლები: ავეტის ეზეკოვები, „ერთი სომხის კათოლიკე“-ბი, „ა. სარუხანები“ და სხვა ამათი მსგავსნი, რომლებიც თავიანთ თავს კიდევ კათოლიკედ უწოდებენ, მაგრამ კათოლიკე ეკკლესიის წინააღმდეგ ყოველნაირ საქმეს ჩადიან. თავიანთი სარწმუნოების თანაძმებს, რაც-კი შეუძლიათ, სდევნიან და სამუდამო სამარეს უმზადებენ. რადგან ხე ნაყოფისგან საცნაურ არს, დაუკვირდენ, თუ რას ჩადიან და რას მოქმედებენ, სცნან, რომ მათი მოქმედება ესე ბევრად არ განირჩევა მისიონერების მიერ აღწერილ დევნულებაში. უკეთუ ამნაირ მოქმედებას კარგად ჩაუკვირდებიან და გამოიძიებენ, მაშინ ცხადად სცნობენ, რომ ესრეთი პირები კათოლიკები-კი არა, არამედ ნამდვილი მტრები ყოფილან კათოლიკებისა. თუ ეს ბოროტები ისევ კათოლიკის სახელს ირქმევენ, იმიტომ, რომ უფრო კარგად ავნონ კათოლიკე ეკკლესიას, უფრო ადვილად შეაცთუნონ და განაშორონ მისგან მისი ერთგული შვილები.

ამ მოჩვენებულ კათოლიკებსაც მოვაგონებთ, რომ თავიანთი მტრობით და უსამართლო მოქცევით რომის ეკლესიას ვერაფერს დააკლებენ; მაგრამ ღვთის საშინელის განკითხვის დღეს განიმრავლებენ მძიმე პასუხის გებას. მაშ დაუფიქრდენ კარგად თავიანთ ნამოქმედარს და მის შედეგსა, აიღონ ხელი ესრეთ მტრობასა და სიმძულვარეზე, ნუ სდევნიან თავიანთ ერთმორწმუნე თანამოძმეთ, ქართველ-ლათინის ტიპიკონის კათოლიკებს, თუ უნდათ მართლა, რომ ჭეშმარიტნი კათოლიკენი იყვნენ ღვთისა და კაცის წინაშე.

თავი III.

როდის გადმოსახლდენ სომხები საქართველოში.

ჩვენ დასამდაბლებლად, ხოლო თავიანთი თავის ასამაღლებლად სომხების მწერლებმა ერთ კარგ საშუალებას მიაგნეს. ამ საშუალების წყალობით სომხები თავიანთ წადილს, საქართველოს ადვილად გასომხებას, ეწევიან. ეს საშუალება გახლავთ საქართველოში სომხების გადმოსახლების ამბავი. სომხის მწერლებს რომ კაცმა ჰკითხოს, ისინი საქართველოში უძველეს დროიდან, V საუკუნიდან, არიან გადმოსახლებულნი, ე. ი... რა დროდგანაც იწყება ბრწყინვალება ძველის საქართველოს დიდებისა. თუ საქართველოში როდისმე შესანიშნავი, საქებური და თვალსაჩინო რამე მომხდარა, მათის აზრით, ან სომხების მიერ მომხდარა, ან მათი შემწეობით და ზედგავლენით; თუ ვინმე გამოჩენილი სარდალი ყოფილა, ან სომეხი, ან სომხის ჩამომავალი ყოფილა; თუ ყველა წარჩინებული პირი არა, მათი მიმეტებული ნაწილი მაინც, მათი თქმით, უნდა ყოფილიყვნენ ივანე და ზაქარია მხარგძელები. ესრე, რაც შეუძლიათ, ყველას ასომხებენ და ყველაფერს სომხების უნარსა და შნოს ათვისებენ.

ჩვენ, რასაკვირველია, არავითარი სიმართლე გვექნებოდა, უარი გვეთქვა, ან ხმა ამოგვეღო ძველიდროდგანვე საქართველოში სომხების გადმოსახლების შესახებ, უკეთუ ან საქართველოს ისტორიას, ან სხვა უცხო ქვეყნების მეისტორიეთ ამისი რამე ეთქვათ და საკმაო საბუთები ეჩვენებინათ ჩვენთვის. მაგრამ არც ჩვენი და არც სხვა ქვეყნის ისტორია ამ საგნისთვის ცხადათ და მტკიცედ არაფერს გვიჩვენებენ. ეს ამბავი

მართალი რო ყოფილიყო, ან ჩვენი, ან სხვა ქვეყნის მე ისტორიენი უეჭველად ხმას ამოიღებდენ, რადგან ამ გადმოსახლებას უთუოდ დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ჩვენის ქვეყნისათვის; ესრეთი გარემოება არც უცხოელთ გამოეპარებოდათ შეუმჩნეველად.

ყველას რომ თვალი აუხვიონ სომხებმა და დაანახვონ ხალხს ყველაფერი ისე, როგორც თვით უნდათ, „მშაკის“ სახელოვანმა მწერალმა, 1897 წ. 137 ნომერში, ერთის კალმის მოსმით თურმე ყველაფერი დაამტკიცა. იმას თუ დავუჯერეთ, თამარ მეფის და გიორგი პირველის დროს და მათზე უწინდელ საუკუნეებში სომხები გადმოსახლებულან საქართველოში და საქართველოს ქალაქების მცხოვრებთა მომეტებული ნაწილი სომხები ყოფილანო, როგორათაც ამტკიცებენ ყველა ისტორიკოსები და იმ დროის მგზავრნიო. ნათქვამის დასასაბუთებლად, იმოწმებს მარტო პეტრე დელლა ვალლეს, შარდენს, ტურნეფორს, იოსელიანს და ვეიდენბაუმს. ყველასათვის ცხადია, რომ ესენი არიან XVII, XVIII და XIX საუკუნის მოგზაურნი და მწერალნი: ამათ დასწერეს ის, რაც იმ დროს ნახეს, გარდა შარდენისა, რომელმაც, თანამედროვე ამბის გარდა, ცოტა უწინდელი ისტორიაც მოგვითხრა. წარმოიდგინეთ, სად მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეები და სად მეთერთმეტე, მეათე და მათზე უწინდელი საუკუნეები!

უნდა აღვიაროთ, რომ ამ ახალ მოვლენილ ავტორს ისე ჰგავს, უვიცებად ჩაუთვლია თავისი სტატიის მკითხველები, რადგან თავის ნათქვამს უმტკიცებს იმისთანა საბუთებით, რომელსაც არავითარი მიმართი აქვსთ ნათქვამთან. ამ მგზავრებს რამე რომ ეთქვათ იმ დროის გარემოებისა, ანუ მაშინდელი სომხების სადმე გადასახლებისა, მაშინ შეიძლებოდა კაცს როგორმე გაემართლებინა ამ ვაჟბატონის საქციელი. გარნა მისდა სამწუხაროდ და ჩვენდა სასიქადულოდ, ეს მგზავრები სრულებით არ ლაპარაკობენ და კრინტსაც არა ძრვენ არც იმ საუკუნებისა და არც მაშინდელ სომხების გადასახლებისთვის. ხოლო აი რას მოგვითხრობენ მათი დროის საქართველოში ყოფილის სომხებისას. მაგალითად, პეტრე დელლა ვალლე თავის

მოხსენებაში, რომელიც საქართველოს შესახებ პაპს ურბანო VIII წარუდგინა 1627 წ., მარტო ორი სიტყვით იხსენიებს საქართველოს სომხებს, როდესაც აქაურის თავად-აზნაურებისთვის ლაპარაკობს, რომ ესენი ხელოსნობას და ვაჭრობას არ კადრულობენო, „არამედ ამისთანა საქმეების აღსრულებას უტოვებენ უცხოელებს, როგორც სომხებს, ურიებს, რომლებიც მათ ქვეყანაში ბლომად არიან, და სხვა ამათ მსგავსებსო“ [76]). აქ სად არის ნახსენები ან მეათე, ან მეხუთე საუკუნე, ან სომხების გადმოსახლება, რომლის დასამტკიცებლადაც დელლა ვალლეს ნათქვამს იმოწმებს ბ. ა. სარუხანი? ეს მგზავრი მარტო ახსენებს საქართველოში იმ დროს ყოფილ სომხებს, რომლებსაც უწოდებს უცხოელებს, და ადარებს ურიებს და სხვა უცხო ტომის ხალხს. ისე ჰგავს, ბ-ნ სარუხანს პეტრე დელლა ვალლეს მოგზაურობის წერილები არც-კი უნახავს, შიგ არც-კი ჩაუხედია და ისე მოწმად მოუყვანია იგი; რომ წაეკითხა, ცოტაც არის დაფიქრდებოდა და ესრედ არ მოიქცეოდა.

არც შარდენის მოწმობა გამოადგება ბ-ნ ა. ს., რომ მით დაამტკიცოს სომხების გადმოსახლება საქართველოში V, X და XII საუკუნეებში, რადგან ამ მგზავრის სიტყვებიც შეეხება მარტო XVII საუკუნის გარემოებას და ლაპარაკი სრულებით არ არის სომხების გადმოსახლებისთვის. აი მისი სიტყვებიც: „საქართველოში ვხედავთ სომხებს, ბერძნებს, ურიებს, მაჰმადიანებს... და ევროპელებს. სომხები იქ იმდენი არიან, რომ მათი რიცხვი ქართველებზე მომეტებულია. ისინი უფრო მდიდრები არიან და საზოგადოდ აქვსთ პატარა მოხელეობა და მდაბალს ხელობას მისდევენ“ [77]). ყველასთვის ცხადია, რომ შარდენის ეს მოწმობა შეეხება XVII საუკუნეს, როდესაც თვით გამოიარა საქართველოში. არ ვიცით, თუ რამ დაატანა ძალა ამ მწერალს, რომ მოჰყავს ამ დროის მოწმობა, თუ მარ-

---

[76]) პროპაგანდის არხივი Informatione della Giorgia data a Urbano VIII, da Pietro della Valle, l'anno 1627.

[77]) Chardin, Voyage en Perse, partie 1-ère, p. 123.

თლა აზრად აქვს, ამითი ჩვენ დაგვიმტკიცოს ძველ დროდანვე სომხების გადმოსახლება საქართველოში? უნდა ვიგულისხმოთ, რომ თვითვე არ ესმოდა, რასაც სწერდა „მშაკში“.

თუმცა-კი თვით შარდენის სიტყვები „საქართველოში სომხების რიცხვი ქართველებზედ მეტიაო“ ადვილად შესაწყნარებელი არ არის, გამოძიება და დამტკიცება სჭირია, მაგრამ ჩვენ რადგან საქართველოში იმ დროს მყოფ სომხების საერთო რიცხვზე ლაპარაკი არა გვაქვს, ამისთვის ამ საგნის გამოძიებას აქ არ გამოვუდგებით. მხოლოდ გაკვრით ვიტყვით, რომ სომეხნი საქართველოში ქართველებზე მეტი ეხლა არ არიან და მაშინ როგორ იქნებოდენ. ესევე ითქმის მაშინაც-კი, საქართველოს ყველა გრიგორიანი რომ მარტო სომხის მოდგისად ვიცნოთ და მათი ორი მესამედი ნაწილი მაინც არ შევიწყნაროთ ბუნებრივ ქართველებად.

თუ ამ ორი მწერლის მოწმობა არ გამოადგება ბ-ნ. ა-ს., მას ვერ გაამართლებენ ვერც მოწმობა ტურნეფორისა და დანარჩენებისა, რომლებსაც ის იხსენიებს. თავის ნათქვამის დასამტკიცებლად მიუცილებლად საჭიროა, წარმოადგინოს ისეთი მოწმობა, რომელიც ამ საგანს და ხსენებულ დროებას შეეხებოდეს. ამისთანა მოწმობას იგი ვერსად ჰპოებს ევროპელთ ნაწერებში; ეს მწერლები, ამის ნაცვლად, სულ სხვა რასმე აღგვიწერენ. ბ-ნს. სარუხანს სხვა წყარო არა აქვს, თუ არ ისევ სომხის მწერლები, რომლებიც ამ საგნისთვის ლაპარაკობენ. ჩვენ-კი ადვილად ვერ შევიწყნარებთ სომეხთა მწერლების მოწმობას, როგორც საისტორიო ჭეშმარიტს ფაქტს, რადგან იშვიათად თუ ვისთვისმე საიდუმლოა, რომ მათი მწერლების ნაწერებში ძნელად მოიპოება სიმართლე და ჭეშმარიტება, მეტადრე როდესაც ლაპარაკობენ სხვა ტომების, ანუ იმ საგნისათვის, რომელიც ასე, თუ ისე შეეხება მათის ტომის ამაღლებას. მათ მწერლებს ხშირად სიმართლე აკლიათ. ამას მარტო ჩვენ კი არ ვამბობთ. ასეთისავე აზრის არიან ევროპელი მწერლებიც, რომელთაც-კი გამოიძიეს სომხებისაგან დაწერილი ისტორიები. მათი მსჯელობა ესე უსაფუძვლო არ არის, მეტადრე ახლა, როდესაც მეცნიერებმა ეროიან ძირი

გამოუთხარეს სომხების ისტორიას და მის დაქცევას და ხელ-მეორედ აშენებას საჭიროდ რაცხვენ. ყველამ იცის, რომ მოსე ხორენელი აქამდე შერაცხული იყო მეხუთე საუკუნის მწერლად და ითვლებოდა სომხის ისტორიის მამამთავრად. თითქმის მთელი სომხის ისტორიის მწერლები მას ემყარებიან, მაგრამ ახლა-კი სულ ერთიან ბედი შეეცვალა ამ ცამდე ამაღლებულს ისტორიკოსს. მეცნიერებმა მიაგნეს მის ახალ წყაროებს, რომლებიც 1892 წ. ვენეციაშა თვით მხითარისტებმა დაბეჭდეს და ახლა, როგორც უნდათ, ისე სწიწკნიან მას: აი ამ გარემოებას როგორ გვიხატვენ; „ბ-ნი კარრიერი უწყალოდ ბტყვნის იმ ცრუ ფარშევანგს მოსე ხორენელს, რომელიც უწინ სომხების საეკლესიო ისტორიის მთის მწვერვალზე დაფრინავდა, ახლა-კი, როგორც ერთი უბრალო ჭილყვავი (ბოლობეჭდა), მადრიელიც დარჩება, რომ მდაბალი ადგილი მაინც დაიჭიროს მერვე საუკუნის დასაწყისში“ [78]).

მოსეს გასამტყუნებლად, სხვათა შორის, მოჰყავსთ ეს შემდეგი კარრიერის საბუთი: „კარრიერის მშვენიერმა ბჭობამ მოსე ხორენელისა და მისი პატრიარქების გენეალოგიისათვის გააქარწყლა მოსეს მიერ სომხების ჩამომავლობის მოთხრობის სინამდვილე (აუტენტიკობა). კარრიერმა გარდაწყვეტით ცხად ჰყო, რომ ის მოგონილი სირიელი ისტორიკოსი, მარ აბბას კატინა, რომელსაც მოსე ხორენელი თავის წყაროდ ასახელებს, სხვა არა არის, თუ არ მისივე გამოგონილი, რადგან მას უნდოდა მოეთხრო იმისთანა ფაქტები, რომლებიც მანამდე არავის გაეგონა, ესრედ თავისი ფანტასტიური აღწერილობა დაჰფარა ერთის სირიელი ისტორიკოსის ავტორიტეტით; ეს ისტორიკოსიც ისე გამოგონილი და ზღაპრულია, როგორათაც ზღაპრულია მოთხრობა, რომელსაც მას ათვისებს“ [79]).

მოსესი არც ის მოთხრობაა სწორი, ვითომც მესროპს სასწაულებრივ გამოეგონოს სომხური, ქართული და ალბანური ასოები. ჯერ ის, რომ სენ-მარტენი ერთიან უარყოფს მესრო-

---

[78]) Journal Asiatique, 1895, t. 2, p. 94, Paris.

[79]) Journal Asiatique, 1892, tom. 2, p. 86.

ფის მიერ ალბანელებისათვის შედგენილს ანბანს, როგორა-თაც უარყოფს მათ სომხურს ჩამომავლობას. რადგან, ამბობს იგი, მართალი რომ ყოფილიყო მის მიერ ანბანის გამოგონება, ერთი მცირე რაიმე ნაშთი მაინც დარჩებოდაო; დღევანდელ დღემდე სრულებით არაფერი კვალი აღმოჩენილა ამისიო.

საკითხი სომხურის ასოებისა, რომლების სასწაულებრივს შედგენას მიაწერენ მესროფს როგორც მოსე, ისე სხვა მომეტებული სომხების ისტორიკოსები, საკმაოდ გამოიკვლიეს მეცნიერებმა. ზოგნი მიაწერენ მას მარტო ხმიანი ასოების შემოღებას და ზოგნიც ერთიან უარყოფენ მის მიერ რისამე გამოგონებას, ეს ასოები მესროფმა შუა მდინარიდგან (მესოპოტამიიდგან) მოიტანაო; ამისთვის დასცინიან სომხებს, რომ მესროფის ხშირის მოგზაურობით და ძებნით შეძენილს ასოებს სასწაულს მიაწერენო [80]).

„ქართლის ცხოვრება“ დაწვრილებით და ვრცლად აღგვიწერს, თუ საქართველო მეხუთე საუკუნეში, მეტადრე ვახტანგის დროს, როგორ ყვავოდა ყოველ მხრივ. ეს დრო დიდ წარჩინებულ დროდ არის შერაცხული ჩვენის ისტორიისთვის. აი, სწორედ ამ საუკუნეს ჩაავლეს სომხებმა ხელი, რათა თვით მიიწერონ და მიისაკუთრონ იმ დროის საქართველოს ყოველი დიდება. ვინაიდგან მოსე ხორენელის სიტყვით იმ დროს მოვიდა საქართველოში მესროფი, რომელმაც მისდა მონიჭებულის ზეგარდამო ძალით გამოიგონა ქართული ანბანი და მიაღებინა ბაკურ მეფეს და მოსე ეპისკოპოსს; ეგრეთვე დააარსა სკოლა, სადაც შეჰკრიბა ბავშვები გასაწვრთნელად და წასვლისას მათ დაუტოვა მოძღვრად ტერ კორძენი და მოსე დარონელიო [81]).

ამას უფრო ვრცლად მოგვითხრობს კურიონი, რომელმაც აღწერა მესროფის ბიოგრაფია. „ცოტა ხნის შემდგომ— ამბობს კურიონი—ღვთის მოყვარე მესროფმა განიზრახა ბარბარესების ქვეყანაშიაც, მისდამი მინიჭებულის საღვთო მადლის

[80]) შეადარეთ: Cappeletti Venezia, Boré, Büttners, Dessen Vermuth. Paris, Journal Asiatique, 1836, tom. 1, p. 215.

[81]) მოსე ხორენელი, ისტორია, წიგნი 3, თავი 54.

შემწეობით, ქართული ანბანის შედგენა... რავდენისამე მოწაფეთურთ წარვიდა საქართველოში. იქ მისვლისათანავე წარსდგა ბაკურ მეფისა და იქაურის მოსე ეპისკოპოსის წინაშე. მეფე თავისის ერით და თემებით ერთიან დაემორჩილა საღვთო სჯულს. წმიდამან უჩვენა თავისი ნაპოვნი ასოები და ყოველ ნაირად ეცადა დაეთანხმებინა და შემოეღებინებინა ეს ასოები. ყველანი დათანხმდენ მის თხოვნასა. შემდგომ ამისა, მეფემ ბრძანება გასცა, რათა ყოველთვის ქვეშევრდომ თემთა შორის შემოეკრიბათ ახალგაზდა ბავშვები და გასაწვრთნელად მიეცათ ამ წმიდა მოძღვრისათვის, რომელმაც მეცნიერების ბრძმედში გაატარა იგინი. ზეციერის ნიჭით აღვსილმა ისე განაშიშვლა იგინი ყოველის ეშმაკეულის უწმიდურებისა, გახრწნილებისა და ეგრეთვე თავიანთი სჯულისაგან, რომელიც დედის ძუძუსთან ეწოვათ, და ისე დაავიწყა ყოველი თავიანთი საერო ზნე-ჩვეულობა, რომ ყველანი ერთპირად ამბობდენ: მე დავივიწყე ერი ჩემი და სახლი მამისა ჩემისაო. ამნაირად შეადგინა სხვადასხვა პირებისა და ენებისაგან ერთი მხოლოდი ერი, მორჩილი ღვთიურთა ბრძანებათა და თაყვანისმცემელი ერთის მხოლოდისა ღმერთისა“ [82]).

სომხების მწერალთა უმრავლესობა დღევანდლამდე ამ ზღაპრებს იმეორებს და ჰფენს ამ ცრუ აზრს თავისის წერილებით თვით ევროპაშიაც-კი [83]).

ერთი რამ დავიწყებია წმიდა მესროფს — ქართველებისთვის სულის ჩადგმა! ესეც რომ ექმნა, მაშინ გაუთანასწორდებოდა მათს გამჩენსაც. ნუთუ შეიძლებოდა ამაზე მეტის ქმნა! მათი ასოები ამ მესროფს გამოუგონია, მათში ყოველი განათლება ამას შეუტანია, ეშმაკის ტყვეობისაგან ისინი მას დაუხსნია, საღვთო სჯული მას უსწავლებია და ესრედ მთელი ბარბაროსი ქართველები ღვთის თაყვანისმცემლად გაუხდია!!! რა დიდი უმადურობაა ქართველების მხრივ, რომ ამ მესროფს არ რაც-

---

[82]) Brosset, Histoire de la Géorgie, partie 1-e, p. 141—142. S.-Petersbourg, 1858.

[83]) იხილე: „Bessarione“ Roma, № 35—36, 1899, p. 473. ეგრეთვე „ივერია“ № 201, წ. 1902.

ხვენ ან მეორე წმიდა ანდრიად, ან მეორე საქართველოს გამნათლებელ წმიდა ნინოდ! საკვირველია, სომხებმა ეს როგორ მოითმინეს! ვინა სთქვა, რომ ქართველები ამ დროს ბარბაროსები იყვნენ? (ეს ადვილი მოსატევებელი იქმნებოდა, ბერძნებს, ან სხვა განათლებულ ძველ ტომთ რო ეთქვათ), ვინა სთქვა, რომ ქართველები ამ დროს გადაკერპებული ეშმაკის მონად შექმნილ იყვნენ, დაევიწყებინოთ ერთი მხოლოდ ღმერთი და წმიდა ნინოსგან მიღებული ქრისტეს სარწმუნოებას? ნუ თუ ამის წინააღმდეგს არ აცხადებს სომხებისგანვე დასახელებულის მოსესი, საქართველოს ეპისკოპოსის ყოფნა? განაკერპებს ეყოლებოდათ ეპისკოპოსი? ნუ თუ ეს თავიანთივე ისტორიის წინააღმდეგი არ არის, რომელშიაც სწერენ, თუმცა-კი უსაფუძვლოდ, რომ გრიგოლ გამნათლებელის დროდგანვე სასომხეთი აკურთხებდა ხოლმე საქართველოს პატრიარქსაო? თუ ყველას დატოვებული ჰქონდათ ქრისტიანობა და ისევ წარმართობა დაეწყოთ, ვისთვისღა იქმნებოდა საჭირო სომხების ნაკურთხი პატრიარქი? გამოვიძიოთ უფრო დაწვრილებით. მართალია, სპარსელები ეცადნენ ბევრს, საქართველოში ცეცხლის-მსახურება გაევრცელებინათ. მაგრამ ბევრს ვერას აიგებდენ, რადგან წარჩინებულნი მუდამ წინააღმდეგნი იყვნენ, როგორც ამას მოწმობს ჩვენი ისტორია [84]). უკეთუ კარგად ჩავუკვირდით ისტორიას, ცხადად დავინახავთ, რომ სპარსელები ცეცხლის-მსახურებას სასომხეთში უფრო ადვილად ავრცელებდენ, ვიდრე საქართველოში. ამას ისიც გვიჩვენებს, რომ სომეხმა ვასქენმა, შუშანიკის მეუღლემ, დაუტევა ქრისტიანობა და დაიწყო წარმართობა, რაისგამო აწამა შუშანიკი. [85]). ამისთვის მესროფი, თუ მართლა ღვთის სიყვარულით აღტყინებული იყო, ჯერ უნდა თავისი სომხები გამოეყვანა წარმართობიდან და ეშმაკის მსახურებიდან, შემდგომ შეეძლო ესრეთი სიკეთე საქართველოსთვისაც მიენიჭებინა.

---

[84]) ქართლის ცხოვრება, გვ. 149, 155, წიგნი პირველი, ტფილისი, 1897, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა.

[85]) იგივე, გვ. 229, წიგნი მეორე.

სომხები მეხუთე საუკუნის ქართველებს ბარბაროსს უწოდებენ. რათა ეს ნამდვილი იყოს, საჭიროა, დაამტკიცონ სომხის მწერლებმა, რომ იმ დროს სასომხეთი განათლებული ყოფილა და ჰქონია ამ განათლებისათვის ის საჭირო ელემენტები, რომელიც ჰკლებია საქართველოს, რაისგამო ბარბაროსებად წოდებულან.

ამისი წინააღმდეგის დასამტკიცებლად ჩვენ სიტყვას არ გავაგრძელებთ. მხოლოდ მოვიყვანთ იმას, რასაც თვით მოსე ხორენელი ცხადად აღიარებს.

მოსე როდესაც უსაყვედურებს სასომხეთის უწინდელ მთავრებს, თავიანთი შესანიშნავი მოქმედებანი თავიანთ ჩამომავლობას არ გადასცეს წერილითო, კითხულობს, რა იყო ამისთანა გასაკიცხავის საქციელის მიზეზიო; იქმნება იმიტომ მოუვიდათ ეს, რომ თავიანთი საკუთარი ანბანი არა ჰქონდათო. არაო, თვითვე უპასუხებს, რადგან შეეძლოთ მოეხმარათ ბერძნული, სირიული, ანუ სპარსული ანბანიო. „როგორც მგონია ასეთის საქციელის მიზეზი ეს იყოვო, ამბობს თვითვე, რომ უწინ როგორც ახლა, სომხებს არა ჰყვარებიათ არც მეცნიერება და არც ძველი საერო ზეპირ-გარდმოცემული გალობა-სიმღერებიო. ამისთვის სრულებით უადგილო იქმნება, რომ ამისი რამე ვუთხრათ უგონო, უმეცარ და გაუნათლებელ ხალხსო“ [86]).

თუმცა-კი სომხებს არავითარი სიმართლე აქვსთ, უარჰყონ თავიანთი მოძღვრის ნათქვამი სომხის ერის შესახებ, ხოლო ჩვენ სრულ თავისუფლებას ვაძლევთ, როგორც უნდათ, ისე შერაცხონ. ამისთვის ვკითხავთ: მოსეს ნათქვამი ესე ტყუილია, თუ მართალი? თუ გვიპასუხებს ტყუილიაო, მაშინ იძულებულნი იქმნებიან, აღიარონ ცხადად, რომ ტყუილია მათი ისტორია, მათი ქრონიკა; ტყუილია მათი ნამყო და ყოველი ძვე-

[86]) აქ მოვიყვანთ მხითარისტებისვე ნათარგმნს იტალიანურად: Ma parmi che anticamente, come né ora, gli Armeni non amassero la scienza, né i canti della trodizione: onde gli è superfluo dire più distesamente di gente irragionevole, neghittosa e incivile (Storia di Mose Corenze, Lib. 1-o, cap. 3, p. 7).

ლებური დიდება, რადგან ყოველი მათი ძველი ისტორია დამყარებულია უფროსიერთად მოსეს ისტორიაზედ. ხოლო თუ გვითხრეს, მისი ნათქვამი მართალიარ, მაშინ ჩვენც მივუგებთ: მაშ როგორ მოხდა, რომ ამ უგონო, უმეცარმა, უნაღვლელმა და გაუნათლებელმა სომხის ერმა, რომელსაც ყოველნაირი მეცნიერება სძულდათ, როგორც ამბობს მოსე, გამოიყვანა საქართველო კერპობის სიბნელიდგან და მისცა მას ყველა ელემენტი განათლებისა; ერთი სიტყვით, განანათლა იგი სულიერად და ხორციელად? განა შეეძლო მიეცა სხვისთვის ის, რაც თვითონ არ ჰქონდა და რაც თვითონ უფრო სჭიროდა? ეს ხომ ჯერ არსად გაგონილა და არც ვინმე მოელის ამისთანა ამბავს.

ვთქვათ, მესროფი ძრიელ განათლებული ვინმე იყო. ვიკითხოთ, როგორ შეიძლო ამან ისე სწრაფად და ადვილად იმდენი საუკუნის უმეცრებიდგან გამოყვანა მთელი სასომხეთისა, რომ სხვა ერის გასანათლებლადაც-კი წავიდა? ნუ თუ არ ეტყოდენ მას: მკურნალო, განიკურნე თავი შენი, ჯერ გაანათლე შენი ეგრეთი უმეცარი ტომი და მერმე მოდი ჩვენ გვასწავლეო?

მოსე სომხის ერს რაცხს ისეთ უმეცრად და გაუნათლებლად თვით იმ დროსაც კი, როდესაც იგი თავის ისტორიას სწერდა. ხოლო ზემოდ დასახელებულ მეცნიერთა გამოკვლევიდან სჩანს, რომ ახლა მას რაცხვენ მერვე საუკუნის ისტორიკოსად. თუ ეს ნამდვილია, რომ სომხები ვიდრე მერვე საუკუნემდე უმეცრების სიბნელეში ჩაფლული ყოფილან, მაშინ სომხის მწერალთა გასამტყუნებლად და მათი სიცრუის გამოსაცხადებლად კმარა მარტო ეს გარემოება დავასახელოთ.

მართლა რომ სომხის ერი გრიგოლ განმანათლებელის დრომდე ღრმა უმეცრების სიბნელეში ყოფილა და არავითარი მონაწილეობა მიუღია თავის მეზობლების, სირიელების და ბერძნების განათლებაში. ამას მოწმობს ისევ სომხების პატრიარქის იოანე VI ისტორიის შესავალი [87]).

---

[87]) Journal Asiatique, an. 1836, tom. 1, p. 210.

სომხურის ისტორიის თანახმად სენ-მარტენი ამბობს, მესროფი საქართველოში 408 წ. მოვიდაო; ჩამჩიანი 410 წ.; ხოლო პატივცემული მოსე ჯანაშვილი (ჩვენდა სამწუხაროდ, ამისთანა საგანში ამასაც ვასახელებთ) იხსენიებს მესროფის მიერ ხუცურის ასოების შემოღებას 434—446 წლებში [88]).

შევნიშნოთ ესეც, რომ არც ერთი ისტორია არ ასახელებს საქართველოში მეფედ ბაკურს მეხუთე საუკუნეში. ერთი ბაქარ მეფე იყო 342—364 წლებში და ვარაზ-ბაქარ 379—393 წლებში. ხოლო ვინ არის ეს ბაკური, V საუკუნეში მესროფის მიერ მოქცეული და განათლებული, არ ვუწყით. ესეც სომხების უნარი და შნოა, გამოიგონონ ის, ვინც კი უნდათ.

ასოების გამოგონება, ხალხის სწავლა-განათლება, მათი სარწმუნოებაზე მოქცევა და მასში გამტკიცება ხომ უმთავრესი და საერო საქმეა, რომელიც შეადგენს ამა, თუ იმ ერისათვის ძვირფასს საგანს. ვინც უნდა იყოს ამის მომქმედი, მუდამ ამ გარემოებას დიდი გავლენა აქვს ერზე, რომელიც მიუტევებელ ცოდვად ჩასთვლის თავის განმანათლებლის დავიწყებას და ისტორიაში მის გამოტოვებას. „ქართლის ცხოვრება“ ამაზე გაჩუმებულია და სრულებით არაფერს გვეუბნება, იმ დროს, როცა მეხუთე საუკუნის თითქმის ყველა გარემოებას დაწვრილებით აღგვიწერს და თითქმის იმაზე ვრცლად, ვიდრე სხვა დროის ისტორიას [89]). ვკითხავთ სომხის მწერლებს, თუ მესროფის მიერ ქართულის ანბანის შემოღება და ქართველების განათლება მართალია, რით უნდა აიხსნას ჩვენის ისტორიის ესრეთი სრული დუმილი ამისთანა უმთავრესის საგნის შესახებ? რაც უნდა ჰქმნან სომხის მწერლებმა, ამაზე სამართლიანის პასუხის მოცემა არ შეუძლიათ, თუ, თავიანთი ჩვეულებისამებრ, სიცრუეს არ გაურევენ. ჩვენ-კი შეგვი-

---

[88]) მოსე ჯანაშვილის საქართველოს ძველი ისტორია, გვ. 37. თბილისი, 1884.

[89]) იხილე: დ. ზ. ბაქრაძის ისტორია საქართველოსი, გვ. 159. ტფილისი, 1889.

ძლია მათ აუწყნია ესრეთი დუმილი ჩვენის ისტორიისა ბროსეს სიტყვებით: „მოსეს მიერ გამოთქმული აზრი ესე (მესროფისაგან ქართული ასოების შემოღება), რომელსაც მთელი სომხის მწერელები მხარს უჭერენ და იმეორებენ, საფრანგეთში სენ მარტენმა მოჰფინა. მაგრამ ამას ქართველები სრულებით უარჰყოფენ. ხოლო ამის წინააღმდეგ, მეცნიერი ბატონიშვილი თეიმურაზ, ერთ ხელთ ნაწერში, რომელიც რავდენიმე წელიწადია, რაც გადმოეცა აზიურის საზოგადოებისთვის, ამტკიცებს, ქართული ასოები გამოგონა მეფემ ფარნავაზ პირველმაო. ამას გარდა უმატებს, რომ სასულიერო და სახორციელო მეცნიერებაში განათლებულმა მეფემან ინება, რათა თავის ერში როგორც სამღვდელოს, ისე სამხედროს, ყველას თავისი ასოები ჰქონოდაო, ამისთვის განარჩია ასოები და სტილიო“ [90]).

ამ საგნის შესახებ ერთი ყოვლად უცილობელი საბუთი გვაქვს, რომელიც აქამდე არავის უარუყვია. ეს გახლავსთ ფარნავაზ პირველის მიერ ქართულის ანბანის შემოღება. ამას ცხადად მოგვითრობს ქართლის ცხოვრება და სხვა ისტორიებიც. ამის თანახმა არიან თვით სომხებიც, სახელდობრ შეხითარისტების მღვდლები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამბობენ, ფარნავაზის მიერ შედგენილი ანბანი მხედრულია და არა ხუცურიო; ხოლო ხუცურის შემოღებას თვითონ იჩემებენ. ესეც ცხადია, რომ იმ დროს შედგენილი ანბანი უსარგებლოდ და ფუჭად არ უნდა დარჩენილ იყო საქართველოსათვის, რადგან ანბანი არის პირველი, მიუცილებელი და უმთავრესი საჭიროება და მასთანვე უდიდესი ღონე მეცნიერების შეძენისათვის. გაუზვიადებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ამ დროდგანვე დაუწყია განათლებისა და მოქალაქობრიობის მიღება, თუმცა-კი მეცნიერები ამბობენ, საქართველოს ფარნავაზ მეფის წინათვე უნდა ჰქონოდა სხვა ანბანი, ჩვენთვის უცნობელიო, რადგან ძველის ძველი, წარღვნის დროინდელი ერიაო [91]). ეს აზრი მათ მტკიცედაც მი-

[90]) Brosset, „Journal Asiatique“, 1836, tom. 1, p. 204.
[91]) იქვე.

აჩნიათ. ამას არ გამოვუდგებით. დავჯერდებით იმას, რაც ყველასთვის ცხადია.

ყველამ ცხადად უწყის, რომ ერთი რიგის ანბანი სავსებით დააკმაყოფილებს ყოველის ქვეყნისა და ერის საჭირო მოთხოვნილებას როგორც სულიერს, ისე ხორციელს, როგორც აწმყოს, ისე მომავალს. ესეც ვიცით, რომ ძრიელ იშვიათია, რომელსამე ერს ჰქონდეს ორნაირი ანბანი თვინიერ რამ განსხვავებისა. ახლა ვთხოვთ ყველა პატიოსან და გონიერ სომხის მეცნიერებს, გვიჩვენონ, თუ საქართველოს რა რიგი და რომელი საჭიროება თხოულობდა მეორე ნაირის ანბანის შედგენას და ქონებას, ანუ ვინ ატანდა ძალას, ანუ რა მიზეზი, საჭიროება და აზრი ჰქონდა მესროფს, რომ გაცხარებული მოსულიყო საქართველოში მეორე ნაირის ასოების შესადგენად, როდესაც ამ ქვეყანას თავისი საკუთარი ანბანი ჰქონდა? ნუ თუ შესაფერი და საჭირო არ იყო, ჯერ სასომხეთი გაემდიდრებინა ამნაირის ორგვარი ასოებით და შემდგომ საქართველოსთვისაც განეზიარებინა თავისი მოპოებული სიმდიდრე? იძულებული არიან ჩვენთან აღიარონ სომხის მწერლებმა, რომ მესროფს არავითარი მიზეზი, საფუძველი და საჭიროება არა ჰქონდა, საქართველოში მოსულიყო მეორე ხასიათის ანბანის შესადგენელად. ხოლო თუ ვხედავთ საქართველოში ძველ დროდგანვე ორნაირ ანბანს ჭკუაზედ ახლო და ადვილად დასაჯერებელია, ორივეს შემოღება, თეიმურაზ ბატონიშვილის აზრისამებრ, მივაწეროთ ერთსა და იმავე პირს, მეფეს ფარნავაზს, რომელსაც ჯერ დაუკმაყოფილებია ასოების ქონების საჭიროება ერთის ხასიათის ასოების შედგენით და შემდგომ უფრო გაუმშვენებია და განუვითარებია ჩვენი ენა ხუცურის ასოების დამატებით. ამასვე გვიმტკიცებს პეტერბურგის მუზეუმის ძველი ქართული ფულები, რომლებიც მოწმობენ თავიანთ სიძველეს და არსებობას საქართველოს გაქრისტიანებამდე და რომლებსაც ხუცურად აწერია: „ՈՒՐԻՔ ԼԻՐԻՔ, ԵՔՈՒԱՐՕՐԻՔ, ՈՒՐՕ ՐՎԵ ԻՀՐԻՔ“ [92]).

---

[92]) იხილე: ისტორია დაწყებიდგან ივერიისა . . . . . თეიმურაზისაგან, გვ. 116. პეტერბურგში, 1848.

ეგრეთვე საჭიროდ ვრაცხთ, აქვე დავასახელოთ ის უძველესი ქართული სამოციქულო, რომელიც ნათარგმნი ყოფილა 399 წელსა. რაღა თქმა უნდა, რომ ამ დროს ხმარებული ქართული ანბანი კაი ხნის წინეთ უნდა ყოფილიყო ნაპოვნი, ანუ შედგენილი [93]).

აღარ გამოუდგებით იმის ძიებას, თუ რამდენად უსაფუძვლოა ის აზრი, რომ ერთმა უცხო პირმა ანბანი შეუდგინოს სხვა უცხო ტომს, რომლის არც გამოთქმა აქვს და არც ენა იცის, რადგან ეს ცხადად გამოცდილების წინააღმდეგია და მეცნიერებაც ხომ ერთპირად უარყოფს ამას. მეცნიერები ამის წინააღმდეგად ამტკიცებენ, რომ არიანების შემოსვლამდე, დიდ არმენიაშიაც გავრცელებული ყოფილა ქართული ენა, რაისგამო შემდგომ სომხურში შეუტანიათ ბევრი ქართული ლექსები, რაიც ამტკიცებს ქართულის უპირატესობას და სიძველეს სომხურის წინაშე [94]).

ვგონებთ უადგილო არ იქნეს, აქვე დავასახელოთ სომხის მწერლის გრიგოლ ხალათიანცის წიგნი „Эпосъ въ Исторіи Арменіи Мойсея Хоренскаго“, რომელშიაც ავტორი ერთიანად აკრუებს მოსე ხორენელის ისტორიას.

თუ ცოტა მეტი ვილაპარაკეთ ქართულის ანბანის მოგონების შესახებ, მხოლოდ იმიტომ, რომ ცხადად გვეჩვენებინა სიცრუე სომხეთის ისტორიისა საქართველოს შესახებ. სომხის მწერალთა ამ ნაირ მათ სიყალბეს სხვაგანაც არა ნაკლებ შევხვდებით. ზემოდ ვთქვით, რომ სომხებს ეს ნიჭი აქვსთ, საცა-კი ხელი მიუწვდებათ და კბილი გაუჭრისთ, ყველაფერი მითვისონ და ყველაფერი გაასომხონ. ამნაირად სომხები, მოსეს მოწმობით, ალბანელებს ასომხებდენ და თავიანთ ჩამამავლებად რაცხდენ. აი ორიანტალისტი სენ მარტენი რას ამბობს ამისას „ძრიელ ძნელი დასაჯერებელია ალოვანელები, ანუ

---

[93]) იხილე: ქრონიკები თ. ეორდანიას მიერ, წიგნი მეორე, გვერდი IV. ტფილისი, 1897.

[94]) Revue de Linguistique, par J. A. Gatteyrias, 1881. Juillet, vol. 14, p. 285. Paris.—არც ეს დავივიწყოთ, რომ მეცნიერები ახლა ალაროდიელთა ენის წარმომდგენელად რაცხვენ ქართულს ენას.

ალბანელები სომხების ჩამომავლებად შევრაცხოთ, როგორა-თაც სწერს მოსე ხორენელი, რადგან უძველეს დროდგანვე იგინი შეადგენდენ სხვა ტომს, რომელიც ძრიელ გაირჩეოდა სომხების ტომში“ [95]. როდესაც ამ ცამდე აყვანილ ისტორიკოს იმდენ სიყალბეს და შეცთომილებას აწერენ როგორც სენ-მარტენი და ბროსე, ისე სხვა მეცნიერნიც, სომხის სხვა მწერლების რაღა ეთქმისთ, ანუ რა ღირსებას მისცემენ? როცა სენ-მარტენი ლაპარაკობს არტაშეს პირველისთვის და უარყოფს მის უსაზღვრო გამარჯვებას როგორც საბერძნეთზე, ისე მთელს მკირე აზიაში, რასაც ვრცლად მოგვითხრობენ სომხის მწერლები, აი როგორ გვიხატავს მათის ისტორიკოსების საქციელს: „ძრიელ ადვილი დასაჯერებელია, ყოველი ეს საკვირველი გამარჯვება გამოგონილი იყოს ზოგიერთ სომხის ისტორიკოსთაგან, რომლებსაც, როგორც ერთობ მსურველებს თავიანთის ქვეყნის დიდებისას, არ გაუჭირდებოდათ ჭეშმარიტების დართგუნვა, რათა მით ექოთ თავმოყვარეობა თავიანთის მამულიშვილებისაო“ [96].

მეორე ალაგს სენ-მარტენი, თვითონვე, როდესაც სომხების მეოთხე საუკუნის მდგომარეობისთვის ლაპარაკობს, გვისახელებს ამისთანა მეჭორე და მეზღაპრე ისტორიკოსს: „მეათე საუკუნის ისტორიკოსმა მესროფმა წმინდა ნერსესის ცხოვრება დასწერა, რომელიც სავსეა ზღაპრებით და გამოგონილი ფაქტებითო“ [97].

თუმცა-კი სენ-მარტენი ხშირად იხსენიებს ჩამჩიანის ისტორიას, მაგრამ მის შეცთომილებას არ ჰფარავს, ცხადად აღია-

---

[95]) Mémoires historiques et géorgaphiques sur l'Arménie, par Saint—Martin, tom. 1, p. 215. Paris, 1818—19.

[96]) Il est fort probable que toutes ces brilliantes conquêtes auraint été imaginées par quelques historiens Arméniens qui, trop zélés pour la gloire de leur pays, n'auraint pas crint de trahir la vérité pour flatter la vanité de leurs compatriotes. (იგივე, გვ. 291).

[97]) Mesrob, historien du X-e—siècle, qui a écrit une vie de S. Nersès, remplie de fables et de faits controuvés (Journal Asiatique, 1830, t. 1, p. 173.

რებს და ბევრს ადგილს შესაფერ კრიტიკასაც აძლევს; სხვათა შორის მის ქრონიკებს სულ სიყალბედ სთვლის [98]).

ბროსემ რო გამოსცა, ეჩმიაძინის ხელთ-ნაწერების საისტორიო კატალოგის მეხუთე ნომრის აგათანგელოს წერილში არის ერთი წერილი კოსტანტინე დიდის და ტრდათ მეფის ერთმანერთთან მორიგებისა. ამაში მოხსენებულია, რომ კოსტანტინე მეფემ დაუქვევრდომა ტრდათს, სხვა მეფეთა შორის, საქართველოს მეფე მირიანიც და გახდა ტრდათ მთელი აღმოსავლეთის მფლობლად, როგორც თვით იყო დასავლეთის მბრძანებელიო. ყველა ცხადად ხედავს, რომ ეს სომხების გამოგონილი რაოდნად ყალბი და წინააღმდეგია ყველა ისტორიებისა. ამის გასამტყუნებლად ლაპარაკი მომეტებულიდა იქმნება.

სასომხეთში მყოფი მისიონერები თავიანთს ერთს მოხსენებაში სომხების მწერლების მატყუვრობისთვის ესე სწერენ: „რადგან სომხები ზღაპრულის ისტორიების შეთხზვაში მარდი არიან, ამისთვის თავიანთ მარტიროლოგიაში მოიყვანეს ერთი ისტორია, რომელიც სავსეა საოცარი ზღაპრებითო“ [99]).

ამნაირ ცრუ მწერლებზე არიან დამყარებულნი ჩვენი მოკამათე სომხის მწერლები და მათის შემწეობით უნდათ ქვეყანას დაუმტკიცონ, საქართველოში სომხები ძველის დროიდანვე არიან გადმოსახლებულნიო. რადგან ჩვენ საკმაოდ დარწმუნებული ვართ როგორც აქ მოყვანილ საბუთებზე, ისე ამათ მსგავს ბევრ სხვა გარემოებაზე, რომ სომხების მწერლები ხშირად სიმართლეს გაურბიან, ამიტომ ჭეშმარიტებად ვერ მივიღებთ მათ ნათქვამს, თუ არა მაშინ, როდესაც მათი ნათქვამი ესე თანახმაა, ანუ არ ეწინააღმდეგება როგორც ჩვენს, ისე სხვა ტომთა ისტორიას. ამისთვის ვერ შევიწყნარებთ იმას, რასაც მოგვითხრობს მათე ედესელი დავით მეორის მიერ საქართველოში სომხების გადმოსახლებისას. მაგალითად, ვერ

---

[98]) S. Martin, tom. 1, p. 404.

[99]) Les Arméniens, fertiles en histoire fabuleuses, en ont fait une dans leur Martyrologe toutes des plus exstravagantes á son sujet. (Memoire du Levant, Lettres édifiantes et curieuses écrites des Missions étrangères, tom. 3, p. 52).

შევიწყნარებთ იმის ნათქვამს: ბევრი სომხები შემოიკრიფნენ დავით მეფესთან, რომელმაც მათთვის საქართველოში დააფუძნა ერთი ქალაქი და უწოდა კორა; იქვე აღაშენა მრავალნი ეკკლესიანი და მონასტერნი მათთვისაო. ჩვენ ვერ მივიღებთ ამას, როგორც საისტორიო ჭეშმარიტებას, რადგან ამისთანა შესანიშნავს და ჩვენის მეფის დიდად საქებურის საქციელისას ჩვენი ისტორია სრულებით არაფერს გვეუბნება; ჩვენს ისტორიას არავითარი სიმართლე, შიზეზი და ინტერესი ჰქონდა ესრეთი განსაკუთრებული ამბავი დაეფარა. დავით მეორის როგორც ომებს, ისე სხვა გარემოებას უცხო ტომთა მწერლებიც საკმაოდ ვრცლად აღგვიწერენ, მაგრამ ამ გადმოსახლებისას სრულებით არაფერს გვეუბნებიან. არც იმას შევიწყნარებთ, ვითომც დავითს დაეფუძნებინოს გორის ქალაქი. ეს რომ ნამდვილი ყოფილიყო, ჩვენი ისტორია მოუხსენებლად არ დასტოვებდა. თავის გეოგრაფიაში არც ვახუშტი დასწერდა: „არა არს უწყებულ, ვისით აღშენდა პირველ (გორი); გარნა ცხოვრებასა წერილ არს, ერეკლე კეისარმა უწოდა ტონთიო“ [100]).

ამ გორის ქალაქის სიძველეს გვიმტკიცებს სტრაბონის გეოგრაფიული აღწერილობა, რომელშიაც მას უწოდებს გორსენად. ეს გორსენა რომ თვით გორია და არა სხვა, ამას მოწმობენ ბევრი ევროპელი მწერლებიც. მაგალითად, ცეზარ ფამენი: „გორის მდებარეობა აჩვენებს სტრაბონის მიერ მოხსენებულ გორსენასო“ [101]).

თუ სომხები მიეკედლნენ დავითს და მის სამსახურში შევიდენ, იმისთვის-კი არა, რომ საქართველოში გადმოსახლებულიყვნენ, არამედ იმ განზრახვით, რათა თავიანთი სამშობლო დაეხსნათ. ამასვე მოწმობენ ისევ სომხის მწერლები და სენ-მარტენიც [102]).

---

[100]) ვახუშტი: გეოგრაფიული აღწერა საქართველოისა, გვ. 246.

[101]) La position de Gori indique l'ancienne Gorsenna dont Strabon fait mention. (César Famin, p. 31.—ეგრეთვე იხილე: Gamba, Voyage dans la Russie, tom. 2, p. 115).

[102]) Saint-Martin. Memoires, tom. 1, p. 378.

არა ნაკლები სიყალბე მოიპოვება ინჯიჯიანის სასომხეთის ისტორიაშიაც. ამ გადასომხებულმამ წერალმა ყველა გაასომხა. მაგალითად: ამბობს, ტფილისის მცხოვრებნი სომხები არიანო და რამდენიმე ქართველები და უცხოელნიც სცხოვრებენო; ტფილისში სომხების პირველი ეკკლესია 632 წელს აშენდაო. სამცხეც ერთიან დაასაკუთრა სომხებს. ამბობს— ახალციხე დიდ სასომხეთშია საქართველოს საზღვარზეო; ივლიტას (ახალციხის ახლოს) სომხები სცხოვრებენო; სომხების სამთავროს დაცემის შემდგომ სამცხე შეიქმნა სასომხეთის მთავრების თავშესაფარიო, მათთან ბევრი ხალხი გადმოსახლდა და იქაური სოფლების მცხოვრებნი არიან მომეტებულად სომხები, რომლებმაც შეითვისეს ქართველების ზნე-ჩვეულება და ენაო [103]). ამ მოჭორებულის სრულიად გასამტყუნებლად საკმაოდ ვრაცხთ სომხებს წარვუდგინოთ ისევ ის ავტორი, რომელიც სომხებმა ჩვენ წინააღმდეგ წარმოადგინეს. იგია თვით ფრედერიკო მონპერე, რომელიც სამცხესას, სხვათა შორის, ამას მოგვითხრობს: „ახალციხის საფაშო მუდამ ქართველ ტომს ჰქონდა, ვითარცთ თავისი მამული.... რაის გამო ქართველები თავიანთ ქრონიკებში ამტკიცებენ, რომ იგი თავდაპირველად მათი ყოფილა და თითქმის ყველა იქაური ქალაქები მათ აუგიათ. ამ საისტორიო ფაქტის საბუთი თვით ადგილობრივი რასსსა ნამდვილი, რომელიც ათი ათასი წლობით, ყოველის გარემოების ზედ-გავლენის წინააღმდეგ, დარჩა მარადის ისევ ქართველ ტომად“ [104]).

---

[103]) Journal Asiatique, 1834, tom. 1, p. 458—460.

[104]) Le pachalik d'Akhaltsikhé a toujours été reclamé par la race géorgienne ou Karthli comme faisant partie de ses domaines... Les Géorgiens s'attribuent par conséquent dans leurs chroniques la possession première et la fondation de presque toutes les villes de ces hautes vallées.

La preuve la plus claire de ce fait historique, est—là: la race indigène, la race autochthone pour ainsi dire, malgré des milliers d'années, est toujour géorgienne... (F. Dubois de Montpéreux, Voyage autour du Caucase, tom 1, p. 274). Paris, 1839.—იხილე ეგრეთვე ბაქრაძის საქართველოს ისტორია, გვ. 189.—Vivien de S. Martin, Nouveau dictionnaire de Géographie, tom. 2, p. 457. Paris, 1879.

რო გამოვუდგეთ, შეგვიძლია კიდევ სხვადასხვა ბევრი მაგალითი წარმოვადგინოთ სომხის ისტორიკოსების სიცრუისა ამისთანა საგნების შესახებ. გარნა საკმაოდ ვრაცხთ ამ რამ დენსამე მაგალითს. რადგან ამითიც ნათლად ცხადდება, თუ რა ფასი უნდა მიეცეს იმ სომხურ ისტორიებს, რომლებიც საქართველოში სომხების გადმოსახლებისას და მათ აქ ყოფნისას რასმე მოგვითხრობენ.

სომხებს ტყვილად მოჰყავსთ მოწმედ ქართველის ცხოვრება დასამტკიცებლად ძველი დროიდგან თავიანთის გადმოსახლებისა საქართველოში. თუ ეს საქართველოს ისტორია სხვადასხვა არ არის ჩვენთვის და სომხებისათვის, არამედ ერთი და იგივეა ყველასთვის, ეს ჩვენი ისტორია სრულებით არაფერს მოგვითხრობს სომხების საქართველოში გადმოსახლებისას. ამის ნაცვლად ბევრს სხვა რასმე გვეუბნება ამ ორი ტომის ერთმანერთთან მიმართობისას და თავგადასავლისას. მაგალითად მოგვითხრობს სომხების და ქართველების მტრობას, ბრძოლას და ერთმანერთის გაოხრებას; აღგვიწერს ერთმანერთთან შეერთებას საზოგადო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად და ეგრეთვე ყველა უბედურებას, რაც ამ ორს ერს სწვევია ქრისტიანობის მტრისაგან. ხოლო ამნაირი აღწერილობიდგან სრულიადაც არა სჩანს, სომხები საქართველოში გადმოსახლებულიყვნენ და საქართველოს ქალაქების მომეტებული მცხოვრებნი სომხები ყოფილიყვნენ. მართალია, ზოგჯერ შემოსულან ისინი საქართველოში და ზოგიერთი მისი პროვინციები ძალმომრეობით დაუჭერიათ, მაგრამ დროებითი ყოფილა და არა სამუდამო. ამავე ნაირად მოქცეულან ქართველები სასომხეთის ზოგიერთი ადგილების დაჭერის დროს ყველა ცხადად ხედავს, რომ სხვაა ესრეთი შემთხვევა და სხვაა სამუდამოდ გადმოსახლება და დამკვიდრება.

თუ კარგად ჩაუკვირდით ისტორიას, ამის წინააღმდეგს გვიჩვენებს: ესე იგი საქართველოში სომხების გადმოსახლებასაკი არა, არამედ სასომხეთში ქართველების გადასახლებას, ვინაიდგან 1022 წელშივე ყოფილან ქართველები გადასახლებული სასომხეთში და ჰყოლიათ თავიანთი ეპისკოპოსი. ამას

მოწმობს თვით სომხების მწერალი არისტაკესი [105]). ამასვე ამტკიცებს ვახტანგ მეფის სჯულდების მეოცდახუთე მუხლი, რომელშიაც მოხსენებულია საქართველოს კათალიკოსის ბრძანების ქვეშ მყოფი პროვინციები: ამათში აღრიცხულია ეგრეთვე ანი, ყარსი და აზრუმი [106]). რასაკვირველია, ესენი ქართველთ საეპისკოპოსოები უნდა ყოფილიყვნენ, თორემ სომხებზე რა უფლება ექმნებოდა ქართველ კათალიკოსს? თვით არაბთა მწერალნი მოწმობენ, როდესაც ქართველები შევიდენ სომხების არჯიჩის ქალაქში (ville d'Ardjick), იქაური მცხოვრებნი იძულებულნი გახდენ და ქართველებს აუშენეს ციხეში ეკკლესია, სადაც დაიწყეს ზარების ცხადად რეკა. ეს მოხდა 1121 წლებში [107]).

არ დავივიწყოთ ისიც, რომ ცნობილმა მისიონერმა ლამბერტიმ, საქართველოში მოსვლის დროს 1631 წ. აზრუმში რო გამოიარა, ნახა აზრუმში და მის გარეშე რავდენიმე ქართველების სოფელი, რომლებსაც კიდევ ჰყავდათ თავიანთი ქართველი ეპისკოპოსი, აზრუმელად წოდებული [108]). ასრეც უნდა ყოფილიყო, რადგან საზოგადოდ ასე მოხდარა. როდესაც რომელიმე სახელმწიფო ახალ ქვეყანას იძენს, იქ თავის ერს ასახლებს დროსა და გარემოების დაგვარ. ძრიელ ი'შვიათი-კია, ახლად დაპყრობილი ქვეყნიდგან მკვიდრნი სხვაგან გადაასახლონ. ეს მოხდება, უფროსიერთად მტრობით, როგორც შაჰ-აბაზმა ჰქმნა საქართველოს აღების და აოხრების დროს.

არც ზაქარია და ივანე მხარგძელის მიერ საქართველოს შეფის სამსახურში შესვლაა საკმაო საბუთი, რომ მით სომხებმა დაამტკიცონ ძველის დროდგანვე თავიანთი გადმოსახლება საქართველოში. სომხების მწერლებისაგანვე ვიცით, რომ ეს

---

[105]) Histoire d'Arménie par Arisdaquès de Lasdiverd: traduite de l'arménien par M. Evariste Prud'homme, p. 21. Paris, 1864.

[106]) Brosset, Introduction de l'Histoire de la Géorgie, p. 111. ეგრეთვე იხილე მცხეთის გუჯარი, № 405.—დ. ბაქრაძის ისტორია საქართველოსი, გვ 266—268.

[107]) Journal Asiatique, 1849, tom. 2, p. 490.

[108]) იხილე ჩვენი ისტორია კათოლიკოზებსა, გვ. 111.

ორი გამოჩენილი პირი ქურთები იყვნენ და არა სომხები, ხოლო სარწმუნოება-კი სომხისა ჰქონდათ, რომელიც ივანემ კიდეც მიატოვა. უკეთუ მათ ამნაირს მოქცევას რაიმე ზედ გავლენა ჰქონდა სომხების გადმოსახლებაზე, მათ შესახებ ვრცლად დაწერილი ისტორია ამას სრულებით არ გამოსტოვებდა. საქართველოს მეფის სამსახურში მათი შესვლა, შემთხვევითი რამ იყო და გამოიწვია კერძო გარემოებამ და მათმა პირადმა ღირსებამ. ამისთვის ამ გარემოებას დიდი არაფერი გავლენა უნდა ჰქონოდა სომხის ერზე მის გადმოსახლების საქმეში. ამასვე გვიმტკიცებს ბევრი მსგავსი მაგალითი. არა ერთ გზის მიუღიათ ქართველებს სპარსეთის საქმეებში მონაწილეობა და შესანიშნავი ადგილებიც ჰქონიათ, როგორც სამინისტროში, ისე სხვა მაღალ სამსახურში, როგორიც არის ისპაანის პირველი მსაჯული, რომელიც ხშირად ქართველი იყო, საქართველოს ტახტის მემკვიდრე, ვიდრე იგი გამეფდებოდა. მაგრამ ამისთანა გარემოებას არასოდეს აღუძრავს ქართველთ ერისათვის სპარსეთში გადასახლების სურვილი გუნდ გუნდობით, თუმცა-კი თითო ოროლა კერძო პირნი გადასახლებულან კიდეც.

თვით ოსმალეთშიაც ყოფილან იმისთანა ქართველები, რომელთაც უმაღლესი სამსახური ჰქონიათ და თვით დიდი ვეზირობაც ხელში სჭერიათ. ამის ერთს მაგალითს მოგვითხრობს პეტრე დელლა ვალლე, რომელსაც 1614 წ. უნახავს კოსტანტინეპოლში ერთი 90 წლის ქართველი საჭურისი. ამას ჰრქმევია მაჰმედ ფაშა, მეორე ვეზირად წოდებული, რომელსაც უწოდდენ ყაიმაყანს, ესე იგი ვეზირის მოადგილეს, რადგან, როცა ვეზირი იქ არ იქმნებოდა, ის მართავდა მთავრობის საქმეებს. ამას თურმე ისეთი გავლენა ჰქონია სულთანზე, რომ როგორც თვითონ უნდოდა, ისე ატრიალებდა ყოველ საქმეს. პირველი ვეზირობა რომ სამუდამოდ ხელში დარჩენოდა, ჩაუგონებია სულთნისათვის, პირველი ვეზირი, როგორც პირველი სარდალი, გაეგზავნა სპარსეთთან საომრად. სულთანსაც მაშინვე გაუგზავნია პირველი ვეზირი და ამნაირად ვეზირობა მას დარჩენია. ამავე ქართველისა ყოფილა იმ

დროინდელი ყველა საუკეთესო და დიდრონი გემები ოსმალეთში [109]). მაგრამ ვიცით კარგა, რომ ფაშის დიდებას და ძლიერებას არავითარი ზეგავლენა ჰქონია საქართველოს ხალხზე ოსმალეთში გადასახლების საქმეში.

შორს რომ არ ვეძიოთ, ამისთანა მაგალითს ვხედავთ თვით ნაპოლეონ პირველის დროს, რომელსაც თავის ერთგულ მეგობრად და მრჩევლად ჰყოლია ერთი სომეხი მამელუკი, სახელად რუსტამ. ამისი პირველი სახელი ყოფილა არუთინა. ამასთანვე ყოფილა ერთი კიდევ სხვა სომეხი, სახელად პეტროს. ამ არუთინა სომხის წყალობით ყოფილა, რომ ნაპოლეონს არ მოუსპია ვენეციაში მხითარისტების მონასტერი, როდესაც 1810 წ. მთელის იტალიის მონასტრები გააუქმა [110]). არც ამ სომხის დაჭერილს შესანიშნავს ადგილს ჰქონია რაიმე ზედგავლენა სომხების ერზედ და არც გამოუწვევია სომხების საფრანგეთში გადასახლება. ამის მიზეზი ის არის, რომ ესრეთი შემთხვევა მარტო კერძო პირის უნარი და სასყიდელი ყოფილა და მის და მისი ოჯახობის წრეს არ გასცილებია, არამედ იქვე დარჩენილა და მასთანვე დამცხრალა. ესევე ითქმის ზაქარია და ივანე მხარგრძელთათვისაც. მათ მაღალს ხარისხს სომხის ერი არ შეურყევია, არ შეუცვლია და თავის სამშობლოდგან სხვა ადგილს არ გადაუყვანია გუნდ-გუნდობით. კიდეც რომ მათ თან ხლებოდენ საქართველოში თავიანთი მეგობრები, ნათესავები და ყმები, ყველა შემთხვევაში თვითო-ოროლანი იქმნებოდენ და საზოგადოებას არ შეადგენდენ. ამიტომ ვერც შესანიშნავს ზედ გავლენას იქონიებდენ მათ მიერ ახლად დამკვიდრებულ ქვეყანაზედ.

რადგან „მშაკის“ მწერალმა, ბ-ნ სარუხანმა, შეუპოვრად წარმოსთქვა: „ძველ დროიდგანვე საქართველოს ქალაქების და საკუთრივ ტფილისის ქალაქის ერთა—მცხოვრებთა მეტი ნაწილი რომ სომხები ყოფილან, ამტკიცებენ ყოვლის უარის

---

[109]) Viaggi di Pietro della Valle, parte 1-a, p. 146, 203.

[110]) Dulaurier, „La société Arménienne au XIX siècle“, Revues de Deux Mondes, 1854, Paris, tom. 6, p. 247.

უთქმელად ყველა ისტორიკოსები და იმ დროის მგზავრნიო და ამის დასამტკიცებლად დაგვისახელა ზემოდ მოხსენებული ორი-სამი მგზავრი, რომელთაც ერთი სიტყვაც არ უთქვამსთ სომხების გადმოსახლებისა. ამისთვის ჩვენ გულმოდგინებით გამოვიძიეთ შუა საუკუნეთა თითქმის ყველა მწერალთა და მგზავრთა ნაწერები, მაგრამ ჩვენ ვერსად ვპოვეთ სარუხანის ეს ერეთი აზრის დამამტკიცებელი საბუთები. მის ამ სიტყვებიდანაც სჩანს, თუ როგორ თვალებს უხვევენ ხალხს და როგორ ატყუილებენ ქვეყანას. ამისთვის მისდა სამუდამოდ გასამტყუნებლად აქვე შენიშვნად მოვიყვანთ ყველა ჩვენ მიერ გამოძიებულ მწერლებს და მგზავრებს, რომლებსაც ერთი სიტყვაც არ უთქვამს ამ საგნისა [111]).

---

[111]) Thietmarus (Peregrinatores Medii cevi, M. Laurent). 1217 წელს ამან საკმაოდ გააცნო ევროპას, ქართველები წ^ა გიორგის ჰატივს ჰსცემენ, ძრიელნი არიან ომში და სარკინოსთა ბევრს ავნებენო;—Wilbrandus, 1215 წ. მგზავრი;—1246 წ. Relation du voyage de Jean Du Plan Carpin;—1247 წ. Voyage de Fr. Ascelin et ses compagnons vers les Tartares. ამან რა გამოიარა ტფილისში, იქაური მონასტრიდგან თან წამოიყვანა პატრი გიშარდი დომინიკიანი იტალიელი ენის ცოდნის გამო და შვიდი თვის შემდგომ ისევ მობრუნდა ტფილისში;—1253 წელს Voyage de Fr. Guillaume de Rubruquis en Tartarie;—1257 წ. Khurk Haython. ამან საქართველოში ნანახი ბევრი საოცარი რამე მოიხსენია თავის აღწერაში;—1279 წ. Marci Pauli Veneti itinerarium.—ამის მამას-კი უმგზავრია 1250—1271 წლ.; ესეც საქართველოსას ბევრს საკვირველ რასმე მოგვითხრობს, სხვათა შორის ამბობს, ქართველები ძრიელ მშვენიერნი და ომში მარჯვენი არიანო, ბევრი ქალაქები და ციხეები აქვსთო: მთელ ქვეყანაზე საუკეთესო აბრეშუმი აქვსთ და საუკეთესო ძვირფას ფარჩას აკეთებენო;—1309 წ F. Ricardi, itinerarium peregrinationis;—1319 წ. Viaggio in Persia di Marco Cornaro;—1318 წელს Viaggie del Beato F. Odorico;—1332 წ. Voyage de Jean de Mandeville, Chevalier Anglais;—1336 წ. Voyage de Guillaume Bouldeselle; 1413 წ. Viaggio del marchese d'Este;—1424 წ. Viaggio di Nicolò Conti;—1425 წ. Viaggio de Zeno Dracone; —1436—1445 წ. Viaggio Josapha Barbaro;—1463 წ. Viaggio di Lazaro Quirini;—1464 წ. Viaggio d'Andrea Cornaro; - 1468 წ. Viaggio di Dominico del Carreto;—1469 წ. Viaggio di Niccolò da Corbizzo;—1472 წ.

ხოლო მეფე ალექსანდრე პირველი თავის ერთ გუჯარში იხსენიებს ათ კომლ სომეხს, თრიალეთის მხარეს, როდესაც იგი მცხეთის ეკკლესიას დამტკიცებას უახლებს ეკკლესიის ყველა იმ მამულებისას, რომელიც თვის წინაპართ შეეწირათ [112]). გარნა საკმაო საბუთი გვაქვს, ესენი ვიგულისხმოთ იმნაირ სომხებად, რომლებსაც ვახუშტი ბორჩალოს აღწერაში ასახელებს ესრედ: „ამ ადგილთა შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა-ზნით ქართულითა“ [113]). ამნაირ სომხების ტომით ქართველობისა ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რადგან საზოგადოდ შენიშნულია, რომ სომხები საცა წავიდენ, თავიანთ ზნე-ჩვეულებას არ სტოვებენ და სხვისას არ სცვლიან. სხვათა შორის თვით მოგზაური გამბაც ჰმოწმობს, რომ საქართველოში სომხები არასფრით ემზგავსებიან ქართველებს და

Viaggio di Caterino Zeno;—1473 წ. Josapha Barbaro, მისი მეორედ მგზავრობა;—1474 წ. Ambrosio Contarini;—1474 წ. Antonio di Barbante;—1474 წ. Bartholomeo Limpardo;—1475 წ. Paolo Ognibene;—1485 წ. Giovanni Dario;—1485 წ. Pietro Bembo;—1485 წ. Luca Sofrano;—1502 წ. Costantino Laschiari;—1514 წ. Donato de Leze;—1572 წ. Vincenzo Alexandro;—1572 წ. Balbi Theodoro. ამ ავტორების მომეტებული სია უკვე დაიბეჭდა „მწყემსში“ № 5 1901 წ. მოვიხსენებთ ეგრეთვე ზოგიერთს მაინც ჩვენს გამოძიებულ იმ წერილებს, რომელიც აღმოსავლეთისას ლაპარაკობენ: Verdizzotti Francesco, de' fatti veneti;—Cornet, Le guerre dei Veneti nell'Asia,—Coriolano Cippico, De Bello Asiatico,—Alberi, Belazioni degli Ambasciatori veneti,—Morelli, Disertazione intorno ad alcuni viaggiatori Venezioni,—Manuzio, Viaggi fatti da Venezia alla Tono,—Beckmann, Histoire littéraire des anciens voyages.—აი, ამდენი ავტორი საქართველოს და ქართველების შესახებ ცოტა, თუ ბევრს რასმე მოგვითხრობენ, მაგრამ საქართველოში სომხების ყოფნისას სრულებითაც არაფერს ამბობენ.

[112]) Brosset, Indroduction, p. 117.

[113]) ვახუშტის გეოგრაფია, აღწერა საქართველოისა, გვ. 145;—ეგრეთვე იხილე: „ივერია“ 1901 წ. № 119, 1902 წ. №№ 149, 154, 170 და 175.

მათში ირჩევიან თავიანთი ზნე-ჩვეულებითო [114]). ამ ფაქტს ყველანი ცხადათ დავინახავთ, უკეთუ ჩაუკვირდით ამ ერთი საუკუნის წინეთ საქართველოში გადმოსახლებულ სომხებს, რომლებსაც თავიანთი არა რაი დაუტოვებიათ და სხვა ზნე-ჩვეულება არ შეუთვისებიათ. დღესაც ყველაფერში ისეთი სომხები არიან, ყოველის მხრით, როგორიც იყვნენ ამ ერთის საუკუნის წინეთ, აქ გადმოსახლების დროს. ეს ფაქტი საბუთს გვაძლევს ქართველ ტომად შევრაცხოთ ყველა ისინი, რომლებსაც სომხებისა მარტო სარწმუნოება აქვსთ და არა ზნე-ჩვეულება. ის საკითხი, რომ ქართველობაშიაც მოიპოვებიან სომხის მერჯულენი, ე. ი. არიან ქართველი გრიგორიანები, ჯერ ბ. კლდიამ აღძრა ივერიაში 1902 წ., ხოლო შემდგომ იმავე წელს მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლეთის ენების ინსტიტუტის პრაფესორმა ბ. ა. ხახანაშვილმა „კავკაზ“ რუსულ გაზეთში. ამავე საგანს შეეხო ბ. ლასი 1904 წლის იანვრის 17 დღის ივერიაში.

გარნა აზრად არა გვაქვს, რომ ერთიან უარვყოთ საქართველოში სომხების ყოფნა თვით უძველეს დროდგანვე, რადგან ეს წინააღმდეგი იქმნება საზოგადო ისტორიული ფაქტისა. ჩვენ თანახმა ვართ და შევიწყნარებთ იმ ყველა გარემოებას, რასაც-კი მოითხოვს მიუცილებლად ესა, თუ ის მეზობელი ქვეყანა. მუდამ ორ მეზობელ შორის უფრო ხშირად ყოფილა ერთმანერთთან აღებ-მიცემა, მისვლა-მოსვლა, ვიდრე სხვა შორეულ ტომებთან. ეს ცხადია, რომ მეზობლობის გამო ქართველებს და სომხებს განუწყვეტლივ ჰქონიათ ერთმანერთში მიმართობა და მისვლა-მოსვლა და ეგრეთვე გადასახლებ-გადმოსახლებაც, უკეთუ გულში ვიქონიებთ იმასაც, რომ ტფილისი უწინ დიდად შესანიშნავი სავაჭრო ქალაქი იყო, რადგან ევროპის და აზიის ერთმანერთთან გასაგზავნს ყველა საქონელს აქედგან უნდა გაევლო. ერთი სიტყვით, ვიდრე იკე-

---

[114]) Voyage de Gamba, tom. 2, p. 188. Paris, 1826;—ეგრეთვე იხილე „Mission scientifique en Perse“ par J. de Morgan, vol. 1, p 58. Paris, 1894;—და ჩვენი ისტორია კათოლიკობისა, გვერ. 235, 236.

ანის ზღვაზედ მგზავრობა გაიმართებოდა, ტფილისი იყო, როგორც საწყობი და ხიდი ევროპასა და აზიას შუა. ამისთვის ტფილისს მუდამ ბლომად ჰყავდა უცხო ტომის ხალხი სტუმრად ვაჭრობისათვის მოსული. ამ სტუმრებში, რა საკვირველია, სომხებს უკანასკნელი-კი არა, პირველი ადგილი უნდა სჭეროდათ საქართველოსთან სიახლოვის გამო. არც წინააღმდეგი ვართ იმ აზრისა, რომ იმ ხანად საქართველოში მყოფთ ვაჭარ სომხებს თავიანთი ეკკლესიაც ჰქონოდესთ ტფილისში ძველი დროდგანვე და მათ შორის სომხის კათოლიკებიც ყოფილიყვნენ. ერთი სიტყვით რასაც დღეს ვხედავთ სხვა და სხვა სავაჭრო ქალაქებში, მაგალითად მარსელსა, პარიზსა და სხვა ამისთანა შესანიშნავ ქალაქებში, სადაც სომხებს თავიანთი მღვდელი ჰყავსთ და ეკკლესიებიც აქვსთ. ამისთანა გარემოებას ჩვენ შევიწყნარებთ, როგორც ტფილისისა, ისე სხვა საქართველოს ქალაქების შესახებ. მაგრამ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ სომხების ესრეთი ყოფნა არ შეადგენდა ერთს დიდს საზოგადოებას, რომელსაც შესანიშნავი რამ გავლენა ჰქონოდა ადგილობრივს საზოგადოებაზედ. არა, ისინი აქ მუდამ დროებით ყოფილან, უცხოდ ითვლებოდენ და აქაურ საზოგადოებაში ის ადგილი და მნიშვნელობა ჰქონდათ, როგორც შეჰფეროდა არა მკვიდრს კაცს; როგორც დღეს აქვსთ უმთავრეს სავაჭრო ქალაქებში, სადაც მარტო ვაჭრობისათვის არიან და იქაურ მკვიდრთ რიცხვში არ ითვლებიან [115]).

ესეც არ დავივიწყოთ, რომ თუ დღეს სომხის ერის დიდ ნაწილს ვაჭრობა ხელში აქვს და თავის უმთავრეს საგნად ეს გაუხდია, ესრედ არ ყოფილა ყოველთვის. ვაჭრობის ნიჭი ესე გამოიჩინა მან უფროსი ერთად მეჩვიდმეტე საუკუნეში, როდესაც შაჰ-აბაზმა სომხები სპარსეთში გადაასახლა და მისცა მათ თავისი აღურაცხველი სიმდიდრე, რათა ევროპასა და სხვა ადგილებში დაეწყოთ სიარული ვაჭრობისათვის. ამასვე ამტკიცებენ ევროპის მწერლებიც. ტურნეფორი, სხვათა შორის, მოგვითხრობს: „ერთი სიტყვით, შაჰ-აბაზმა სომხის გლეხები ვაჭრე-

---

[115]) ჩვენი ისტორია კათოლიკობისა, გვ. 434, 504.

ბად გახადაო; ეს ვაჭრები აღებ-მიცემის საქმეში ყველაზე განთქმულნი შეიქმნენ მთელს ქვეყანაზედო“ [116]). ამის შესახებ საფუძვლიანად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეჩვიდმეტე საუკუნეზე წინად სომხების ვაჭრები ტფილისში ბევრად განსხვავებული არ უნდა ყოფილიყვენ სხვა ტომის ვაჭრებში; ეგრეთვე არც მათი რიცხვი უნდა აღმატებოდა ბევრად აქ მყოფ სხვა ტომის ხალხის რიცხვსა.

როცა საქართველოში სომხების გადმოსახლებისთვის გვაქვს ლაპარაკი, არ უნდა დავივიწყოთ საქართველოს გამოვლილი ყოფაცა. ჩვენი ისტორია თითქმის სხვას არაფერს მოგვითხრობს, თუ არ საქართველოს გამუდმებულს ომსა სხვადასხვა მტრებთან. არც ერთის ტომის ხალხს და არც ერთს ქვეყანას გამოუვლია იმოდენი შეწუხება და ომი, რაც საქართველომ გამოიარა თავის სარწმუნოების და თავის უფლების დასაცველად. ერთის სიტყვით, ჩვენს ისტორიაში ვერ შეხვდებით ისეთ მცირე დროს, როცა საქართველო შეიარაღებული არ ყოფილიყოს და ომი არა ჰქონოდეს ამა, თუ იმ მტერთან. თუ როდისმე თავის მხნეობით გარეულ მტრებს მოიგერიებდა, საუბედუროდ, შიგვე თავის შვილებშივე აღმოუჩნდებოდა არეულობა და ომი. თუმცა ხშირად ჩვენი მეფენი ამარცხებდენ თავიანთ მტრებს და შორს სდევნიდენ, უნდა აღვიაროთ, რომ მათი გამარჯვება ესე ომს ბოლოს მაინც არ ულებდა. რადგან მათი გამარჯვება შემდეგში ან უფრო ძრიელს ომს იწვევდა დამარცხებულის, გაბრაზებულის და ერთად შეერთებულის მტრის მხრით, ან თუ არა ქართველებს იძულებულ ხდიდა, მუდამ შეიარაღებული ყოფილიყვნენ, რათა მტერი ხელ-ახლავ არ შემოსეოდა, და ან ახლად დაჭერილი ქვეყნები არ ჩამორთმეოდათ. ეხლა ვკითხავთ ჩვენს მოწინააღმდეგეთ, რა ინტერესი იწვევდა, რომ სომხები გუნდ-გუნდობით გადმოსახლებულიყვნენ ამისთანა ქვეყანაში, სადაც უწყვეტლივ ომი იყო როგორც გარეულ, ისე შინაურ მტრებთან? ჩვენის აზრით, რომელისამე შემთხვევის გამო საქართვე-

---

[116]) Tournefort, Relation d'un voyage, tom. 2, p. 158.

ლოში კიდეც რომ ყოფილიყვნენ სომხები, უეჭველად უნდა გაქცეულ და გადასახლებულიყვნენ აქედგან, რათა მათი სიცოცხლე მუდამ განსაცდელში არ ყოფილიყო. ამისთანა მდგომარეობაში მხოლოდ სამშობლოს სიყვარულს შეეძლო დაეკავებინა თავისი შვილები და არა უცხოელნი, რომელთაც მამულისა არაფერი ეცხოთ.

მსგავსადვე ჩვენი ისტორია ცხადად გვიჩვენებს, რომ თითქმის ყოველთვის ერთი ტომის მტერი მეორე ტომის მტერიც ყოფილა; ვინც სომხებს სდევნიდა, იგივე ქართველებსაც სდევნიდა; ვინც ქართველების სისხლს ღვრიდა, იგივე სომხებსაც არ ზოგავდა; ვინც სასომხეთს დაარბევდა, იგივე საქართველოს ნაცრად აქცევდა, რადგან ხშირად ორივე ტომის მდევნელი იყო საზოგადო ქრისტიანობის მტერი; ამისთვის ესრეთი მტერი არც ერთს ზოგავდა, ორთავ თავისი ბასრის ხრმლის ქვეშ ატარებდა; თუ საქართველოში შემოვიდოდა პირველად, აქედგან გასული დაუყოვნებლივ სასომხეთს ააოხრებდა; თუ სასომხეთს დაეცემოდა პირველად, საქართველოსაც უვნებლად არ დასტოებდა; ესრედ ერთი ტომის უბედურება ხშირად მეორე ტომსაც ეწვეოდა. ამ ნაირად იქცეოდენ ის ახალ-ახალი ბარბაროსები, რომელთაც სხვადასხვა დროს ქრისტიანები სდევნეს და ქვეყანა მათის სისხლით მორწყეს. ამ თუობის გამო, სომხებს არავითარი სარფა ჰქონდათ, რომ თავიანთი ქვეყანა დაეტოვებინათ და საქართველოში გადმოსახლებულიყვნენ, სადაც ვერ გადურჩებოდენ თავიანთ სისხლის მსმელ მტრებს. ამნაირი მდგომარეობის გამო ორივე ქვეყნისა კერძოდ საქართველოში გადმოსახლება სომეხთა ფიქრადაც წარმოსადგენი არ უნდა ყოფილიყო. თუ ზოგჯერ ქართველებმა თავიანთი მამაცობით თავიდან აიცილიეს სომხების მიერ გამოვლილი უბედურება, რომელიც მათაც მოელოდა, შემთხვევითი და დროებითი ყოფილა. ამისთანა გარემოებას შეეძლო სომხების მარტო დროებით შეხიზვნა საქართველოში და არა სამუდამოდ. ესრეთ ზოგიერთ დროებით შეხიზვნას კიდეც მოგვითხრობენ თვით სომხის ისტორიკოსებიც. მაგალითად, სემბატი, სომხების მთავარ კუროპალატი, რავდენისამე სომხის

თავადით და ჯარით, 704 წ. შეხიზვნია ფოთს, სადაც ექვს წელიწადს დარჩენილა. ამის შემდეგ, შეხიზნულ სომხებს ერთიან ქალაქი და ეკკლესიები გაუქურდიათ და ისე დაბრუნებულან თავიანთ ქვეყნებში[117]). (თითქოს სომხებს უწინაც ჩვეულებად ჰქონოდეთ უმადურობა თავიანთი მასპინძლისადმი და მისი საკუთრების წარტაცება და მითვისება მათი ხელობა ყოფილიყოს; მხოლოდ განსხვავება ის გახლავსთ აწინდელსა და მაშინდელს სომხებს შორის, რომ როდესაც უწინდელები წარიტაცებდენ მასპინძლის კუთვნილებას, თავიანთს ქვეყნებში ბრუნდებოდენ). ეგრეთვე სომხის ერთი პატრიარქი, იოვანე VI, შეხიზვნია საქართველოს მეფეს 920 წელს[118]). ამისთანა სხვა შემთხვევასაც იხსენიებენ კვალად სხვადასხვა მეისტორიენი.

ნათქვამს ესეც უნდა დავუმატოთ, რომ VI საუკუნეში, როდესაც სასომხეთის ეკკლესია გაეყარა საქართველოს ეკკლესიას, დიდი სიმძულვარე და მტრობა ჩამოვარდა სომხებსა და ქართველებს შუა; მას აქეთ დაიწყეს ერთმანერთის წყევლით და შეჩვენებით ხსენება. ამ სიმძულვარემ და მტრობამ იქამდე მიაწია, რომ აუკრძალეს ორსავე ერს ერთმანერთთან ურთიერთობა. როგორც ქართველების, ისე სომხების გულში ისე ღრმად გაიდგა ფესვი ამ სიმძულვარემ, რომ იმდენმა გავლილმა დრომ ვერც შესცვალა, ვერც დააცხრო და ვერც დაასუსტა ეს მტრობა, რადგან ვხედავთ, თუ დავით მეფის და თუ თამარ დედოფლის დროს, როგორ შეურაცხყოფით იხსენიებენ ერთმანერთს. მაგალითად, როდესაც დავით მეფემ კრება მოუწოდა სომხების შესარიგებლად, აი ჩვენი ისტორია მათ როგორ იხსენიებს: „ხოლო შეიკრიბა ოდესმე წინაშე მეფისა ნათესავი გულ-არძნილი, ყოვლად ბოროტთა სომეხთა ეპისკოპოსებიო“[119]).

---

[117]) იხილე: ვართანის ისტორია, გვ. 59.—ეგრეთვე ახოლიკისა, წიგ. II. თავი 4.

[118]) Saint-Martin, t. 1, p. 361.

[119]) ქართლის ცხოვრება, გვ. 258, ნაწილი I, ბროსეს მიერ გამოცემა.

ვერც ზაქარიას მაღალმა ღირსებამ, ვერც მისმა სამსახურმა და ერთგულებამ ვერ შეიძლო ქართველებისათვის დაევიწყებინა ის სიმძულვარე, რომელიც ჰქონდათ სომხებისადმი. ამას გვიმტკიცებს ის შემთხვევა, რომ როდესაც ზაქარიამ მოინდომა ქართულ წირვაზედ, სხვებთან ერთად, წმიდა ზიარების მიღება, ქართლის კათალიკოსმა საშინლად უძრახა ზაქარიას და უკან დააყენა. ეს შემთხვევა გახდა მიზეზი, რომ ზაქარიამ სასომხეთის სხვადასხვა ადგილის ეპისკოპოსებს მოუწოდა, რათა ქართველებთან ებჭოთ ყარწმუნოების შესახებ [120]). ამ ორმა კრებამ ვერ შეიძლო შერიგება და მშვიდობის ჩამოგდება ქართველებსა და სომხებს შუა, არამედ განხეთქილება მათ შორის უფრო განძლიერდა.

შემდეგ დროებში ერთმანერთის მტრობა და სიმძულვარე ესე არამც თუ სუსტდებოდა, არამედ უფრო ძლიერდებოდა. იმ ზომამდე, რომ ყველა უცხო ქვეყნის მგზავრები ამას შეუნიშნავად არ სტოვებდენ და თავიანთი წერილებით აქვეყნებდენ. ესრეთი მტრობა და სიმძულვარე გალანო კლემენტეს, თეათინელ მისიონერს, ცხადად შეემჩნია და ყურითაც გაეგონა ეს ძველებური ანდაზა: „უკეთუ ვინმე ჩვენთაგანს ფეხში ეკალი შეესოს და გავლა მოუხდეს სომხების ეკკლესიის წინ, უნდა მოითმინოს და არ დაიდრიკოს მის გამოსაღებად, რათა მით არავის ეგონოს, რომ იგი თაყვანს სცემს სომხების ეკკლესიას, რომელიც გასაკიცხია ყველა ქრისტიანებისგან“ [121]). რა გაბრუნდა საქართველოდგან, დიდად გაუკვირდა, რომ ჰპოვა ერთი და იგივე ანდაზა დაწერილი ვინჩენცო ბელუალის წერილში. ამავე ნაირად მოგვითხრობენ სხვადასხვა დროის მგზავრები და მწერლები და აცხადებენ თითქმის ერთისა და იმავე

---

[120]) იგივე, გვ. 312.

[121]) Si quis nostrum spinam in pede infixam habeat, transiens ante Armenorum Ecclesiam, spinam illam sustinere debet, nec se ad pedem suum, eam evellendi studio, inclinare; ne per hoc videatur, ante Armenorum Ecclesiam ab omnibus christianis vilipendendam, inclinari. (Clemens Galanus, Conci, Eccl. Arm. cum Romana, tom. 3, c. 12, p. 120. Romae, 1661.

სიტყვებით, როგორც შარდენი. მაგალითად: „სომხებს და ქართველებს ერთმანერთი ძრიელ სძულსთ; ერთმანერთში არას დროს შეუღლდებიან. კერძოდ ქართველებს განსაკუთრებული ზიზღი აქვსთ სომხებისა და მათ ისე რაცხვენ, როგორც ჩვენ ევროპაში ურიებს“ [122]). ესევე შარდენი სპარსეთის აღწერაში ასახელებს რავდენსამე სოფელს თავრეზის მთის ახლოს, სადაც მომეტებულად ქრისტიანები ყოფილან, და ამ შენიშვნას აძლევს: „ამ სოფლებში მომეტებულად სცხოვრებენ ქრისტიანები, ქართველები და სომხები, მაგრამ არა ერთმანერთთან შერევით: ამ ორ ტომს ისეთი მტრობა და სიმძულვარე აქვსთ ერთმანერთისა, რომ არ შეუძლიათ ერთად დადგნენ და ერთსა და იმავე სოფელში იცხოვრონო“ [123]).

ყველასთვის ცხადია, რომ მტრობა და სიმძულვარე კი არ დააახლოებს და შეაერთებს, არამედ განაშორებს ერთს მეორისაგან. ამისგამო სომხები კი არ უნდა დაახლოვებულიყვნენ ქართველებს, არამედ მათ უნდა გაშორებოდენ. ამ გარემოებიდგან ცხადად სჩანს, რომ მათ არა ვითარი ინტერესი ჰქონდათ, საცხოვრებლად მოსულიყვნენ იმ ხალხთა შორის, რომლებიც მათ სძულდათ და რომლებისაგანაც შეურაცხყოფის გარდა სხვას არას მოელოდენ. ხოლო დღეს თუ ვხედავთ საქართველოში სომხებს, უნდა მივაწეროთ იმ საცალკეო შემთხვევას და უბედურებას, რომელმაც იძულებულ ჰყო სომხის ერი, გასულ საუკუნეებში, აღერჩია მცირე ბოროტი, რომ მით ასცილებოდა უდიდეს უბედურებას, რადგან სხვა ღონის ძიება არა ჰქონდა. ეგრეთვე თუ ზოგჯერ ქართველები და სომხები ერთმანერთს დაახლოვებიან, მეგობრული განწყობილება ჰქონიათ და კიდეც ერთმანერთში მოყვრობაც ჰქონიათ ქორწინებითა, ესეც უნდა მივაწეროთ კერძო განსაკუთრებულ შემთხვევას, კერძო პირთ და არა ერთიან ხალხს. დღესაც რომ

---

[122]) Voyage de Chardin, tom. 1, p. 123.—ეგრეთვე იხილე Viaggi di Pietro della Valle, tom. 2, p. 121.—Histoire de Kemski, p 40. Paris, 1697;—Bruzen La Martinière, Le Grand Dictionnaire Géographique, tom. 4, p. 131.

[123]) Voyage de Chardin, tom. 1, p. 149.

ბგიებს ერთმანერთში ის უწინდელი სიმძულვარე და მტრობა, ეს ყველასთვის ცხადია. ამის დასამტკიცებლად კმარა, კაცი ჩაუკვირდეს იმას, რასაც დღეს გათამამებული და უპურ-ღვინო სომხები ჩადიან ქართველების წინააღმდეგ.

ისტორიიდან ვიცით, რომ სასომხეთი როგორც წინად, ისე შუა საუკუნებში დიდს გაჭირვებაში იყო და თავისი არსებობის დასაცველად იძულებულ იყო ვისმე შეხიზნოდა, რათა თავი დაეწია მტრის ხელისგან. ეს შესახიზნარი და უშიშარი ადგილი საქართველო არ იყო, როგორც ზემოდ ვნახეთ. ეს საიმედო ადგილი სომხების თავის შესაფარად რომის საბრძანებელი იყო. ამისთვის სომხებმა, საქართველოში კი არა, არამედ რომის საბრძანებლის სხვადასხვა ადგილებში დაიწყეს გადასახლება ძველი დროიდგანვე. ამას სხვადასხვა ტომთა ისტორიაც მოგვითხრობს.

როდესაც მეოთხე საუკუნეში საპორ მეორემ ერთიან მოაოხრა სასომხეთი და დაატყვევა არშაკ მეფე, მაშინ, ამბობს სენ-მარტენი, ყოველმა დინასტიამ, შიშით თავზარ დაცემულმა მიუტოვა სპარსელებს თავისი ცოლშვილი, ქონება და გაეშურა რომის საბძანებელში თავის შესაფარადო [124]).

მეექვსე საუკუნეში ხოსრო პირველმა, სარწმუნოების გამო, რო დაუწყო დევნა სომხებს, ესენი იუსტინიანე მეორეს შეეხიზნენ, სთხოვეს შემწეობა და მფარველობა თავიანთი მტრის წინააღმდეგ. კეისარმა შეიწყნარა იგინი და ყოველნაირი შემწეობა აღმოუჩინა. მოდავე ხოსროსაც შეუთვალა: „ჩვენ ქრისტიანებს არ შეგვიძლია დავსტოვოთ, ანუ განვაძეოთ ის ქრისტიანები, რომლებიც ომის დროს შემოგვეხიზნენო [125]).

სირიელი ბარ-ებრეუს თავის ქრონიკონში მოგვითხრობს სომხების ორ გზის გადასახლებას რომის საბრძანებელში. პირველი მომხდარა 961—964 წლებში. როდესაც არაბებს ყველა ადგილები მოუოხრებიათ და მოახლოებიან დიდს სასომხეთს, იმ დროს აქაური მცხოვრებნი, რათა სარწმუნოების

---

[124]) Saint-Martin, Journal Asiatique, 1830, t. 1, p. 206.

[125]) Evagrius, Ecclesiae Historia, li. V, c. VII. Parisiis, 1544.

ბამო არაბებს არ ეტანჯათ, გაქცეულან რომაელების საზღვრებში. მეორედ, 993 წელს, როდესაც რომაელებს დაუპყრიათ მანძაგერდა და არხისკი, იქაური სომხების მთავარი გამხდარა მოხარკე კეისრის ვასილ მეორისა; ხოლო სომხების სხვა ქვეყნების მთავრებმა მოილაპარაკეს კეისართან, დაუთმეს მას თავიანთი ციხენი და მათ ნაცვლად მიიღეს კეისრისაგან სებასტია კაბადოკიაში. უფრო ამ დროს იყო, რომ სომხებმა დაუტოვეს თავიანთი ქვეყანა, დაიწყეს გადასახლება და გაავსეს მთელი კაბადოკია, კილიკია და სირია [126]).

სომხების გადასახლებამ შემდგომ უფრო და უფრო იმატა, რადგან ამით სურვილი აეშალათ ბიზანტიის კეისრებს და უნდოდათ ერთიან ხელში ჩაეგდოთ დიდი სასომხეთი. ყოველი ღონისძიება იხმარეს, რათა თავიანთი სიხარბე დაეკმაყოფილებინათ. კეისართა ნატვრის შესრულებას დიდად ხელი შეუწყო სელჯუკების მოახლოებამ დიდ სასომხეთთან. ამ სხვა და სხვა გარემოებამ ააჩქარა სომხები და გადაასახლა შუამდინარეს ჩრდილოეთ ეფრატსა და კაბადოკიაში. ამიტომ კეისრებმა დიდი სასომხეთის მთავრები მიიზიდეს, ჩამოართვეს მამულები და მის ნაცვლად მისცეს სხვა და სხვა ქალაქები თავიანთ საბრძანებელში: მაგალითად 1042 წ. კოსტანტინე მონომაქმა თავადი აბელლარიბ დანიშნა ტარსის და მოპსუსტის მმართველად; ეგრეთვე მიიზიდა მეფე ხაკიგი, ჩამოართვა ანი და მის ნაცვლად მისცა კესარიაში ორი ქალაქი—გალანბელადი და ბიძუ. მისმა ნათესავმა ხაკიგმა, ყარსის მთავარმა, 1064 წ. კოსტანტინე დუკას დაუთმო ყარსი და მის ნაცვლად მიღო ძამენტავას ქალაქი კაპადოკიაში. რა საკვირველია, ეს მთავრები მარტო არ მიდიოდენ, არამედ მათ თან მისდევდენ თავიანთი ქვეშვრდომნი, თუ ერთიან არა, მათი ერთი დიდი ნაწილი მაინც [127]).

ამასვე გვიმტკიცებს თავადი მევ—ბ. დადიანი. სომხებმა

---

[126]) Bar-Hebreus, Syriacum Chronicon, p. 200, 213. Roma, 1789.

[127]) Recueil des Historiens des Croisades, Aut. Arm. tom. 1, p. 50. Paris, 1869.

X და XI, საუკუნეებში დაიწყეს გადასახლება ბერძნის საბრძანებელში, რათა იქ თავშესაფარი ადგილი ეშოვათო. ეგრეთვე ეტყობა, რომ 1169 წ., ანის აღების დროს, 7000 მეტი სომხები, თავიანთ მთავრებით შეიხიზნენ კოსტანტინეპოლშიო [128]).

ერთმა სომხების მიერ ცამდე ამაღლებულმა სომხის მწერალმა, შაჰნაზარიანმა, ფრანგულად დასწერა სასომხეთის შემოკლებული ისტორია და პარიზში გამოსცა 1856 წ. ამ ისტორიაში დაწვრილებით აღნიშნავს თითქმის ყველა დროის გადასახლებას სომხებისას სხვა და სხვა ქვეყნებში. გარნა სრულებით არასფერს ამბობს საქართველოში სომხების გადმოსახლებისას. უადგილოდ არ ვრაცხთ, მოვიყვანოთ აქ ყველა მის მიერ აღნიშნული სომხების გადასახლება.

„450 წლიდან 550 წლამდე მტრისაგან რა დაიხოცნენ ბევრი სომხები, სასომხეთის დანარჩენ მცხოვრებთაგან მომეტებულნი იძულებულნი გახდენ და გადასახლდენ მაზანდარანსა, ხოროსანსა, ნეიზჰაპურსა და კუზჰისტანსა; არაბებმა, რა აიკლეს ნახჩევანი, თარონი და დვინი, მცხოვრებნი ათასობით ტყვედ წაასხეს და დაასახლეს არაბეთსა და სირიაში; მარტო დვინიდგან გაიყვანეს 35000! ემირბულამ, 850 წ., მთლად გაოხრა და დააცარიელა სასომხეთი, რაისგამო მრავალმა სომხებმა დაუტევეს დვინი, ნახჩევანი, ვანი, მუში, დარიუნი და სხვა ქალაქები და წავიდენ და გაავსეს ეგვიპტე, არაბეთი, პალესტინა, სირია, ბაბილონი და სხვა. მეთერთმეტე საუკუნეში კათალიკოსმა გრიგოლ მეორემ, ამ გადასახლებულის სომხებისათვის, რავდენიმე საარხიეპისკოპოსო დააარსა ეგვიპტესა, სირიასა და პალესტინაში; ამ დროს წაყვანილი სომხები მარტო ეგვიპეტში 30,000 სულზე მეტი იყო; სპარსელების და არაბების მსგავსად, ბერძნის კეისრებმა ძალა დაატანეს სომხებს დაეტოვებინათ სასომხეთი და გადასახლებულიყვნენ მათ ადგილებში; ამიტომ ბევრისგან ბევრი სომხები 452 წ. იძულებულნი გახდენ შესდგომოდენ ბერძნულ ტიპიკონს; მა-

---

[128]) Mek.—B. Dadian, Société Arménienne contemporaine, p. 1, 10. Paris, 1867.

თი რიცხვი მუდამ მატულობდა მეთორმეტე საუკუნის დასასრულამდე; ამ სომეხ-ბერძნებს დაერქვათ „ჰაი-ურუმ, Haï-Horom“; ბიზანტიის სახელმწიფო ბევრს ეცადა და გადაასახლა სომხები კოსტანტინეპოლსა, მაკედონიასა, ეპირესა, ბულგარიასა და მთლად აწინდელ ევროპის ოსმალეთში; მეოთხე საუკუნიდგანვე სომხები, როდესაც თავიანთ მტრებს ვერ გაუმკლავდებოდენ, სახლდებოდენ საბერძნეთში; ამნაირი გადასახლება ხშირად მომხდარა ვიდრე იუსტინე მეორის მეფობამდე. ამან, თავის სახელმწიფოს გასადიდებლად და სასომხეთის გასავერნებლად, გადაასახლა მელითენის სომხები ზოგი კოსტანტინეპოლს და ზოგი თრაქიაში; მავრა კეისარმა 582 წ., გაავსო თრაქია სომხებით და მათგან შეადგინა თავისი საუკეთესო რაზმები; კოსტანტინე კოპრონიმ მეხუთემ, მერვე საუკუნეში, აიღო აზრუმი და იქიდგან გადაიყვანა სომხები და თავისი საბრძანებლის სხვა და სხვა ადგილს დაასახლა; შაპუჰ ამუნელი (Chapouh d'Amouni), არაბეთის უღმრთოების გამო, ამავე საუკუნეში გადაესახლა საბერძნეთში და თან წაიყვანა 12,000 სომეხი თავიანთი ცოლშვილით! ბერძნების კეისარმა ბასილ მეორემ, თავის მოსაყდრეთა მსგავსად მეათე საუკუნეში, გადაასახლა თრაქიაში სომხების მრავალი ოჯახობა; აქედგან გადავიდენ სომხები ვენეციასა, ჯინვისსა, პიზასა, რომსა, უნგრეთსა, პოლონეთსა და რუსეთში; რუბენიანების მთავრობის დაცემის შემდგომ, 30,000 კომლი სომხებისა გადასახლდა კვიპროსის, როდოსის და კანდიის კუნძულებზე, საიდგანაც შემდგომ წავიდენ იტალიაში; ეგრეთვე როდესაც ყირიმი აიღეს ოსმალებმა, სომხებმა მიატოვეს იქაურობა და წავიდენ იტალიას, რომელიც გაამდიდრეს თავიანთი მოღვაწეობით და ვაჭრობით; ყირიმი მეთორმეტე საუკუნეში სავსე იყო დიდი სასომხეთიდგან ძველი დროდგანვე გადასახლებულის სომხებით, მარტო კაფიაში, ანუ თეოდოსიაში 100,000 სომეხი იყო; მეცამეტე საუკუნის დამლევს, მუღალთა მიერ უწყალო მოპყრობის გამო, სარაის, აშტარხნის და ყაზანის სომხებიც გადასახლდენ ყირიმს; სარაიდგანვე წავიდა ყირიმში ერთი კოლონია მეოთხე საუკუნის დამლევს, თემურლენგის

გაძლიერების დროს; ამის შემდგომ სომხებმა გაავსეს ეგრეთვე გალიცია, უნგარეთი, ტრანსილვანია, მოლდავია, ვლახეთი ბუგონია, ლიტუანია, პოდოლია და ბანათა; ხოლო როდესაც ყირიმი დაიპყრეს ოსმალებმა, სომხები ზოგი დაიხოცნენ და ზოგიც პოლონეთში წავიდენ, 40,000 კომლამდე, რომლებმაც ორნახევარი საუკუნის განმავლობაში გააბრწყინეს პოლონეთი....“ [129]).

იმის გამოძიებაში არ შევალთ, თუ რაოდნად მართალია ამ სომხის გაზვიადებული მოთხრობა; ხოლო ეს-კი უტყუარია, რომ არსად ამბობს, რომ ამა თუ იმ საუკუნებში სომხები საქართველოში გადმოსახლებულიყვნენ. საკვირველი-კი ეს არის ამ მწერლისა, რომ მთელი აღმოსავლეთი და ევროპა გაავსო სომხებითა და საქართველოში-კი ერთიც არ გაგზავნა, რომ იქაც სომხებს განათლება შეეტანათ! ამის მიზეზად ის მიგვაჩნია, რომ ამ მწერალს საქართველო არა ჰქონია გაცნობილი, თუ არა, იმასაც უეჭველად სომხებით გაავსებდა, როგორც ამას შვრებიან სომხების სხვა მწერლები.

ხოლო 1319 წ. როდესაც მიწის ძვრამ პირქვე დასცა ანის ქალაქი, იქაური მცხოვრებნი აქეთ-იქით გაიფანტნენ; ზოგნი აშტარხნის გარეშე ყივჩაყელ თათრებს შორის დასახლდენ, ზოგნი ყირიმს და ზოგნიც პოლონეთს წავიდენ [130]).

გარნა ამ შეუჩერებელის გადასახლების შემდგომ თუ კიდევ დარჩნენ სომხები დიდ სასომხეთში, მათ იქ ყოფნას ბოლო მოუღო თემურლენგის შემოსევამ. ამ ბარბაროსმა, რაც მოხდა, მოხდა, ხოლო რაც გადურჩა მის ხმალს, სკიტაში გადაასახლა. დღეს სპარსეთში მაშინდელი სომხები იწოდებიან თურქმენებად, რომლებსაც ქრისტიანობისა აღარაფერი ახსოვსთ. ამავე დროს ერთმა დიდმა სომხების ნაწილმა, 200,000 სულმა, დიდის შეწუხების შემდგომ, როგორც იყო, გადირჩინა თავი თემურლენგის ხელისგან და გადასახლდა პოლონეთს, სა-

---

[129]) Esquisse de l'Histoire de l'Arménie, par G. V. Chahnazarian, p. 97—105. Paris, 1856.

[130]) Saint-Martin, tom. 1, p. 114;—Victor Langlois, Journal Asiatique, 1862, tom. 1, p. 529.

დაც დღესაც საკმაოდ არიან მათნი ჩამომავალნი: ეს ახალ-შენი იქ რა დამყარდა, აღაშენა ეკკლესია და სომხების პირ-ველ-არხიეპისკოპოს დაენიშნა ოჰანეს ვართაპეტი 1365 წ. [131]). ხოლო იეზუიტი იაკობ ვილოტე, თავისს სომხის მეფეთა ქრო-ნიკონში, ამბობს, რომ 1604 წ. ერთი კოლონია სომხებისა გადავიდა პოლონეთსა. როგორც სჩანს ისტორიებიდან, სომ-ხების გადასახლება ესე პოლონეთს ბევრგზის მომხდარა.

ესრეთი უბედური დღე დაადგათ აგრეთვე მცირე სასომხე-თის სომხებსაც, როდესაც 1375 წ. ეგვიპტელებმა აიღეს კი-ლიკია და დაატყვევეს უკანასკნელი მეფე სომხებისა, ლეონ VI, ლუზინიანი. ერთი სომხისგან ფრანგულად დაწერილი ის-ტორია ამას მოგვითხრობს ესე: „მეფობის დაცემის შემდგომ, განყრილის სომხების დასასჯელად, ღმერთმა მათი უმეცართა ხროვა გაჰფანტა სხვადასხვა უცხო ქვეყნებში: პოლონეთსა, მალდავიას, ვლახეთსა, უნგრეთსა, ყირიმსა, რუსეთსა, სპარ-სეთსა და სათათრეთში, სადაც იძულებულნი გახდენ შეეთვი-სებინათ ზნე-ჩვეულება, ენა და კანონები ამ უცხო ტომთა, რომელნიც მათ განსაკუთრებით სძულდათო [132]).

აქ ჩვენთვის საგულისხმო ეს არის, რომ მეოთხე საუკუ-ნიდან დაწყებული ვიდრე მეთექვსმეტე საუკუნემდე, სომხების გადასახლებას სხვადასხვა ქვეყნებში დაწვრილებით აღგვიწერენ ისტორიები და ერთ სიტყვასაც არ ამბობენ, სომხები რო-დესმე საქართველოში გადმოსახლებულიყვნენ. ხოლო სომხე-ბის თქმით და მათი ვითომდა სიმართლის მიმდევარ ზოგიერთ მწერალთა მოძღვრების თანახმად, სომხები ძველ დროდგანვე თურმე საქართველოში სახლდებოდენ და არა სხვაგანო. მათ ცოტასაც არის დაუჯერებდით, უკეთუ ან ჩვენს, ან სხვათა ისტორიას ამისი რამე ეთქვათ. რადგან არავითარი მტკიცე შე-ნიშვნა და საბუთი გვაქვს ამის შესახებ, ამისთვის სომხების ამ

---

[131]) Guilaume Samson, Relation de l'état présent de Perse, p. 165, Paris, 1695;—Krusinski, Tragica belli Persici Historia, p. 125, 126. Leopoli, 1740.

[132]) Rome et l'Arménie depuis le commencement du IV-e siècle jusque en 1830, par X... p. 63.

გადმოსახლებისთვის ყოველ თქმულებას ვრაცხთ უსაფუძვლოდ და სიმართლე ნაკლებად.

ახლა საჭიროა, მოკლედ თვალი გადავავლოთ იმ გარემოებას და დროს, როცა სომხები გადმოსახლდენ საქართველოში, და დავუკვირდეთ იმ სომხებს, რომელნიც დღეს გაპარპაშებულან და აქაურ ნამდვილ მკვიდრთ შთანთქმას და ქვეყნის პირისაგან ერთიან ახოცვას უპირებენ.

რაოდნათაც-კი შეგვეძლო თითქმის ყველა შესანიშნავი აღმოსავლეთის ისტორია და მგზავრთა წერილები გამოვიძიეთ, მაგრამ ვერაფერი ვპოეთ სომხების გადმოსახლებისა საქართველოში უწინარეს მეჩვიდმეტე საუკუნისა. ამისთვის უნდა ვთქვათ, რომ სომხებს გადმოსახლება და საქართველოში დამკვიდრება დაუწყიათ მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს. შეიძლება მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოსაც დაეწყოთ, მაგრამ ამისი ისტორიაში ცხადად არაფერი სჩანს. თეათინელი მისიონერი კლემენტე გალანოც, რომელიც საქართველოში 1637 წელს მოვიდა, ამბობს, რომ „აწინდელ დროებში მათ შორის ბევრი სომხები სცხოვრებენო“ [133]). ეს სომხები უწინდელ დროდგანვე საქართველოში რომ ყოფილიყვნენ დამკვიდრებულნი, მაშინ ეს მისიონერი აღარ იტყოდა „ამ დროებშიო“.

ამის შემდგომ კაფუცინების უფროსიც სწერს რომში 1675 წ.: „გარნა უკანასკნელ ხანებში სპარსელებმა გაადიდეს ტფილისი, უმთავრესი ქალაქი და აღავსეს იგი ერთიან სომხებითა, რაის გამო ვაჭრობამ იწყო წარმატებაო“ [134]). ყველა ეს ნათქვამი გვიჩვენებს, რომ სომხები XVII საუკუნეში გადმოსახლებულან და არა მასზე წინად.

ისტორია სომხების გადმოსახლების მიზეზად სთვლის შაჰ-აბაზ პირველის მიერ საქართველოს მოოხრებას, რომელიც

---

[133]) Nunc tēmporis ex Armenorum magno quidem numero apud ipsos degentium (Clemens Galanus, Conci. Eccl. Arm. cum Romana, tom. 1, p. 120. Romoe, 1650.

[134]) Maultimamente i Persiani aumentarono Tiflis, la principale città, popolandola la tutta d'Armeni, dove è introdotto qualche traffico. (კაფუცინების არხივი რომში).

მოხდა 1615—1618 წლებში, როდესაც ამ დაუძინებელმა მტერმა საქართველოს ერი ხმალ ქვეშ გაატარა, ვინც კი სიკვდილს გადურჩნენ, მომეტებული ტყვედ წაიყვანა სპარსეთში (ამ დროის ჩვენი ერის უბედურებას რომაელი მგზავრი პეტრე დელლა ვალლე ადარებს ეროდეს მიერ ბეთლეემის ჩვილი ყრმების ამოწყვეტას). მაშინ გაოხრებულის საქართველოის ხელ-ახლავ გასაშენებლად შაჰ-აბახმა გადმოასახლა ბლომად სპარსელები და სომხები. კომსკის ისტორია მოგვითხრობს ესრედ: „შაჰ-აბახმა 50,000 მეტი ქართველების ოჯახობა წაიყვანა და დაასახლა შორვანსა, მაზანდერანსა და სასომხეთში; ხოლო მათ ადგილს გადმოასახლა სპარსელები და სომხებიო“ [135]). ზოგნიც მოგვითხრობენ, როგორც მაგალითად შარდენი, რომ ეს ტყვედ წაყვანილი ქართველნი 80,000 კვამლნი იყვნენ; ხოლო ზოგიერთნიც, როგორც მორერი გამბა, ამბობენ, რომ შაჰ-აბაზმა 500,000 სული წაიყვანა ტყვეთო. თეათინელი მისიონერი ჯუსტო პრატო, ამის თაობაზე 16 ოქტომბერს 1633 წ. რომში თავიანთ უფროს გორიდან სწერს: „დღეს მთელი სპარსეთი სავსეა გამაჰმადიანებული ქართველებით და მთავრობის ყველა უმაღლესი სამსახურის ადგილები მათ ხელშია; თვით დღევანდელი სპარსეთის მეფეც შვილია ერთის ქრისტიანი ქართველი ქალისა; რადგან ამ ოცი წლის წინეთ შაჰ-აბაზი მოვიდა აქ, მოაოხრა საქართველო და აქედგან წაიყვანა 60,000 კვამლი. აქ თითო კვამლში ოც სულზე ნაკლები არ ირიცხება. ამ ერით გაამდიდრა სპარსეთიო“ [136]). რასაკვირველია ამათ დატოებული ადგილის გასავსებლად ხალხის ბეჯრი ათასობით გადმოსახლება დასჭირდებოდა სპარსეთიდგან.

ნადირ შაჰმა, რომელიც მეფობდა სპარსეთში 1687—1747 წ., დაუწყო დევნა ჯულფაში გადასახლებულ სომხებს, რომლებიც იძულებული გახდენ აქეთ-იქით გაფანტულიყვნენ. ამ დროს მათი უმეტესი ნაწილი გადმოსახლდა საქართველოში. [137]).

---

[135]) Hittoire de Kemiski, p. 24, Paris, 1687.

[136]) თეათინელების არხივი რომში, № 9, C.

[137]) Eugène Flandin, Revue de deux Mondes, 1851, tom. 4, p. 586. Paris.

ერეკლე მეფემ 1780 წ. ერევნიდან სომხები გადმოასახლა ტფილისში და სხვა და სხვა ალაგს. ამას მოგვითხრობს ერთი სომხის მღვდელი ოჰანეს უოსკჰერდჯანი, რომლის ნათქვამიც კლაპორტმა პარიზში 1818 წ. დაბეჭდა. ესევე ნათქვამი გვიჩვენებს, რომ 1804 წ. როდესაც ყარსში ციციშვილმა ერთიან დაამარცხა სპარსელები, მაშინ საქართველოში ყოფილმა სომხების არხიეპისკოპოსმა ოჰანეზმა წამოიყვანა ყველა იქაური სომხები ტფილისის ახლოს ტაფა-ტაღში, ზოგიც ტფილისს მოიყვანა და დააყენა ავლაბარში, სადაც აუშენა ერთი ეკკლესია [138]).

ამ გადმოსახლებულ სომხებს მუდამ ემატებოდენ სხვა და სხვა მხრიდგან სომხები. 1820 წ. კიდევ ბლომად მოვიდენ ტფილისს ახლად გადმოსახლებული სომხები. ამ დროს მოსული სომეხთაგანი იყო, რომ გააშენა ტფილისში ერთი ქარვასლა [139]).

სომხების გადმოსახლებამ უფრო იმატა ზემოდ ხსენებული დროების შემდგომ. უწინ ყოველთვის ნებიერი არ იყო მათი გადმოსახლება, რადგან ან მტერს ისინი ძალით გადმოჰყავდა, ან თვით იძულებულნი იყვნენ, დაეტოვებინათ თავიანთი ადგილ-მამულები და განშორებოდენ, რათა მით აეცილებინათ თავიდგან მტრის მიერ მიყენებული დევნა და შეწუხება. რუსის მთავრობა რა შემოვიდა საქართველოში, მაშინვე შიშის ზარი დასცა ყველა მისგარეშე მტრებს და სამუდამოდ დაამყარა მშვიდობა, რომელმაც ძრიელ გააუმჯობესა საქართველოში მყოფი სომხების ბედი. ხოლო სპარსეთსა და ოსმალეთში მყოფი სომხები ისევ იმ უწინდელ შეწუხებაში იყვნენ; ეძებდენ ღონისძიებას და დროს, რათა მათაც თავი დაეწიათ მტრის ხელიდგან და შეერთებოდენ საქართველოში მყოფ თანამოძმებს. ეს მათი დახსნის დროც მოვიდა 1828 და 1829 წლებში, როდესაც რუსეთის მთავრობამ ომი დაუწყო სპარ-

---

[138]) Klaporth, Memoires relatifs à l'Asie, tom. 1, p. 226. Paris, 1826—28.

[139]) Gamba, Voyage dans la Russie, tom. 2, p. 160.

სეთსა და ოსმალეთს. ერთი უმთავრესი პირობა მშვიდობისა ამ ორთავ დამარცხებული მთავრობის მიმართ ის იყო, რომ სომხებს, ვისაც-კი უნდოდათ, თავისუფლება ჰქონოდათ საქართველოში გადმოსახლებისა. ამ ამბავს ყველა სომხები დიდის სიხარულით მიეგებნენ და დაუყონებლივ დაიწყეს გადმოსახლება ჯერ სპარსეთიდან, სადაც თითქმის აღარავინ დარჩა სომხებისა; ყველა მიესწრაფებოდა, რათა გარდარჩენილიყვნენ მტრის მძიმე უღელსა. ამ სომხების ერთიან მოძრაობამ დიდად დააფიქრა სპარსეთის მთავრობა, რომელმაც დაუწყო სხვა და სხვა წინააღმდეგობა, რათა შეეყენებინა როგორმე სომხების ერთიან გადმოსახლება. მაგრამ გუნდის თავი (პოლკოვნიკი) ლაზარევი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა რუსის მთავრობისაგან ამ გადმოსახლებულთ მფარველობა, წინააღუდგა სპარსეთის მეფეკვიდრის, აბაზ-მირზას, ესრეთ მოქმედებას და ძალა დაატანა, პირობა დაეცვა და არავითარი წინააღმდეგობა აღმოეჩინა სომხებისათვის. აი ამ დროს, ესე იგი 1828 წ. იანვრის 71-ს სპარსეთიდგან გადმოსახლდენ საქართველოში 8249 ოჯახობა, 40,000 სულზე მეტი. მოსწრაფებული გადმოსახლება უფრო შესანიშნავი შეიქმნა ოსმალეთიდგან. თითქმის ერთიან დაიცალა სამი საფაშო პროვინცია ბაიაზეთის, აზრუმის და ყარსისა. აზრუმის კარაპეტ ეპისკოპოსმა თითქმის ერთიან წამოიყვანა იმ ქალაქში ყოფილი სომხები. ამათმა რიცხვმა ბევრად გადააჭარბა იმ დროში სპარსეთიდან გადმოსახლებულის სომხების რიცხვსა, რადგან იმ დროს 1829 წელს ოსმალეთიდან გადმოსული სომხების რიცხვი ავიდა 70,000 სულამდე. მათ შორის 414 ოჯახი კათოლიკე იყო [140]). აი ამნაირად დასრულდა სომხების საქართველოში გადმოსახლება. აქ უნდა მივუმატოთ 1895 წლის აქეთ ოსმალეთიდგან გამოქ-

---

[140]) Dulaurier, Société Arménienne du XIX siècle, Revue des Deux Mondes, 1854, tom. 6, p. 217;—ეგრეთვე იხილე: Recueil d' actes et documents relatifs à l'Arménie, მოსკოვში დაბეჭდილი 1833 წელს;—Journal Asiatique, 1834, tom. 1, p. 322;—Eugène Flandin, Revue des Deux Mondes, 1851, tom. 2, p. 660.

ცეული სომხებიც, რომლებიც ათასობით შემოეხიზნენ საქართველოს სხვა და სხვა ადგილებს.

ყველას, ვისაც ჭეშმარიტება უყვართ, აქ მოყვანილი ისტორიული საბუთებიდგან შეუძლიათ ცხადად დაინახონ, თუ რაოდნად სტყუვიან სომხების მწერლები, როდესაც საქართველოში თავიანთ გადმოსახლებას აწერენ XII, XI, X და უფრო ამაზედ უძველეს საუკუნეებს. ამ საგნის გამორკვევისათვის, რაც შეგვეძლო ვეცადეთ აღმოგვეჩინა ის, რაც ჭეშმარიტებაა და ისტორიული ფაქტის თანახმა, და არა ის, რასაც მიკერძვა და კერძო თავმოყვარეობა მოითხოვდა.

ესეც უნდა მოვაგონოთ პატივცემულ მკითხველთ, რომ ჩვენი ისტორია, ყოველ გარემოებაში, გვიჩვენებს სომხებს როგორც საზოგადოებას, რომელსაც მუდამ თავისი ეროვნული თვისება ჰქონდა და ირჩეოდა ყველანაირ შემთხვევაში საქართველოს ერში. აქედგანაც შეგვიძლია ის დავსკვნათ, რომ უკეთუ სომხები საქართველოში ძველ დროდგანვე გადმოსახლებული ყოფილიყვნენ, მაშინ მათ აღარ უნდა შერჩენოდათ ის პირადი თვისება და განსხვავება ქართველთ ერში, არამედ ისინი უნდა შეთვისებულიყვნენ ქართველ ხალხთან, თუ მათზე ცოტანი იყვნენ; ხოლო თუ მათზედ ბევრნი ითვლებოდენ, მაშინ მათ უნდა შეეთვისებინათ ქართველი ერი და უნდა მოესპოთ მათი განსხვავება, რადგან ცხადი და ყველასაგან ცნობილი ფიზიკებრივი კანონია, რომ ძლიელი ელემენტი მუდამ უძლურ ელემენტს ითვისებს-იერთებს და ესრედ მას თავის კერძოს და განსაკუთრებულს მყოფობას უსპობს. ამის უტყუარს მაგალითს გვაძლევს სომხის ერთი ახალშენი, რომელიც გადასახლდა პოლონეთს, სადაც არავისგან არავითარი შეწუხება და ძალ დატანება ჰქონდა, ხოლო რადგან მისი რიცხვი პოლონელებთან შედარებით, მცირე იყო, ამისთვის იმ ერს შეეთვის-შეეხორცა თავისთავად და ესრედ მოესპო თავისი ეროვნული თვისება და განსაკუთრებითი მყოფობა. ესრეთვე უნდა მომხდარიყო საქართველოშიაც, უკეთუ სომხები ძველი დროდგანვე ყოფილიყვნენ აქ გადმოსახლებულნი, მაგრამ ამისთანა მოვლენის კვალს ვერსად ვერა ვხედავთ ისტორიაში.

რადგან სომხის მწერალთა გასამტყუნებლად ჩვენი აქ მოყვანილი საბუთები სრულიად ცხადი და უტყუარია, ამისთვის რაც ვთქვით, საკმაოდ ვრაცხთ და ამ საგანისთვის სიტყვას მეტად აღარ გავაგრძელებთ.

თავი IV.

რას ამბობენ სომხის მწერლები ქართველ კათოლიკეთა შესახებ.

სომხის მწერლებმა ბევრი რამ სთქვეს და ბევრი სწერეს ჩვენ წინააღმდეგ. ყველგან მოჰფინეს თავიანთი ცრუ აზრები და ბევრს დააჯერეს, რომ ქართველ კათოლიკეთა არსებობა ტყვილიაო, ყველა ეს კათოლიკენი სომხების ჩამამავალნი არიანო და სხვა ამისთანა. მათს ასე უსაბუთოდ ნათქვამს და ნაწერებს ყველას რო გამოვუდგეთ, მეტად შორს წაგვიყვანს. მხოლოდ შევეხებით და გამოვიძიებთ იმ წერილებს, რომლებიც სომხურმა გაზეთმა „მშაკმა“ 1897 წ. დაბეჭდა 110, 137, 138, 144, 145, 148, 149 და 1898 წ. 190 ნომრებში.

ერთი და იგივე, ცოტა განსხვავებით, გაიმეორეს რუსულ გაზეთში „С-Петер. Вѣдомости“-ს 1900 წ. № 156 და 1901 წ. № 98-ში. ამ წერილებსაც შევეხებით ცოტა გაკვრით.

აქ შემოკლებით მოვიყვანთ ამ წერილების უმთავრეს აზრებს, რათა მკითხველთ უწყოდენ, თუ რა სთქვეს სომხის მწერლებმა ჩვენ წინააღმდეგ და ესრეთ სცნონ კარგად, თუ სადამდე მიდის სომხის მწერალთა უსამართლობა და სიცრუე.

რადგან ეს წერილები (ვგონებთ მარტო სახელით) ეკუთვნის ორ პირს, ამისთვის ჩვენც ორ ნაწილად გავყოფთ და ცალკე მოვიყვანთ ავტორთ წერილების აზრებს.

ნაწილი პირველი.

პირველი ავტორია ერთი „სომხის კათოლიკე“, რომელმაც დასწერა „მშაკის“ 1897 წ. 110 ნომერში. მისი წერი-

ლი, მეორე ავტორის წერილთან შედარებით, ძრიელ მოკლეა, მაგრამ შიგ ბევრი უსამართლობა და სიცრუეა მოყვანილი. ბ. სომხის კათოლიკის წერილის აზრი შემდეგია: 1) როდესაც 1844 წ. კაფუცინები განაშორეს ტფილისიდან, მაშინ ვენეციაში ნაკურთხმა სომხის კათოლიკე მღვდლებმა იწყეს მწყემსვა ტფილისის სომხის კათოლიკებისა [141]); 2) ტფილისის საეკლესიო სკოლაში ნასწავლი ყმაწვილები მიდიოდენ ვენეციას და იქიდგან მღვდლად ნაკურთხნი უკანვე ბრუნდებოდენ ტფილისს; 3) 1877 წლამდე ტფილისში ერთად ერთი ეკკლესია იყო სომხის კათოლიკეთა. ლათინის პატრები შევიდენ ამ ეკკლესიაში უცხო ტომთა შესავლელად, ვიდრე მათთვის სხვა ეკკლესია აშენდებოდა; 4) ლათინის პატრებმა, რომლებიც ჩამომავლობით სომხები არიან, არ დასტოვეს სომხის კათოლიკეთა ეკკლესია ესე და არ წავიდენ თავიანთ ეკკლესიაში, კუკიაში რომ არის, არამედ მზაკვრობით იქიდგან მოაშორეს სომხის კათოლიკის მღვდლები, მოსპეს სომხური ჟამ-კანონის თქმა და ეგრეთვე სომხურის სწავლება სკოლაში; 5) სომხის კათოლიკენი გაჰყვეს და მათს ერთ ნაწილს და თავიანთ თავს ქართველ კათოლიკენი უწოდეს; 6) ქართულად დაიწყეს ჟამ-კანონის შესრულება და თავიანთ მომხრეებისათვის ქართული წიგნები დაბეჭდეს; 7) ეკკლესიას როგორც შიგნით, ისე გარეთ სახე შეუცვალეს; 8) წახოცეს სომხური ზედ-წარწერები და იმათ მაგიერ ქართული და ლათინური ზედ-წარწერები გაუკეთეს; 9) მწყემს-დაკლებული სომხის კათოლიკები ტფილისისა დიდის ხნიდგან სჩივოდენ სასულიერო და სახოლიერო მთავრობასთან, ბოლოს დავა მოიგეს და ქართული ენაც მოსპობილ იქმნა ეკკლესიაში; 10) ხოლო სომხურის ნაცვლად ლათინურად დაიწყეს ჟამ-კანონის შესრულება; 11) სომხის კათოლიკეთ ხელმეორედ იჩივლეს და მთავრობამაც 1893 წ. დაადგინა ლათინებს ღვთის-მშობლის ეკკლესია ჩამორთმევოდათ და სომხებს ჩაჰბარებოდათ; 12) დანარჩენი სომხის კათოლიკენი კავკასიისა ამ საგნისათვის ბევრს არა ზრუნვენ.

---

[141]) ამ ნომრებს ჩვენ ვუსვამთ სიადვილის გამო.

ამიტომ ტფილისის სომხის კათოლიკენი მეტად სუსტნი არიან, როგორც რიცხვით, ისე მდგომარეობით, თავიანთი კანონიერი სურვილი დაიკმაყოფილონ და ლათინთ მღვდლების წინააღმ-დეგ ბრძოლა გაუწიონ; 13) ძრიელ გასაკიცხი არიან ახალ-ციხის სომხის კათოლიკენი, რომ სრულიად ხმას არ იღებენ ტფილისის სომხის კათოლიკეთა სასარგებლოდ.

ამის დამწერს თავის თავი სომხის კათოლიკედ მოაქვს, მაგრამ დიდი ეჭვი გვაქვს, სწორედ კათოლიკე იყოს, რად-გან ნამდვილი კათოლიკე იმდენი სიცრუით და უსამართ-ლობით სავსე წერილს საქვეყნოდ არ გამოსცემდა თვისთა ერთ-მორწმუნე თანამოძმეთა წინააღმდეგ. ხოლო თუ მართლა ეს პირი ისევ ითვლება კათოლიკედ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ მას კათოლიკობისა სახელის მეტი აღარაფერი შერჩენია. ამ მწერალს ეს ზღაპრული ამბავი ერთის, ანუ ორის საუკუ-ნის შემდგომ რომ გამოექვეყნებინა, შეიძლებოდა ვინმე ისტო-რიის უცოდინარისთვის დაეჯერებინა კიდეც. დღეს-კი ძნელია მისი დაჯერება, რადგან კაციც რომ გაჩუმდეს, თვით ქვა იღაღადებს ამის წინააღმდეგ. ისე ჰგავს, ამ მწერლისათვის ძრიელ აუხვევია თვალები შურსა და სიმძულვარეს ქართვე-ლების წინააღმდეგ, რომ ესრეთ ყველასგან გასაკიცხი ცხადი სიცრუე და თავისი დასის მიერ მოქმედებული უსამართლობა გამოაქვეყნა.

გამოვიძიოთ მისი ნათქვამი. ამბობს: 1) „კაფუცინების განშორების შემდგომ ვენეციაში ნაკურთხმა სომხის კათოლი-კე მღვდლებმა დაიწყეს ტფილისის ერის მწყსვაო“. ამის დამ-წერს თვალით არ უნახავს, თუ კაფუცინების წასვლის შემდ-გომ ვინ იყვნენ ერის შემვლელნი, რადგან ეს ბატონი შო-რეული ქვეყნიდან არის მობძანებული და ტფილისის ნამყოისა ბევრი არაფერი გაეგება; გარნა როგორც ტფილისში, ისე სხვაგან დღესაც ბევრნი არიან ცოცხალნი კათოლიკენი, რო-მელნიც გარკვევით მოგვითხრობენ, კაფუცინების წასვლის შემდგომ, თუ ლათინის რომელი მღვდლები მოვიდენ მათ ად-გილას მრევლის სამწყსოდ. ამას არა მარტო კათოლიკენი მო-წმობენ, არამედ ტფილისის ყველა ტომის და სარწმუნოების

მცხოვრებნიცა. 1845 წ. კაფუცინები რომ წავიდენ, მათ მაგიერად დარჩა ლათინის წესის მღვდელი დონ ანტონ გლახაშვილი, ქუთაისის მცხოვრები. ეს ერთად ერთი მღვდელი იყო იმ დროს როგორც ტფილისისა და გორისა, ისე ქუთაისის კათოლიკეთა შესავლელად. ამას ერთ წამს მოსვენება აღარ ჰქონდა, არამედ შეუწყვეტლივ დადიოდა ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში, რათა უმწყემსოდ დარჩენილის მრევლისათვის მიეგო საჭირო სულიერი სამსახური, სანამ სხვა ლათინის მღვდლები არ მიეშველებოდენ. მთავრობამ რა ნახა უმღვდლობის გამო ერის გაჭირვება, მოგილევის ლათინის არხიეპისკოპოსს დაავალა ტფილისში ერის შესავლელად გამოეგზავნა ორი პოლონელი ახალგაზდა მღვდელი, რომელთაც უნდა ქართული ენაც შეესწავლათ. ეს განკარგულება ტფილისისა და იმერეთის მთავრობამ, 27 აპრილს 1846 წ. 3318 ნომრით აუწყა რომის კათოლიკეთა იმ დროის ზედამხედველს დონ ანტონ გლახაშვილს. მალეც მოვიდენ ეს პატრები და შეუდგენენ ერის შევლას. მერმე სხვებიც მოჰყვნენ, მაგალითად: პატრი სებასტიანოვიჩი, პ. ბერჟანსკი, პ. პოდოლიჩიკი, პ. სტარევიჩი, პრელატი ორლოვსკი და პ. ბოსი; ამათ მერმე შეუდგნენ საქართველოს შვილები: დონ იოსებ ხანუმაშვილი, დონ დიმიტრი თუმანიშვილი, პ. ალფონს ხითარაშვილი, დონ მიქელ ანტონიშვილი და პ. პავლე ყალაიჯიშვილი, დღევანდელი წინამძღვარი ტფილისის ეკკლესიისა. თვალით მხილველების ნათქვამსაც რომ თავი დავანებოთ, ლათინის მღვდლების მიერ ტფილისის კათოლიკეთა განუწყვეტლივ მწყემსვას და ეკკლესიის მართვას გვიმტკიცებს მთავრობის ოფიციალი ქაღალდები 1846 წლიდან მოკიდებული და ეგრეთვე მოგილევის და სარატოვის ეპარხიის საეკკლესიო ყოველწლიური კალენდრები. ვკითხავთ ახლა ამ „სომხის კათოლიკეს“, ვინ იყვნენ ის ვენეციაში ნაკურთხი სომხის მღვდლები, რომელთაც კაფუცინების ადგილი დაიჭირეს ტფილისის ეკკლესიაში, მრევლი ჰმართეს და რომლებსაც შემოსეულმა ლათინის პატრებმა ძალმომრეობით ჩამოართვეს როგორც მრევლი, ისე ეკკლესია? თუ სომხები იყვნენ, ვისი ბრძანებით

იყვნენ (მაშინ ჯერ არ იყო ტირასპოლის ეპარხია გახსნილი), რომელი აფიციალი ქაღალდები გვიჩვენებენ ამას? ანუ რატომ არ მიმართეს მაშინვე მთავრობას, როდესაც მათ კაფუცინების ადგილს ართმევდენ შემოსეული ლათინის მღვდლები? ამ კითხვაზედ პასუხის მოცემა სხვანაირად არ შეუძლია ბ-ნ „სომხის კათოლიკეს“, თუ არ სიცრუით და ჭეშმარიტების დამახინჯებით.

მართალია პოლონელ პატრებს, ქართულის ენის უცოდინარობის გამო, ტფილისში ხშირად მოჰყავდათ აღსარების სათქმევინებლად, მაგრამ არა მეხითარიანი სომხები, არამედ ახალციხის მღვდლები, რომელთაც აღსარების მოსმენის გარდა არა ვითარი უფლება ჰქონდათ მრევლზე, ანუ ეკკლესიაზე. ამნაირად დროებით მოწვეული მღვდელები იყვნენ: მღვდელი იოსებ გალუსტოვი, მ. პეტრე აღუშოვი, მ. იაკობ მურადოვი, მ. პავლე ლაზაროვი და მ. პეტრე მჭედელოვი. თუმცა მეხიტარისტების მღვდლები, როგორც ჰაირ სიმონ, ჰაირ პეტროს, ეცადნენ ამ ეკკლესიაში ადგილი ეშოვათ, მაგრამ მათ ფეხი არავინ მოაკიდებინა. მართალია, ჰაირ ზაქარამ აქ ადგილი იშოვა და ეკკლესიიდგან ჯამაგირსაც ღებულობდა, მაგრამ ეს ქართველების მტრის ორლოვსკის წყალობით იყო, რაისგამო ესეც მალე განაშორეს ეკკლესიიდგან.

2, „ტფილისის საეკკლესიო სკოლაში ნასწავლი ყმაწვილები მიდიოდენ ვენეციას მღვდლობის მისაღებადო“ ამბობს ავტორი. მისი სიტყვებიდან სჩანს, რომ ტფილისის ეს საეკკლესიო სკოლა ყოფილა როგორც ერთი პატარა სემინარია სომხის კათოლიკე სამღვდელოებისათვის. ვინ არ იცის, რომ ეს სკოლა სხვა არა არის რა, თუ არ ის სამრევლო სკოლა, რომელიც კაფუცინებმა 1663 წ. დააფუძნეს გასაწვრთნელად ბავშვებისა იმ ერის, რომლის გასაკათოლიკებლადაც მოსულიყვნენ. პირველ თავში ვუჩვენეთ, რომ ის ერი იყო ქართველთ ერი. თუმცა-კი ამ სკოლაში ზოგჯერ სხვა ტომისა და სარწმუნოების ბავშვებსაც იღებდენ, მაგრამ ესენი კათოლიკების შემდეგ მოდიოდენ. ამიტომ მასში თავდაპირველად ქართველ კათოლიკეთა შვილები იწვრთნებოდენ. ხოლო თუ ამ

სკოლაში ოსმალეთიდან, ანუ სპარსეთიდან მოსულ ერთ-ორს სომხის კათოლიკის შვილებს სამადლოდ წერა-კითხვა ასწავლეს და თუ შემდგომ ესენი ვენეციაში წავიდენ, იქ მღვდლად ეკურთხნენ, განა ამით ეს სკოლა სომხების და მათი სამღვდელოების სკოლად გადაიქცა? ასეთი აზრი მარტო შურით დაბნეულს სომხურ ლოღიკას შეუძლია დაასკვნას. ყველა ქართველი მწერლები, რომლებიც კაფუცინების შესახებ ლაპარაკობენ, პატივით იხსენიებენ ამ სკოლას და ამბობენ, მასში ბევრნი მართმადიდებელნი ქართველნიც იწვრთებოდენ და ზოგი მათგანი შემდგომ სამღვდელოს, სამხედროს, სამკურნალოს და სხვა ამათ მსგავს წოდებას ადგებოდენო. თუ ამ სომეხს ყური უგდეთ, რა დაგვიშლის, ამ პირთაც მიითვისონ ეს სკოლა და ესრე ზოგმა გახადოს იგი ქართველ მართმადიდებელ სემინარიად, ზოგმა სამხედრო სკოლად და ზოგმაც სამედიცინო სასწავლოდ! თუ შემთხვევით აქ თათრის ბავშმაც ისწავლა როდისმე, მაშინ იმასაც უფლება ექმნება, რომ იგი მაჰმადიანების სკოლადაც აღიაროს. ისე ჰგავს, სომხებს ის უჩინო ძალა ჰქონიათ, რომ რა ადგილსაც ფეხს დაადგმენ, უეჭველად იმათი საკუთრება უნდა გახდეს და გასომხდეს.

3) „1877 წლამდე ტფილისში იყო ერთად ერთი სომხის კათოლიკეთა ეკკლესიაო და სხ...“ არ ამბობს ეს ბატონი, თუ რომელს წელს შევიდენ ლათინის პატრები ამ ერთად ერთ სომეხთა ეკკლესიაში, ანუ როცა ისინი შევიდენ, იქ მათზე უწინ ვინმე იყო, თუ არა.—ეს შესული პატრები ისევ ლათინის ტიბიკონის იყვნენ, როგორც თვით კაფუცინები. სომხის კათოლიკის სიტყვით ამათ უნდა ეზრუნათ უცხო ტომის კათოლიკეთა საჭიროებისათვის. რადგან კაფუცინებიც ლათინის წესისანი იყვნენ, იძულებული გამხდარა ეს ბატონი, ჩვენთან აღიაროს, რომ ისინიც 1844 წლამდე მარტო უცხო ტომის კათოლიკეთა შესავლელად იყვნენ ტფილისში მოსულნი და არა სოხბებისათვის. მაშ ცხადი დასკვნა გამოდის აქედგან, რომ კაფუცინებს სომხებთან არავითარი საქმე ჰქონიათ, ეგრეევე არც სომხებს უნდა ჰქონოდესთ, სარწმუნოების შესახებ, ამათთან რაიმე მიმართობა. ახლა ვკითხავთ ამ მწე-

რალს, რა მიზეზი და ან რა სიმართლე ჰქონდათ სომხის კათოლიკის მღვდლებს რომ, როგორც თვით აღიარა ზემოთ, შესულიყვნენ და დაეჭირათ ის ადგილი და ის სამსახური, რომლებისაგანაც განაშორეს კაფუცინები? ვინ არ ხედავს, რომ სომეხთა ამ ახალი მოსარჩლის სიტყვებში სიცრუის მეტი არა არის რა.

4) „ლათინის პატრები, რომლებიც ჩამომავლობით სომხები არიანო და სხ...“ ამ შემთხვევაში ეს ბატონი უფრო დიდის სიცრუვის გასაღებას ცდილობს. სჩანს ამ დიდ და ახლად მოვლენილ ორიენტალისტს მეტად უცნაურად გამოუკვლევია ისტორია და გენეალოგია ამ ლათინის პატრებისა, რომელნიც, იმის სიტყვით, თურმე ყველანი სომხის ჩამომავალნი ყოფილან. აი სომხის ახალ მეცნიერებას სადამდე მიუწვევია?! გუშინდელს შორიდგან გადმოსახლებულს დღეს გამოურკვევია საქართველოს ყველა საბუთები და შეუტყვია ყველას გვარი და ჩამომავლობა!!! მართლაც, რომ დიდად საკვირველია ამ სომხების საქმე! თავის ნებაზე ვისაც არა მგონია სომხებად ხდიან. ისე ჰგავს, სომხის ტომის და დიდების აღსადგენად რაღაცა იდუმალი მნიშვნელობა და ძალა უნდა ჰქონდეს ამ ძალად გასომხებულს ხალხსა, თუ არა, ასე ყველას არ მისცვივდებოდენ და ასე ყველას სომეხს არ უწოდებდენ; თუ არა და უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ლათინის პატრები, თვით უკანასკნელ სომხის უმეცარ გლეხებზე, რომელთაც იციან თავიანთი ვინაობა, უფრო უმეცარნი ყოფილან, რადგან დავიწყებიათ, ანუ არ იციან თავიანთი სომხის ჩამომავლობა; ან თუ არა, უნდა აღვიაროთ, რომ ქართველები ამ პატრებს მეტად მტარვალურად მოპყრობიან, რომ მათთვის სომხობა დაუტოვებინებიათ და ქართველად თავი უწოდებინებიათ. სხვა მიზეზს ვერა ვხედავთ, რომ კაცმა უარჰყოს ის, რაც არის და დაირქვას ის, რაც არ არის. მართალია, შემთხვევით კავკასიაში ერთი, ან ორი სომხის ჩამოვავალი ლათინის წესის პატრია, რომელსაც ტფილისში არას დროს ჰქონია წინამძღვრის მოვალეობა და რომელსაც ფიქრადაც არ მოსვლია თავისი სომხის ჩამომავლობა უარეყო და თავისი თავი ქართველად აღეარებინა. ამ

ერთმა კერძო მაგალითმა განა ყველა პატრი სომხების ჩამო-მავლად უნდა გახადოს? ყველამ ნათლად უწყის, თუ ამ სომხის კათოლიკის ნათქვამი რაოდნად დაშორებია საღს მსჯელობას.

განაგრძობს დიდებული ავქსონი: „მზაკვრობით იმ ეკ-კლესიას მოაშორეს სომხის კათოლიკის მღვდლებიო“. ამ ნაირ ლაპარაკს შეიძლება რაიმე ფასი და გასავალი ექმნეს მაჰმადიანებსა და წარმართებში, რომელთაც ქრისტიანობისა და ქრისტეს ეკკლესიის კანონებისა არაფერი გაეგებათ. ხო-ლო ქრისტიანებთან-კი ამისთანა ზღაპრით კაცი ფონს ვერ გავა. საზოგადო კანონია ყველა ქრისტიანებში, რომ როდე-საც მღვდელი მღვდელ-მოქმედებას ასრულებს, ის თავისუფა-ლი აღარ არის თავისი მოვალეობის აღსრულების დროს, არა-მედ დამოკიდებულია თავის ეპისკოპოსზედ. ამისთვის, თვი-ნიერ ეპისკოპოსის განკარგულებისა, ანუ სხვა უმაღლესის ბრძანებისა, არ შეუძლია თავის ქეიფზე, ან შესვლა, ან გასვ-ლა, ან დარჩენა რომელსამე ეკკლესიაში. მაშ თუ შესულან ლათინის პატრები, ან გაშორებულა რომელიმე სომხის მღვდე-ლი, როგორც ბრძანებს ეს სომხის კათოლიკე, უნდა ყოფილი-ყო მისის ეპისკოპოსის განკარგულებით და არა ლათინის პა-ტრების მზაკვრობით. ეს რომ ასე ყოფილიყო, როგორც ბრძა-ნებს ჩვენი მოკამათე, რატომ არ მიმართეს თავიანთ უფროსს ეპისკოპოსს, ან სამოქალაქო მთავრობას და რატომ მაშინვე არ გამოაქვეყნეს მათდამი მიყენებული უსამართლობა? განა სომხები ისე საცოდავი, ისე უენო, ისე უსუსური კრავები არიან, რომ ამისთანა უსამართლობაზე ხმა არ ამოიღონ? გა-მოცდილებით ვიცით და დღესაც თვალით ვხედავთ, თუ სომ-ხები რას უშვრებიან იმათ, რომელთაც მათ წინაშე სიკეთის მეტი არა მიუძღვისთ-რა; ახლა, წარმოიდგინეთ, რა დღეს დააყენებდენ მას, ვინც ამისთანა უსამართლობას მიაყენებ-და მათ სამღვდელოებას? ზემოთ, პირველ ნომერში ვუჩვე-ნეთ, თუ როგორი ცხადი სიცრუე იყო ამ ბატონის მიერ გა-მოგონილი, ვითომ სომხების მღვდლები შესულიყვნენ ტფი-ლისის ეკკლესიაში კაფუცინების წასვლის შემდგომ; მაშ სა-

ჭიროა, იქიდგან მათი გამოსვლაც ტყუილად და მოჭორებულად მივიჩნიოთ.

დასძენს ბატონი მწერალი: „მოსპეს სომხური ჟამ-კანონის თქმა და სკოლიდანაც განდევნეს სომხურად სწავლებაო“. ტფილისის ეკკლესიაში რომ მუდამ ყოფილა წირვა ლათინურად და დანარჩენი ლოცვები ქართულად, ამას არამც თუ მთელი საქართველოს კათოლიკენი აღიარებენ ერთპირად, არამედ ტფილისის მთელ მცხოვრებთაც შეუძლიათ იმოწმონ. ამასვე მოწმობენ იმდენი ქართული ხელთნაწერი წიგნები, როგორც ეკკლესიაში შენახული, ისე კათოლიკების სხვადასხვა ოჯახებში დარჩენილი. ცხადია კაფუცინები, როცა აქ იყვნენ, არ შეიტანდენ სომხურ ჟამ-კანონს, არც მათი შემდეგი ლათინის პატრები იზამდენ ამას: მაშ ისევ უნდა შეეტანათ სომხის მღვდლებს. ხოლო ზემოდ ვუჩვენეთ და ეს ყველასთვისაც ცხადია, რომ სომხის მღვდლები არას დროს ყოფილან ტფილისის ეკკლესიის მმართველნი. მაშ არც შეეძლოთ სომხური ჟამ-კანონის შეტანა. ჯერ საჭიროა ამ ახალმა ადვოკატმა სომხებისამ დაამტკიცოს სომხის მღვდლების მიერ ტფილისის ეკკლესიის და ერის მართვა და მერმე სთქვას: აი სხვათა შორის ამ მღვდლებმა ესეც ჰქმნეს, რომ ლათინური და ქართული წირვა-ლოცვა მოსპეს და მის ნაცვლად სომხური შეიტანესო.

ესევე აზრი უნდა გამოვსთქვათ სკოლის შესახებ, როცა ამბობს: „სომხურად სწავლა მოსპეს სკოლაშიო“. ყოველი ეჭვის ასახსნელად მივმართეთ დროულ პირებს, რომელთაც კარგად ახსოვსთ ტფილისში კაფუცინების ყოფნის დრო და აწმყოსაც თვალით ხედვენ. ერთმა ამ დროულთაგანმა, რომელიც თვითვე უწინ და მეტადრე 1860 წლის შემდგომ ტფილისის სკოლის მასწავლებლადაც ყოფილა, გვიპასუხა სხვათა შორის „როგორც ქართველ კათოლიკეთა შვილები, ისე შორიდან გადმოცვივნული გლახაკი სომხის კათოლიკის შვილებიც ქართულად სწავლობდენო, სომხური არც გაგონილაო“. ამასვე მოგვითხრობენ სხვა დროულნი და შეგნებულნი პირნიც. ახლა ვის უნდა დაუჯეროს კაცმა. ამ დამსწრეთ და თვით-

საქმეში მყოფ პირთა, თუ გუშინდელ შორიდან გადმოვარ-
დნილ და შურით და მტრობით აღტყინებულ სომეხს? შეი-
ძლება, ერთიან უარს არ ვიტყვით, როდისმე ამ სკოლაში
ყოფილის სომხის ბავშვებისათვის სომხურიც ესწავლებინოთ, მა-
გრამ ამითი ის არაოდეს დამტკიცდება, რომ სკოლა სომხური
გამხდარიყოს და ყველაფრის სწავლაც სომხურად დაეწყოთ.
ამ ცხადისა და უტყუარის საგნის შესახებ სიტყვას არ გავაგრძე-
ლებთ. მხოლოდ ამას გავიხსენებთ, რომ 1853 წ. ნოემბრის
12-ს, 9170 ნომრით სათანადო მთავრობამ ღირსად სცნო
და დაამტკიცა რომის კათოლიკის სკოლა ესე თავისი პროგრა-
მით. ამ პროგრამაში მოხსენებულია, რომ რუსული ენა ყველა
მოწაფეთათვის სავალდებულოა, ხოლო ქართული უნდა ის-
წავლონ იმ ყრმათა, რომელთა მშობლებიც ტფილისის მკვიდ-
რნი არიანო; პოლონელთა, ფრანგის და გერმანელთა შვილებს
თავიანთი დედა ენაც ესწავლებათო. ამ პროგრამაში სრულე-
ბით არ არის მოხსენებული სომხური და არც სომხური ენის
სწავლება. ახლა პატივცემულ მკითხველთ განსაჯონ, თუ რაო-
დნად მართალი არიან სომხის მწერლები.

ამ ჭეშმარიტებაზე ხელ-აღებულის სომხის ახირებულობა
უფრო შორს მიდის, როდესაც ამბობს: „ლათინის მღვდლებ-
მა არ დასტოვეს სომხის კათოლიკების ეკლესია ესე და არ წა-
ვიდენ თავიანთ კუკიის ეკკლესიაშიო“. აი სწორეთ აქ და-
უსვა სომხური დაღი! პატრები ხომ გაასომხა, ახლაც დასჭირ-
და, ეკკლესიაც გაესომხებინა. რადგან სომხების ყოველ ცდას,
გულისთქმას და ოსტატობას ტფილისის ეკკლესია აქვს მიზან-
ში ამოღებული, რათა ეს ეკკლესია ხელში ჩაიგდონ, ამის
თვის საჭიროდ ვრაცხთ, გამოვიძიოთ მისი დასაწყისი, რათა მით
უფრო გამოცხადდეს სომხის მწერალთა სიბოროტე და უბო-
დიშო საქციელი.

თუმცა სიმართლე გვექნება ვთქვათ, რომ ეს ეკკლესია
წარმომადგენელია იმ ეკკლესიისა, რომელიც 1329 წლის უწი-
ნარეს იყო როგორც დომიკინიანების, ისე ფრანჩისკიანების
მიერ აშენებული, და რომელიც ამ დროს იოვანე XXII პა-
პმა საეპისკოპოსო ეკკლესიად განაწესა და ტფილისში დანი-

შნა პირველ ლათინის ეპისკოპოსად იოვანე ფლორენციელი დომინიკიანიო, ხოლო საკმაოდ ვრაცხთ, დავიწყოთ იმ დროიდან, რომლის აქეთ შეუწყვეტლივ მოსძლებს ეს დღევანდელი ტფილისის ლათინის ეკკლესია.

რომიდან 1661 წ. წამოსული კაფუცინები, რა მოვიდენ ტფილისს, წარდგნენ შაჰნავაზ მეფის წინაშე მეფის განთქმულის მკურნალის კათოლიკე ანდრია ეპიფანიოს შუამავლობით. მეფემ პატივით მიიღო ისინი და მისცა ნება აქ დარჩენისა; მასთანვე მათ ორი სახლი მისცა ქალაქის თვით საუკეთესო შუა ადგილს, რათა ერთში დამდგარ იყვნენ და მეორე სახლში ეწირათ და ელოცათ. მეფის ამნაირმა გულკეთილობამ სიხარულით აღავსო კაფუცინები, რომლებმაც რომში წიგნი წიგნზე მისწერეს ამ სანუგეშო ამბავის შესატყობინებლად [142]). რა დაიწყეს კაფუცინებმა ამ ეკკლესიად გადაკეთებულ სახლში წირვა-ლოცვა, ხალხმა მაშინვე დაიწყო სიარული მათს ეკკლესიაში, თვით დედოფალიც რავდენსამე გზის დაესწრო წირვას, რომელიც ძრიელ მოსწონებოდა და თავის კარის მღვდლისათვის ეთქვა: აი სწორედ ქრისტიანები ეგენი ყოფილანო. დედოფლის ესრეთი ნალაპარაკევი თვით ამ მღვდელსვე მიეთხრა კაფუცინებისათვის. რადგან ბლომად მოდიოდა ხალხი, ამისთვის ეკკლესია მათ ვეღარ იტევდა, რაისგამო ხალხმა სთხოვა, ეკკლესია გაედიდებინათ. კაფუცინებმაც მაშინვე რომიდან ფული მოითხოვეს როგორც თავიანთი საჭიროებისა, ისე ამ ეკკლესიის გასადიდებლად. როგორც სჩანს, ეს ეკკლესია მალე მოზდილ ეკკლესიად გადააკეთეს, რადგან, როცა მოგზაური შარდენი მოვიდა ტფილისს 1670 წ., დახვდა შვენიერი ეკკლესია, რომელსაც თავის მიერ გადაღებულ ტფილისის პლანში შესაფერი ადგილი მისცა სხვა ეკკლესიებთან. ეს ეკკლესია არსებობდა ხსენებულის საუკუნის მიწურულამდე. ხოლო შემდგომ კაფუცინებმა სხვა ეკკლესია ააგეს მის ადგილს, სხვა ეკკლესიებთან შედარებით პატარა, მაგრამ ძრიელ მშვენიერი. ამას მოგზაური ტურნეფორიც მოწმობს, რადგან,

---

[142]) პროპაგანდის არხივი, ტომი 229.

1700 წ., როდესაც ტფილისში გამოიარა, ეს ეკლესია ჯერ დასრულებული არ იყო [143]).

ამ ახლად გაშენებულმა ეკლესიამაც დიდ ხანს ვერ გასძლო, რადგან მალე დაზიანდა როგორც სომხების მიერ დევნულებისა, ისე სხვა მიზეზების გამო. ამისთვის კაფუცინები იძულებული გახდენ სხვა ეკლესია აეშენებინათ. კაფუცინმა ქლაუდიო რეჯიელმა, 1741 წ. დაიწყო ეს ეკლესია და მთლად დაასრულა 1749 წელს. [144]). ეს ეკლესია-კი ძრიელ შვენიერი გამოვიდა და თითქმის ყველა ეკლესიებს გადააჭარბა, რადგან ამისთანა ეკლესია საქართველოში არ არისო, სწერდენ ვაფუცინები რომში.

ამ ახალი ეკლესიისათვის გასადიდებელი ადგილი თურშე თეიმურაზ მეფეს მიუცია. ამას ესე მოგვითხრობს როტიე: „პატრმა ქლაუდიო რუჯიელმა რა მოიშოვა მეფისაგან ადგილი ეკლესიის გასადიდებლად 1741 წ., მეტად შვენიერი გუმბათიანი ეკლესია გააშენა იტალიურის არხიტეკტურისამებრ, თლილის ქვისა, მასთანვე თავიანთი მონასტერიც მსგავსადვე თლილის ქვისა; ეგრეთვე თავიანთი სასაფლაოც გადაიტანეს ქალაქის გარეთ, ჩრდილო-დასავლეთის კერძოდ მთის გვერდზე, იმ ადგილზე, რომელიც თეიმურაზ მეფემ აჩუქა, და სადაც დღევანდლამდეა“ [145]). ეს მშვენიერი ეკლესია სწორეთ ის ეკლესია იყო, რომელიც ისევ თვით თეიმურაზ მეფემ ჩამოართვა კაფუცინებს 1755 წ. და გარეკა ისინი ტფილისიდან.

თეიმურაზ მეფის რუსეთში წასვლის შემდგომ, ერეკლე მეფემ თავისი დის ავადმყოფობისგამო, ახალციხეში ჯერ წე-

---

[143]) Relation d'un voyage par P. de Tournefort, t. 2. p. 135.

[144]) რომის კაფუცინების არხივი.

[145]) Le P. Claudio de Reggio ayant obtenu du roi en 1741 une augmentation de terrain, y construisit une très belle église d' architecture Italienne avec une coupôle, ainsique le couvent tout en pierre et leur cimetière fut transporté dans un terrain que le roi Téimouraz leur donna hors de la ville, sur la pente de la montaque, au Nord Ouest de la ville où il existe depuis cette époque (პროპაგანდის არხივი, Rottiers, De la religion chrétienne en Géorgie, p. 28, M. S.).

რილები მისწერა და შემდგომ თავისი სიძე 60 ცხენოსნით გაუგზავნა პატრის კაფუცინის ლეონარდის წამოსაყვანად. ესეც სიხარულით წამოჰყვა და 14 აგვისტოს 1760 წ. ტფილისს რომ მოახლოვდენ, ერეკლემ ჯარი მიაგება. [146]). შემდგომ ავადმყოფის წამლობისა, ამ კაფუცინმა მრევლს შევლა დაუწყო, ერთი მოზრდილი სახლი გადააქცია ეკკლესიად, შეუდგა ცხადად წირვა-ლოცვის შესრულებას, ქადაგებას, ჯვრის წერას, ნათლიღებას, მიცვალებულ კათოლიკეთა დამარხვას და საზოგადოდ აღსრულებას იმ წესთა, რაც-კი საჭიროა ერთ მრევლიან ეკკლესიაში [147]).

ესრე ტფილისს ახლად გადაკეთებულ პატარა ეკკლესიაში კაფუცინები შეუდგნენ იმ ყველა სულიერი სამსახურის ასრულებას, რასაც უწინ ასრულებდენ თავიანთ შვენიერ ეკკლესიაში. მასთანვე ცდილობდენ, ჩამორთმეული ეკკლესია როგორმე უკან დაებრუნებინათ. ამის გამო სპარსეთის მთავრობისგან მოიშოვნეს ბრძანება წერილით, რომელიც ავალებდა ერეკლეს კაფუცინებისათვის დაებრუნებინა ჩამორთმეული ეკკლესიები და მონასტრები (გორის ეკკლესია და მონასტერიც ჩამოართვეს). ერეკლემ სპარსეთიდან მიიღო ეს ბრძანება 10 ივნისს 1763 წ.; გულით უნდოდა კაფუცინებისათვის დაებრუნებინა ეკკლესია, მაგრამ ვერ გაბედა იმის შიშით, რომ არაფერი ურიგობა მომხდარიყო; ამისთვის ამავე თვის 18-ს საზოგადო კრება მოახდინა, რომელზედაც მოუწოდა, ეპისკოპოსებისა და ბერების გარდა, ყველა მოწინავე ქართველებს და სომხებს. კრების მომეტებული ნაწილი წინააღმდეგი იყო ეკკლესიის დაბრუნებისა, რაისგამო ერეკლემ ველარ შეასრულა თავისი სურვილი. კაფუცინები დარჩნენ ისევ თავიანთ პატარა ეკკლესიაში. როგორც ერთი წერილიდან სჩანს, ტფილისში კაფუცინებისათვის როგორც საეკკლესიო სახლი, ისე ბინა თვით ერეკლეს მიუცია; ეგრეთვე დაუბარებია გორისათვის კაფუცინები და იქაც მიუცია მათთვის სახ-

---

[146]) რომის კაფუცინების არხივი.

[147]) იგივე არხივი.

ლი. შემდგომ თვით ერეკლემ ჩააგონა კაფუცინებს, ან ავსტრიის, ან რუსეთის კეისრისაგან მოეშოვნათ წერილი ეკკლესიის დაბრუნებაზე; ასეთი წერილი რომ მექმნება, ეკკლესიასაც დაგიბრუნებთ და ხალხსაც გავაჩუმებ ამ წერილის ძალითო. სამწუხაროდ, კაფუცინებმა ეს ვერ მოუშოვეს, მაგრამ მუდამ-კი იმედი ჰქონდათ ერეკლესი, რომ იგი, როცა იქმნებოდა, მათ ეკკლესიას დაუბრუნებდა. ამიტომ შემთხვევას არ ჰკარგავდენ და თხოვნას უხელმეორებდენ. 1783 წ. პატრმა ანდრია პალერმელმა მიართვა ერეკლეს ერთი მოხსენება, ჩვენი ნადგომი სახლი ინგრევა და სხვა სახლი მოგვეცეო. მეფემ საჯაროდ უბრძანა, აღგისრულებთ თხოვნასაო. ხოლო კერძოდ მისთვის ჩუმად ეთქვა: მე მწადია თქვენი ეკკლესიები მოგცეთ, მაგრამ თავადების და საეკკლესიო პირების წინაშე ჩემ გასამართლებლად საჭიროა თხოვნა რომლისამე უმაღლესის პირისაო [148]). ამასთანვე ერეკლეს კაფუცინებისათვის მიუცია თავისი ხელწერილიც, რომლითაც ჰპირდებოდა ეკკლესიების დაბრუნებას. ერთხელაც თვითვე შეეჩივლა კაფუცინებისათვის და ეთქვა, აი რავდენ გზის მოვიწადინე ჩემი სურვილის შესრულება თქვენთვის ეკკლესიის დაბრუნებისა, მაგრამ ყოველთვის წინ გადმეღობნენო.

1784 წელს მოსულა საქართველოში თ. გენერალი პოტემკინი, რომლის ძმა იმ დროს რუსეთის მინისტრი ყოფილიყო. ამისთვის მიუმართავსთ კაფუცინებს და უთხოვნიათ, რუსის მთავრობას ბრძანება მოეცა ეკკლესიის დაბრუნებისა; ეგრეთვე ეს გარემოება კაფუცინის უფროსს ერეკლესათვისაც შეუტყობინებია. მასაც უთქვამს, ძალიან კარგი, მისწერეთ და, თუ არ მოხერხდა ეკკლესიის დაბრუნება, მაშინ მის ფასს მოგცემთო. ამავე აზრისა ყოფილა გიორგი ბატონიშვილიც, რომელიც ბევრჯელ ლაპარაკში კაფუცინებს დაჰპირებოდა და ეთქვა: „რადგან ეკკლესიები ჩვენგან იკურთხა, ამისთვის მათი დაბრუნება აღარ იქნებაო, ხოლო ვალდებული ვართ, მისი ფასი დაგიბრუნოთო. ამ ამბავს პატრი

---

[148]) პროპაგანდის არხივი Giorgia, vol. 4, № 16.

ანდრია პოლერმელი რომში კარდინალს სწერს 15 ნოემბერს 1784 წ. და რჩევას სთხოვს: „უკეთუ საქმე ეკლესიების საფასურის დაბრუნებით გადაწყდა, გთხოვ მომცეთ განკარგულება, ამ შემთხვევაში როგორ უნდა მოვიქცე. ჩემი აზრი-კი ეს არის, ფასის მიღებაზედ არასოდეს დავთანახმდე, არამედ მუდამ ეკლესიის დაბრუნება ვითხოვო, რადგან ვიცი კარგად და თვით გიორგი ბატონიშვილმაც მითხრა, მაგდენი ფულის გადახდასაც ვერ შევიძლებთო, რადგან, როგორც ამბობენ, მარტო ტფილისის ეკლესია ღირს ოთხი ათას თუმნადო. უკეთუ არ დათანხმდენ ეკლესიების დაბრუნებაზე, ყოველთვის უარზე ვიქმნები ფასი მივიღო, რადგან ეს ფული გინდ ბევრი იყოს, გინდ ცოტა, ყოველს შემთხვევაში თვითვე იქმნებიან დამფასებლები და ასრე ფულსაც დავკარგავთ და ეკლესიებსაც“ [149]).

თავიანთი ძველის ეკლესიის დაბრუნებისათვის კაფუცინები ცდაში რომ იყვნენ, ისევ კაფუცინების დაუძინებელმა მტერმა, ერთმა სომხის ტერტერამ, იყიდა ერთი სახლი, რომელიც ახლოს იყო კაფუცინების სადგომ სახლსა და ეკლესიასთან, იმ აზრით, რომ იქ გაემართა სომეხ გრიგორიანების სემინარია, რათა ამითი მოსვენება არ მიეცა არც კაფუცინებისა და არც მათის მოწაფეებისა და მრევლისათვის. ამ სომხის მღვდელს ეს მაშინ ჩაედინა, როდესაც უფროსი პატრი იქ არ ყოფილიყო. მოვიდა თუ არა ეს პატრი, მაშინვე მიმართა ერეკლე მეფეს და შესჩივლა, ჩემს სახლში ჩემი დადგომა ყოვლად შეუძლებელია, თუ ხომხებმა იქ სკოლა გამართესო. ერეკლემ ძალა დაატანა სომხის მღვდელს, იქიდგან გაშორებულიყო. პატრმა ეს სახლი შეიყიდა და მის გარეშემო ადგილიც, რათა კიდევ სომხებს არაფერი ექმნათ. ამ ახლად შემატებული ადგილით თავისი პატარა ეკლესია გაადიდა და ერთიც სხვა სახლი ჩასდგა. როგორც ამ ადგილის ყიდვისა, ისე სახლის აშენებისა და ეკლესიის გადიდებისათვის დაეხარჯა ანდრია პატრსა 1200 რომაულ სკუდზედ მეტი

---

[149]) იგივე, № 24.

(6,000 ფრანგი). 1786 წ. ამ ხარჯის ანგარიშს სწერს რიმში კარდინალს და ეუბნება: „ამაში ჩვენმა კათოლიკე მრევლმა არავითარი მონაწილეობა მიიღო და არც მინდა შევაწუხო, რადგან მეტ წილად გლახაკია. თუმცა ხარჯი მეტის მეტი მოგვივიდა, მაგრამ არავინ შევაწუხე, რადგან, ღვთის შემწეობით, ეს ფული ვიშოვე როგორც წამლობითა, ისე გამოვლილი და აწმყო სამსახურითა“ [150]). თუმცა გიორგი ბატონიშვილმა ბევრ გზის უთხრა კაფუცინებს, ვალდებული ვართ ან ეკკლესიები დაგიბრუნოთ, ან მათი ფასი გადგიხადოთო, მაგრამ არც ერთი დანაპირები არ შეესრულებია საქმით. მიზეზი ის იყო, რომ კაფუცინებისათვის წართმეულის ეკკლესიის არხიმანდრიტად თვით გიორგის მოძღვარი ყოფილიყო, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონია როგორც სამეფო სახლში, ისე საქართველოს საეკკლესიო პირებზე. აი სწორეთ ეს კაცი ურჩევდა ერეკლესა, თუ გიორგის კაფუცინებისათვის ეკკლესია არ დაებრუნებინათ.

კაფუცინებს რუსის მთავრობის მეტი სხვის იმედი აღარ ჰქონდათ ეკკლესიის ჩაბარებისათვის. მაგრამ აქაც საქმე გაძნელდა, ანუ შეჩერდა, ამიტომ რომ თავადი პოტემკინი გადაყვანილ იქმნა მოსკოვს, რაის გამო კაფუცინების თხოვნის დაკმაყოფილებას ჯეროვანი ყურადღება ველარ მიაქცია. მაგრამ რომი და კაფუცინები გულს მაინც არ იტეხდენ და რაც შეეძლოთ ცდას არ აკლებდენ. პროპაგანდამ 25 ოქტომბერს 1800 წ. მისწერა კოსტანტინეპოლში მყოფ რუსის ელჩსა, რათა ამ ეკკლესიის დაბრუნებისათვის რუსის მთავრობასთან შუამდგომლობა გაეწია. ამანაც მაშინვე ეს თხოვნა პეტერბურგში მინისტრს გადასცა. ამავე წელს, 3 ოქტომბერს, პროპაგანდას მიეწერა ამ საქმის თაობაზე პეტერბურგში მყოფ ბენვენუტა აბატისათვის, რომელსაც თვით ენახა მინისტრი და საქმე კარგს გზაზე დაეყენებინა. ამ სათხოვრების მოსმენის შემდგომ მალე კეისარმა გამოსცა უმაღლესი ბრძანება, კაფუცინებისათვის დაებრუნებინათ თავიანთი ეკკლესიები და სახ-

---

[150]) იგივე, № 36.

ლები. ეს ბრძანება იანვრის პირველს 1802 წ. გარდაეცა საქართველოს მმართველს გენერალს კნორინგს. მასთანვე ამის გარდამცემი ინსპექტორი ატყობინებდა, თვითვე ჩამოვალ მალე ტფილისში და ჩემის ხელით ჩავაბარებ კაფუცინებს თავიანთ ეკკლესიებს და სახლებსო. ამ ამბავმა დიდად გაახარა კათოლიკენი, ქართველები და სომხები-კი, როგორც მოსალოდნელი იყო, აღელვა. ინსპექტორმა დაიგვიანა, არ მოვიდა ტფილისში, ეკკლესიები ჩაებარებინა. ამის მიზეზს, 1802 წ., კაფუცინები სწერენ რომში: „ამბობენ, რომ ქართველებმა ინსპექტორს საჩუქრად გაუგზავნეს 2000 პიასტრი, რათა ჩვენი ეკკლესიები არ დაგვიბრუნონ“ [151]). ამავე დროს კაფუცინები რომს სთხოვენ ფულს, იმის გამო, რომ თუ დაგვიბრუნეს ეკკლესია და სახლი, ძრიელ ბევრი შეკეთებაა მოუნდებაო, რადგან მეტად დაზიანებულია ეკკლესიის გუმბათი თითქმის ინძრევაო, რაისგამო შიშით ბევრი ქართველები აღარ შედიან ეკკლესიაშიო. ამ ეკკლესიის საქმე ისე დარჩა, რომ მისი გუმბათიც მალე დაინგრა და შიგ წირვა-ლოცვის შესრულებაც შესწყდა.

ზემოდ ხსენებული ეკკლესია, კაფუცინებისა, როგორც ვთქვით, ახალი ნაყიდი ადგილებით გაადიდეს, მაგრამ შენობაკი სულ უბრალო იყო. ამის მშვენიერად გადაკეთებას არ ფიქრობდენ, რადგან ერეკლეს იმედი ჰქონდათ, პირობას აღგვისრულებს და ჩვენს ეკკლესიას დაგვიბრუნებსო. მაგრამ, რაც კი ხელში ჰქონდათ, იმაზედაც ცარიელი დარჩნენ, რადგან 1795 წ. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას ტფილისში არც მათი ეკკლესია და სახლი გადაურჩა აუოხრებელი. 1800 წ. რომში სწერენ: „ოთხი წელიწადია, რაც სპარსელებმა გადასწვეს ერთიან ტფილისიო, ცეცხლმა ნაცრად აქცია აგრეთვე ჩვენი ეკკლესია და სახლი; ჩვენი კათოლიკები ზოგი დახოცეს და ზოგიც ტყვედ წაიყვანეს“ [152]). თუმცა ამაზე წინათ ვრცელ-

[151]) იგივე, Giorgia, vol. 5, № 26.

[152]) იგივე, № 15.

ლად მიუწერიათ ტფილისის გაოხრების ამბავი, მაგრამ სამწუ-ხარიად ეს წერილი ვერ ვიპოვეთ.

ამ საზოგადო უბედურებისაგან გაღარიბებულმა კაფუ-ცინებმა ვერ შეიძლეს მაშინვე თავიანთ დაცარიელებულ ად-გილზე ხელ ახლავ ახალის ეკკლესიის და სახლის აშენება. ხოლო დროებით მოათავსეს ეკკლესია ერთ დაქირავებულ სა-ხლში და თვითონაც იქვე დადგნენ. შემწეობის მოსაშოვნე-ლად 1800 წ. აგვისტოს 4-ს რომში სწერენ: „დასასრულ უნ-და მოგახსენოთ, რომ მისიონერები აქ ტფილისში სატირელს მდგომარეობაში ვართ, ყელთამდე ვალით სავსენი. ხუთი წე-ლიწადია, რაც სპარსელები შემოესივნენ ამ უბედურს ქალაქს და ერთიან გაანაცრეს ყველაფერი. ახლა ერთ დაქირავებულ სახლში ვცხოვრებთ. აქ მოვათავსე ეკკლესია, რომელიც სწო-რედ ყველაფრისაგან განშიშვლებულია.... რადგან ყველაფერი დაიკარგა, როცა ჩვენი ეკკლესია და სახლი გადაიწვა. აღარა-ფერი გვაქვს, რომ ეკლესიას მოუაროთ; ეგრეთვე ჩვენი კა-თოლიკენიც ყველანი მოკლებულნი არიან სახლსა და საც-ხოვრებელს; ვალითაც სავსენი არიან და არ იციან, რა ჰქმნან და როგორ გადაიხადონ. როგორც ამბობენ, აგერ ორი წე-ლიწადია, როგორც ჩვენს ქვეყანასა (პატოვას), ისე სხვაგან ავ-სტრიის კეისრის ბრძანებით წყალობა მოუკრეფიათ აღმოსავ-ლეთის მისიონების შესაწევნელად; მაგრამ უწყოდეთ კარგად, რომ ეს ჩვენი მისიონი უფრო დიდ გაჭირვებაშია, ვიდრე სხვა ადგილის მისიონები“ [153]).

რა საკვირველია კაფუც-ნებისათვის ძრიელ ძნელი იყო დაქირავებულ სახლში დგომა და შიგ ეკკლესიის მოთავ-სება. მეტი გზა აღარ ჰქონდათ, თავიანთი წინანდელი დამ-წვარის ეკკლესიის ადგილზე სხვა ახალი ეკკლესია უნდა გაეშენებინათ, რადგან წირთმეულის ეკკლესიის დაბრუნების იმედი აღარ ჰქონდათ. ესეც კარგად იცოდენ, რომ ამ განზ-რახვის ასრულებას ბევრი ფული დასჭირდებოდა და თვინიერ რომის შემწეობისა ეკკლესიას ვერ დაასრულებდენ. 5 ივლისს,

[153]) იგივე, № 16.

1802 წ. კაფუცინების უფროსმა პატრმა ფრანჩისკემ რომში კარდინალს მიმართა ამ თხოვნით; „ღვთის გულისა და ჩვენი წმიდა სარწმუნოებისათვის, კიდევ განუახლეთ რუსის მთავრობას თხოვნა (ეკკლესიის დაბრუნების შესახებ), და თუ ამას საჭიროდ აღარ სცნობდეთ, მაშინ მეტი ღონე არაა, მანდ ევროპაში მოკრეფილი წყალობა უნდა მოგვაწოდოთ; ამ ფულით შევიძლებთ როგორმე გავაშენოთ ეკკლესია და სახლი როგორც ტფილისსა, ისე გორში. ხოლო დღითი დღემდე მოკრეფილი წყალობა შეიძლება რუსეთის გზით გამოგვიგზავნოთ“ [154]).

კაფუცინების თხოვნა ტფილისის ეკლესიის აშენებისთვის ყურად უღებელი არ დაუტოვებიათ. მალე საჭირო შემწეობა მოუვიდათ ევროპიდან. სხვათა შორის, 1803 წ. ავსტრიის კეისარმა ფრანჩისკე მეორემ გამოუგზავნა 1282 პიასტრი, რომელიც კინალამ გზაში დაეკარგათ. როგორც ევროპიდან მოსულის წყალობით, ისე მთავრობის მიერ მოცემულის 6000 მ., რომელიც თვით მთავარმართებელმა თ-დმა ციციშვილმა მისცა უფრო იმის გამო, რომ თავიანთი ეკკლესია ველარ ჩაიბარეს, მალე, 1805 წ., დამწვარის ეკკლესიის ადგილზე ახალი ეკკლესიის აშენება დაიწყეს. ეკკლესიის პლანი დაუხატა თვით ციციშვილმა [155]). კედლები რომ ცოტა მაღლა ამოიყვანეს, ფული შემოაკლდათ და შენობაც შეაყენეს. ხოლო 1806 წ. იანვრის 29-ს კაფუცინების უფროსმა კვალად მიმართა რომს და მოსთხოვა შემწეობა. ეს წყალობის თხოვნა კვალად განუმეორეს რომს იმავე წელს 15 ივნისისას, მასთანვე აცნობეს თავიანთი მფარველი მთავარმართებლის სიკვდილი; „ჩვენის ეკკლესიის შენება შედგა, რადგან ფული აღარ არის; საქართველოს მთავარმართებელი, რომელიც გვფარველობდა, სპარსელებმა ღალატობით მოჰკლეს„ [156]).

როგორც წინეთ, ისე არც კაფიცუნების ეხლანდელი თხოვნა დარჩა ყურადუღებელი. მალე მიიღეს 720 პიასტრი

---

[154]) იგივე, № 25.

[155]) კაფუცინების არხივი ტრაპიზონში.

[156]) პროპაგანდის არხივი Giorgia, vol. 5, № 43.

ერთი და 200 რომაული სკუდი ერთი; მასთანვე კარდინალი ატყობინებს, რომ პროპაგანდას ბევრი ფულის გამოგზავნა არ შეუძლია: „თუმცა წმიდა კრების კასსა თითქმის ერთიან დაცარიელდა, მაგრამ მიხედვით იმ გაჭირვებისა, რომელშიაც იმყოფებით გავლილი წლის სექტემბრის აქეთ, როგორც თქვენვე იწერებით, კოსტანტინეპოლში მეოფს ბარონს დეუბსკს მივანდეთ, რომ სომხის ბანკირების საშუალებით თქვენ გამოგიგზავნოსთ კაი გასავლიანი ფული ორასი რომაული სკუდი“ [157]).

ეკკლესიის შენების შეყენებამ ბევრ ხანს აღარ გასტანა. მალე ისევ შეუდგნენ საქმეს და კიდეც დაასრულეს ეკკლესია. ამ უკანასკნელ დროს-კი კათოლიკებიც შეეწივნენ შეძლების დაგვარად და 1000 მანეთი ისესხეს მთავრობისგან ეკკლესიისათვის მოსახმარებლად. რა დასრულდა ეკკლესია, მალე დაიწყეს შიგ წირვა-ლოცვის შესრულება. ამ ამბავს კაფუცინების უფროსი ფრანჩისკე პატრი, 24 იანვარს 1808 წ., ესე აუწყებს კარდინალს: „აგერ ორი თვეა, რაც შევედით ახალ ეკკლესიაში, ძველი ეკკლესიიდან გალობით და ლიტანიით გადმოვიტანეთ წმიდა ზიარება. ეს ლიტანია შესრულდა მუსიკით და რუსის მილიციის თანხლებით; წინ მიუძღოდენ რუსის როგორც სამოქალაქო და სამხედრო მაღალ ხარისხოვანი აფიცრები, ეგრეთვე ქართველები და სომხებიც; მთელი ქალაქი სეირს უყურებდა; ეკკლესიაში შემოჰყვნენ აქ ესრედ წოდებული კათალიკოსი, მიტრაპოლიტი, ქართველები და სომხების მთავარ ეპისკოპოსი“ [158]).

ამის შემდგომ სახლიც მალე დაასრულეს. ეკკლესია მარტო შიგნით იყო გათავებული, ხოლო გარედან ისევ გაუულესავად დასტოვეს და 1814 წლამდე გალავანიც არა ჰქონია შემოვლებული. ამ დროს პატრმა ფილიპემ ეკკლესიას გალავანი შემოავლო და ეზოშივე ერთი სკოლაც გააშენა, რაშიაც 1400 რომაული სკუდი დაეხარჯა. ამ ანგარიშს აკ-

---

[157]) კაფუცინების არხივი ტრაპიზონში.

[158]) პროპაგანდის არხივი Giorgia, vol. 5, № 46.

ნობებს რომში 23 იანვარს 1815 წელს და თანაც ჰსწერს: „თუმცა-კი ეკკლესია ძრიელ დიდი არ არის, მაგრამ მეტად შვენიერია და ყველანი აქებენო“ [159]). პირველში ამ ეკკლესიას არა ჰქონია სამრეკლოები; ესენიც პატრს ფილიპეს აუშენებია და მასთანვე დაუწყია ეკკლესიის გალესვა გარედან მარტო აგურებით შუა დარჩენილის ცარიელის ადგილის ამოვსებით. მაგრამ მისთვის პოლიციას უცნობებია, ყველა კარგად უნდა გაბგლისოს და კიდეც უნდა შეიღებოს, როგორც არხიტეკტორი იტყვისო. ეგრეთვე მასთან თვით გუბერნატორიც მისულა და უთქვამს: „ჩვენ გვინდა, რომ ტფილისის კათოლიკების ეკკლესია ყველაზე შვენიერი იყოსო, რათა სამაგალითო შეიქმნას საქართველოს სხვა ეკკლესიებისათვისო“. ეს შეიძლება იმიტომ მითხრეს, დასძენს ფილიპე პატრი, რომ ჩემი კარ მეგობრები იყვნენ და ჩემი სიამოვნება უნდოდათო. მეც ესე უთხარი: „რაც შემიძლია, ისე ვაკეთებ, ხოლო თუ მეტი უნდათ, თვითონვე შემეწეონ, რადგან ჩვენი კათოლიკის მრევლი ღარიბია და მისგან არავითარი შემწეობის იმედი მაქვსო“—მაშინ მიპასუხა—„ძრიელ კარგი, შეგეწევითო, დაიწყე ფულის მოკრეფა და პირველად ჩემთან მოდიო“. მეც ესე დავიწყე ფულის მოკრეფა, ახლა თან ვკრეფ ფულს და თან ვაშენებ; დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენი ეკკლესია ძრიელ შვენიერი რომ გამოვიდეს. სკოლაც ეგრეთვე ავაშენე და ბავშვთავე პატიოსან რუსებში მოკრეფულის ფულითაო“ [160]).

ამ დაულალავმა პატრმა ფილიპემ, რა დაასრულა ერთიან ეკკლესია, მონასტერი და სკოლა, მაშინვე შეუდგა სასაფლაოს პატარა ეკკლესიის აშენებასაც იმავე ნაირად მოკრეფილის ფულით. მალე დასრულა ეს ეკკლესიაც. შემდგომ სასაფლაოს ღობე შემოვლო, ეგრეთვე გაადიდა და გაალამაზებსა ის ბალი, რომელიც ეკუთვნოდა ეკკლესიას. რა დასრულა ეს პატარა ეკკლესიაც, მაშინვე, 28 დეკემბერს 1824 წ., პრო-

---

[159]) იგივე, № 53.

[160]) იგივე, № 59.

პაგანდას აცნობა და დაწვრილებით აუწერა ამ ახალის ეკლესიის მდგომარეობა და შენობა [161]).

აი ასეთია ტფილისის ღვთის-მშობლის მიძინების სახელობაზე აშენებული კათოლიკე ეკლესიის ისტორია 1663 წლიდან დაწყებული ვიდრე 1845 წლამდე.

როდესაც ამ ეკლესიაში 1852 წ. ორლოვსკი იყო დანიშნული წინამძღვრად, ამან მოინდომა ეკლესიის განახლება. რადგან ტფილისის კათოლიკებს კაი თვალით არ უყურებდა, მრევლმა მთავრობას მიმართა, აეკრძალა ორლოვსკისათვის ეკლესიის შეკეთება. მრევლი ამისგან არავითარ სიკეთეს მოელოდა, რადგან შეამჩნიეს ქართველების მტრობა. ამ თხოვნის თანახმად მთავრობამ 20 მაისს 1860 წ. № 3428, ეკლესიის წარმომადგენლებს აუკრძალა ეკლესიის შეკეთება. ამიტომ წინამძღვარმა თავადმა დონ დიმიტრი თუმანიშვილმა 1884 წლის შემდგომ გადააკეთა ეს ეკლესია და მისცა გოთიკური ფორმა, რომელი ფორმაც დღესაცა აქვს. იმის შემდგომ, ახლა 1903 წ., წინამძღვარმა პატრმა პავლე ყალაიჯიშვილმა შეაკეთა ეს ეკლესია. საჭიროებისათვის ქართველ კათოლიკეთათვის დიდად სასიქადულომ ბატონმა სტეფანე კონსტანტინესძემ ზუბალაშვილმა შესწირა ათიათასი მანეთი.

საჭიროა აქ ესეც გავიხსენიოთ, რომ მთავრობის ყველა ოფიციალ ქაღალდებში ეს ეკლესია ყოველთვის მოხსენებულია რომის ჯოლიკე მაკლესიად და არა სომხის კათოლიკე ეკლესიად. ყველასთვის ცხადია, რომ რომის კათოლიკის სახელით მთავრობას გულში აქვს ლათინის წესის ეკლესია და მრევლი ეგრეთვე ამ ეკლესიის ყველა მეტრიკებში და ყველა მისი მოწყობილობა უჩვენებენ ცხადად, რომ ეს ეკლესია ყოფილა მუდამ და არის ლათინის ტიპიკონის კათოლიკეთა ეკლესია.

ეს ეკლესია სომხის კათოლიკის წესის ეკლესიად მაშინ ჩაითვლებოდა, სომხებისაგან, ან მათი ფულით რომ ყოფილიყო აშენებული, ან მათთვის და მათის წესის აღსასრულებლად. ხოლო აქ მოყვანილი უტყუარი ისტორიული საბუთე-

---

[161]) იგივე, № 72.

ბით ცხადათ ვხედავთ, რომ მისი დამწყები და დამსრულებელი მუდამ ლათინის პატრები ყოფილან; აუშენებიათ იგი ზოგი თავიანთი ოფლით მოპოვებულის ფულით, ზოგი უცხო ქვეყნებიდან მიღებული წყალობით და ზოგიც რუსის მთავრობის დახმარებით; აუშენებიათ იგი თავიანთ სახმარებლად ლათინური ტიპიკონისათვის და არა სომხების, ანუ სომხური წესისათვის. ახლა განსაჯონ ყველამ, ამ სომხებმა რა უყვეს სინიდისი, რომ დღეს მოსულან და იძახიან, ეს ეკლესია სომხის კათოლიკის ეკლესია არისო, ეს ეკლესია პატრებმა ჩამოგვართვესო, ეს ეკლესია ჩვენ გვეკუთნისო?! ამიტომ ყოველგვარ საშუალებას ხმაროობენ, რათა დაისაკუთრონ ეს ეკლესია. სომხების ამნაირ უსამართლო მოქცევის შესახებ აღარ გავაგრძობთ ლაპარაკს, რადგან ყველაფერი ცხადად ღაღადებს და უჩვენებს ქვეყანას მათს უსამართლო და უსინდისო საქციელს ჩვენ წინააღმდეგ.

ხოლო იძულებულნი ვართ გავიხსენიოთ, რომ ეკლესიების ჩამომრთმეველი და მიმთვისებელი ჩვენ-კი არა ვართ, არამედ თვით სომხები არიან. ამათ ესრეთი ტაცვა-გლეჯაობის საქმე მარტო ახლა-კი არა, გასულ საუკუნებშიაც დაიწყეს. ვახუშტი თავის გეოგრაფიულ აღწერაში ასახელებს ბევრს ეკლესიებს, რომლებიც სომხებს დაუსაკუთრებიათ. ესრეთ უსამართლო საქმეს, ეკლესიების დასაკუთრებას დღევანდლამდე ჩადიოდენ, რაისგამო ჩვენმა გაზეთებმაც ბევრ გზის გამოაქვეყნეს მათი მოქმედება [162]).

---

[162]) იხილე ივერია 1899 წლ. №№ 149, 154, 239; 1900 წლ. №№ 98, 122, 155; 1901 წლ № 273;—იხილე ეგრეთვე მოგზაური 1901 წ. № 11, გვ. 1046,—48—49.

ამას ხომ დღეს აქნობამდე ჩადიან და თვით ქვანიც-კი ღაღადებენ მათ წინააღმდეგ. ხოლო სომხების თავგასულობა იქამდე მიდის, რომ თვით ესრეთ ცხადზედ უცხადეს ფაქტებსაც-კი უარყოფენ. აი სომხური გაზეთი „ნორ-დარი“ 1902 წ. № 115, როგორ აქარწყლებს: „როგორც ეომეხთა და ქართველთა დაახლოვების მომხრეს, გული მიკვდება ხოლმე, როდესაც ქართულ გაზეთებში ვკითხულობ: ამა და ამ სოფელში სომხებმა ქართველების ეკლესია მიითვისეს, ამა და ამ ნანგრევებს ქართული

5) „სომხის კათოლიკები გაჰყვეს,—ბრძანებს ბ-ნი „სომეხი“—და მათ ერთ ნაწილს და თავიანთ თავს ქართველ კათოლიკები უწოდესო“. ქვემოდ ვიტყვით, რომ ესევე სომხები აღიარებენ, უწინ ეს განყოფილება სომეხ-კათოლიკედ და ქართველ კათოლიკედ არ იყოვო. ამაზე ჩვენც დაკვემოწმებით, რომ ეს განყოფილება უწინ არ იყო. ამ ბოლო ხანებში შემოვიდა. უწინ შენ-ჩემობა, სომეხ-ქართველობა ფიქრადაც-კი არავის მოსდიოდა. რადგან არავინ იყო მოდავე შენ-ჩემობისა და გვარტომობისა. ყველანი მოსვენებით იყვნენ. ვინ ჰქმნა და ვინ შემოიტანა ეს განყოფილება? პატრებმა? ესეც სომხების ახალი ცილის წამებაა. პატრებს, როგორც უწინ არ უქნიათ ეს სიბოროტე, არც ახლა იზამდენ, რადგან არავითარი შიში ჰქონდათ, მათი ეკლესიიდან ვისმე გაეძევებინა, რადგან კანონიერ მწყემსად და ეკლესიის მმართველად იყვნენ ცნობილნი, დადგენილნი და დამტკიცებულნი ხასულიერო და სამოქალაქო მთავრობისაგან. მაშ ვინ შემოიტანა ეს განხეთქილება? ვინ დასთესა ეს ღვარძლი? კაცმა ბოროტმა, მტერმა! ვინ არის ამნაირი ღვარძლის დამთესი მტერი? საქმე ცხადად ლაღადგებს. დაიდონ გულზე ხელი სომხის მწერლებმა და სინდისს ქვეშა სთქვან, თუ კიდევ დარჩენიათ ეს სინიდისი, მაშინ ხი რა პასუხს მიიღებენ: Tu es ille vir! თქვენ ჰყავით ეს. თქვენი მოქმედებული და ნაყოფია ეს, საქართველოში ვიდრე ვენეციელ-მეხიტარისტთ სომეხთ

წარწერა ჩამოაცალეს და სანაცვლოდ სომხური გაუკეთესო“ და სხ. და სხ... არ ვიცი, ეს რა ამბავია? ვერაფრით ამიხსნია და ამიტომ დაჯერებაც მეძნელება, და ან როგორ უნდა დავიჯერო, როდესაც სომხეთში იმოდენა სიძველეთ არავითარ ყურადღებას არ აქცევენ? ყურად ულებლობით ინგრევა, მიწასთან სწორდება თვით აქამდე მკვიდრად მდგომი მონასტრებ-ეკლესიებიც-კი!.. სიძველეს და ნანგრევებს ვილა ჩიჩვის, როდესაც ეჩმიაძინის ცხვირ წინვე სომხები ათასობით სტოვებენ თავიანთ მშობელ ეკლესიას, იმ ეკლესიას, რომელიც ათას ექვსას წელზე მეტია გულში იხუტებდა, ლოთრანგთა სარწმუნოებას უერთდებიან და, რაც უფრო სამწუხაროა,—თავიანთ მშობელ ერსაც-კი მტრად უწდებიან!..“ „ცნობის ფურცელი“ 1902 წ. № 1912.—შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ ფაქტი რომ ისევ ფაქტად რჩება, ამის ეჭვი არ არის.

მღვდლების რიცხვი განმრავლდებოდა, ამისთანა განყოფილების ხსენებაც არ იყო. ხოლო რა გამრავლდენ ეს ბატონები, რა საკვირველია, საქართველოში სამსახურის ადგილის შოვნაც მოინდომეს, უფროსი ერთად ტფილისში. ეს რომ სიმართლით და სწორე გზით ვერ შეიძლეს, სხვათა შორის, ახალ საშუალებასაც მიმართეს,—საცა ხელი მიუწვდათ და ვისთანაც ფეხის შედგმა შეიძლეს, ყველას ჩააგონეს ეს განყოფა სომხებად და ბევრგვარებსაც თავიანთი სომხური დაბოლოვება ასტიც მოუმატეს. ასე უბრალო მრევლში განყოფილების ლვარძლი დათესეს; დღესაც თავს არ ანებებენ ამისთანა საშუალებას; ერთა შორის უკმაყოფილებას სთესენ და შფოთის ცეცხლს ყველგან აღვიებენ. აწ დიდი იმედი აქვსთ ამ ნაირის ბოროტის საშუალებით თავიანთ გულის წადილს ეწიონ: ჩვენ ეკლესია ხელში ჩაიგდონ! აი, ვინ გაჰყო ერი და ვინ დასთესა ლვარძლი.

6) აკ პატრიოტი სომეხი დასძენს: „ქართულად დაიწყეს ჟამ—კანონის შესრულებიო და სხ. ლათინის ეკლესიის საზოგადო კანონია, რომ როგორც წირვა ლათინურ ენაზე სრულდება, ისე სხვა ლოცვებიც შესრულდეს ლათინურად, მაგრამ მხედვით მრევლისა და ადგილობრივი საჭიროებისა, ეკლესია ნებას აძლევს, რომ ლოცვები მრევლის ენაზე შესრულდეს, წირვა კი ლათინურად უნდა იყოს. პატრებმა კი არ დაიწყეს ახლა ჟამ—კანონის ქართულად შესრულება, არამედ გაგაგრძეს ისე, როგორც ასრულებდენ კაფუცინები უწინ, გავლილ საუკუნეებში. ხოლო ვის არ ახსოვს, რომ ტფილისში კაფუცინები ქართულად ასრულებდენ ლოცვებს და არა სომხურად? ამას სხვათა შორის მოწმობენ ეგრეთვე იმდენი დარჩენილი ქართულად ნაწერი ლოცვის წიგნები, როგორც ზემოდ ვთქვით. კაფუცინებმა დიდი ხნიდან, ვგონებთ მოსვლისათანვე, ენა შეისწავლეს თუ არა, საქართველოს კათოლიკე ეკლესიებში შემოილეს ლოცვების თქმა ქართულად. ხოლო კაფუცინების უფროსს პატრს სტეფანე მალათიელს, ამ ჩვეულების დასაკანონიერებლად, მიუწერია რომში (1754-ანუ 1755 წ.) და სხვათ შორის ესეც უთხოვნია: აქ ჩვეულება

ლათინური სამოციქულოს და სახარების წაკითხვის შემდგომ, წაიკითხონ და იგალობონ ქართულად, სამოციქულო, სახარება და სხვა ლოცვები. თუ შეიძლება ამ ჩვეულების დაცვაო. პრაპაგანდას ეს სათხოვარი გარდაუცია წმინდა ოფიჩიოს კრებისათვის, სადაც კარდინალებს გამოუძიებიათ და 10 თებერვალს 1757 წ. გარდაუწყვეტიათ: „ამის გაგრძელების ნება მიეცესთ, იმ პირობით-კი, რომ პირველად რომის ეკკლესიის წესისამებრ წაიკითხონ ლათინურად სამოციქულო და სახარება და ეგრეთვე თარგმანი სახარებისა და სამოციქულოსი, რომელსაც კითხულობენ ამ ქართველების ეკკლესიაში, არ იყვნენ განსხვავებულნი ლათინურ, ანუ ბერძნულ საღმთო წერილში“ [163]).

პროპაგანდას ამავე ნაირი თხოვნა წარუდგინა კოსტანტინეპოლის ლათინის ეპისკოპოსმა ახალციხის და მის გარეშე სოფლების კათოლიკეთათვის, რათა ამათაც კაფუცინებისავით წირვაზე სომხური სახარების წაკითხვის შემდგომ, ქართულად წაეკითხათ და ეგალობნათ. რომმა, როგორც კაფუცინებს, ისე ამათაც მისცა ნება ქართულად წაკითხვის და გალობისა; 16 აგვისტოს 1794 წ. სომხების სურვილი თურმე ყოფილა, პატრებმა რომის მიერ საუკუნოებით დამტკიცებული ჩვეულება შესცვალ—გამოსცვალონ, რათა მით ამ პატიოსან ახალ მობძანებულ ქრისტიანებს აამონ. ეს ბატონები იმას-კი არ ფიქრობენ, რომ კათოლიკე პიტრს თავის ნებაზე ერთი იოტის შეცვლაც არ შეუძლია ეკკლესიის წესებისა, რადგან ეს ყველა დადგენილია უმაღლესის ბრძანებით და ამ ბრძანებას კათოლიკე პატრი უნდა ექვევრდომებოდეს.

7) „ეკკლესიას შიგნითა, თუ გარეთა მხარე ისე შეუცვალეს,—ამბობს ეს გულმტკივნეული სომხის კათოლიკე,—და ტრაპეზი ისე გადაუსხვაფერეს, რომ შეუძლებელი იყო სომხის

---

[163]) Permittendum esse, dummodo cantetur prius Epistola et Evangelium latine iuxsta ritum S. R. E., et dummodo versiones Epistolae et Evangelii, quae leguntur in Ecclesia Giorgianorum, id est litterales et a versione latina vulgata, seu graeca litterali non discrepantes. (კაფუცინების არხივი ტრაპიზონში).

კათოლიკე მღვდელს შიგ ეწირაო“. ყველამ ცხადათ უწყის, რომ ეკკლესია შეკეთების დროს არ გადაუქცევიათ არც მაჰმადიანთ ჯამედ ტ არც ისრაელთა სალოცავად, არამედ დარჩა ისევ ამ ქრისტიან-კათოლიკე ეკკლესიად, როგორც უწინ იყო. კედლებს ამაღლებ-დამდაბლება, კარებს საკრმელების შეცვლა-გამოცვლა ეკკლესიას არსებითად არასოდეს შესცვლის. ჯერ ჩვენ არა გვსმენია, არსებობდეს ისეთი კანონი, რომელიც უკრძალავდეს წირვას სომხის კათოლიკის მღვდელს იმ ეკკლესიაში, სადაც ლათინის მღვდელი კანონიერად სწირავს. ამ გულწმიდა ბატონის ნათქვამი მართალი რომ იყოს, მაშ ვენეციიდან მობძანებული ერთი სომხის კათოლიკის წესის მღვდელი როგორღა ჰბედავდა და შიგ როგორღა სწირავდა ვიდრე ამ უკანასკნელ დრომდე? ასე მხოლოდ იმას შეუძლია ილაპარაკოს, ვინც ქართველთა და ლათინთ მტრობითაა თვალებ დაბრმავებული, თორემ პატიოსანი და სინიდისის პატრონი კაცი ამას თავის დღეში არ იტყვის.

8) „წახოცეს სომხური წარწერებიო, განავრცობს ჩვენი მოჩივარი—და იმათ მაგიერ შეიტანეს ლათინური და ქართული წარწერებიო“. ეს ბატონი-კი არ აცხადებს, თუ რა იყო ეს სომხური წარწერა ლათინის წესის ეკკლესიაში. ამ სტრიქონების წაკითხვაზე ძალა უნებურათ გვაგონდება მგლისა ტ კრავის ზღაპარი, ესე იგი ის სიბოროტე და ბარბაროსობა, რომელიც თვით ჩაუდენიათ და დღესაც მოქმედებენ, იმას ჩვენ გვაბრალებენ. ქართული ეკკლესიების მითვისება, როგორც ზემოთ ვნახეთ, და მათი ძველი წარწერების წახოცვა, მის ნაცვლად სომხურის წარწერა და ქართული სახსოვრების დამახინჯება სომხების მიერ, ახალი გაგონება არ არის: ეს გავლილ საუკუნებშიაც უქმნიათ და ახლაც ხელს არ იღებენ ამნაირ ბარბაროსულ მოქმედებაზე. ამის ფაქტებს ვახუშტი, თავის გეოგრაფიაში, ცხადად გვიჩვენებს და ჩვენმა მწერლებმა არა ერთხელ ხმა ამოიღეს ამ უსამართლობის წინააღმდეგ. აი, სხვათა შორის, რავდენი ეკკლესიები დაიჩემეს და მათში ქართული წარწერები გააქრეს: ტფილისში მეიდნის თავზე ყოფილა პატარა გუმბათიანი ეკკლესია, დღეს სურფ გეორქად წო-

დებული; წმიდა ნიკოლოზის ეკკლესია, დღეს ჯიგრაშენის ეკკლესიად წოდებული; ავლაბრის ხიდის იქით მყოფი ისნის ეკკლესია; ფეთხაინის ეკკლესია, ძველად ბეთლეემის მღვთის მშობლისად წოდებული; ტფილისის ახლოს თელეთის წმიდა გიორგის ეკკლესია, შავნაბადის ეკკლესია, თელავის ღვთის მშობლის ეკკლესია, რომელიც ერეკლე მეფის სახლის ეზოში ყოფილა; ჯავახეთში კუმურდოს ეკკლესია და სხვა ამისთანა ბევრი, რომლის ჩამოთვლაც შორს წავა. ამ დასაკუთრებულ ეკკლესიებში ყველა ქართული წარწერები წახოცილი და დამახინჯებულია და მათ ადგილს სომხურია ჩაწერილი.

ბროსე თავის საარხელოგიო მოგზაურობაში როდესაც ლაპარაკობს ვარძიისთვის, დიდად უკვირს სომხების ბარბაროსული მოქმედება და ამბობს ესრე: „კლდის ქვეით ერთი სომხის სოფელია, სადაც იპოება ერთი ძრიელ ძველი ეკკლესია და რომლისაც ზედწარწერები განგებ დაუმახინჯებიათ: განსაკუთრებული მოვლენაა, (ქართული წარწერების წახოცვა), შუაგულ საქართველოში, თვით იმ ადგილებზე, რომლებიც ყველა ეჭვის გარეთ ქართველებისა ყოფილან“ [164])

სომხების ამნაირ ბარბაროსობას ამტკიცებს ეს შემდეგი ამბავიც, რომელიც მოხდა ამ რავდენისამე წლის წინეთ (15 ანუ 20 წლის წინეთ). სომხებს ტფილისის სემინარიის თავიანთი მოსწავლეები ვითომ მიჰყავდათ გასასეირნებლად ტფილისის მახლაში, სადაც ეს მოწაფეები თურმე ლურსმნებით სჩიჩქნიდენ, მახინჯებდენ და ქრთიან აოხრებდენ, რაც-კი ქართული წარწერები და სხვა რამ მსგავსი ნაშთი შეხვდებოდათ ჩვენი ნამყოისა. ამნაირმა უმაგალითო და უსამართლო მოქმედებამ ერში დიდი შფოთი გამოიწვია და მთავრობამდე მიაწია საქმემ. ამაზე ვგრნებთ, თვით ადგილობრივი უფროსებიც დაგვემოწმონ ეს-

[164]) Au bas du rocher est un village tout arménien avec son église qui parait fort ancienne, et dont les inscriptions ont été mutilées évidemment à dessein; c'est un singulier phénomène en pleine Géorgie, près d'une place évidemment géorgienne d'origine (Brosset, Voyage Archéologique, seconde Livraison pag. 162. S.-Pétersbourg, 1850).

რეთი მოქცევა ქართველების კვალის მოსპობისათვის, რა საკვირველია წინ და წინვე გზას უმზადებდა, რათა შემდეგში სხვა და სხვა ქვეყნებიდან მოსულ პირთათვის მიეთხრათ და დაეჯერებინათ ბატონ სომხის მწერლებს, რომ ტფილისი და მისი გარეშე ჩვენია და ჩვენ გვეკუთნისო. ესრედ მომქცევი პირებისაგან კაცი რას არ უნდა მოელოდეს! [165]).

შეიძლება ამ ბატონებმა თავი იმართლონ და სთქვან, მაგ ეკლესიების დამჩემებლები და წარწერების წამხოცველნი, სომხის კათოლიკები-კი არა, არამედ გრიგორიანი სომხები არიანო. ჩვენც ვუპასუხებთ, რომ გრიგორიანებისა და თქვენისთანა კათოლიკების შუა ჩვენ სხვა განსხვავებას არა ვხედავთ, თუ არ იმას, რომ გრიგორიანები კათოლიკების ცხადი მტრები არიან, ხოლო თქვენ-კი ფარული. ამისთვის თქვენ უფრო დიდი ვნება მოგაქვსთ ჩვენთვის, ვირემც იმათ.

9) „ტფილისის მწყემს მოკლებული სომხის კათოლიკენი დიდი ხნიდან სჩივოდენო და სხვ...» სომხების მიერ ამის აღსარება ჩვენთვის ძვირფასია. ამის გამოქვეყნებას ჩვენ ვერც კი გავბედავდით, თუ თვითვე არ ეთქვათ, რადგან არავინ დაგვიჯერებდა. მადლობა ღმერთს! ამას ისევ თვითვე აცხადებენ. ზემოდ ვნახეთ, რომ ტფილისის ეკლესიაში სომხებს არავითარი გავლენა და უფლება ჰქონიათ არც უწინ და არც შემდგომ. თუ სჩივოდენ სომხები, მხოლოდ იმისთვის იყო, რომ ხელში გაეტარებინათ ეს ეკლესია, რომელზედაც არავითარი სიმართლე ჰქონიათ. უჩივოდენ თავიანთ ერთ მორწმუნე თანამოძმეებს, რათა ისინი თავიანთი მამა პაპისეული წმიდა ადგილებიდან განეშორებინათ და ცარიელა დაეტოვებინათ ყველაფრისაგან; უჩივოდენ, რომ იქმნება როგორმე გაეტაცათ ეკლესია, მისი ფული და მამულები, რომლისაგანაც მოუკლებელი შემწეობა ეძლევათ გაჭირვებულთ და გლახაკთ. ამისთანა უსამართლობას იმოქმედებს მარტო ის, ვისაც სინიდისი დაუკარგია და სარწმუნოე-

---

[165]) ქართული წარწერის წახოცვის შესახებ იხ. „ივერია" 1901 წ. № 184, 1902 წ. № 159.

ბაზე ხელი აუღია. აგერ სომხები თვითონვე აღიარებენ თავიანთ მოქმედებულს ესრედ გასაკიცხს საქმეს, რომლითაც ქვეყანას ცხადად უმტკიცებენ, თუ როგორი კათოლიკენი ყოფილან ეს ჩვენი მოჩივარი ბატონი სომხები.

შევნიშნოთ ესეც, რომ ტფილისში მყოფი სომხის კათოლიკენი არას დროს ყოფილან მწყემს მოკლებულნი. როგორც კაფუცინები, ისე მათი მოადგილე ლათინის მღვდლები ზრუნავდენ ამ კათოლიკების სულიერი საჭიროებისათვისაც, რადგან მათ არ იცოდენ გაყოფა ერისა სომხად, ქართველად, პოლონელად და სხ.: ყველანი მათი სულიერი შვილნი იყვნენ. სომხის კათოლიკენი არას ოდეს ყოფილან მწყემს მოკლებულნი, რადგან რაც ტფილისში მოსულან, მას აქეთ მისდევდენ ლათინურ წესს. (კათოლიკებში ყველგან საზოგადო ჩვეულებაა, რომ შეუდგნენ იმ ადგილის ტიპიკონს, სადაც იმყოფებიან, როდესაც იქ თავიანთი ტიპიკონი არ იპოვება). ამისთვის მათ წესად შეიქმნა ლათინური ტიპიკონი და მათ კანონიერ მწყემსებად პატრები. მათ აღარ აქვთ უფლება, თავიანთი ნებით, თვინიერ რომის საცალკეო ნება დართვისა, გადვიდენ სომხის ტიპიკონზე. ამისთანა საგნის შესახებ საგანგებო კანონია დადგენილი რომისაგან. კოსტანტინეპოლში მყოფის სომეხ-კათოლიკების პატრიარქმა ჰაზარიანმა, ამ სომხებივით, ერთხელ მოინდომა პატრებისათვის ჩამოერთმია სომხის ჩამომავალი კათოლიკები, რომლებიც, კარგა ხანია მას აქეთ, ლათინურ ტიპიკონს მისდევდენ. ესენი არიან მალატიის ეპარქიის სომხები. რა ვერ გაიმარჯვა ამ თავის სამამულიშვილო ცდაში, მაშინ მიჰმართა რომსა, რომელმაც ეს პასუხი მისცა: „მალატიის ეპარქიის სომხები, რომლებიც სამოციქულო კონსტიტუციის „აღმოსავლეთის ეკკლესიის ღირსებ"-ის გამოცემამდე (1895 წ.) გადასულან ლათინის წესზე, ან როგორმე შესდგომიან მას, თუმცა თავისუფალი არიან, სთხოვონ წმიდა საყდარსა ნება, რათა ისევ მობრუნდენ სომხის ტიპიკონზე, გარნა ისინი არ არიან ვალდებულნი, ეს გადასასვლელი ნება მოითხოვონ და არც ვისმე შე-

უძლია ისინი ესრეთი ნების შოვნისათვის იძულებელი ჰყონ. [166])

აქედგან ცხადად სჩანს, რომ ის სომხები, რომლებიც სხვა და სხვა შემთხვევის გამო, 1895 წლამდე ლათინურ ტიპიკონს შესდგომიან, ახლა თავისუფალი აღარ არიან, თავიანთი ნებით ისევ სომხურ ტიპიკონზე გადავიდენ, არამედ თუ სურთ უეჭველად, რომიდან საგანგებო ნება უნდა მოიშოვნონ. ამ ნების მოშოვისათვისაც მუდამ თავისუფალი არიან, ესე იგი, თუ თვით გულით უნდათ სომხურ ტიპიკონზე გადასვლა, მაშინ შეუძლიათ მოითხოვონ ეს საჭირო ნება, თუ არა, ამ ნების მოთხოვნასა და ტიპიკონის გამოცვლაზე ვერავინ ძალას დაატანს. აი ეს არის რომის ეკკლესიის ახალი დადგენილი კანონი ტიპიკონის გამოცვლის შესახებ. ვინც თავის თავს კათოლიკედ უწოდებს, ვალდებულია ამ კანონს დაემქვერდომოს„ ხოლო ვისაც არა სურს ეს ქვევრდომობა, მაშინ იმას არც კათოლიკობა უნდა. ამისთანა პირი თავისუფალია, ძალას არავინ დაატანს, რომელ გზასაც უნდა დაადგეს. ხოლო ამას-კი ვსთხოვთ ესრეთ პირებს, რომ თავიანთ თავს კათოლიკედ ნუღარ უწოდებენ, რადგან ეკკლესიის ბრძანების წინააღმდეგ მოქცევის შემდგომ, ისინი ჭეშმარიტი კათოლიკენი აღარ არიან: აღარც სიმართლე აქვთ, შემდეგში ეს სახელი მიითვისონ.

ახლა ვკითხავთ ბატონ „სომხის კათოლიკეს", რა სიმართლე აქვს, რომ ეკკლესიის კანონის წინააღმდეგ უნდა სომხის ტიპიკონზე გადაყვანა არა მარტო იმ სომხებისა, რომლებიც დიდი ხანია მისდევენ ლათინის ტიპიკონოს, არამედ მათისაც, რომლებიც მუდამ ლათინის ტიპიკონზე ყოფილან,

---

[166]) Gli Armeni della diocesi di Malatia che fino all'epoca della promulgazione della Costituzione Ap. „Orientalium dignitas Ecclesiarum" sono passati od anche semplicemente seguito il rito latino, sono bensi liberi di domandare alla S. Sede la facoltà di ritornare al rito armeno, ma non sono a cio tenuti, e non possono esservi costretti. (14 Febbraio, 1896, Cardinal Ledokowski, Prefetto di Propaganda).

რაც უფრო საკვირველია, თვით ლათინის ეკლესიისა და პატრებისაც! ესეც გავიხსენიოთ, რომ ძრიელ იშვიათია, ლათინის ტიპიკონის მიმდევარმა კათოლიკემ მოინდომოს სომხის ტიპიკონზე მიბრუნება. ამისი წინააღმდეგი მაგალითი-კი ბევრია, რომ სომხის კათოლიკებს ნებიერად დაეტოვებინოთ თავიანთი ტიპიკონი და ლათინურ წესს შესდგომოდენ. ეს დღესაც მოხდება აღმოსავლეთში, უფროსი ერთად გრიგორიან სომხებში, რომლებიც ხშირად კათოლიკედ იმიტომ გახდებიან, რომ ლათინური ტიპიკონი მიიღონ.

10) „სომხურის ნაცვლად ლათინურად დაიწყეს ჟამ-კანონის შესრულებაო“ სჩივის ეს ერთგული სომხის კათოლიკე. თურმე ნუ იტყვით, ამ ბატონს გასომხება სდომებია არა მარტო ეკლესიისა და მრევლისა, არამედ თვით პატრებისაც!!! ვის უნახავს, სად, ანუ როდის გაგონილა, რომ ლათინის პატრებს სომხურად ჟამ-კანონი ჰქონოდესთ! სომხების ცდა მარტო იმაშია, ყველა გაასომხონ და ყველას სომხური დაღი დაუსვან!

11) „სომხის კათოლიკებმა ხელმეორედ იჩივლესო და და სხ...“ აქ გავახსენებთ პატივცემულ მკითხველს, რომ აქ დასახელებული მოჩივარი პირები არ არიან ერთიან ტფილისის კათოლიკე სომხები, როგორც „მშაკის“ ამ ახალ მწერალს მხედველობაში აქვს, არამედ ეს მოჩივარი პირები, გახლავსთ თვით ეს ბატონი, თავისი ამხანაგ-დამქაშებითურთ, რომელთაც გადაწყვეტილი აქვსთ ქართველ-კათოლიკებისა და ლათინის ტიპიკონის გაოხრება და მათი მიწასთან გასწორება, რათა მით იქმნება როგორმე სამსახურის ადგილები გაიჩინონ და თავიანთი ლუკმა კარგად გაიერბოიანონ. აღარ-კი სცხვენიათ, რომ თავიანთ ესრეთ უსამართლო მოქმედებას ასე ცხადად და საქვეყნოდ აღიარებენ. ეს თავიანთი სიტყვა და საქმე ცხადად ამტკიცებს მათ უსამართლობას. თავიანთი ეს თხოვნა-საჩივარი კანონიერი და სამართლიერი რომ ყოფილიყო, განა მოსამართლე არ მიაქცევდა ყურადღებას მათს ესრე დიდი ხნის საჩივარს და არ შეუსმენდა მათ თხოვნას? თავიანთი პირითვე აღსარებული ესე კმარა მათ გასამ-

ტყუნებლად და დასასჯელად. ხოლო ამისთანა ფაქტის წინაშე ჩვენ სხვა აღარაფერი გვეთქმის, თუ არ ეს ვსთხოვოთ ღმერთს, რათა მადლი მისცეს, გამოიყვანოს ესენი თავიანთი შურის სიბრმაცისაგან და დააცხროს ესრეთი უსამართლოების მოქმედებისაგან.

12) „კავკასიის სომხების დანარჩენი კათოლიკენი განურჩეველი არიან ამ საგანზედო და სხ...", განაგრძობს ეს თავგამოდებული სომხის კათოლიკე. ესეც ძვირფასი აღსარება და საბუთია მათვე გასამტყუნებლად და ყოველი ჩვენი მათთვის ნათქვამის დასამტკიცებლად. აქედგან სჩანს, რომ მომეტებულს სომხის კათოლიკის ნაწილს სხვა და სხვა ადგილებში მყოფს ამ ბატონების დაჭერილ უსამართლო საქმეში არა ვითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. მარტო არიან ეს ახალი მობძანებული რაინდები, რომლებიც მრევლის სახელით ამ ძმათა მკვლელს და სარწმუნოების წინააღმდეგს ომს უცხადებდენ ლათინებს. თვითვე ამტკიცებდენ, რომ ესრეთი მეომარნი და მოჩივარნი ძლიერ ცოტა ყოფილა რიცხვით. ხოლო ყოველ ლონისძიებას-კი ხმარობენ, რათა სძლიონ კათოლიკეთა მომეტებულ ნაწილსა, ჩამოართვან ეკკლესია ყველა მისი კუთვნილებით და პაღურის ცემით განდევნონ პატრები დი მათი წესის მიმდევარი რომის კათოლიკები. აი ბარბაროსობა, აი უსამართლობა, აი პატიოსნობისა ‌ᲡᲔ სინიდისის გაყიდვა და სარწმუნოების ღალატი....! რაღა უთხრათ ამისთანა კაცებს, რომლებსაც ღვთის აღარ ეშინიათ და კაცის აღარ სცხვენიათ!

13) „ძრიელ გასაკიცხი არიან ახალციხის სომხის კათოლიკები, რომ სრულიად ხმას არ იღებენო ‌ᲡᲔ სხ....", ამნაირი სიტყვით აბოლოებს ეს განთქმული მწერალი გასაოცარ თავის სტატიას. არ ვიცით, რათ გამოუტოვებია ამ ბატონს მოხსენება იმ გარემოებისა, რომელსაც უფრო კარგად შეეძლო გაელანძღა და საქვეყნოდ შეერცხვინა ეს დაუდევარი ახალციხელები. გარემოება ის არის, რომ ეს ბატონი მწერალი და თვისი თანა მოღვაწე პირები ხშირად დადიოდენ ხოლმე ახალციხეს, ათვალაერებდენ იქაურობას და ბევრსაც სცდი-

ლობდენ, რათა იქაურებიც მიემხროთ თავიანთ დაწყებულ პატრებისა და რომის კათოლიკეთა წინააღმდეგ საქმეში. მაგრამ ვერ გაიმარჯვეს და ბადეში ვერავინ გააბეს, რადგან ცოტად, თუ ბევრად იმათაც სცნეს ამათი დაჭერილი საქმის უსამართლობა. აი, რისთვის ყოფილან გასაკიცხი დაუდევარი ახალციხელები, რომელთაც ყურში თითები დაუცვიათ და ამათი ანტექრისტესებური ქადაგება არ მოუსმენიათ.

ეს მათი უკანასკნელი აღსარებაც ნათლად გვიხატავს, თუ რაოდნად უსამართლოა სომხების ჩვენდა წინააღმდეგ დაწყებული საქმე და თუ როგორ ცოტანი არიან ის პირები, რომლებიც ამას ჩადიან. არ დავივიწყოთ ესეც, რომ ახალციხის მხარეში მოიპოვებიან იმისთანა პირებიც, რომლებიც ლათინის პატრებს კაი თვალით არ უყურებენ, მაგრამ მაინც-კი ამ ცხად უსამართლო საქმეში მონაწილეობის მიღება ვერ აკადრეს.

თუმცა ამ „სომხის-კათოლიკის“ დაწერილი სტატია მოკლეა, მაგრამ, როგორც მკითხველი ხედავს, ჩვენდა წინააღმდეგ ბევრ სიცრუეს, ცილის-წამებას და უსამართლობას შეიცავს. ეს წერილი ჩვენ მოკამათე სომხების პატიოსნებას და ეგრეთვე მათ სარწმუნოებას სამუდამო ლაქას ადებს. ამისთვის, ჩვენის აზრით, ამ მწერალს უჭერია პირველი ადგილი იმ სომხის მწერლებში, რომლებიც, აგერ რავდენიმე წელიწადია, თავიანთ გაზეთებში ჩვენდა წინააღმდეგ სწერენ სიცრუით სავსე სტატიებს.

ნაწილი მეორე.

ამას მოჰყვა სხვა ახალი მწერალი, სახელად ა. ს., რომელმაც გააჭრელა „მშაკ“ გაზეთის ფურცლები ᲓᲐ იზაშვილის 1897 წ. „კავკაზ“ გაზეთის 284, 285, 286 ნომრებში დაბეჭდილ სტატიას დაუწყო კრიტიკა. როგორც პირველი მწერლისა, ისე ამის ვრცელი წერილების დედა აზრი ეს არას: უარჰყოს ქართველ კათოლიკების არსებობა, გაასომხოს ყველაფერი და ყველგან სომხობა დაამყაროს. ავტორი საშინლად უსაყვედუ-

რებს და ეძრახავს ბ. ნ. იზაშვილს სტატიაში საისტორიო საბუთები არა აქვს მოყვანილიო. ხოლო თავის სტატიებს, როგორც თვითონ ჰგონია, ვითომ ამყარებს უტყუარ საბუთებზე და ესრე თავის ჭკუით გამარჯვების ასპარეზს თვითონ ისაკუთრებს. მაგრამ ეს თავისი დასახელებული საბუთები რომ ან ცრუ და ან ისევ თავისი სტატიების წინააღმდეგია, ზემოდ საკმაოდ ვუჩვენეთ ⁄ დანარჩენსაც ამ თავში გამოვიძიებთ. ერთი რამ-კი ძრიელ გვაკვირვებს. თუ ეს ბატონი ისე დიდი კრიტიკოსი და ჭეშმარიტების მოყვარეა, რომ თვიხიერ ცხადის საბუთისა არა ვითარი ჭეშმარიტება შეუწყნარებია, რატომ არ გამოუძია და არა ვითარი საბუთი არ მოჰკითხა იმ თავის თანამშრომელს „სომხის კათოლიკეს“, რომელმაც იზაშვილზე წინ დასწერა ჭეშმარიტების ცხადი წინააღმდეგი, როგორც პირველ ნაწილში გამოვიძიეთ, ყველანაირი სიცრუით და ცილის წამებით სავსე სტატია? აი, თვითონ როგორ აქლემებს ყლაპავს და სხვის ბუზსაც-კი გამოსდგომია.

რადგან „ა. ს.“ წერილი ძრიელ ვრცელია და მისი მომეტებული ნაწილი იზაშვილისა და ზ. ჭიჭინაძის წერილების კრიტიკას შეეხება, ამისთვის მთლად არ მოვიყვანთ აქ, ხოლო აღვნიშნავთ მის უმთავრეს აზრებს, რომელსაც აქვე მივუწერთ შესაფერ პასუხს მოკლედ [167]).

ამ მეორე მწერლის სტატიები დაიბეჭდა „მშაკის“ შემდეგ ნომრებში: 1897 წ. №№. 137, 138, 144, 145,

---

[167]) აქ საჭიროდ ვრაცხთ, მოვახსენოთ პატიოსან მკითხველთ, რომ რადგან არ ვიცოდით სომხური, ამისთვის სხვა მცოდნე პირს ვათარგმნინეთ ეს „მშაკის“ სტატიები. დარწმუნებული ვართ, რომ ამ პირმა სარწმუნოდ გადმოსთარგმნა ამ ავტორების ყველა აზრები. უკეთუ შემთხვევით, რომელიმე წინადადება არ იყოს თანახმად ავტორის აზრისა, მაშინ ჩვენც ამ ნაირის წინადადების შესახებ ჩვენს ნათქვამს უარვყოფთ და არა თქმულად ვრაცხთ, რადგან ჩვენი აზრია. ვუპასუხოთ და გავაცრუოთ ის აზრები, რომელიც ავტორებმა ნამდვილად გამოსთქვეს, და არა ის, რაც არ უთქვამსთ.

როგორც პირველ ნაწილს, ისე აქაც ნომრებს ჩვენ ვუსვამთ სიადვილის გამო.

149 ⁄ 1898 წ. № 190. თითქმის ერთი და იგივე სტატიები მოკლედ გაიხელმეორა რუსულ გაზეთში, როგორც ზემ-თ ვნახეთ. ამ სტატიების უმთავრესი აზრები მოკლედ აქვე მოვყავს პასუხთან ერთად.

1) „როგორც მოთხრობიდან სჩანს, XI საუკუნეში ანის ქალაქიდან სომხებს დაუწყიათ გუნდ-გუნდათ გადმოსახლება საქართველოს სხვა ⁄ სხვა ადგილებშიო“, ამბობს სომხის მწერალი.—რაოდენად ცრუა ეს ანელი სომხების გუნდ-გუნდობით გადმოსახლება საქართველოში, წინა თავში ვუჩვენეთ ბევრნაირი ისტორიულის ფაქტებით და მასთანვე ვნახეთ სომხების საბერძნეთის საბძანებელში გადასახლება და არა საქართველოში. აქ მოხსენებული მოთხრობა უნდა იყოს ისევ სომხების დაწერილი მატიანები და არა საქართველოს ისტორია, რომელიც სრულებით არაფერს გვეუბნება ამ საგნისას. ამისთვის ჩვენც ამ თავიანთ მოთხრობას არა ვითარ საისტორიო ღირებულებას არ ვაძლევთ ამ საგანში, რადგან ზემოდ საკმაოდ ვუჩვენეთ, თუ რაოდენად სტყუვიან სომხის მწერლები, როდესაც ამისთანა საგანზე ლაპარაკობენ.

2) „გიორგი პირველს, დავით აღმაშენებელს და თამარ მეფეს სომხებისათვის შემწეობა მიუციათ საქართველოში გადმოსასახლებლად; ძველ დროდანვე საქართველოს ქალაქების და განსაკუთრებით ტფილისის მცხოვრებთა მომეტებული ნაწილი სომხები ყოფილანო; ამას ერთპირად ამტკიცებენ ყველა ისტორიკოსები და იმ დროს მგზაურნიო.“

ყველა ეს ყალბია. გვიჩვენებენ საქართველოს განთქმულ მეფეებს, რომლების ისტორია სრულებით არაფერს არ გვეუბნება სომხების გადმოსახლებისას. მართალია, დავით მეფემ აიღო ანის ქალაქი, მაგრამ იქიდან სომხები არ გადმოუსახლებია საქართველოში. ისტორია მარტო ამას მოგვითხრობს: „აღიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად, და სოფელნი და ქვეყანანი ანისისანი, და წარმოიყვანა ბულასვარ (აგარიასი) რვათა ძეთა მისთათანა, და მხევალთა და სძალთა და ჩაგზავნა აფხაზეთს, და ანისისა მცველად დააყენა აზნაუ-

ონი მესხნი“ [168]). გარდა ამ რავდენიმე პირისა იქიდან არავინ არ წამოუყვანია.

მეორე შემთხვევა დავითის ისტორიაში სომხების შესახებ არის ქართველთა და სომეხთა შორის მოხდენილი კრება. სწერია: „ხოლო შემოკრბა ოდესმე წინაშე მეფისა ნათესავი გულარძნილი, ყოვლად ბოროტთა სომეხთა ეპისკოპოსები, და მონასტრებთა მათთა წინამძღვრები მრავალი ფრიად, რომელნი ახმნობდეს თავთა თვისთა მიწევნად თავსა ყოვლისა მეცნიერებისასა, და მოახსენეს, რათამცა ჰყოს ბრძანებითა მისითა კრება, ჲ ყოველსმცა სიტყვისგება და გამოძიება ჰსჯულისა.“ [169]) ეს სიტყვები სრულებით არ გვიმტკიცებს, მეფის წინაშე შეკრებილი სომხები საქართველოში გადმოსახლებული ყოფილიყვნენ, არამედ უფრო გვიმტკიცებს მათ შორიდგან მოსვლას. დავითს მართლაც რო გადმოესახლებინა სომხები საქართველოში (როგორც სომხებს ეპრიანებათ), შეუძლებელია, ამ დროს აქ სომხების ეგოდენი ეპისკოპოსები და მონასტრის წინამძღვრები ყოფილიყვნენ. უფრო ნამდვილი-კი ისაა, რომ დაიპყრა რა დავითმა სომხების ქალაქები, რომლების მცხოვრებნი მის ქვეშევრდომნი შეიქმნენ, მათ მოინდომეს სარწმუნოებითაც შეერთება მასთან. ხოლო სომხის მწერლების ის ნათქვამი, ვითომც დავითს ბევრი სომხები გადმოესახლებინოს საქართველოში, გორის ქალაქი მათთვის აეშენებინოს, მასთანვე ბევრი მონასტრები და ეკკლესიებიო, ჰგავს იმ ზღაპრულ მოთხრობებს, რომლის გამოგონებისა და შეთხზვისა სომხებს განსაკუთრებითი ნიჭი აქვსთ.

გიორგი მესამემ აიღო სომხეთის ქალაქები და ადერბეჯანი; ადერბეჯანიდან ბევრი ტყვე წამოიყვანა. მაგრამ სრულებით მოხსენებული არ არის, თუ ამ წამოყვანილ ტყვეთა შორის სომხებიც ერივნენ, რადგან იმ დროს ის ადგილები თათრებს ეჭირათ. ამ ტყვეებში კიდეც რომ ყოფილიყვნენ სომ-

---

[168]) ქართლის ცხოვრება, წიგნი მეორე, გვ. 365, გამოცემა ხ. ჯიჯინაძისა ტფილისი, 1898.

[169]) იგივე, გვ. 375.

ხები ბლომად, მაინც არავითარი ეროვნული მნიშვნელობა ექნებოდა, რადგან ისტორიებიდან ვიცით, თუ რა დიდი უბედურება მოსდევს ტყვედ წაყვანილს ერს. ცოტა ხნის შემდგომ გიორგიმ ანის ქალაქიც აიღო და მთავრად დააყენა იოანე ორბელი, რომელსაც შემწედ მისცა ამირ-სპასალარი სარგის მხარგძელი (170). აქ ერთი სიტყვაც არ არის სომხების გადმოსახლების შესახებ. იქ ივანესი და სარგისის მმართველად დანიშვნა სულ წინააღმდეგ აზრს წარმოგვიდგენს. ხოლო როცა გიორგის ანი აუღია 1161 წ. და გამობრუნებულა საქართველოში, თან ბევრი წამოუყვანია, მაგრამ ესენი სულ არაბები ყოფილან 171).

სომხების საქართველოში ბლომად არ ყოფნას გვიმტკიცებს ეგრეთვე სომხებისა ᲓᲐ ქართველების კრება თამარ მეფის წინაშე, რომელსაც იხსენებს ჩვენი ისტორია: „ზაქარია წარავლინა კაცნი კათალიკოზისა მიმართ მათისა, და ეპისკოპოსთა და ვართაპეტთა მიმართ და მეცნიერთა.... მაშინ მოვიდა კათალიკოზი ვანისა, და ყოველნი ეპისკოპოსნი და ვართაპეტნი, და დაიდგა სამსჯავრო, და დაჯდა დედოფალი მოსავი წმიდისა დედოფლისა, და მეფე დავით, და ყოველნი წარჩინებულნი საქართველოისანი, და ერთ-კერძოდ მხარ-გრძელი ზაქარია და იოანე, ერთ-კერძო მოუწოდეს კათალიკოზსა იოვანეს. შევიდა და იტყოდა ფსალმუნსა მას“ 172). ამ სიტყვებიდან ცხადად სჩანს, რომ სომხები მოსულან, რადგან აქ საქართველოში არ ყოფილან; ხოლო ქართველების მოსვლა-კი არ ჰსწერია, არამედ შესვლა და დაჯდომა კრებაში, რადგან იქვე ყოფილან. ჩვენი მატიანე უფრო ვრცლად აგვიწერს თამარის დროს სულთნისაგან ანის აოხრებას, აგრეთვე ამავე სულთნის დატყვევებას, მაგრამ სრულებით არასფერს ამბობს სომხების იქიდან საქართველოში გარდმოსახლებისას.

---

170) იგივე, გვ. 385, 385.

171) Bar-Hebreai, Chronicon Syriacum, p. 358.

172) ქართლის ცხოვრება, გვ. 455.

ქართლის ცხოვრებ» ყოველნაირის შესხმით ამკობს თამარ მეფეს და იხსენიებს ყოველ მისი ქველმოქმედების საქმეს. რად გამოსტოვებდა ამისთანა შესანიშნავ კეთილ საქმეს სომხების გადმოსახლებისას, თუ მართლა ალმოუჩინა, როგორც სომხები ამბობენ? ყველა ეჭვ გარეშეა, რომ ეს სომხების თქმულება ცხადი სიცრუეა და თავიანთი გამოგონილი. ეს იქიდანაც ცხადდება, რომ ამ აზრის დასამტკიცებლად მოჰყავთ შარდენი, ტურნეფორი და სხვანი, რომელთაც ერთი სიტყვაც არ უთქვამთ იმ დროის სომხების საქართველოში გადმოსახლებისა.

გარნა აქ ჩვენ ვიმეორებთ ზემოდ გამოთქმულს აზრს: სრულიად უარს არა ვყოფთ სომხების საქართველოში ყოფნას იმ დროებში. მხოლოდ უარვყოფთ, ვითომც ქალაქების მცხოვრებთა მომეტებული ნაწილი სომხები ყოფილიყვნენ, და ვამბობთ, საქართველოს ზოგიერთ ადგილს სცხოვრებდენ სომხები, მაგრამ რიცხვით ძრიელ ცოტა, როგორც 1459 წ. გუჯრებშიაც მოხსენებულია [173]).

ამისთანა ტყვილი მოწმობით აჯერებენ ქვეყანას, ძველი დროდანვე საქართველოს ქალაქების მცხოვრებთა მომეტებული ნაწილი სომხები იყვნენო.

ახლა-კი უნდა ვუჩვენოთ, რომ იმ ხანში სომხები-კი არ გადმოსახლებულან საქართველოში, არამედ თვით ქართველები გადასახლებულან სასომხეთში. ცხადად გვიმტკიცებს ამას, სხვათა შორის, ქართველების მრავალი საეპისკოპოსო კათედრები სასომხეთში, მაგალითად ანისს, ვალაშკერტს, კარსს, აზრუმს, ყარსს, კისკიმს და სხ. [174])... ესეც ყოველ ეჭვ გარეშეა, რომ ამ ადგილებში ქართველ ეპისკოპოსებს თავიანთ სამწყსოს მრევლად ჰყავდათ ქართველები ჯ არა სომხები, ვინადგან სასომხეთში, დღევანდლამდე დარჩენილი ძველი ეკლესიები და წარწერები მოწმობენ ქართველების მფლობელობას და ქართველთ ერის ყოფნას სასომხეთის ზოგიერთ ნაწილში [175]).

---

173) ქრონიკები თ. ჟორდანიას-მიერ, წიგნი მეორე, გვ. 276.

174) ისტორია საქართველოსი დ. ზ. ბაქრაძის მიერ, გვერ. 267.

175) იგივე გვ. 85, ქრონიკები თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი პირველი გვ. 155, 197.

3) „XIII საუკუნეში პირველად მოსულმა მისიონერებმა საქართველოში რა გაარიგეს, ან გააკათოლიკეს ვინმე თუ არა, ეს ცხადი არ არისო“, ბრძანებს სომხის ავტორი.—მართალია, ამისთანა განათლებული პირებისათვის, რომლებსაც თვალები განგებ დაუხუჭიათ, ცხადი არასფერია. ხოლო სიმართლის მოყვარეს-კი შეუძლია ცხადად დაინახოს, რომ სწორედ ამ დროდან იწყება მისიონერების ბლომად მოსვლა და კათოლიკების გამრავლება, რაისგამო შემდეგში საჭირო გახდა, მათთვის საეპისკოპოსო კათედრაც დაარსებულიყო. ამას ცხად ჰყოფს ჩვენი გამოცემული ისტორია კათოლიკობისა წიგნის პირველი და მეორე თავის საბუთები.

4) საქართველოში ნამდვილი შემოსვლა დაუწყიათ დომინიკიან სომეხთ-უნითორთა ბერებს სპარსეთიდან და განსაკუთრებით ნახჩევნიდან. ეს სომეხ-უნითორები ნახევრად გალათინებული იყვნენ. მოვიდენ ტფილისში და თავიანთი ფანატიკოსობით დაიწყეს კათოლიკობის გავრცელება; რავდენიმე ასი სომეხი გააკათოლიკეს და მიაღებინეს ლათინის წესიო“.

— რადგან ეს მწერალი არა ერთხელ ლაპარაკობს ამ საგნისთვის თავის სტატიებში, ამიტომ ჩვენც ქვემოდ დავუწერთ შესაფერ პასუხს. ხოლო აქ მოკლედ მოვახსენებთ ამას: თუ მართლა ნახჩევნიდან შემოსულმა სომხებმა გააკათოლიკეს საქათოველოში სომხები, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ დღეს საქართველოში სომხის კათოლიკები აღარ მოიპოვებიან, რადგან, როგორც გაქრნენ და მოისპნენ ნახჩევნის გაკათოლიკებული სომხები ყველგან თავიანთი მოწაფეებით, ამავე ნაირად საქართველოშიაც უნდა მოსპობილიყვნენ ყველა მათი მოწაფენიც. თვით თვალით მხილველი შარდენიც მოწმობს, რომ იმ გაკათოლიკებული სომხებიდან ნახჩევნის მხარეში ხუთ ექვსი სოფელი ძლივსღა დარჩენილიყო, სხვა სულ ისევ გადასომხებულ ლ თავიანთ პატრიარქთან შეერთებულიყვნენო, როგორათაც ვრცლად მოვიხსენიეთ მეორე თავში. არც შეუძლია სომხის ავტორს გვიპასუხოს, თუ მაშინ დასცხრნენ კათოლიკობისაგან, შემდგომ ლათინის მისიონებმა ისევ გააკათოლიკეს სომხეპიო, რადგან ესრეთი წინადადება ცხადად ეწინააღმდეგე-

ბა თავისსავე ზემოდ ნათქვამს. ჯერ სთქვა, საქართველოს ქალაქების მცხოვრებთ მომეტებული ნაწილი სომხები იყვნენო და შემდგომ ამბობს, XIII საუკუნის ნახევარს მოვიდენ მისიონერები საქართველოში და დიდი ვერაფერი გაარიგესო. აქედან ცხადათ ის დასკვნა გამოდის, რომ პირველად მოსულ ლათინის მისიონერებს არა ვითარი გავლენა ჰქონიათ სომხებზე, რომლებიც, თავისივე სიტყვით, აქაური ქალაქების მცხოვრებთა მომეტებულ რიცხვს შეადგენდენ. ამისათვის უფლება გვაქვს, დავასკვნათ შემდეგი: თუ პირველში მისიონერებმა ვერ მოაქციეს კათოლიკობაზე საქართველოში მყოფი სომხები, მაშ ვერც შემდეგში, ეს-ე იგი XVII და XVIII საუკუნებში, შეეძლოთ ლათინის მისიონერებს, მოექციათ ისინი კათოლიკობაზედ. ვინ არ ხედავს მის ნათქვამში, რომ სიცრუის მეტი არა არის რა?

5) „მგზავრი შარდენი ამბობსო, კაფუცინებმა მაინც და მაინც დიდი გავლენა ვერ იქონიეს ქართველებზეო, რომლებიც მათ ქრისტიანებად არ რიცხავდენ, რადგან მათსავით მარხვას არ ინახავდენ კაფუცინებიო".

— ამის წინააღმდეგი და გასამტყუნებელი ბევრი საბუთი გვაქვს ხელთა. შარდენს გულს აკლდა კაფუცინებზე, როცა ტფილისიდან წავიდა, ამიტომ მათ ამცირებს და მათთვის სიმართლეს არ ამბობს, რასაც მისივე წერილი ამტკიცებს. აი მიზეზი მისი არ კმაყოფილებისა: როდესაც მოვიდა ტფილისში, მაშინდელი ჩვეულების დაგვარ ვალდება ჰქონდა, მეფის წინაშე წამდგარიყო საჩუქრებით. ეს მოვალეობა მაშინვე კაფუცინებმა მოახსენეს მას. გარნა მან მოინდომა დაგვიანება მეფის ნახვისა, რადგან მეფისათვის საჩუქრების მირთმევა ეძნელებოდა. მეფემ კარის კაცი მიუგზავნა, რათა მალე მისულიყო მის სანახავად. ამან მისვლის ნაცვლად მიუგზავნა კაფუცინები და სთხოვა დარბაზობა მომავალ კვირამდე ედროებინა, მაგრამ კაფუცინებმა ვერ გაურიგეს საქმე, რაის გამო მათზე სამდურავს სწერს ესრე: „კაფუცინები დამპირდენ და ვერაფერი-კი ვერ გაარიგეს, წავიდენ მეფის სახლში და ცოტა ხნის შემდეგ მოვიდენ ჯ მითხრეს, მეფე ძრიელ მოუთმენ-

ლობაშია და საჩქაროდ უნდა ევროპის ამბის შეტყობაო. ნადვილი კი ეს იყო, რომ ესენი იყვნენ დიდ მოუთმენლობაში, რათა მე წამდგარვიყავი. უნდოდათ ჩემი თავი ეჩვენებინათ, როგორც სპარსეთის ხელმწიფის კაცისა, რადგან ამბობდენ ეს ჩვენი გვარის კაციაო, რათა ამითი უფრო დიდი პატივისცემა დაემსახურებინათ მათგან.“ [176]) როდესაც ტფილისში შარდენი იმყოფებოდა, დიდი შიში ჰქონდა თურმე, რათა მეფეს მისი ძვირფასი ნივთები არ ენახა და არაფერი გამოერთმია მისთვის. (ბევრი ძვირფასი ნივთები მიჰქონდა თურმე სპარსეთში, რადგან შაჰის პირველი ვაჭარი იყო). ამისთვის რა განშორდა ტფილისს, ასე სწერს: „დიდად გამეხარდა, რომ შვიდობით გამოველ ტფილისიდან. ვშიშობდი, უსიამოვნება რამ არ შემთხვევოდა ამ ორი მიზეზის გამო: პირველად ეს, რომ მეფემ დამაბარა და უნდოდა ენახა, რა საჩუქარი მიმქონდა შაჰისთან, მე-კი მის ჩვენების მუდამ უარზე ვიდექ... მეორე ჩემი შიში ეს იყო, რომ, ვითომ ჩემ პატივის საცემლად, მაგრამ უფრო თავიანთ პატივისთვის, კაფუცინებმა ხალხში გამაცნეს, როგორც ძლიერ მდიდარი და შემძლე. ასე რომ მთელს ქალაქში ხმა გავრცელდა, ვითომც აუარებელი ფული მქონოდესო.“ [177]) აქედან ცხადად სჩანს, რომ ის კაფუცინებისას კარგს არაფერს იტყოდა. მარტო ეს კმარა, რომ ყველა მისი ნათქვამი ამ მისიონერებისთვის სიმართლე ნაკლებად შევრაცხოთ. გარნა უკეთესი სხვა საბუთიც გვაქვს მის გასამტყუნებლად. ეს საბუთები კაფუცინების რომში გაგზავნილი წერილებია, რომელიც ხელში ჩაგვივარდა და რომელიც სრულიად შარდენის ნათქვამის წინააღმდეგს ამტკიცებს.

მოსვლის ხუთიწლის შემდგომ, 1668 წ. კაფუცინები სწერდენ რომში, ბევრისგან ბევრი, როგორც დედაკაცები, ისე მამაკაცები, მეტადრე ბავშვები, ჩვენთან აღსარებას ამბობე-

---

[176]) Chardin, Voyage en Perse, tom 1. p. 133. Amsterdam, 1711.

[177]) იგივე, გვ. 147.

ნო.[178]). ამისთანა საბუთები კიდევ ბევრი გვაქვს. ხოლო საკმაოდ ვრაცხთ, მოვიხსენიოთ მხოლოდ ის რაპორტი, რომლის რომში გაგზავნას იხსენიებს თვით შარდენიც. თავის მგზავრობის აღწერაში.

ეს წერილი კაფუცინებს გაუგზავნიათ რომში 1671 წ., სწორედ შარდენის ტფილისში მოსვლის დროებაში. მისი სათაური ესე იწყება: „აგერ ათი წელიწადია, რაც თქვენი მაღალ უსამღვდელოესობის ბრძანებით კაფუცინები წავიდენ საქართველოში კათოლიკე სარწმუნოების გასავრცელებლად. ესრე მოკლე დროს განმავლობაში საღმთო ძლიერებამ იქ იმდენი კეთილი იმოქმედა, რომ დიდად გასაკიცხი იქმნება, ამისთანა მოვლინება სიჩუმით დაფარული დარჩეს, ვინაიდგან მისი გამოქვეყნება შეეწევა ღვთის დიდების გამობრწყინებას და ამავე დროს შეიქმნება თქვენთვის საშუალება, რათა კარგად აწარმოოთ ამ მისიონის წარმატება“ [189]).

ამ რაპორტში მოხსენებულია, რომ კათოლიკები ბლომად არიან, მათ შორის ყოფილა ერთი ქართველი მღვდელი, სახელად აბრამ, ურიის ჩამომავალი და ერთიც დიდი ოჯახის შვილი, მეფის ნათესავი, არდაშელი, ეპისკოპოსის შვილი. ეგრეთვე მოხსენებულია, რომ იმერეთში ასზე მეტს მიუღია კათოლიკობა და სხ.. სომხებივით ჭეშმარიტებას არ ვფა-

---

[178]) პროპაგანდის არხივი, Giorgia, ტომი, 223, გვ. 149.

[179]) რადგან ეს ერთ ფრანგულ გაზეთში დაიბეჭდა, ამისათვის ტექსტი ფრანგულად მოგვყავს:
Il y a dix années révolues, Em. PP. que par votre ordre les capucins allèrent en Géorgie pour y planter la foi; et dans un terme si court, la puissance divine y a opéré tant de choses, que vraiment il serait blamable d'envelopper dans un criminel silence des événements dont la connaissance peut servir à faire briller la gloire de Dieu et donner en même temps à vos Eminences les moyens de diriger avec succès les progrès de cette mission. (Courte relation du commencement, du progrès et de l'état de la Mission géorgienne, Journal Asiatique, 1832, vol. 11 p. 193).—ეგრეთვე იხილეთ ჩვენი ისტორია კათოლიკობისა, გვ. 238—242.

რავთ ჯ მას უარს არა ვყოფთ, არამედ ცხადად აღვიარებთ, რომ ამ დროის ახლად გაკათოლიკებულთა შორის სომხებიც ყოფილან. მაგალითად მოუქცევიათ ერთი სომხის მღვდელი ნერსესა, რომელიც შემდგომ სპარსეთში წასულა კათოლიკე სარწმუნოების საქადაგებლად; ეგრეთვე მოუქცევიათ სომეხი დიაკვანი ევსტატე, რომელიც შემდეგ კაფუცინებს შესწევია სხვების მოსაქცევად და სხ.. აქედან და სხვა ამის მსგავსი ბევრი საბუთიდან, რომლის აქ მოყვანა შორს წაგვიყვანს, ცხადათ სჩანს, თუ რაოდნად ცრუა შარდენის ნათქვამი, როცა ამბობს კაფუცინებმა ქართველებზე გავლენა ვერ იქონიესო და უნდათ საქართველოს დატოება, მაგრამ რომის ეკკლესიის სახელის გამო რჩებიანო.

შარდენის დროსვე ხომ საუკეთესო მდგომარეობაში იყვნენ საქართველოს მისიონერები, რომელთაც შრომას იგი ერთიან ამცირებს და აქარწლებს. გარნა შემდგომ ამ მდგომარეობაში არ დარჩენილან, არამედ მათი გავლენა მატულობდა და იზრდებოდა, რაისგამო კაფუცინებს ყველა სხვა ადგილების მისიონერებზე უდიდესი ნაყოფი სულთა შეძენისა აქ ჰქონდათ. ამას გვიმტკიცებს, სხვათა შორის, კაფუცინების რომში გაგზავნილი ერთი წიგნი, რომელიც, ვგონებთ, დაწერილი უნდა იყოს 1674 წ. აი ამ წერილის რავდენიმე სიტყვა; „დასასრულად უკეთუ გამოიძევთ იმ ნაყოფს, რაც საქართველოში 14 წლის განმავლობაში გამოვიღეთ, და თუ ამ ნაყოფს შეადარებთ სხვა და სხვა მისიონერთა 60 წლის შრომას, მაშინ დარწმუნდებით, რომ აქ საბრალო მისიონერები გამოუსადეგარი არ ყოფილან იმნაირ ნაყოფის გამოღებაში, რომელიც საღვთო მადლმა გამოაღებინა საქართველოში“ [180]).

კაფუცინები რა ხედავდენ კათოლიკე სარწმუნოების სწრაფ წარმატებას საქართველოს ერში, მისთვის აქაურს მისიონს რიცხავდენ ყველა მისიონებზე საუკეთესოდ. მსგავსავდე სწერდენ რომში, რომ იქაც კარგად გაეცნობებინათ საქართველოს ესრეთი მომზადება კათოლიკე სარწმუნოების მისაღებად. ნეაპო-

[180]) პროპაგანდის არხივი, Giorgia, vol. 1. № 43.

ლელი კაფუცინი ბერნარდე ტფილისიდან რომში სწერდა, ვგონებთ 1675 წ., (წერილი უთარიღოა) ესრედ: „მთელი აღმოსავლეთის მისიონთა შორის, რომელთაც პროპაგანდა ინახავს, საქართველო უნდა შეირაცხოს, არა მარტო საუკეთესოდ, არამედ, ჩემის აზრით, უნდა მიეცეს ამას ყველაზე უპირველესი ადგილი, როგორც იმისთვის, რომ აქ სრული თავისუფლებაა სამოციქულო სამსახურისა და საეკლესიო ყველა წესების შესრულებისა, როგორც ევროპაში, ისე იმისთვისაც, რომ აქ ყოველდღივ ფრიად დიდი ნაყოფი მოგვაქვსთ ⁄ დიდის სიადვილითაც შეგვიძლია შემდეგშიაც ესე უხვი ნაყოფი გამოვიღოთ, უკეთუ საკმაო შემწეობას აღმოგვიჩენთ; ეგრეთვე იმისთვისაც, რომ აქაური ერი მთელს აღმოსავლეთის ყველა ტომებზე მეტად განათლებული, გაწვრთნილი და პატიოსანია და აქვს ყველაზე უკეთესი გამჭრიახი გონება; ამიტომ ყველა ერზე უკეთესად მომზადებულია, მიიღოს კათოლიკე სარწმუნოების ჭეშმარიტება, როდესაც დარწმუნდება მსჯელობით და საღმთო წერილის მოწმობის მოყვანით„ [181]).

1675 წლის ერთი სხვა წერილით ამასვე უმტკიცებს კაფუცინი ანტონიო, რომელიც დაარწმუნებს კარდინალს, საქართველო ყველაზე საუკეთესო მისიონიაო, რადგან „მე ყველა მისიონებს ვიცნობ, მთელი აზია დამივლია, ვიდრე ინდოეთამდე ვყოფილვარ და საქართველოს ყველაზე უკეთეს მისიონად ვრაცხო“ [181]) [182]). მისიონერების ესრეთი მსჯელობა საქართველოს ერის შესახებ სომხებს არ შეუძლიათ თავიანთ თავს მიაკუთნონ, რადგან საქართველოზე უწინ როგორც კაფუცინებს, ისე სხვა წესის ბერებს ჰქონდათ მისიონი სპარსეთსა, სომხეთსა და აღმოსავლეთის სხვა და სხვა ადგილებში სომხის ერისათვის, მაგრამ ამისთანა ქება და იმედი არას დროს მიუწერიათ სომხების შესახებ. მისიონერები უეჭველად სომხებსაც დაასახელებდენ, უკეთუ ეს მათი მიწერილი ამბავი იმათაც შეხებოდა. ხოლო ზემოდ განვიხილეთ საკმაოდ, თუ მგზავრები და მისიონერები როგორ სამდურავს იწერებოდენ სომ-

---

[181]) იგივე, № 42 — [182]), იგივე № 38.

ხებზე. უფროსი ერთად მოვიყვანეთ რავდენიმე წერილი თვით ამ კაფუცინებისა საქართველოში მყოფ სომხების შესახებ, თუ მათ როგორ წყევლა-კრულვით იხსენიებენ და უწოდებენ მათ კათოლიკე სარწმუნოების სამუდამო და შეურიგებელ მტრად. ყოველ ეჭვ გარეშეა, ეს საქართველოს ერზე კაფუცინების ქება ეკუთვნის ქართველებს და არა სომხებს. არ დავივიწყოთ ესეც, რომ, კაფუცინებზე უწინ, რომაელმა შესანიშნავმა მგზავრმა პეტრე დელლა ვალლემ (1618—1626. წ.) თავის მგზავრობასა ლ რაპორტში დასწერა უფრო კარგათ და ცხადად ქართველებზე ესრეთი ქება: „რომის ეკკლესიას ეგოდენ გულ მხურვალებას უჩვენებენ, რომ მომეტებულის თქმა არ შეიძლება, და დიდი სასოება აქვსთ რომისა და წ-ა პეტრესა და პავლესადმი, და დიდს პატივს სცემენ რომის პაპსო“ [183]) ქართველთ ერმა და მისმა კათოლიკე სარწმუნოებისათვის მისწრაფებამ იქამდე მიიზიდა კაფუცინების გული, რომ სიევდილს რჩეულობდენ, ვიდრე საქართველოს დატოვებას და მათგან განშორებას თვით იმ დროს, როცა საქართველო დიდ გაჭირვებაში იყო და მტერი აოხრებდა მას ყოველის მხრით. ამას გვიმტკიცებს ზემოდ ხსენებული კაფუცინის ანტონიოს წერილი, რომელიც 1676 წ. იანვრის პირველს გაუგზავნია რომში. ესრედ სწერს: „მისიონი ამისთანა განსაცდელში თავისდღეში არ ყოფილა. კმარა ეს მოგახსენო, რომ სხვა გზით ხსნის იმედი არა გვაქვს, თუ არ ღვთის შეწევნით. მუდამ წამს მოველით ომსა და ოსმალების და სპარსელების შემოსევას. რადგან ერთმანერთში მშვიდობით და ერთობით ვცხოვრებთ, როგორც ჭეშმარიტი ბრძენი, ამისთვის ყველას გადაწყვეტილი გვაქვს სიკვდილი ვირჩიოთ, ვიდრე ამ მისიონის დატოვება“ [184]) შარდენის ზემო ნათქვამის და მისი ჩვენ წინაალმდეგ წამომყენებელ სომხის მწერალთა სამუდამო გასამტყუნებლად ესეც კმარა. რადგან ყველასთვის ცხადი ჭეშ-

[183]) პროპაგანდის არხივი: Informazione della Giorgia al Papa Urbano XIII, an 1627.

[184]) პროპაგანდის არხივი: Giorgia, vol. 1. № 39.

მარიტება უნდა იყოს, რომ ამ მისიონერებს, რომლებიც, თავგანწირულნი მოყვასის სიყვარულის გამო, თავიანთ შვენიერ და მდიდარ ქვეყანას სტოვებდენ და აქ ყოველ გვარ შეწუხებას თავს ღებულობდენ, არა ვითარი ინტერესი ჰქონდათ რომში სიცრუე მიეწერათ, ან აქ ძალით დარჩენილიყვნენ. მაშ ყველა პატიოსანი და გონიერი კაცი ამათ მრავალ ნაირ მოწმობას უფრო უნდა ერწმუნოს, ვიდრე ვაჭარს შარდენს, რომელმაც, სომხებივით დაინტერესებულმა, რა ნახა თავისი საქონელი კაფუცინების წყალობით განსაცდელში ვარდებოდა, მათ დასამცირებლად ბევრი სიცრუე დაუწერა.

6) „მათ დაარსებულს სკოლაში შვიდი-რვა ღარიბის ბავშვები ძლივს დაიარება, ისინიც არა სწავლისათვის, არამედ საჭმლისათვის, როგორც თვით გულ კეთილი სომხები მოგვითხრობენო, ასე ამბობს თვალით მხილველი შარდენიო", მოგვითხრობს სომხის ავტორი.

— აქ ჯერ ეს შევნიშნოთ, თუ სომხები როგორ დაღს ისმენ და როგორ ამახინჯებენ ყველასფერს.—ამბობს ეს „ა-ს": როგორც თვით გულკეთილი სომხები მოგვითხრობენო,—*ինչպէս այդ խոստովանում են նոյն իսկ այդ բարի հայրերը*". ხოლო თვით ფრანგულში, შარდენისავე გამოცემულში-კი სწერია ესრედ: „როგორც თვით ეს კეთილი მამები (ანუ პატრები) ამას აღიარებენო—Comme ces bons Pères le confessent eux-mêmes". სად სომხები და სად ეს კაფუცინები? აი, როგორ ყველას ასომხებენ! ჩვენ ამ დამახინჯებას ვერ მივაწერთ ფრანგულის ენის უცოდინარობას, რადგან ეს ბ-ნი მწერალი მას წამდაუწუმ ხმარობს, თავის იმ ადგილებშიაც-კი, საცა საჭიროება არ თხოულობს; მით უჩვენებს თავის სტატიის მკითხველთ, რომ მისთვის ფრანგული და ევროპის სხვა ენები უცნობი არ ყოფილა. მაშ ეს დამახინჯება ისევ უნდა მივაწეროთ თავიანთ სიყალბეს, რომ ყველასფერს ამახინჯებენ ‌ᲓᲐ ისეაბრუნებენ, როგორც უნდათ.

როგორც ზემოთ შარდენის ნათქვამი ქართველებისთვის ცხადი სიცრუე იყო, ისე მისი ნათქვამი კოფუცინების მიერ ტფილისში დაარსებულ სკოლისთვის სიცრუეა. კაფუცინებმა

პირველ შივე შეისწავლეს ქართული ენა თუ არა, გახსნეს სკოლა
ბ დაიწყეს ბავშვებისათვის სწავლება ქართულს ენაზე. ეს ამბავიც
თავის დროზე აცნობეს რომში. ხელში გვაქვს ჩვენ ერთი
წერილი უთარიღო, რომელიც უნდა იყოს გაგზავნილი 1666 წ.
ამ წიგნით აუწყებენ, რომ გვყავს 40-დან 50-მდე მოწაფეო,
რომელსაც სხვა და სხვა საგნების სწავლებასთან ერთად ვას-
წავლით იმ საგნებსაც, რომლებიც მიუცილებლად საჭიროა
სულის ცხონებისათვისო. ეგრეთვე 1668 წ. სწერენ, რომ
უკეთუ მისიონერებს შეესწავლათ სომხური ენაც, მაშინ უფრო
ბევრი მოწაფენი გვეყოლებოდა სკოლაშიო. ხოლო მისიონე-
რებმა რადგან ქართულის მეტი არ იციან, ამისთვის 25 მო-
წაფეზე მეტი არა გვყავს, რომლებიც ყველანი ჩვენთან ალ-
სარებას ამბობენ და ეზიარებიანო. ეს სკოლა მუდამ წარმა-
ტებაში მიდიოდა, მაგრამ ერთმა შემთხვევამ ცოტა შეაბრკო-
ლა. აი, რა იყო თურმე. იმდროს ჩვეულება ყოფილიყო, რო-
დესაც ქართველები, ანუ სომხები ახალ ეკკლესიას ააშენებ-
დენ ხოლმე, საქართველოს კათოლიკოსს საჩუქარს მიართმევ-
დენ. ეს ჩვეულება კაფუცინებს არ დაუცვიათ, როცა თავი-
ანთი ეკკლესია გაუშენებიათ ტფილისში. ამისთვის კათალი-
კოსი შემოსწყრომია და სკოლაც დაუკეტინებია, მაგრამ ისევ
მალე გაუღებინებია. ამ შემთხვევას კაფუცინი სერაფიონი, 30
მარტს, 1671., ესრედ აუწყებს კარდინალს: „ხელახლავ გავა-
ღე სკოლა, რომელშიაც ბევრი არიან ბავშვები და რომელიც
გავლილ წელს კათალიკოსმა მტრობით დაგვიკეტა; ახლა ვას-
წავლით ქართულს, იტალიანურს და ლათინურს; ეგრეთვე
ყოველდღე ქალიშვილებსაც ვასწავლით საქრიტიანო მოძღვ-
რებას; ამ კახეთიზმოს ვაჟებს ყოველ კვირაობით ვახელმეორე-
ბინებთ ეკკლესიაში, საცა დიდი ხალხი ესწრებაო“ [185]).

ეს 25, 40, და 50 და ამაზეც მეტი ბავშვების რიცხვი,
რომელსაც იხსენიებენ კაფუცინები თავიანთ წერილებში, დი-
დი არასფერია შედარებით იმ დროის მცხოვრებ რიცხვთან,
რადგან იმ დროს როგორც კაფუცინების წერილიდან სჩანს,

[185]) იგივე, № 27.

70, თუ 80 ათასზე მეტი მცხოვრები იყო ტფილისს. ამ ბავშვების სიმცირის მიზეზი ის ყოფილა, რომ მშობლებს სკოლიდგან მალე გაჰყავდათ ბავშვები. თვით შარდენის მიერ მოხსენებულ რაპორტში კაფუცინები ამ გარემოებას 1671 წ. ესე აუწერენ: „ხოლო სწავლის მიზეზით ბავშვებს ვზრდით სარწმუნობასა და კეთილ ზნეობაში. გარნა როგორც ბუნებითი დაუდგრომლობისა, ისე მშობლების სიხარბისა გამო ისწავლიან თუ არა ქართულ წერა კითხვას, რადგან სხვას არაფერს სწავლობენ, მოიზდებიან თუ არა, მაშინვე გადიან სკოლიდან და ქუჩებში სიბოროტის მეტს არასფერს სჩადიან. რადგან კარგა ხანია ნატრობდენ იტალიანურის და ლათინურის სწავლას, ამისთვის ჩვენც, ზემოდ ხსენებული ცუდი ჩვეულების მოსასპობად, დავიწყეთ გრამატიკის სწავლება. ახლა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ როდესაც ამათ იტალიანური იციან, არც თავიანთი ამხანაგების დაცინვას და არც თავიანთი მშობლების სიფიცხეს შეუძლია მათი განშორება ჩვენგან და სარწმუნოებისაგან“ [186]).

აწ ყველა ცხადად ხედავს, თუ რამდენად სიმართლეს მოკლებულია შარდენის ნათქვამი ტფილისის სკოლის შესახებ. ჩვენი დალოცვილი სომხის მწერლები სინამდვილეს-კი არ ეძებენ, არამედ ყველას სიხარულით ეგებებიან, როგორც სახარების სიტყვებს, ოღონდაკი ქართველების როგორმე ნაირად შემარცხვენელი და დამამდაბლებელი იყოს.

7) მგზავრი შარდენი ძალიან საჭირო უწყებას გვაძლევს გაკათოლიკებულის სომეების შესახებო და ამბობს: კათოლიკე სომხები რიცხვით ვიდრე ოთხას სულამდე არიანო და აქვსთ თავიანთი საკუთარი პატარა ეკლესიაო. (Les Arméniens catholiques, au nombre d'environ quatre cents, ont une chapelle particulière).

პირველად შევნიშნოთ, რომ ეს ბ-ნი სიმეხი „ა. ს.“ ძლიერ ფრთხილად მოქცეულა, ეს მოწმობა ასო-ასო გადმოუწერია და სხვა ტექსტებით ქვემოდ სქოლიოდ-კი არ მოუყვა-

---

[186]) Journal Asiatique, 1832, vol, 11. p. 205.

ნიან არამედ შიგ წერილის შუაგულში ჩაურთავს. ეს შემთხვევით-კი არ მოსვლია, არამედ განგებ და ოსტატობით უქნია, რათა ჯერ უფრო დიდი ღირსება და მნიშვნელობა მიეცა ამ მოწმობისთვის და შემდგომ, რათა მკითხველებისთვის უფრო კარგად თვალები აეხვია, რაა სიცრუე ჭეშმარიტებაში ველარ გაარჩიონო. მაგრამ ძრიელ სცდება ეს ვაჟბატონი და არ ფიქრობს, რომ სიცრუეს მოკლე ფეხები აქვს და შორს ვერ წავა. ესეც შევნიშნოთ, რომ ავტორი ამ წინადადებას მთელ თავის ლოგიკას საფუძვლად უდებს და ყველაზე მომეტებულს ღირსებას ამას აძლევს, ვიდრე დანარჩენს სხვა თავის მიერ მოყვანილ ტექსტებს.

შარდენი თავის წერილებში როდესაც ლაპარაკობს ტფილისისა და საქართველოსათვის, სომეხ-გრიგორიანებს იხსენიებს, მაგრამ სომეხ-კათოლიკობისას ერთ სიტყვასაც არ ამბობს და არა ნაირად იხსენიებს. ეს მარტო მაშინ იხსენიებს სომეხ-კათოლიკებს, როცა ლაპარაკობს ნახჩევნისა და სპარსეთისათვის. ამას მოწმობენ მის სიცოცხლეშივე დაბეჭდილი მგზავრობის წერილები, რომლებიც ოთხ-ხუთ გზის გამოსცეს დაწყებული 1687 დან ვიდრე 1711 წლამდე. ამ დროის შემდგომ შარდენს საქართველოსკენ აღარ უმგზავრია, რომ მერმე თუ ენახა სომეხ კათოლიკების ეკლესია, ჩაეწერა. რადგან ორი წლის შემდგომ მოკვდა. მაშ ეს სიტყვები, ასეთის დიდებით სომხის მწერლისგან წარმოდგენილი, შარდენის ნათქვამი სრულებით არ არის, მაგრამ ავტორს იმის წერილიდან კი ამოუღია ეი რანაირად: ფრანგმა ლანგლე (Langlès) ორიენტალისტმა 1811 წ. ხელმეორედ დაბეჭდა შარდენის მგზავრობის წიგნი, რომელსაც თავისი შენიშვნები დაუწერია. და ეი ეს ფრანგულად მოყვანილი სომხის ავტორის მიერ სიტყვები სწორედ ლანგლეს მიერ სქოლიოდ დაწერილი სიტყვებია. ხოლო სომხის ახალმა მწერალმა-კი შარდენს მიაკუთნა და გვეუბნება, ვითომ შარდენი ძალიან საწირო უწყებას გვაძლევს სომეხ კათოლიკებისათვისო და მოჰყავს ლანგლეს მიერ მიმატებული ფრანგული სიტყვები. ჩვენი ნათქვამის სიმართლე, ესე იგი, რომ ეს სიტყვები და ეგრეთვე სხვა შენიშვნები წი-

გნის მეორე გამომცემის ჩართული ლანგლეს ეკუთვნის და არა შარდენს, ამტკიცებს თვით ისვე წიგნი. 1811 წ. დაბეჭდილის წიგნის სქოლიოში, უწინარეს სომხების ეკკლესიების ჩამოთვლისა, ლანგლე ასახელებს ქართველების ეკკლესიას და იქვე უწერს, რომ ეს უწინ კათოლიკე ეკკლესია იყოვო (C'était autre fois une église cotholique), ესე იგი ის ეკკლესია, რომელიც თეიმურაზ მეფემ კაფუცინებს ჩამოართვა 1755 წ. და რომელიც აშენებული იყო 1749 წ. ხოლო შარდენი საქართველოში მოვიდა 1671-1672 წლებში. ცხადია, ამ ეკკლესიას ვერ ნახავდა, რომ თავის მგზავროების წიგნებში დაეწერა. მაშ ეს სომხების ეკკლესია იმის წიგნში სხვას შემდგომ სქოლიოდ ჩაუწერია. ნუთუ ამითი გახდა შარდენის ნანახი და მისი დაწერილი?

იქვე კიდევ სხვა უფრო უტყუარი და ცხადი საბუთი. ლანგლე იმ ზემოდ მოყვანილი სიტყვების შემდგომ იქვე ამბობს: „ამ ეკკლესიების სახელები ერთმა სომეხმა გამისწორა და გადმომითარგმნაო“ [187]). ეს სომეხი ვგონებთ კათოლიკე ყოფილიყოს, რომელსაც ბროსე თავის წერილებში (Mélanges Asiatiques-ში) ჰკიცხავს, რომ ეკკლესიების სახელები სწორედ არ არის გამოყვანილიო. ყველაზე უფრო ცხადი საბუთი კიდევ ის არის, რომ შარდენის სხვა და სხვა გამოცემაში, გარდა ლანგლესი, არსად მოიპოება სომხების მიერ ზემოდ მოყვანილი ფრანგული სიტყვები.

გარდა ამისა, წიგნის სათავეში, ლანგლე აცხადებს, შენიშვნები მიუწერე სქოლიოდო, რაისგამო ყველა შენიშვნის ბოლოში თავისი სახელი უწერია ამ ორი ასოთი: „L. L.“. ესე იგი L. Langlès. ასეთია დიდის ამბით წარმოდგენილი ძალიან სჯერო სომეხ კათოლიკების შესახებ უწყებანი, რომლებიც შარდენის წიგნის ბოლოში 1811 წ. ლანგლეს მიუწერია და რაც მას გაუგონია ერთი სომხისაგან. ესეც სრულებით არ შეგვი-

---

[187]) Un Arménien m'a rectifié et traduit les noms des églises. (Voyage du Chevalier Chardin de Paris à Ispahan. par L. Langlès, 1811, vol. 2 p. 79). Paris.

ძლია მიეაწეროთ სომხების უმეცრებას, რადგან უკანასკნელი ბავშვიც მიხვდებოდა, რომ ეს სიტყვები დამატებულია და არა შარდენის ნათქვამი. ახლა რა დიდი სირცხვილი, რა დიდი უნამუსობა უნდა იყოს იმისთანა მწერლებისათვის, რომლებსაც თავიანთი თავი ევროპაში განათლებულად მოაქვსთ, რომლებიც სხვებს საისტორიო სწორე საბუთებს ჰსთხოვენ და რომლებიც ამისთანა ყალბ საგნებს დიდ უტყუარ საბუთად სთვლიან და მით უნდათ ქართველ კათოლიკების ერთიან მოსპობა და ყველას გასომხება!!!

ეს ვაჟბატონი რუსულ გაზეთში ბეტერბ. ვედომოსტ. № 156, 1900 წ. ამასაც უმატებს: „სომეხ კათოლიკებს ლათინის პატრებზე დამოუკიდებლად ეკლესია ჰქონიათო, რომელიც ალბად, აშენებული უნდა ყოფილიყოს ჯერ ისევ კაფუცინების მოსვლამდეო. ვითომც და შარდენის დროსვე ტფილისში ორი ეკლესია ყოფილიყოს კაფუცინებისა და სომხებისა. გარნა შარდენი და ტურნეფორი მარტო ერთ ეკლესიას ასახელებენ, იმასაც მარტო კაფუცინებისას. აი, აქაც ცხადად სჩანს, თუ შური და ვნება კაცს როგორ უბრმავებს თვალებსა და უბნევს გონებას!

8) მოგზაური ტურნეფორი ამბობს, ტფილისში 50 რომის კათოლიკეა, სომხობიდან გაქცეულნი ცხადი მტრები არიან დანარჩენი სომხებისაო; კაფუცინებმა ვერ შეიძლეს მათი მორიგებაო, გვეუბნება სომხის მწერალი.

— ესეც წინანდელის მსგავსი ახალი საბუთი. აქ ძალაუნებურად უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენს მოკამათეს, სხვის დაბრმავების მეცადინეობით თვითონ ერთიან გონება დაჰბნელებია, თუ არა, ასე ყველაფერს ხელს მაგრა არ მოჰკიდებდა და ასე უტყუარ საბუთად არ წარმოგვიდგენდა.

ჯერ ეს გავიხსენოთ, რომ ვიდრე ტურნეფორი საქართველოში მოვიდოდა, ყურში გათქვეფილი ჰქონდა, რომ საქართველოს კათოლიკები სომხები იყვნენ და არა ქართველები, რადგან ისრაელ ორიმ, სომეხმა, რომლისთვისაც მეორე თავში საკმაოდ ვილაპარაკეთ, მთელს ევროპაში, განსაკუთრებით საფრანგეთში, საცა 12 წელიწადს იყო, მოჰფინა სომხური

ზღაპარი, საქართველო სასომხეთში იყო და იქაური კათოლიკები ყველა სომხები იყვნენ და სხ... ტურნეფორს ამისთანა აზრს უეჭველად განუმტკიცებდა აზრუმთან ახლოს წითელი ვანქის ეპისკოპოსი, რომელთანაც 20 დღეზე მეტს დარჩა და იქიდან გაემგზავრა პირდაპირ ტფილისს.

გამოვიძიოთ ახლა ყველა მისი ნათქვამის სინამდვილე ჯერ სხვა საგნების შესახებ. უწინარეს, ტფილისის შესახებ ეი რას ამბობს: „უფრო მომეტებულად იმან გამაკვირვა, რომ ქართველები შეურაცხ ჰყოფენ ფულს და არ ჰყიდიან თავიანთ ხორაგეულს. არც საჩუქრად, ესე იგი, არც უსასყიდლოდ აძლევენ, არამედ სცვლიან სამარჯნებსა, მძივის საყელ საბმელსა, წვრილ დანებსა და ნემს-ქინძისთავებში... ისინი არ ხმაროობენ არავითარ წონას და არც ერთ ზომას, ძლივს ასამდე ცოტა დათვლა იციან, მათში ყველაფერი გაცვლა-გამოცვლაზე არისო [188]). როგორ მოსწონსთ ეს ნათქვამი მის თაყვანის მცემელ სომხებს? თუ ეს ნათქვამი მართალია, მაშინ საჭიროა, ერთიან გაცრუვდეს კაფუცინების მიწერილი წერილები ქართველების შესახებ. კაფუცინები ხშირად სწერდენ: აღმოსავლეთის ხალხთა შორის ქართველები უფრო განათლებული, გაწვრთნილი, ზრდილობიანი და პატიოსანი არიანო. ტურნეფორის მიერ აღწერილობა ხომ ერთიან ბარბაროსული და ისევ ველური ხალხის ჩვეულებაა, ისეთისა, რომლის მსგავსი იმდროს არამც თუ აღმოსავლეთში, სხვა უფრო დაშორებულ და გადავარდნილ ქვეყნებშიაც ძნელად მოიპოვებოდა. ნუ თუ ყოველივე ეს ისტორიის და ფაქტების წინააღმდეგი არ არის? ნუ თუ ამას ერთიან არ აცრუებს ის ძვირფასი ვიქტორ ლანგლუას მიერ გამოცემული ნუმიზრატიკური კოლექცია, სადაც მოიპოვება ჩვენი მეფეების ყველა საუკუნეებში მოჭრილი ფული [189]). ვისთვის იყო ეს ფულები მოჭრილი? ტფილისში,

---

[188]) Relation d'un voyage du Levant par Pitton de Tournefort. Amsterdam, 1718. vol. 2. p. 127.

[189]) Langlois Victor. Essai de classification des suites monétaires de la Géorgie depuis l'antiquité, jusqu' à nos jours. Paris 1860.

რომელიც აზიის და ევროპის შუა პირველი სავაჭრო ქალაქი იყო ძველადგანვე, როგორ ვაჭრობდენ ამოდენა სხვა და სხვა გვარის ვაჭრები? არა რომ ესრეთი აზრი ყველანაირი საისტორიო ფაქტების წინააღმდეგია. ისტორიის ნათქვამსაც რომ არ მივხედოთ, ჩვენთვის კმარა, კარგად დაუკვირდეთ ტურნეფორის სხვა ნათქვამსაც, თუ როგორ ამ თავის ნათქვამს ისევ თვითონვე ამტყუნებს, საცა სხვათა შორის ამბობს: „ვენეციის ოქროს ფული, ძეკინები, რომელსაც მთელს აღმოსავლეთში გასავალი აქვს, ტფილისში თითო ღირს ექვს აბაზად და სამ შაურადო“ [190]). ეს ცხადად ამტკიცებს, რომ ტფილისში ფული ყოფილა და აღებ მიცემაში ჰქონიათ. ეს ჩვეულება თუ დედა ქალაქში იყო, უეჭველად მის პროვინციებშიაც უნდა ყოფილიყო. ხოლო თუ მართლა ტურნეფორს, საქართველოში გავლის დროს, მოუხდა საქონლის ხორაგში გაცვლა, მაშინ, თუ ჭეშმარიტების მთქმელია, ეს მთელ ქართველს ერს არ უნდა მიაწეროს, არამედ მარტო იმ სოფლის ხალხს. თუ მართლა რომელმამე სოფლის ხალხმა ტურნეფორის ფული არ მიიღო, მიზეზი ის-კი არ იყო, რომ სოფლელებს მისი ფული არ მიაჩნდათ და ღირება არ იცოდენ, არა, იმ დროს ქართველები ისე ბრიყვები არ იყვნენ, არამედ იმიტომ არ მიიღეს, რომ უნდოდათ, ხელში ჩაეგდოთ ამ საშუალებით მისი ევროპიული საქონელი, რომელიც იქ იშვიათი იყო. ეს ერთი ორი შენიშვნა იმიტომ მოვიყვანეთ, რათა ყველამ კარგად სცნოს, თუ რა ღირება უნდა მიეცეს ტურნეფორის იმ წინადადებას, რომელიც სომხის მწერალს მოჰყავს, როგორც უპირველესი საბუთი თავისი ვრცელი წერილისა.

გამოვიძიოთ ახლა მისი ნათქვამი, რომელსაც შეეხება ჩვენი ლაპარაკი: „ჰგონიათ—ამბობს ტურნეფორი—რომ ქალაქში (ტფილისში) 20,000-მდე მცხოვრებია, ესე იგი თოთხმეტი ათასი სომეხი, სამი ათასი თათარი, ორი ათასი ქართველი და

[190]) Les secuins de Venise, qui out cours par tout l'Orient, valent dans Tiflis six Abagis chacun et trois Chaouris. (Tournefort, იქვე, გვ. 131).

ხუთასი რომის კათოლიკე. ეს უკანასკნელები მოქცეული სომხები არიან და ცხადი მტრები სხვა დანარჩენი სომხებისა; იტალიელმა კაფუცინებმა ვერასფრით ვერ შეიძლეს მათი ერთმანერთთან შერიგებაო“ [191]).

— ამ მცხოვრებთა რიცხვის სინამდვილისთვის არ გავავრცელებთ ლაპარაკს. ხოლო ამას-კი შევნიშნავთ, რომ კაფუცინები 1665—1689 წლებში სწერდენ, ტფილისის მცხოვრებთა რიცხვი 70, თუ 80 ათასამდე იქმნებაო. მაშ ყველას უნდა გაუკვირდეს, თუ ასე ცოტა დროს განმავლობაში, როგორ უნდა ჩამოსულ იყო ამ მეოთხედ რიცხვზე. გარდა ამისა, ესეც ერთ დიდ საკვირველებად უნდა დაითვალოს: თუ მართლა ორი ათას ქართველზე მეტი არ იყო ტფილისში, როგორ იქმნა, რომ ამ მეშვიდე ნაწილს ჰყავდა თავისი მეფე, ჰქონდა თვით მმართველობა, ხოლო იმ თოთხმეტი ათასს სომეხს-კი არა ჰყავდათ თავისი საგანგებო და საკუთარი უმაღლესი მთავარი და მცირე რიცხვის მფლობელობის და ბრძანების ქვეშ იყვნენ?!

მოვიდეთ ჩვენი ლაპარაკის უმთავრესს საგანზე, ესე იგი, იმაზე, რომ ხუთასი რომის კათოლიკე მოქცეული სომხები არიანო. ამ ნათქვამს სომხებმა ორივე ხელები ჩაავლეს და როგორც სახარების სიტყვები, მიიღეს შეუცილებელ ჭეშმარიტებად. გარნა ესე ყველა რომ ჭეშმარიტებას მოკლებულია, ცხად ჩანს ისევ ტურნეფორისვე სიტყვები. აი, ცოტა ქვემოდ იგი რასა სწერს; „სომხების სამიტრაპოლიტო ეკლესიას ჰქვიან ხაზნი, რომელიც აშენებულია მტკვრის იქით მაღალ კლდეზედ; მისი შენობა ძლიერ მაგარი და ერთიან თლილი ქვისაა და აქვს გუმბათი, რომელიც ამშვენებს ქალაქსა. ტფილელს—ასე

---

[191]) On croit qu'ilya environ vingt mille ames dans la ville, savoir quatorze mille Arméniens, trois mille Mahometans, deux mille Géorgiens et cinq cents catholiques Romains. Ces derniers sont des Arméniens convertis, ennemis déclarez des autres Arméniens; les Capucins Italiens n'ont jamais pu les reconcilier ensemble. (Tournefort, იქვე, გვ. 133).

უწოდებენ ტფილისის ეპისკოპოსს,—აქვს თავისი სადგომი იქვე ახლოს (სომხების სიონისა).“ [192])

ამ სიტყვების სიყალბე ეჭვს უბადებს ადამიანს ზემოდ მოყვანილ სიტყვების ჭეშმარიტებაზედ. თუ ეს სიტყვები შეცთომილია, ზემო სიტყვებიც შეცთომილი უნდა იყოს, თუ ზემო სწორეა, ესეც სწორე უნდა იყოს. სიონი სომხების საეპისკოპოსო და ტფილელიც მათი ეპისკოპოსი გახადა. ამის შემდგომ საკვირველი აღარ უნდა იყოს, თუ რომის ხუთასი კათოლიკეც გაასომხა. ესრე ტფილისის დიდებული სიონის და ტფილელის გასომხება ჯერ აქამდე სომხებსაც არ გაუბედნიათ. არ ვიცით, თუ ეს შეცდომა როგორ მოუვიდა რავდენისამე დღის სტუმარს ტურნეფორს. განგებ, თუ შეცდომით უქმნია ეს, ჩვენ არ უწყით. მაშ სომხებს სხვა გზა აღარ რჩებათ თუ არ ეს: ან უნდა სთქვან ტურნეფორნთან ერთად, რომ ტფილელად წოდებული ეპისკოპოსი და ტფილისის სიონი სომხებს ეკუთვნის და ან უნდა ჩვენთან ერთად საქვეყნოდ აღიარონ, რომ ცხადი სიცრუეა ტურნეფორის ნათქვამი ესე ტფილისის კათოლიკების შესახებ, რომლებსაც ყველას სომხებად რაცხს, როგორათაც სიცრუეა სიონის შესახებ მისი ნათქვამი.

ტურნეფორის ის ნათქვამიც დავიხსომოთ, როდესაც ამბობს, კათოლიკები დანარჩენი სომხების ცხადი მტრები არიანო. არავითარი მიზეზი და სიმართლეა, რომ ამ კათოლიკებს სხვა სომეხ-გრიგორიანების მტრობა ჰქონოდათ; არამედ, თუ ესენი მართლა იმათგან მოქცეული იყვნენ, მაშინ იმათ უნდა ჰქონოდათ ამ კათოლიკებისადმი მტრობა. გარდა ამისა ძლიერ სულელური და წინააღმდეგი იქმნებოდა მათი მტრობა, რადგან ეს ხუთასი კათოლიკე იმ თოთხმეტი ათას სომეხს სრუ-

---

[192]) La Metropole des Arméniens s'appelle Sion, elle est au dela du Kur sur un rocher escarpé, le batiment en est très solide, tout de pierre de taille, terminé par un dôme qui fait honneur à la Ville. Le Tbileli, c'est ainsi qu'on appelle l'Evêque de Tiflis, a son logement tout auprès (იგივე, გვ. 135).

ლებით ვერასფერს დააკლებდა; გარნა ამ მტრობით ისინი თავიანთ უბედურებას უფრო შემატებდენ. ხოლო თუ მართლა ამ კათოლიკებს ჰქონდათ სომხების მტრობა და სიმძულვარე, მაშინ ცხადად ესევე ამტკიცებს, რომ ეს კათოლიკები ყოფილან ქართველები და არა სომხები, რადგან ქართველებსა და სომხებს შუა მტრობა და სიმძულვარე ძველის ძველია და დამტკიცებული საისტორიო ფაქტებით, როგორათაც წინა თავში ვნახეთ.

ამრიგად, ჩვენდა წინააღმდეგ წარმოდგენილი პირველი და უმთავრესი საბუთი, რომელზედაც აქვსთ დამყარებული ყველა თავიანთი მსჯელობა და ბჭობა სომხის მწერლებს, ირღვევა და ქარწყლდება.

რადგან სომხების უმთავრესს საბუთებს, რომლებიც წარმოადგინეს შარდენისა ⸗ ტურნეფორის წერილებიდგან, ერთიან ძირი გამოეთხარა და პირქვე დაეცნენ, ამისთვის აღარაფერს ვიტყვით იმ დანასკვისას, რომელიც სომხის მწერალმა ამ მოჩვენებული საბუთებიდან გამოიღო ⸗ რომლისათვისაც დიდის ამაყობით ლაპარაკობს.

9) ქართველებში ზოგჯერ გამოჩნდებოდენ ხოლმე კერძო პირნი, რომელნიც კათოლიკე დგებოდენ, როგორც მაგალითად საბა სულხან ორბელიანი, მაგრამ ეს მოქცევა იშვიათი იყო და ისევ იმასთან შედგა“, მოგვითრობს ეს სომხის ისტორიკოსი.

— აი ერთი ახალი აღმოჩენილი ჭეშმარიტება, სომხურად მონათლული. ამ უეცარ სიცრუეს იგი ისე აღიარებს, თითქოს მას ერთიან გამოეკვლიოს არა მარტო ქართული ნაწერები და საქართველოს ისტორია, არამედ თვით უცხო ქყეყნის ისტორიები და არხივებიც. ამ წინადადებით ეს მწერალი ერთიან უარყოფს საქართველოში ქართველ კათოლიკობის არსებობას, რადგან, როგორც ბრძანებს, თუ საბა ორბელიანთან შეჩერებულა ქართველების გაკათოლიკება, რასაკვირველია, შემდეგში აღარ იქნებოდენ, და არც საბა ორბელიანის დროს მყოფი ქართველი კათოლიკები დღევანდლამდე მოაწევდენ. ამ ვაჟბატონის სიტყვით, საქართველოს მყოფ კათოლიკებში დღეს

ერთიც არ ურევია ქართველი ტომის კათოლიკე, რადგან ერთი, ანუ ორიც რომ ერიოს, მაშინ საბა ორბელიანთან აღარ იქნებოდა შეჩერებული ქართველების გაკათოლიკება. თუმცა ქართველ კათოლიკეთა არსებობას ავტორი აქ თამამად უარყოფს, ქვემოდ კი ეს ბატონი ურცხვად ამბობს: „მაინც და მაინც ჩვენ არას დროს უარი არ გვიყვიაო, რომ ქართველებისგან ჩამომავალი რავდენიმე კათოლიკეებიც არიან კავკასიაშიო.“ რაღა გვეთქმის ჩვენ ამისთანა ავტორზედ, რომელიც თავისთავს ეწინააღმდეგება!

10 „საქართველოში კათოლიკე სარწმუნოების აღმოსაფხვრელად თეიმურაზ მეფემ ბრძანება გამოსცა კათოლიკების წინააღმდეგ, კაფუცინებს ეკკლესიები ჩამოართვა და გადენა და ერს სასტიკად უბრძანა, თავის პირველ სარწმუნოებაზე მობრუნებულიყო. უნაყოფოდ არ უნდა დარჩენილიყო ესე და კათოლიკეთაგანი ზოგნი მიუცილებლად უნდა მოქცეულიყვნენ თავიანთ სარწმუნოებაზედო“, განაგრძობს სომხის მწერალი.

— სომხებმა ამ ერთად ერთ გარემოებასაც ძლიერ მაგრა მოჰკიდეს ხელი და უნდათ ამითი მთლად ახოცონ ქართველ კათოლიკების საუსენებელი. გარნა ეს მოყვანილი საბუთიც, რომ ისევე სომხების წინაღმდეგია და არა ჩვენი, ამას ბევრ სჯა და გამოძიება არ უნდა. გავიხსენიოთ ჯერ ეს, რომ თეიმურაზის მიერ დევნა—მტრობა კათოლიკობისაგან ჩაგონებული იყო ბერძნებისა ლ სომხებისაგან, ვინაიდგან ქალაქის გარეთ დამალული ბერძნები, კაფუცინების განდევნის შემდეგ მაშინვე შემოვიდენ და აიკლეს მათი ეკკლესია; ეგრეთვე ამ ამბავზე შეიყარნენ მოწინავე სომხები და დაუწყეს მათაც კათოლიკებს დევნა. ამას შემდგომ რომ კიდევ დარჩნენ კათოლიკები და თეიმურაზის მიერ დევნილება ესე სხვა მტრებისაგან ჩაგონებული იყო, ამას ამტკიცებს თვით თეიმურაზის წერილი, რომელიც მეორე თავში მოვიყვანეთ.

ხოლო ვსთქვათ, რომ ამ დევნისაგან რომელიმე ქართველი კათოლიკე მიუბრუნდა თავის უწინდელს მართლმადიდებელ სარწმუნოებას, მაშინ ეს ფაქტი გვაძლევს ჩვენ ერთს უტყუ-

არს საბუთს სომხების წინააღმდეგ; თუ თეიმურაზის ერთ გზის დევნამ გადაიყვანა რავდენიმე ქართველი კათოლიკე თავის უწინდელ სარწმუნოებაზე, მაშ ყველა უფლება გვაქვს, ვსთქვათ რომ ერთი სომხის კათოლიკეც აღარ დარჩენილა საქართველოში, არამედ ყველა მოქცეული სომეხი გადასულა თავის ძველს სარწმუნოებაზე; რადგან თეიმურაზისავით არა ერთხელ, არამედ ბევრგზის, როგორც მეორე თავში ვნახეთ, სდევნეს სომხებმა კაფუცინები და კათოლიკები, დიდი შეურაცყოფა მიაყენეს მათ და ყველანაირი უსჯულოება იმოქმედეს მათ წინააღმდეგ. ამავე საბუთის ძალით შეგვიძლია ეს უტყუარი დანასკვიც გამოვიღოთ, რომ დღეს საქართველოში აღარ მოიპოვებიან XVIII საუკუნეში კაფუცინებისაგან მოქცეული სომხის კათოლიკები, რადგან სომხები სდევნიდენ კათოლიკეთ ვიდრე ხსენებული საუკუნის დამლევამდე. ხოლო თუ დღეს ვხედავთ საქართველოს სხვა და სხვა ადგილებში სომხის კათოლიკებს, ესენი არიან გადმოსახლებული სპარსეთიდგან და ოსმალეთიდან მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის სხვა და სხვა წლებში.

14. „თავად ციციშვილს თავის წარდგენილ აღწერაში ქართველ კათოლიკების შესახებ არასფერი დაუწერიაო და სომხების კი სთქვა, კაფუცინებს სომხებში შეუტანიათ შესანიშნავი განათლებაო, რადგან ქართველ მეფეთაგან მათი გაკათოლიკების ნება ჰქონდათო.“—ბ-ნი ავტორი ამ გარემოებასაც, შარდენის და ტურნეფორის მოწმობასავით, დიდს და უმთავრეს საბუთად სთვლის და მით ცდილობს ერთიან ახოცოს ქართველ კათოლიკების ხსენებაც. მაგრამ დიდათ ცდებაშ; რადგან არც ეს გამოადგება მას ჩვენდა გასასომხებლად. ხემოთ ვნახეთ, რომ თავადი ციციშვილი კაფუცინების დიდი მეგობარი და მფარველი იყო. ამანვე მოუშოვა მთავრობისგან კაფუცინებს 6,000 მანეთი ეკლესიის შენობისითვის და მანვე გაუკეთა ახალი ეკლესიის პლანი. ამის სიკვდილმა ძლიერ დააღონა კაფუცინები, რომლებმაც სწრაფად რომში აცნობეს. ციციშვილი ღალატობით მოჰკლესო. ახლა თუ ციციშვილმა თავის წერილებში არ მოიხსენია ქართველ

კათოლიკები და მარტო სომხის კათოლიკები აუწერა, ამას ასევმოითხოვდა არა მარტო იმ დროის პოლიტიკა ბ გარემოება, არამედ თვით თავისი კერძო პირადი მეგობრობაც კაფუცინებთან, რომლების საქართველოში დარჩენაც დიდად უნდოდა. უკეთუ სხვა ნაირად და ცხადად მიეწერა ქართველი ტომის კათოლიკებისაც, მაშინ იძულებული იმქნებოდა, თავისი ერთგული მეგობარი კაფუცინები თვითანვე განეშორებინა საქართველოდან, რადგან 1735 წ. რუსის მთავრობისაგან გამოვიდა ერთი უქაზი, რომელიც სასტიკად უკრძალავდა მართლმადიდებლების კათოლიკობაზე გადაყვანას, რაის გამო 1744 წ. ასტრახანში მყოფი კაფუცინები კინალამ სიკვდილით დაისაჯნენ ამ უქაზის წინააღმდეგ მოქცევისათვის [193]).

ხოლო როდესაც საქართველო შეუერთდა რუსეთის მთავრობას, ეს უქაზი მაშინვე ძალაში შევიდა აქაც შესახებ ყველა ქართველებისა. ამას კაფუცინები ხშირად იხსენიებენ თავიანთ წერილებში. მთავრობამ პირველშივე ეჭვი აიღო კაფუცინების მიერ ქართველების გაკათოლიკებაზე, ამისთვის მათ დაემუქრა გადევნას და (1802 წ.) აუკრძალა ახალი მისიონების შემოყვანა [194]). ეგრეთვე კაფუცინი პ. ფილიპე, 23 იანვარს, 1815 წ. რომში კარდინალს სწერს ესრედ: „უკვე უწყებული უნდა იყოს წმინდა კრებისათვის, რომ, რუსის კანონის ძალით, არც ერთს ქართველს შეუძლია სარწმუნოება გამოიცვალოსო“ [195]). ესევე კაფუცინი შემდეგ წლებშიაც კარდინალს უხელმეორებს ამას.

ყველა ეს გარემოება ცხადად გვიჩვენებს, რომ, უკეთუ კაფუცინების მიეწერათ, ქართველებში განათლება შეუტანიათ ბ ზოგი მათგანი კათოლიკობაზე გადაუყვანიათო, მაშინვე მთავრობისგან მასტიკი ბრძანება მოვიდოდა, რათა კაფუცინე-

---

[193]) პროპაგანდის არხივი. Giorgia, ტომ. 3. № 45.

[194]) იგივე. Giorgia, ტომ. 5. № 31.

[195]) Deve asser noto allo sacra congregazione che secondo le leggi Russe, verunno dei Giorgiani, puol cambiare la sua religione. (იგივე, № 53).

ბი დაუყოვნებლივ საქართველოდან განდევნილ ან საზღვარგარეთ გაგზავნილი ყოფილიყვნენ. აი ამ მიზეზისათვის ციციშვილმა თავის გაგზავნილ ქალალდებში სრულებით ქართველები არ დაასახელა. რა საკვირველია, კაფუცინებიც სთხოვდენ თავიანთ მოკეთე მთავარ მართებელს, ქართველების გაკათოლიკების არაფერი ეთქვა და იმათი ქართველებთან მიმართობა დაეფარა, რათა საქართველოდან არ გადევნილ იყვნენ.

ამავე ნაირად უნდა ვსთქვათ ყველა დანარჩენ ოფიციალ ქალალდებისაც, სადაც ქართველების ხსენება სრულებით არ არის და მარტო სომხებზეა ლაპარაკი, რასაც ბენი. „ა. ს.“ დიდის ამბით გვითითებს.

ციციშვილის წერილებში რომ ქართველების ხსენება განგებ არის გამოტოვებული, ამას ისიც გვიმტკიცებს, როდესაც ამბობს, კაფუცინებს შესანიშნავი განათლება შეუტანიათ სომხებშიო. ვინ არ უწყის, რომ ეს კაფუცინების განათლების შეტანა უფრო ქართველებში იყო, ვიდრე სომხებში? ამას ერთპირად მოწმობენ მთელი ქართველი მწერლები და თვით საქმეც აცხადებს, რადგან არა მარტო მეფის ექიმები იყვნენ კაფუცინები, არამედ მისი მრჩევლებიც. მრავლადა გვაქვს ამის საბუთებიც, სადაც ისინი სწერენ რომში, თუ რა და როგორი განწყობილება აქვსთ მეფესთან და მის მოწინავე კაცებთან: ზოგნი სწერენ, ყოველ დღივ მეფის სახლში დავიარებით, ერთ დღეს მეფე ჩვენს უნახავად არ დადგებაო, ყველა თავის საჭირო საქმებს ჩვენ გვიზიარებს და ჩვენ რჩევას გვთხოვსო და სხ.. ერთხელ ერთი კაფუცინი თავის მამულში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ერეკლე მეფეს არ გაუშვია, ეთქო მისთვის, შენ მე აქ ძრიელ მჭირიხარო. ამავე ნაირი ერთგული სამეგობრო ურთი ერთობა ჰქონდათ საქართველოს კათალიკოსებთან და მათ სამღვდელოებასთანაც. რომს არწმუნებდენ თავიანთი წერილებით, რომ ქართველთ ეკკლესიებთან მუდამ ერთგული და მეგობრული ურთი ერთობა გვაქვსო. მათი ქართველ ერთან მიმართობა ხომ მუდამ შეუწყვეტელი იყო როგორც ექიმობისა და სწავლებისა, ისე კიდევ სხვა და სხვა მიზეზების გამო. მრავლად უწყებულნი არიან საქართველოს ის შესანიშნა-

ვი პირები, რომლებმაც განათლების მიღება დაიწყეს კაფუ-
ცინებთან. ამნაირი ფაქტების უარყოფა შეუძლებელია.

ხოლო კაფუცინების განწყობილება სომხებთან და მათ
სამღვდელოებასთან სულ სხვა იყო. კაფუცინები მუდამ შორს
იდგნენ სომხების სამღვდელო პირებისაგან, რომლებიც მათ
სამტრადისო და დაუძინებელი მტრები იყვნენ. ხშირად სწერ-
დენ რომში, სომხის სამღვდელოება ჩვენი დიდი, შეუოგე-
ბელი და დაუძინებელი მტერია, ჩვენს გაჯავრებას და განდე-
ვნას ცდილობს ყოველთვისო; აი სხვათა შორის ერთხელ რა
მიუწერიათ „სომხების ეპისკოპოსები თავიანთ სამღვდელოთა
კურთხვის დროს, მათ ავალებენ და ფიცს ადებინებენ, რომ
მტერნი იყვნენ ლათინის ეკკლესიისა; ეს ახალი მღვდლები
თავიანთ ეკკლესიაში პირს გააღებენ თუ არა, სულ ჩვენს წი-
ნააღმდეგს ქადაგებენო". [196]).

რასაკვირველია, როგორც სამღვდელოება, ისე სომხის
ერიც მტერი იყო კაფუცინებისა, რადგან მათი მღვდლები
მუდამ ამ მტრობას ჩასძახოდენ და ჰქადაგებდენ კაფუცინე-
ბის წინააღმდეგ. ამისთანა მდგომარეობაში განა შეეძლოთ
კაფუცინებს რაიმე განათლება შეეტანათ? ყოველივ ეს გარე-
მოება ნათლად გვიჩვენებს მთავარმართებლის ციციშვილის
სხვა რაპორტებში რატომ გამოტოვებულია ქართველთ ერი
და ქართველი კათოლიკების ხსენება.

ხოლო შესახებ იმ სიტყვებისა, თ. დი ციციშვილი მთავ-
რობას უცხადებს, კაფუცინებს ადრითვე ნება ჰქონიათ ქარ-
თველთ მეფეებისაგან სომხების კათოლიკობაზე გადაყვანისა,
ესეც უეჭველად ასე უნდა მიეწერა, რათა თავისი ზემო
თქმული გაემართლებინა და კაფუცინებისაკენ აეცილებინა
საქართველოდან გადევნა. გარნა ამ საგნის შესახებ, ნამდვილი
კი ეს არის, რომ თეიმურაზს უწინარეს მეფეებს არაოდეს

[196]) Questi vescovi Armeni prima di ammettere agli ordini sacri li loro preti l'obligano a giurare nemicizia contro la chiesa latina; ed appena che aprono la bocco in chiesa predicano contro di noi (იგივე, Giorgio, Vol. 2 № 60.

აუკრძალავთ მისიონერებისათვის ქართველების გაკათოლიკება, რადგან, როგორც ჩვენი გამოცემული ისტორია კათოლიკობისა ამტკიცებს, თვით რავდენსამე მეფესაც მიუღიათ კათოლიკობა და თითქმის ყველანიც მეგობრები ყოფილან მისიონერებისა. მაშ თეიმურაზის დრომდე დაშლილნ არ ჰქონიათ ქართველების გაკათოლიკება. ხოლო თეიმურაზმა არა მარტო ქართველების გაკათოლიკება აუკრძალა, არამედ თვით სომხებისაც. განა ამ აკრძალვამ ბევრ ხანს არ გასწია, რადგან რუსეთში თეიმურაზის წასვლის შემდგომ ერეკლემ გააუქმა ეს აკრძალვა, კაფუცინებს უკანვე მოუწოდა და ყოველი ძველი უფლება დაუბრუნა, აგრეთვე დაჰპირდა მათ ეკკლესიების დაბრუნებასაც, რაისგამო ბევრს ეცადა, მაგრამ სსვა და სხვა თავზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ეს პირობა სისრულეში ვერ მოიყვანა, როგორც ზემოდ ვნახეთ.

აქ ესეც გავიხსენოთ, რომ ერეკლემ, 1775 წ. სომხების პატრიარქისაგან რომ მიიღო უხვი საჩუქარი მძიმე სასჯელის ქვეშ აუკრძალა კაფუცინებს სომხების გაკათოლიკება. ამ აკრძალვამ კარგა ხანს გასტანა.[19]) აი ამისთანა ნამდვილის ფაქტებისთვის უნდა წაეტანებინა ხელი სომხის მწერალს და არა იმისთვის, რომელიც საჭიროების გამო დასწერეს და ქართველების ნაცვლად სომხები მოიხსენიეს.

12) „კავკასიის რომის კათოლიკეთა ვიზიტატორი ორლოვსკი მთავავარმართებელთან წარდგენილ თავის პროექტში ამბობდა: ტფილისში 1836 წ. რომის კათოლიკენი იყვნენ 57 სული და სომხის კათოლიკენი კი 623 სულია; ამ ბოლო ხანებში ტფილისის ეკკლესიის მმართველობა ჩაუარდათ ხელში ლათინის ტიპიკონის მიმდევარ სომხის მღვდლებსო; ტფილისის ეკკლესიის თანხა შემდგარია 1849 წ. შემოწირული ბალის შემოსავლით, რომელიც ეკუთვნოდა ერთ სომხის ქვრივ დედაკაცს ლალიკა არსიკო ბასტამინცსაო, რომელმაც კათოლიკობა მიიღოვო“, ჩამოსთვლის ეს მწერალი.

[19]) ამაზე ვრცელი წერილი იხილეთ ჩვენს „ისტორია კათოლიკობისა“ წიგნში გვ. 388.

— ერთი დიდი წიგნი შესდგება, ყოველივე რომ ჩამოვთვალოთ, რაც ორლოვსკიმ ქართველ კათოლიკების წინააღმდეგ სთქვა და ჩაიდინა. დღეს კიდევ ბევრს ახსოვს ტფილისში ამ კაცის მტრობა კაფუცინებისადმი. ამისთვის მის უსამართლოდ აღწერილ პროექტზედ ლაპარაკს არ გავავრცელებთ. ხოლო ამას-კი ვიტყვით, რომ რადგან ჩვენი მტერი იყო, მუდამ მტრულად სწერდა ჩვენდა წინააღმდეგ და საქმითაც ცდილობდა რითიც-კი შეიძლებოდა, ევნო ჩვენთვის. ამანვე დიდი მხარი დაუჭირა სომხებს ამ უსამართლო საქმეში, რათა ჩვენთვის ტფილისში ეკლესია ჩამოერთმევინებინათ, და ბევრსაც ეცადა თავისი გავლენით, სომხები მალე მისწეოდენ თავიანთ ბოროტი წადილის განხორციელებას, მაგრამ ღმერთმა, დაჩაგრულთ მფარველმა, მალე მიიწვია იგი თავის საშინელ სამართალში პასუხის საგებლად.

ხოლო იმაზე კი ვერ გავჩუმდებით, რომ უთქვამს: ტფილისის კკლესიის თანხა სომხების შეწირული ბაღის შემოსავლით შესდგებოდაო და ამიტომ სომხებს ეკუთვნისო. სწორედ სომხების ერთი დიდი ცდა ამაში მდგომარეობს, როგორმე ეს ფული ხელში გაიტაცონ და ესრედ თავიანთი სიხარბის კმა საყოფელად მოსწყვიტონ ეგოდენი საწყალი და გაჭირვებული გლახაკნი, რომელთაც ამ ფულით შეღავათი ეძლევათ.

აწ განვიხილოთ, თუ საიდან წირმომდგარა ეს სომხების სანატრელი და მიზანში აღებული თავნი. სწორედ რომ ვთქვათ, ეს თავნი ეკკლესიას კი არ ეკუთვნის, არამედ წმინდა სვეტიცხოვლის, ანუ იესო, მარიამ და მამაიოსეფის ძმობას, რომელიც ამ ეკკლესიაში ძველი დროდანვე დაწესებულია. როდესაც უწყებული პ. ფილიპე დაინიშნა კაფუცინების უფროსად, 1815 წ. გაგზავნა რომში საქართველოს კათოლიკების შესახებ ვრცელი მოხსენება, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „ძმობა უწინ მდიდარი იყო, მაგრამ როდესაც ტფილისში სპარსელები შემოვიდენ (1795 წ.), ერთიან გააოხრეს; ახლა აქვს ცხრა დუქანი, მათი შემოსავლისგან კვირაში სრულდება ორი წირვა ძმობის ოცცხალთა ⁄ მიცვალებულთათვის. ამ შემოსავლიდან უხდიან ჯამაგირს ბავშვების მასწავლებელს,

ხოლო დანარჩენი შემოსავალი ემატება თავნსა, რათა შემდეგში სარგებელი მოხმარდეს სხვა კეთილს საქმეს, როგორათაც განსაზღვრულია ამ ძმობის კანონითო.„ [198]). ყველა ცხადად ხედავს, რომ ამ მდიდარ ძმობას, სპარსელების მიერ გაოხრების შემდეგ, მაინც კიდევ ჰქონია არა მარტო ცხრა დუქანი, არამედ შესანიშნავი თავნიცა, რომლის სარგებელიც იხარჯებოდა სხვა და სხვა კეთილ საქმეზე, როგორც არის გლახაკების შეწევნა, ობლების გამოზრდა, ავადმყოფების შველა და სხ.. სწორედ ეს მაშინდელი თავნია, რომელიც დღემდე არსებობს და არა სომხების შეწირულის ბაღისაგან წარმომდგარი, როგორც ესიზმრებოდა სომხების მიერ ჩაგონებულ არლოვსკის.

ეგრეთვე ცხადი მოწმობა გვაქვს საეკკლესიო ბაღის შესახებაც, რომელსაც სომხები თავიანთ შეწირულად სთვლიან. ეს გარემოება მოხსენებულია უწყებულისავე პატრი ფილიპეს წერილში ესრე: „ეგრეთვე გვაქვს ერთი ბაღი, რომელიც ჩემზე უწინ ყოფილმა უფროსებმა იყიდეს ორას სკუდად. რადგან გაფუჭებული იყო, მე განვაახლე და კარგს მდგომარეობაში ჩავაყენე, რისთვისაც დამეხარჯა შვიდასი სკუდაო.“ [200]). ამგვარად ცხადი საბუთი გვაქვს მათის მტრობით ნათქვამის და სიცრუით გამოგონილის გასამტყუნებლად. შემდგომ ამისთანა საბუთისა, საჭიროდ აღარ ვსცნობთ, ამ საგნისთვის სხვაც წარმოვადგინოთ.

13) „კლაპორტი და გამბა გორის კათოლიკებისას ამბობენ, სომხები არიან; ამასვე ამტკიცებს ფრანგი დებუა დე მონპერე, რომელიც ძლიერ გაკვირვებულა ქუთაისის ერთი სომხის კათოლიკის ქალის სილამაზითაო.“—

სომხის მწერალს ყოველივე ეს ახალ და უტყუარ საბუთად მოჰყავს. ნამდვილად-კი ამ მწერალს ასე უნდა ეთქვა: ჩვენ ვამბობთ მგზავრების პირით, გორის ქ ქუთაისის კათოლიკები სომხები არიანო. აქ გავიხსენიოთ ის, რაც გამოაქვეყნა ჩვენმა

---

[198]) პროპაგანდის არხივი. Giorgia, vol. 5 № 53.—[199])), იგივე.
[200]) Journal Asiatique, 1833, tom 2. p. 519.

დიდად პატივცემულმა მწერალმა თავ. ი. ჭავჭავაძემ თავის შესანიშნავ ქვათა დადადში, ესე იგი, ის, თუ სომხები როგორ თვალებს უხვევენ, ყურში რასა და რას აწვეთებენ და როგორ ატყუებენ ევროპიდან მოსულს მგზავრებს. ესრეთი ოსტატობა სომხების მწერლებს მარტო ფრანგ კუტულზე, „Temps"—ის კორესპონდენტზედ არ უხმარიათ, არამედ მასზე უწინ თურმე ბევრზე გამოუცდიათ. ეს თურმე მათი ჩვეულებრივი ხელობა ყოფილა: ვისაც თავიანთ კლანჭში ჩაიგდებენ, რაც უნდათ, იმას ალაპარაკებენ. სომხების ამნაირ მანქანებას არცეს ზემოდ დასახელებული შესანიშნავი მგზავრები ასცდენიან. ამათთვისაც ბევრი თავიანთებური აზრები ჩაუგონებიათ და ბოლოს მათდამი თავიანთი გადაცემული სიტყვები ჩვენ წინააღმდეგ სიბუთად მოჰყავთ: აი ამა და ამ მგზავრმა ასე სთქვა და ეს დასწერაო! აი, ნამდვილი ოსტატური ხელობა! ეს მგზავრებიც გულუბრყვილოდ არა ჰფარავენ და ამბობენ, სომხები იყვნენ ჩვენი მასწავლებელნი, ჩამგონებელნი და წინამძღვარნიო. კლაპორტს, 1808 წ., ტფილისში ჰყოლია ერთი ტფილელი სომხის კათოლიკე, იოსებ ტუტულოვი, თავის ბელადად და თარჯიმანად! მასვე ქართლის ცხოვრება რუსულად გადაუთარგმნია; ხოლო კლაპორტს მერმე რუსულისაგან ფრანგულად გადაუღია. [200]) ახლა მკითხველმა განსაჯოს, ეს სომეხი რას არ ჩააგონებდა ჩვენდა წინააღმდეგ. ამის შემდგომ რაღა გასაკვირველია, კლაპორტს დაეწეროს, გორის კათოლიკები სომხები არიანო.

სომხების ხელში ჩავარდნა ესე არც გაბმბას უნდა ასცდენოდა. ესეც გაება მათ ქსელში. ამასთანავე მოგვითხრობს ესრედ: „რავდენისამე დღის შემდგომ (ტფილისში მოსვლისა) სომეხი იაკობისხან, ბანკირი იმ ინგლისელებისა, რომლებიც ინდოეთიდან საქართველოში მოდიან..... მოვიდა ჩემთან, თავისთან მიმიპატიჟა და სადგომიც მომცა. მეც ვეახელი და დიდათაც კმაყოფილი დავრჩი ამ მასპინძლისა ტფილისში ყოფნის დროს." [201]). ტფილისში მეორედ მობრუნების დროს

---

[201]) Gamba, Voyage dans la Russie, tom. 2. p. 52.

გამბა იაკობისხანთან აღარ დამდგარა, რადგან მას ადგილი აღარ ჰქონია, ხოლო ჰსწვევია თავად თუმანოვს(გრიგორიანს), რომელიც მას კარგად მოჰპყრობია [202]). როდესაც გამბას გორაში გაუვლია, იქაც დამდგარა ერთ მდიდარს ვაჭარ სომეხთან [203]). ტფილისში ამას მიმოსვლა ჰქონია ეგრეთვე სომხების ნერსეს არხიეპისკოპოსთან, რომელსაც დიდის ქებით იხსენიებს. აი ამ სომხებისაგან ჩაგონებულმა გამბამ დასწერა, გორის და ქუთაისის კათოლიკები სომხები არიანო. სხვას რაღას დასწერდა, რადგან ესე გაიგონა სომხებისგან. ჩვენებური ანდაზისა არ იყოს, „ვისი პურიც სჭამო, იმისი ხმალი უნდა მოიქნიოო“, ამას ცხადად გვიჩვენებს თავისივე წერილით, რადგან ის თუ მარტო სომხების ნათქვამს არ დასჯერებოდა და ამისთანა საგნების შესახებ კაფუცინებს შეკითხებოდა, მაშინ ის არ დასწერდა მათზე ზოგიერთ ცრუ აზრებს. მაგალითად ამბობს, რომ იმყრეთში კაფუცინები დაემკვიდრნენ 1625 წელსო [204]). ეგრეთვე მართალ უწყებას არ იძლევა ტფილისსა და გორში კაფუცინების დამყარების გამო, მაგალითად: გორის ეკკლესიას ემსახურებიან კაფუცინები, რომლებიც 1615 წ. დამკვიდრდენ ამ ქალაქშიო; ტფილისის ეკკლესია არის იტალიელის კაფუცინებისა, ესენი 1635 წ. დამყარდენ საქართველოშიო. ამას რომ სომხებისათვის ბრმად ყური არ ეგდო, ამ რიცხვებს ესე არ აურ-დაურევდა და ესე ერთს მეორის წინააღმდეგ არ დასწერდა.

ამავე ნაირი სიცრუე მოჩანს, როდესაც გამბა ლაპარაკობს ახალციხესა და ქუთაისზედ. იგი სწერს: „ახალციხის პროვინცია, როგორც სჩანს, ყოფილა ზემო ქართლი და შეადგენდა საქართველოს ნაწილსო. ეს სახელი, — ეწოდა მას სომხებისგან გეოგრაფიული მდებარეობის გამოვო“. [205])

აი ესეც ახალი ამბავი! თურმე სომხებს დაურქმევიათ ამ

---

[202]) იგივე, გვ. 92—93.

[203]) იგივე გვ. 119.

[204]) იგივე. ტომი 1. გვ. 327.

[205]) იგივე, გვ. 401.

ქალაქისათვის სახელი—ახალციხე! ამ გვარი სიყალბე და სიცრუე ცხადდება, როდესაც იგი ლაპარაკობს იმერეთზედ ესრედ: „იმერეთის ერს შეადგენენ ადგილობრივი მცხოვრებნი და მრავლად სომხებიო.... ხოლო იმერულ ოჯახში ცოტა, თუ ბევრად, ბერძნების, სომხების და თვით ურიების სისხლიც შეირიაო“ [206]) თუ რაოდნად ცოტა არიან სომხები იმერეთში, თუ რაოდნად ზიზღვით ეპყრობიან იმერლები სომხებს და ურიებს და თუ როგორ ძრიელ იშვიათი და უჩვეულო მოვლენაა მათი ამ უცხო ტომებთან ქორწინება—შეუღლება, ეს ყველასთვის ცხადია. ამისთანა ცხადი სიცრუის გამტყუნებისათვის რაიმე საბუთის მოტანა და ლაპარაკი მეტი იქმნება.

სომხების ამნაირ ოსტატურ ზედ გავლენას, ცხადია, არც მოგზაური დე მონპერე უნდა ასცდენოდა, რადგან ესეც იყო იმ პირთაგანი, რომლების ხელში ჩაგდება და თავიანთ გზაზე გატარება სომხებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, რათა სასომხეთი აღემაღლებინათ. ამისათვის აღარც ამის ნათქვამს გამოუდგებით, ხოლო ეს-კი უნდა შევნიშნოთ, რომ ხშირად ერთი მგზავრი წინამოსულ მგზავრის წერილს ხელმძღვანელობს, მის გამოკვლევას ჩემულობს და ეგრეთვე იმეორებს მის ნათქვამს. მონპერესაც ასე მოსვლია. მეტადრე როდესაც ლაპარაკობს ქუთაისის კათოლიკებზედ. თითქმის სიტყვა სიტყვად გაიმეორა, რაც გამბას სომხების ჩაგონებით დაეწერა, რომ სომხები განიყოფებიან ორ ნაწილად და სხ.. მაგალითად დუბუაც ამბობს. „ქუთაისის სომხები ზოგნი მისდევენ თავიანთ ეკკლესიის წესს და ემორჩილებიან თავიანთ პატრიარქს ⁄ ზოგნიც კათოლიკების საზოგადოებას შეადგენენ და ქუთაისში მყოფის კაფუცინების მართველობის ქვეშ არიანო“ [207]).

გამბას და დუბუას სიცრუეს ჩვენი სომხის მწერალი შენიშვნას უწერს, რომ „ეს სტრიქონები სჩანს დაწერილი არიან

---

[206]) იგივე, გვ. 323.

[207]) Frédéric Dubois de Montpéreux. Voyage autour du Caucase, tom. 1. p. 384.

კაფუცინების შთაგონებით. ეს გარემოება გვიმტკიცებს, რომ თვით კაფუცინები არას დროს არ გაეჭვიანებულან თავიანთ დამწყსული მრევლის სომხობაზედო". ამისას მოვახსენებთ, რომ სომხებმა არ დააცალეს ამ მგზავრებს, რათა კაფუცინებისათვის მიეღმართათ და მათგან მიეღოთ საჭირო უწყება, რადგან წინ და წინ თვითვე გარდასცეს ყველაფერი ტ ისე, როგორც უნდოდათ. მაგრამ ვსთქვათ, კაფუცინებმა მართლა უთხრეს ამ ევროპელ მგზავრებს, როგორც სომხებს ესიამონებათ, ჩვენი კათოლიკები სომხები არიანო. ამაზე მოვაგონებთ ზემოდ მოყვანილს პასუხს მთავარმართებლის ციციშვილის რაპორტის გამო და მოვახსენებთ, რომ თუ კაფუცინებმა მართლა რამე უთხრეს კათოლიკებისა ამ მგზავრებს, უეჭველად ასეც უნდა ეთქვათ, რადგან სხვანაირად არ შეეძლოთ. უკეთუ ასე არ-მოქცეულიყვნენ, მაშინ თვითვე გახდებოდენ თავიანთი განდევნის მიზეზად. ეი რატომ: კაფუცინებმა კარგად იცოდენ, რომ მგზავრები მალე თავიანთ მოგზაურობის აღწერილობას გამოსცემდენ; მგზავრების გამოცემული წიგნები რუსეთის მთავრობამდეც მიაწევდა; მთავრობა რა ნახავდა მათში დასახელებულს ქართველ ტომის კათოლიკებსა, (უკეთუ ეს მოგზაურებისათვის გაეცხადებინათ კაფუცინებზე, შაშინ უეჭველად მთავრობას უნდა გულის ხმა ეყო, ეს ქართველები ახლა გადასულან კათოლიკობაზედო, რადგან ციციშვილის და სხვა ოფიციალ წერილებში ქართველ კათოლიკების ხსენება არ იყო. ამის შეტყობის შემდგომ ნუ თუ მთავრობა კიდევ დააყენებდა საქართველოში კაფუცინებს, რომელთაც უშლიდა ქართველთ გაკათოლიკებას. არა რომ მათი ბოლო და საუბედურო წამი იქნებოდა ამნაირი ამბავის გამოქვეყნება? მაშ კარგად დარწმუნდენ ჩვენი მოდავე სომხები, რომ კაფუცინები მათსავით შურით დაბნეულნი არ იყვნენ, რათა ამისთანა თავიანთი თავის და თავაანთ მრევლის მავნე გარემოება გამოექვეყნებინათ.

14) „გორის ეკკლესიის შენობის ასაგებად სომხებს შეუწირიათ ფულიო"—აქაც, ჩვეულებისა მებრ, გამბას და კლაპორტის სიტყვებს გვიხელმეორებს ჩვენი სომხის ავტორი.

— სომხისგან გაწვრთნილი კლაპორტი და ვაჭარ სომეხ-

თან ჩამომხტარი გამბა სხვა არასფერს გაიგონებდენ ამ სომ-ხებისგან, თუ არა იმას, რომ ყველაფერი ჩვენი აშენებებულია, ყველა ჩვენია და ყველგან ჩვენ ვართო. ამნაირი უსაფუძვლო მითვისების წინააღმდეგ ჩვენ, სხვათა შორის, გვაქვს პატრი ფილიპეს წერილი, 10 ოქტემბერს 1817 წ. რომში გაგზავნილი. პატრი ამნაირად აუწერს გორის ეკკლესიის შესახებ: „გორში 40 კათოლიკეთა ოჯახია. უფროსად პატრი მარიო კოლონიელია. აქაც ერთი შვენიერი ეკკლესია შენდება, რომელიც ნახევრამდე გათავებულია. რაც შემიძლია, ვეწევი ფულით ამ შენობის ასაშენებლად. ეგრეთვე იქაური კათოლიკები, რომელებიც თბილელებზე უფრო შემძლენი არიან, და იქაური ძმობაც ეხმარებიან ეკკლესიას; ეგრეთვე ეწევიან ჩვენი მეგობარი ქართველი თავადებიო“ [208]).

აქ ერთი სიტყვაც არ არის სომხებისა. არავითარი უფლება აქვსთ სომხებს, აქ ხსენებული კათოლიკები ყველა სომხებად აღიარონ, ხოლო ქართველები-კი ცხადად მოხსენებულნი არიან. აქ საკვირველი ეს არის, რომ, როგორც ზემოდ ვნახეთ, სომხები კაფუცინებს ეკკლესიებს უნგრევდენ, ხოლო ქართველები-კი მათ ეკკლესიებს უშენებდენ. ამ კათოლიკეთა შორის იყო ეგრეთვე ის დიდათ გათქმული და პატიოსანი ოჯახი ზუბალაშვილებისა, რომლების გასომხებასაც ყველა ნაირად ცდილობენ სომხები ყოველი საბუთის წინააღმდეგ [209]).

---

[208]) In Gori vi sono in circa 40 famiglie cattoliche. Il P. Mario da Colonia, quivi presidente, coll aiuto che li posso prestare io'come anche quei cattolici quali possono più di questi di Tiflis; coll'aiutto altresi della confraternita, ed anche di quei signori Giorgiani che sono di noi benevoli, sta pure fabricando una bella chiesa, e qnella l'è alzata fin oro fino alla meta. (პროპაგანდის არხივი, Giorgio, vol. 5. № 60).

[209]) ამის ნიშნად მოვიყვანთ შემდეგს: „სომხურ გაზეთებში ბევრჯერ სწერეს, რომ ზუბალაშვილები სომხები არიან, ანუ სომეხ-კათოლიკენი და არა ქართველნიო. ასეთ საუბარს თვით განსვენებულის (კონსტანტინეს) დასაფლავების დღესაც კი შევესწარით, ბევრს ალაგს ლაპარაკობდენ ამათ გვარის შესახებ, რომ ისინი სომხები არიან და არა ქა-

აგრეთვე უკანასკნელი უფროსი პატრი დამიანე ვიარეჯიელი, 24 მაისისას 1843 წ., ტფილისიდამ რომში თავის უფროსს სწერს და ავედრებს იქ მიმავალს გიორგი გუნდისთავის (პოლკოვნიკის) შვილს ზუბალაშვილს; თანვე მის შესახებ ეუბნება, რომ საქართველოს კათოლიკებში უპირველესი არის ეს იოსებიო; მისმა წინაპრებმა ძველის დროდანვე ჩვენს ორდენს დიდი პატივი და სიყვარული გამოუცხადეს და ჩვენის წესის ძმობაშიაც წევრებად ჩაეწერნენ; გორის შვენიერი ეკკლესია უმეტესად მათის ხარჯით აშენებული და შემკულიაო [210]). აი, რანაირად გვიჩვენებენ გარემოებას ნამდვილი და უტყუარი საბუთები.

15) „საქართველოში კათოლიკობა საკუთრივ სომხებშია გავრცელებულიო; თუ ამ კათოლიკებში როდისმე ყოფილა ქართველთ ჩამომავალი, ეს, ყოველ შემთხვევაში, ისე ცოტა ყოფილა, რომ სალაპარაკოდ და დასახელებადაც არა ღირსო“

ასეთი დანასკვი გამოჰყავს სომხების ავტორს იმ ზემოდ ხსენებულის მოგზაურებისა და ოფიციალის ქახალდების მოწმობიდამ. როგორც გამოვიძიეთ, ეს მოწმობა ყალბი და ცრუ მოწმობაა. აქედამ სომხების და არა ჩვენ წინააღმდეგ თუ გამოიყვანს დანასკვს ადამიანი. ყოველივე ეს კიდეც გამოვარკვიეთ ჩვენს წიგნში ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. თუ ამ ცხადზედ უცხადეს საბუთებსაც არ შეიწყნარებენ, მაშინ სომხებთან ბჭობა სრულებით უქმია, როგორთაც უქმია ბრმასთან მზის შუქისა და მისი სხივების ფერადებისათვის ლაპარაკი.

„სპასალარნი ზაქარია და იოვანე სომხები იყვნენ ჩამომავლობით ბ პირველი სარწმუნოებითაც; ახლა სად არის მათი ჩამომავლობაო? — გამწარებული კითხულობს სომხის გენეალოგი.

რთველნიო. ამბობდენ; „ქართველი კათოლიკე არც ყოფილა და არც იქნებაო, ეს არც ეკკლესიას უცვნია და არც მთავრობასო“.

(ზ. ჭ. თვიური ჟურნალი მოგზაური გვ. 507. № V. მაისი, 1901). ტფილისი.

210) კაფუცინების არხივი რომში.

ამ გარემოებით თურმე უნდა საქართველოს ერი სულ სომხად, ზაქარიას და ივანეს ჩამომავლად შერაცხოს. ესეც კაი ამბავია! საკვირველი ლოგიკა, თუ გნებავთ, ეს არის. ჯერ ეს გვიკვირს სომხებისაგან, რომ თავიანთი ისტორიების ნათქვამს თვითონვე უარყოფენ. სომეხი მათე ედესელი მოწმობს, რომ ზაქარია და ივანე ქურთის ჩამომავალნი იყვნენო. მაშ თუ ქურთები ყოფილან, სომხები როგორღა იქნებოდენ? ნუ თუ ქურთების ტომიც გაასომხეს? ერთმა ხომ სომხის სარწმუნოებაც მიატოვა, რისგამო ივანეს სომხისა აღარაფერი შერჩენია.

რადგან ამ საკვირველმა მწერალმა ამაზე ჩამოაგდო ლაპარაკი, ახლა შემთხვევა და სიმართლე გვეძლევა მოვკითხოთ სომხებს, სად არიან ქართველების ეგოდენი ჩამომავლობა, რომლებიც გადასახლებულან სასომხეთში და რომლებისათვისაც დაარსებულა რავდენიმე ქართველთ საეპისკოპოსო, როგორც ზემოთ ვნახეთ, რადგან ამოდენა ხალხს უფრო ბევრი ჩამომავალი უნდა ჰყოლოდა, ვიდრე ორ კაცს ზაქარიას და ივანეს, კიდეც რომ სომხები ყოფილიყვნენ? ცხადია ასეთ კითხვაზე სომხები ყურებში თითს დაიცობენ ⁄ აქეთ იქით აუხვევენ. მაგრამ ამ საისტორიო ფაქტებს-კი ვერსად გაექცევიან. ქართველების სასომხეთში გადასახლება უტყუარი ფაქტია. დღევანდლამდე ამას მრავალი წარწერები მოწმობენ და ქვებიც ღაღადებენ. თუმცა სომხებმა თავიანთი ბარბაროსული მოქცევით ბევრნაირად დაამახინჯეს ჩვენი ნამყოის უკვდავი ნაშთები, მაგრამ მაინც-კი აქამდე ვერ შეიძლეს ესრეთ უტყუარ საბუთთა ღაღადების სრულიად მოშთობა, რომელი ღაღადებაც მათ მთელი ქვეყნის წინაშე აყვედრის და უჩივის.

რადგან სასომხეთის შესანიშნავი ნაწილი ხშირად ქართველ მეფეთა ხელში იყო, მიტომ მეფის დავით კურატპალატის დროსვე დაიწყეს ქართველებმა გადასახლება სასომხეთში ⁄ თამარ მეფის დროს უფრო აღემატება გადასახლებული ქართველების რიცხვი, რაისგამო გამრავლდენ მათთვის ეკკლესიები და ეპისკოპოსები. ასე აღმატებაში მიდიოდა მათი რიცხვი, ვიდრე მუღალო თათრები მოაოხრებდენ საქართველოს და სასომხეთსა. ამ ბარბაროსების მიერ დარბევის შემდგომ დანარჩენი სასომხეთში

გაბნეული ქართველები შეესისხლხორცნენ სომხებს და მიიღეს მათი სარწმუნოებაც.

ისე ჰგავს, აზრუმში ქართველების საეპისკოპოსო მუღალების შემოსევის შემდგომ დაარსებულა, რადგან ამ საეპისკოპოსოს მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევრამდე მოუწევია. ამას თვალით მნახველი თეათინელი მისიონერები და მათ შორის უწყებული ლამბერტი, რომელსაც საქართველოში მოსასვლელად აზრუმში გამოუვლია 1631 წ., ასე მოგვითხრობს: „აზრუმში... სცხოვრებენ ეგრეთვე ქართველები. ძველათ ეს ქალაქი მათი უფლების ქვეშ იყო და ეხლაც იქ არის ქართველი ეპისკოპოსი, აზრუმელად წოდებული“ [211]). ესევე ლამბერტი ერთ სხვა წერილში ამბობს, აზრუმის გარეშე რავდენიმე ქართველების სოფელიაო.

ეს საისტორიო ფაქტები ნებას გვაძლევს ის დანასკვი გამოვიყვანოთ, რომ საქართველოს გადმოსახლებულ სომხებში ბევრი ქართველების ჩამომავალნი ურევიან. აი ერთი მიზეზთაგანიც ეს არის იმისი, რომ დღეს ერთი და იგივე გვარის პირნი არიან ქართველებშიაც ჲ სომხებშიაც. მსგავსადვე უნდა ვსთქვათ, რომ კაფუცინების მიერ საქართველოში კათოლიკობაზე მოქცეულ სომეხთა შორის ბევრი სომხის სარწმუნოების მქონე ქართველი ერია. გასომხებული ქართველი ისე ვერ შეითვისებდა სომხის სარწმუნოებას, როგორც შეთვისებული ჰქონდა თვით ნამდვილს სომეხს. ამისთვის გასომხებული ქართველი და მათი ჩამომავლები უფრო ადვილად გამხდარან კათოლიკედ, ვიდრე ნამდვილი სომეხი, რომელიც თავის მამა-პაპის სარწმუნოებას ძალიან მაგრად ადგა. სწორედ მათი სარწმუნოებრივი ჯიუტობა იყო, რომ გამუდმებით სდევნიდენ კაფუცინებს და კათოლიკებს. სომხები თავიანთ სარწმუნოებრივ ფანატიკოსობას და ჯიუტობას უარს ვერ ჰყოფენ. აუარებელი ფაქტები და საისტორიო საბუთები მოწმობენ ამას.

17) სომხის ავტორი ჰკითხულობს: „რა ყოფილა მიზე-

---

[211]) Lamberti, Colchide sacra. p. 171. Napoli, 1657.

ზი, რომ ახალციხის მხარეში მოსპობილა ქართველ-კათოლიკების ეკკლესია და წესი, (თუ როდისმე იყო) და მიუღია-ათ, ლათინურის ნაცვლად, სომხური ტიპიკონიო? ამისთვის არც ერთი საისტორიო მოხსენება არ არის და არც კაფუცინების გაგზავნილ რაპორტებში რამე მოიპოვებაო“.

ისე გადაწყვეტით ამბობს ეს ბატონი, თითქოს მართლა ერთიან მთელი ისტორია გამოეძიოს და არხივების საბუთები ვადაეკითხოს. ამნაირი ხერხით უბნევს გონებას თავის მკითხველებს. უკეთუ მართლა გამოეძია საისტორიო ფაქტები, მაშინ ესრედ აღარ დასწერდა.

თუ დღეს ახალციხის და მის გარეშე მყოფის კათოლიკებისთვის არა გვაქვს ხელში ისე ხშირი საბუთები, როგორც ვპოულობთ ტფილისისა და სხვა კათოლიკების შესახებ, იმიტომ რომ სამცხე-საათაბაგოში ძველი დროდგანვეა კათოლიკობა დამყარებული. ამას ბროსეც თავის სხვა და სხვა წერილებში ხშირად იხსენიებს და ეგრეთვე თავის ბოლონდელ შედგენილ საქართველოს ისტორიაში ამბობს ესრეთ. „აქ არ უნდა დავივიწყოთ, რომ კათოლიკეთა ყველაზედ უძველესი ეკკლესია ახალციხეში არსებობს 1298 წლიდანო“. [212]) სამცხის სხვა და სხვა ადგილებში ძველი დროდგანვე კათოლიკე მისიონერებს დიდი შრომა მიუძღვისთ და ბევრი ეკკლესიებიც აუშენებიათ. იყო თუ არა ამ კათოლიკეთა შორის, გარდა ლათინის ტიპიკონისა, ქართული ტიპიკონიც, ამის შესახებ ჩვენამდე საბუთებს არ მოუწევია, მაგრამ ამის ერთიან ცარის ყოფა არ შეგვიძლია, რადგან ხელში გვაქვს ერთი შესანიშნავი საბუთი, რომლის ძალითაც სიმართლე გვაქვს, ვთქვათ, რომ იმ დროს თუ ყველა კათოლიკე არა, ერთი მათი ნაწილი მაინც მისდევდა ქართველთ ტიპიკონსა. ეს საბუთი არის იშხანის ეკკლესიის თარიღ წახოცილი ზედწარწერა, რომელშიაც ეგნატე იშხანის არხიეპისკოპოსი, სხვა მოხ-

---

[212]) მარი ბროსეს საქართველოს ცხოვრება, ნაწილი პირველი, Fათარგმნი და გამოცემული ბ. ნიკ. ღოღაბერიძის მიერ, გვ. 182. ტფილისი. 1895.

სენებათა შორის, ერთ ადაპს აწესებს, და ექვსი კრებისა და ხუთი პატრიარქის სახელით სწყევლის იმათ, რომლებიც ამ დაწესებას მოშლიან. [213]) იქვ გარეშეა, რომ ამ ხუთ პატრიარქში რომის პაპიც არის ნახსენები. ეს გარემოება ცხადად გვიმტკიცებს, რომ ეს ქართველი არხიეპისკოპოსი კათოლიკე ყოფილა, მაშ მისი დამწყსული ერიც კათოლიკე უნდა ყოფილიყო ქართული ტიპიკონისა. ეს თარიღ-წახოცილი წარწერა უნდა იყოს არა უადრეს XI საუკუნისა და არა უგვიანეს XIII საუკუნისა. აგრეთვე გვაქვს ევროპელი მწერლების საბუთებიც, რომელიც ამტკიცებს ქართველების კათოლიკობას მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნეში. [214])

აქ უნდა გავიხსენოთ ის გარემოებაც, რომელიც ჩვენს ისტორია კათოლიკობისა წიგნში 55—63 გვ. ვრცლად მოვიყვანეთ, ესე იგი გიორგი მეფის და ყიარყვარე ათაბაგის ერთმანერთთან დაკავშირება, მათ მიერ პატრი ლუდოვიკე პოლონიელის პატრიარქად არჩევა და თავიანთ ელჩების პაპთან გაგზავნა. ამ დროს რომთან შეერთებულ სამცხელებს ქართული ტიპიკონი არ დაუტოვებიათ და ლათინურ ტიპიკონზედ არ გადასულან. ამის წინააღმდეგის დასამტკიცებლად არ ვითარი საბუთი მოგვეპოება.

უწინდელის მისიონერების შრომას და კათოლიკობის გავრცელებას ბოლო მოეღო სამცხე საათაბაგოში ოსმალების შემოსევით. ჯერ სულთან სულეიმანის ომებმა (1520—1566 წ.) შაჰთამაზის წინააღმდეგ სამცხე-საათაბაგო გააოხრა და კათოლიკე ეკკლესიები სულ დაანგრია. ამას თანამედროვე მგზავრი მინადოი, როდესაც ახალქალაქის (ჯავახეთისა) ახლო მახლო ადგილებს აღგვიწერს, მოგვითხრობს ასე: „აქ ბევრი სჩანს დიდი ქალაქისა და ეკკლესიების ნანგრევები. რავდენიმე ეკკლესია საკმაოდ შეაკეთეს კეთილმა პირებ-

---

[213]) Brosset, Mélanges Asiatiques. tom. V. p. 53—57. S. Petersbourg 1840.

[214]) Monumenta Germanicae historica, per Georgium Henrikum Perty. tom. 23. p. 911. Hannoverae. 1874.

ბა და მათში ასრულებენ კათოლიკე მღვდლები რომის წმი-
და ტიპიკონს; ესენი არიან იმ მღვდელთაგან (მისიონერთაგან)
დანაშთნი, რომელთაც სარწმუნოების მადლით აღჭურვილთ
გარდაიარეს მთანი და ზღვანიო". [215]) ამ ეკკლესიებს თავიან-
თი მოძღვრებითურთ სრულიად ბოლო მოეღო მუსტაფა ფა-
შის ჯარის შემოსევით 1577 წ. ისტორია მოგვითხრობს,
რომ იმ დროს საქართველო გაოხრებული იყო და უსჯულო-
ები გაბატონებულიყვნენ. ოსმალეთის გაძლიერებას ⁄ გაბატო-
ნებას ხელი კარგად შეუწყო სამცხის მთავრის ქვრივი დედის-
იმედის შვილის მანუჩარის გამაჰმადიანებამ. მანუჩარმა ამ საშუა-
ლებით თავისი უფროსი ძმის ალექსანდრესთვის ჩამოართმევინა
ათაბაგობა და თვით დაიწყო მმართველობა. აქ დასახელებუ-
ლი მგზავრი ისტორიკოსი ამასაც ესე აღგვიწერს: „წინადა-
ცვეთილ იქმნა მანუჩარ და ეწოდა სახელად მუსტაფა, მიი-
ღო ტიტული ფაშობისა და იქმნა გამგე ალთუნყალისა და იმ
ყველა ადგილებისაჯ, რომლებიც ეკუთნოდენ თავის დედასა
და ძმასა. [516])

ამნაირმა გარემოებამ ერთიან მოაოხრა კათოლიკების ნაშ-
თი და ხშირმა ომებმა მთლად შეუკრა გზა ლათინთ პატრებსჯ
რომლებიც ველარ ჰბედავდენ შემოსვლას და თავიანთი მრევ-
ლის შევლას. ამ სამწუხარო მოვლენას ბელგიელი როტიე მო-
კლედ აღგვიწერს თავის რომში წარდგენილ მოხსენებაში:
„როგორც სპარსელები, ისე ოსმალები ხშირ-ხშირად ესეოდენ
საქართველოს ჩვენ დრომდე, აოხრებდენ ქვეყანას და ხოცა-
ვდენ ხალხს. ბევრს გზის და დიდის ხნობით დასტოვეს ეს ერი
(ქართველ კათოლიკები), მოკლებული თავიანთ მწყემსებს და
იმ მცირე რიცხვმა კათოლიკეთა, რომელნიც ლათინის ეკკლე-
სიის მორწმუნედ დარჩნენ, სარწმუნოებაში შეურყევლად გასძლო
თავიანთისავე ერის კაცთა მიერ წვრთნისა დი დარიგების
მეოხებით; თავიანთი სარწმუნოება ამნაირი საშუალებით დაი-

---

[215]) Historia della Guerra fra Turchi et Persiani, da G. T. Minadoi, p. 51. Turino, 1588.

[516]) იგივე, გვ. 126.

ცვეს ზოგჯერ მრთელის ერთის საუკუნის განმავლობაში, ასე, რომ თავიანთ კათოლიკე მოძღვარს ერთსაც ვერ ნახავდენ ხოლმე, რომელსაც შეძლებოდა მათი განმტკიცება სარწმუნოებაში“ [217]).

ესრედ გაჭირვებული და უმწყემსოდ დატოვებული მრავლი ხშირად ჰკარგავდა კათოლიკე სარწმუნოებას. ზოგნი ვინც სიკვდილს გადურჩებოდა, ნებით, თუ უნებლიეთ, უფრო-კი ძალდატანებით, მაჰმადის სარწმუნოებას ღებულობდა. სხვა და სხვა საბუთები საფუძველს გვაძლევს, ვსთქვათ, რომ ოსმალებმა მარტო მართლმადიდებელ ქართველებს არ მიაღებინეს მაჰმადის სარწმუნოება, ამ რიცხვში ბევრი მწყემს მოკლებული ქართველი კათოლიკეც გახლდა. ზოგნიც უერთებოდენ სომხებს, რადგან მათ ოსმალები არ სდევნიდენ. ოსმალების მიერ უწყალოდ დევნა ქართველების წინააღმდეგ იყო და არა სომხებისა. ამას, სხვათა შორის, თვით სომხების მიერ დასახელებული ფრედერიკო დუბუაც მოწმობს: „საოცარი ესაა, რომ მარტო ქართველებს სდევნიდენ და არა სომხებს. ამათ სულთნისგან უკვე ნაშოვნი ჰქონდათ სარწმუნოების ერთნაირი თავის უფლება“ [218]).

სწორედ ამ ნაირ სამწუხარო მოვლენას და ამ დროებს, ესე იგი, მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისს მიეწერება სამცხის ქართველ კათოლიკების სომხურ ტიპიკონზე გადასვლა, როდესაც ოსმალებმა ზოგი მართლმადიდებელი და კათოლიკე მღვდელი დახოცეს და ზოგიც გაამაჰმადიანეს. (ერთი ამათთაგანი გამაჰმადიანებული იტალიელი პატრი, 1636 წ. სამეგრელოში ყოფილმა თეათინელმა პატრმა ლამბერტიმ გაისტუმრა იტალიაში პოლონეთის გზით). როდესაც ლათინის პატრებს ველარ შეეძლოთ შემოსვლა სამცხეში, მაშინ უმწყემსოდ დარჩენილი კათოლიკები ეხვეწებიან სომეხ-კათოლიკე

---

[217]) პროპაგანდის არხივი, Rottiers, de la religion chrétienne en Géorgie.

[218]) Frederic Dubois de Montpéreux. Voyage autour du Caucase, tom. I. p. 299.

მღვდელებს, რომელთაც, ვითარცა ოსმალეთის ქვეშევრდომთ, შეეძლოთ სიადვილით მათთან მისვლა-მოსვლა და მათი დახმარება. გაჭირვებულმა ქართველმა კათოლიკებმა რა ჰპოეს ესრეთი ღონისძიება თავიანთი თავისა და სარწმუნოების დასაცველად, სიხარულით შეუერთდენ სომხის კათოლიკებს და შეითვისეს მათი სომხური ტიპიკონი. ამნაირად დაიხსნეს თავი ურჯულო ოსმალების მდევნელობისაგან. ამისგამო აღარ ცდილობდენ შემდეგში სომხური ტიპიკონის დატოვებას და არც მობრუნებას თავიანთ უწინდელს ლათინურს, ანუ ქართულ ტიპიკონზე. თეათინელი პატრები რა მოვიდენ საქართველოში 1628 წ. და შეიტყვეს ახალციხის და მის გარეშე კათოლიკების ამბავი, ურჩიეს, რომ ჯერჯერობით ისევ დარჩენილიყვნენ სომხურ ტიპიკონზე, რათა მათ უფრო უშიშრად დაეცვათ თავიანთი სარწმუნოება. აქ ესეც უნდა გავიხსენოთ, რომ თვით ამ დროსაც ოსმალები კიდევ ბარბაროსულად ეპყრობოდენ და სდევნიდენ თვით ლათინის პატრებსაც. მაგალითად თეათინელი მისიონერებიც საქართველოში მოსვლის დროს ბევრი სდევნეს და ზოგი მათგანი, რომელიც არ გამაჰმადიანდა, საპყრობილეში წვალებით მოკლეს. ამ ნაირი მიზეზების გამო ამ პატრებმა ოსმალების უფლების ქვეშ მყოფ კათოლიკებს ურჩიეს კიდევ დარჩენა სომხურ ტიპიკონზე, რადგან ამითი უფრო უშიშრად იქმნებოდენ იგინი [219]).

ამ ამბავს ისიც ამტკიცებს, რომ როდესაც კაფუცინები პირველად მივიდენ ახალციხეს, ბევრი კათოლიკენი დაუხვდენ იქ, საერო, თუ სასულიერო პირნი. რომში მათი მიწერილი წერილებიდან სჩანს, რომ პატრი ნიკოლა ჯირჯენთელის თაოსნობით კაფუცინები დამყარდენ ახალციხეს, 8 ოქტემბერს 1733 წ.. ამათ კათოლიკობა არ შეუტანიათ ახალციხეს,

---

[219]) ქართველ კათოლიკების მიერ სომხური ტიპიკონის მიღების შესახებ იხილე ბ. ზ. ჭიჭინაძის წერილი № V. გვ. 1—13. წ. 1899.— ეგრეთვე მისი წიგნი **კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში.** ტფილისი. 1903.

არამედ თავიანთი შემწეობით გაუძლიერებიათ ერი ამ სარწმუნოებაში. ეგრეთვე მათი წერილებიდან სჩანს, რომ მათ არც ახალციხის გარეშე სოფლებში შეუტანიათ კათოლიკე სარწმუნოება გარდა სოფლის ველისა, არამედ ამ სოფლებში ბევრი კათოლიკები დახვედრიან მათ მისვლის დროს. რა შეუტყვიათ ამათაც იქაური კათოლიკების გამოვლილი სამწუხარო ისტორია, ესენიც დაჯერებულან მათ სომხის ტიპიკონზე დარჩენას; ამის გამო გაუმრავლებიათ სომხის ტიპიკონის მლვდელები ერის შვილებისგანვე. ესრეთი გაჭირვებული და უკიდურესი გარემოება გამხდარა მიზეზი, რისგანაც სამცხე-საათაბაგოს კათოლიკებს მიუღიათ სომხის ტიპიკონი. რა საკვირველია სიცოცხლის გადარჩენამ და სარწმუნოების დაცვამ აიძულა ისინი. ოლონდ კაცს ეს ორი ძვირფასი საუნჯე, სიცოცხლე და სარწმუნოება, გადაერჩინა და რანაირი ტიპიკონიც უნდა მიეღო, არავინ უსაყვედურებდა, არამედ ყველა მოუწონებდა, რადგან გაჭირვებას წესი და კანონი არა აქვს.

ხოლი მოუხედავათ ამნაირი გაჭირვებულის მდგომარეობისა, რომლის გამო სამცხის ქართველმა კათოლიკებმა მიიღეს სომხური ტიპიკონი, ფარისეველი სომხის კათოლიკე ავტორი გვიკიჟინებს და ამბობს: ეგოდენი ერის ტიპიკონის შეცვლა თვინიერ რომის შეკითხვისა არ შეიძლებოდაო, გარნა ესრეთი შეკითხვა, ანუ რომის თანხმობა არსად სჩანსო. უკეთუ მკითხველი წარმოიდგენს იმ უწინდელი ქრისტიანების შეჭირვებას ოსმალების მიერ, რომლებიც მახვილით და ცეცხლით ანადგურებდენ ყველასფერს, ცხადად დაინახავს, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო, იმ დროის კათოლიკებს მიემართათ რომისათვის ტიპიკონის გამოცვლის ნების სათხოვნელად. იმისთანა გაჭირვებაში არც რომი მოინდომებდა ამას, არამედ კიდეც მოხარული იქმნებოდა, რომ ამნაირი ღონის ძიებით სარწმუნოება დაეცვათ.

ახლა ჩვენც ვკითხავთ ამ ვითომდა რომის ეკლესიის მოსარჩლეს სომხის მწერალს: თუ ერთი ტიპიკონიდან მეორე ტიპიკონზე გადასვლისათვის მიუცილებიად რომის ნებაა საჭირო, მაშ სომხებს რა სიმართლე აქვთ, რომ არა თუ

თვინიერ რომის ნებისა, არამედ მის წინააღმდეგ, თავიანთის მეტიჩრობით ცდილობენ გაასომხონ ტფილისის ლათინის წესის კათოლიკები, მათი ლათინის წესის ეკლესია და თვით პატრებიც, ‌ᲓᲔ უნდათ, რომ ყველამ მათსავით „ტერვოღორმია“ იძახონ? ამას სჩადიან ყველა ნაირი კანონის წინააღმდეგ, რომის ეკლესიის მტრობით, ქართველების შურით.

სომხის ავტორი თითქმის ერთიან უარყოფს ქართულ ტიპიკონს კათოლიკებისათვის. მისდა სამწუხაროდ არც ამ საგანში გვაკლია საკმაო საბუთები მისი ნათქვამის გასაცრუებლად. კაფუცინები რა დაბინავდენ ახალციხეს 1733 წ., მალე მოაქციეს კათოლიკობაზე ველელების უმთავრესი ქართველი მღვდელი, ამანაც შემდგომ კაფუცინების დახმარებით მთელი სოფელი გააკათოლიკა. ჩირდილში მდებარე ქართველების სოფელი ესე, რაცაღა სასწაულის წყალობით ქრისტიანედ დარჩენილ იყო, ამ სოფელში ქართველები ხუთას სულზედ მეტი ყოფილან, ეგრეთვე იქ რავდენიმე სომხის ოჯახიც ყოფილა.

ესენი რა გაუკათოლიკებიათ კაფუცინებს, ისევე დაუტოვებიათ თავიანთ ქართულ ტიპიკონზევე, რომელსაც უსრულებდა თავიანთი გაკათოლიკებული ქართველი მღვდელი. კაფუცინები ძლიერ ცდილობდენ, იმათ არ მოჰკლებოდათ თავიანთი გვარ ტომის და ტიპიკონის მღვდელები. ხოლო როცა ესეთი მღვდლები მოაკლდებოდენ, ანუ საკმაო არ იყვენენ, მაშინ კაფუცინები ასრულებდენ ყველა ეკლესიის წესებს. ამაზე გვაქვს თვით ველელების ერთი შესანიშნავი წერილი, მაგრამ უთარიღო. ხოლო ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს უნდა იყოს მოწერილი 1775—1785 წლებში.

აი ეს წერილი: ბატონს პატრი: უმფროს: ‌ᲓᲔ უმთავრესს. მამას. სამღთო სიბრძნით სავსესა. და საღმთო მოქალაქობით აღზრდილსა.

ქ. ცოდვილნი. ცხოვარნი. პირველად. ღვთისაგან. რჩეულსა. და მერმე. წმინდა. კრებისაგან. აღმორჩეულსა: აღმოსავლეთის კათოლიკე: ეკლესიის შვილებზედ: ზედამხედველად დადგენილსა: ქედ. დადრეკით; დავრდომით. ხელპყრობილნი საღმთოსა მას ფერხთა ანბორებას. მიუმძღვნით. ახლა ამას ვეხვეწებით: დავეუნჯებით რომ: ჩვენი რიგის მღვდელი: ღმე-

რთს გამოუგზავნია: ჩვენთვის: და ეგ ჩვენი კათოლიკე მამები. აყენებენ. ახლა: ამ წყალობას ვითხოვთ თქვენის მოწყალე. გულისაგან რომ თქვენის ბძანებით. . წყალობა უყოთ მაგ ჩვენ მღვდელსა რომ ჩვენს საბრალსულებს: მოუაროს ჩვენს ქართველ რიგზედა არა თუ: იმ... ფოციოს. რიგზედა მაგრამ. იმ წმინდა მამის ივანეს: ოქროს: პირის რიგზედა. . ახლა თუ იკითხამთ. ჩვენი ნამყენობა: ლათინთ ნამყენი და ნაყოფნი: დამოწაფებულნი. დამონადირებული ვართ: არა თუ: სომხის გვარისაგან: და. ესეც უწყოდეთ: ბატონო: თუ რომ მაგ მღვდლის წყალობას; გვიზამთ: დიაღ ბევრ სულებს შეგძინამს ღმერთი:

ქ ამის წიგნის მოწმობა ქ პირველად ტერ სიმონი, ქ მისი ძმისწული ეფრემა. ქ. ალექსიანი. ქ. ელიზბარი. ქ. ყაარაგოზი. ქ. დავითი. ქ აბოსტოლი. ქ. მესროფი. ქ. ასლანი. ქ. ჟოჟომი. ქ. სუნბული ქ პეტრეი. ქ. იასაი. ქ. პავლეი. ქ. ოქრუაი. ქ. შიო. ქ. ელიკი. ქ. ცაცი, (აქ წახოცილია მელნით). ქ. თათა... ღვთით ახალციხეს პატრი უმფროს: მიერთვას". [220])

ვინ სთქვა რომ კათოლიკებს ქართული ტიპიკონი არ ჰქონიაო? ეს წიგნი ამას ცხადათ ამტკიცებს.

კაფუცინები ხშირად მოდიოდენ ველში ერის წვრთნისა და ქადაგებისათვის, თვით მაშინაც, როცა თავიანთი მღვდლები ჰყავდათ. 1784 წელს-კი მათ მწყემსად დაინიშნა კაფუცინი პატრი პოლკარპო, რომელიც დიდის მოწადინებით ერს წვრთვნიდა და უვლიდა. კაფუცინების უფროსს მოუნდომებია ამ პატრი პოლიკარპოს ველიდგან წამოყვანა რაღაც საჭიროებისა გამო. ველელებს თხოვნა გამოუგზავნიათ მისთვის, რომელიც დაუწერია თვით პატრი პოლიკარპოს და მათთვის ხელი მოუწერინებია მელნიანი თითის დადებით, ასე სწერდენ: „ჩვენ ამის ქვემო ხელის მომწერი ქართველი რო-

---

[220]) ამისი ნამდვილი პირი, ვგონებთ, ახალციხის მაზრის უფროსად ნამყოფს ალექსი-მესხიშვილს გადაეცეს «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისთვის». ეს წერილი აღმოჩნდა ახალციხის პატრების დანარჩენ ძველ წერილებში.

[221]) პროპაგანდის არხივი. Giorgio, vol. 4 № 40.

მის კათოლიკები, რომელთაც თითო თითოდ ყველამ ჩვენს სახელზედ დაუსვით ჯვარი ჩვენის საკუთარის თითით, ვევედრებით თქვენს პატივცემულს მამობრიობას, რათა ჩვენ არ დაგვივიწყოთ, ეგრეთ რომ არაოდეს არ მოაკლოთ ამ ჩვენს სოფელს ველს ერთი პატრი მისიონერი, რომელმაც ჩვენს სულებს შეუაროს და წაგვმართოს საუკუნო ცხოვრებაზე. ღვთის წყალობით ჩვენ პატრებისაგან მიგვიღია ნიჭი ჭეშმარიტი სარწმუნოებისა, ძველადგანვე პატრები იყვნენ ჩვენი წინამძღვრები. მაშ იმედი გვაქვს თქვენი პატივცემული მამებრივი სახიერებისაგან, რომ ეს ჩვენი უმდაბლესი სათხოვარი სათნო და შეწყნარებული იქმნება + ეფრემა + აპო + ალექსან + გიგოლგილი + სავაი. + ოქროი + პეტრე ანდრიასოღლი + ედირბარი + აპოსტოლი. + ჟეჟეი. + მესროფი + იმედი. + პავლე. + ოქროი + ბენვაგვლი. + ჯიჯოი. + ზუმბელი + თრანდოი + იგითხანი. + შოღილ პეტრეი. + თათარი. მე მ. პოლიკარპო მანთოელი კაფუცინი სამოციქულო მისიონარი და ველის ბაოხმა ამ ზემო ხსენებული ქართველ-კათოლიკების თხოვნით (რომლებიც თვითეული მათგანი არის ოჯახის თავი) შევადგინე ეს მოხსენება და ვმოწმობ რომ აქ ხსენებული ქართველების თითვეულმა თავისი საკუთარის თითით დაუსვა ჯვარი თავის სახელის წინ, რათა ამნაირად როგორმე განუცხადონ თავიანთი თხოვნა ყ"დ პატივდებულ მამა პრეფექტოსა. ველი 18 იანვარს, 1787 წ. მ. პოლიკარპო მანთოელი. კაფუ. სამოც. მის. და ბაოხი". [221]) პროპაგანდის და კაფუცინების არხივებში არა სჩანს ქართულად ეს წერილი. კაფუცინები ამ ველელებს თავიანთ წერილებში მუდამ იხსენიებენ ქართველ კათოლიკედ და ბერძნული ტიპიკონის მქონედ (Cattolici Giorgiani del rito Greco Giorgiano). ქართული ტიპიკონის და ამ წესის ქართველი კათოლიკების შესახებ ვგონებთ შეუძლებელი იყოს ამაზედ უკეთესი და ცხადი დოკუმენტების მოკითხვა, ანუ წარმოდგენა.

რადგან ველში რავდენიმე ოჯახი სომხის კათოლიკებიც ყოფილან, პატრი პოლიკარპოს ამ რამდენიმე სომხის სასიამოვნებლად, მათთვის სომხის-კათოლიკის წესის მღვდლის

შოყვანა მოუნდომებია და მოუწერია ამისთაობაზე ახალციხის მღვდლებისათვის. ამათაც ერთი ახლად კონსტანტინეპოლში ნაკურთხი და იქიდან მოსული სომხის ბერი, სახელად ხაჩატურ ურუბჯიანი გაუგზავნიათ. ამ სომხის მღვდელს მალე იქ მყოფი კაფუცინისათვის მტრობა დაუწყია, სომხები მის წინააღმდეგ აუღელვებია და იმაზედ ბევრი ტყვილი საჩივრები მიუცია იქაური არტანუჯის ბეგისათვის. ბეგსაც პატრი პოლიკარპო მაშინვე ველიდან გაუდევნია: სომხების მტრობით მაინც არ გამქრალა ველში ქართველი კათოლიკობა და ქართული მათი ტიპიკონი, არამედ ყველაფერი წმიდად დაუცავთ ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრამდე. ველელები როდესაც გადმოსახლდენ ჯავახეთს ახალქალაქის ახლოს სოფლებში, მაგალითად ხურგუმოს, ბავრას, კარტიკაის და სხვა სოფლებში, აქაც ჰქონდათ თავიანთი ქართული წესი, რასაც დღესაც მოწმობენ თვალით მნახველი მოხუცი პირნი, მაგრამ შემდგომ სომხის კათოლიკე მღვდლების მეცადინეობით, თუ იმის გამო, რომ თავიანთი წესის მღვდლები აღარ ჰყავდათ, სომხებს მათთვის თავიანთი ტიპიკონი შემოუხვევიათ თავზე. აი ესრე სამუდამოდ მოუსპიათ ქართული ტიპიკონი ქართველ კათოლიკებისათვის.

ცხადია, რომ ველელების მდგომარეობა, მეტადრე ბოლო დროებში, ისე გაჭირვებული და ისე განსაცდელში არ ყოფილა, როგორც სამცხის ქართველ კათოლიკების მდგომარეობა მეტადრე XVI და XVII საუკუნეში. დარწმუნებით მოვახსენებთ პატიოსან მკითხველთ, რომ ჩვენ, სომხებივით სიზმარში—კი არა, არამედ დიდი შრომა მივიღეთ და გადავთვარიელეთ არხივებში კაფუცინების თითქმის ყველა რაპორტები, სადამდინაკი ხელი მიგვიწვდებოდა, მაგრამ სრულებით ვერაფერი ვპოეთ, ვითამც რომს ნება დაერთოს, რათა ველელებს ქართული ტიპიკონი დაეტოვებინათ და სომხურ ტიპიკონზე გადასულიყვნენ. სომხის ავტორი ზემოდ დამტკიცებას ცდილობდა, ვითამ სამცხის კათოლიკებს არ შეეძლოთ, თვინიერ რომის თანახმობისა, ლათინურ, ანუ ქართულ ტიპიკონიდგან სომხურ ტიპიკონზედ გადასულიყვნენო. ახლ

ჩვენც მას ვკითხავთ: როგორ იქმნა, რომ თვინიერ რომის ნებისა სომხის მღვდლებმა ველელებს თავიანთი ქართული ტიპიკონი დაატოვებინეს და სომხის ტიპიკონზედ გადაიყვანეს? როგორც გაჭირვებას წესი და კანონი არა აქვს, ისე ამ სომხების მეტიჩრობას და მეთავისობას საზღვარი არა აქვს.

აქ ესეც შევნიშნოთ, რომ გათამამებულმა სომხის მწერალმა, ჯერ უარყო სრულიად ქართველი ტომის კათოლიკეების ყოფნა საქართველოში, მერმე სულ ცოტა რიცხვი, რომლის დასახელებასაც ღირსად არ რაცხდა, შეწყნარა ქართველი კათოლიკებისა. მაგრამ ერთიან უარყო ქართული ტიპიკონის კათოლიკეთა ყოფა რომელსამე დროს. რაოდენად უსაფუძლო და უსამართლოა ესრეთი უარყოფა, ამას ცხად ჰყოფს ჩვენი გამოცემული ისტორია კათოლიკოსთა ქართველთა შორის, რომელშიაც აღურაცხველი საბუთებია არა მარტო ლათინის წესის კათოლიკების შესახებ, არამედ ქართული წესის კათოლიკების შესახებაც. კმარა, დავასახელოთ ტფილელი არხიეპისკოპოსი ევთიმე და ეპისკოპოსი ქრისტეფორე თავიანთი სამღვდელოებით; ორბელიანები თავიანთი ნათესავებით და ყმებით, მეფე კონსტანტინე, გიორგი და სხვა ამათი მსგავსი მაღალი პირები, რომლებიც კათოლიკეები იყვნენ, მაგრამ მისდევდენ ქართულ ტიპიკონს.

18) „იგივე ქართველი ავტორები მგზავრების მოწმობით ამტკიცებენ, რომ XIII საუკუნეში ახალციხის მაზრაში 50 000 სომხები და ურიები სცხოვრებდენო“. ასე მოგვიხსენებს ეს გამოჩენილი სომხის მეისტორიე.

— ჩვენ, როგორც უკვე ზემოდ ვილაპარაკეთ, თითქმის აღმოსავლეთის ყველა მგზავრების წერილები გამოვიძიეთ, მაგრამ ამისთანა სრულებით არაფერი შეგხვედრია. მაშ დიდად სტყუვიან ისინი, რომლებსაც იმისთანა საგანზე მგზავრების მოწმობა მოაქვთ.

ბლომად დასახელებულ ქართველ ავტორებში სომხის ავტორს მარტო პლატონ იოსელიანი მოჰყვას მოწმედ. არც შეეძლო ამაზედ მეტი მიეთითა, რადგან სხვა არავინ შეხვდებოდა. პ. იოსელიანის ნათქვამი რომ ერთიან უსაფუძვლოა, ამას

ზ. ბაქრაძე ცხადად გვიმტკიცებს. ესეც არ დავივიწყოთ, რომ ბროსე, თავის სხვა და სხვა წერილებში, ბევრ ალაგს აცრუებს პ. იოსელიანის ნათქვამებს.

ჩვენ იმას უარს არა ვყოფთ, XIII და XIV საუკუნეში, მუსულმანების შემოსევით რომ ქვეყანა არივ დაირია, სომხები მხოლოდ დროებით საქართველოს შემოხიზნოდენ. გარნა შემდგომ ისევე დაუტოვეს და აქეთ—იქით გაიფანტნენ. რა საკვირველია, ესე დროებით შემოხიზნებულ ხალხს საიმისო არა ვითარი მნიშვნელობა და ზედ გავლენა უნდა ჰქონოდა ქართველს ერსა და საქართველოზედ.

19) „სამცხე ერთხელ სომხებს ეპყრათ და ახალციხეს ეწოდებოდა თავადების სოფელიო; სახელი „ახალციხე“ 1637 წ. დარქმევიაო“, ამაყად განავრცობს სომხის მეისტორიე.

— აგერ კიდევ ერთი ახალი საისტორიო აღმოჩენა. ბედნიერი ვართ, რომ ამისთანა ისტორიკოსი გაგვჩენია საქართველოში. არც ამ წინადადებაშია ნაკლებად სომხური ოინბაზობა. ამნაირი აზრების დასამტკიცებლად, გარდა პ. იოსელიანისა, მოჰყავს ვრცელი მოწმობა სენ—მარტენისა, რომელიც თავის მხრივ ამბობს, რაც-კი ამოუკითხია სომხების მწერლებში, მაგალითად მოჰყავს: „Իշխանայ դիւղ“, თავადების სოფელი ჰრქმევია ახალციხესაო“. სენ—მარტენის წერილებიდგან ცხადად სჩანს, რომ იმან ამ სიტყვების დაწერით თავისი აზრი კი არ გამოსთქვა, არამედ მარტო მოიყვანა სომხის მწერლები, რომლებშიაც ამისთანა ჭეშმარიტების დამახინჯება ბევრია. მაშ ეს უნდა ჩაითვალოს არა ევროპელის მეცნიერების სიტყვებად, არამედ ნათქვამად ისევ ამ პატიოსანი სომხებისა, რომლებსაც ის უნარი აქვსთ, რომ უცხოებს ჩააგონონ და ალაპარაკონ ისრე, როგორც თავიანთი შური და ზომის გარეთი თავმოყვარეობა მოითხოვს.

ჩვენი ისტორიაა სომხების მიერ სამცხის დაპყრობისას არასფერს მოგვითხრობს. თუ როდისმე ყოფილან იქ სომხები, დროებით ყოფილან და ისევე მალე გაბრუნებულან თავიანთ ქვეყნებში. სომხების მფლობელობას იმ მხარეში, ზ. ბაქრაძე, არხეოლოგიური გამოკვლევის შემწეობით, ერთიან უარყოფს და

ამბობს „მფლობელობა სომხითის ბაგრატიანებისა X საუკუნეში ტაოსკარში, ანუ აწინდელ ჭოროხის ხეობაში არა სჩანსო“ [222]). იგივე ითქმის ახალციხის შესახებ, ე. ი. ვითომც „ახალციხეს“ სახელი 1637 წლის შემდგომ დარქმეოდეს. ეს ხომ ცხადი და დიდი სიცრუეა, რადგან ამის წინააღმდეგ ცხადად აღიარებს ქართლის ცხოვრება, სადაც ხშირად მოხსენებულია ახალციხე, მეტადრე თამარ დედოფლის დროს, მაგალითად: „ხოლო მეფემან თამარმან აღიღო კარი და დაუტოვა კარისმცველიდ ახალციხელი იოვანე.... ხოლო წინა-მძღვრად იყო ზაქარია მხარ გრძელი, ამირ-სპასალარი, და ორნიც იგი ძმანი ახალციხელნი, შალვა ოა იოვანე“ [223]). ამნაირ დასახელებას ახალციხისას კიდევ ბევრს ადგილს შევხვდებით ქართლის ცხოვრებაში. სად მეთორმეტე საუკუნე და სად 1637 წელი?

20) „საგვარო ეკკლესიას უნდა ჰყოლოდა თავისი საკუთარი ქართველი ეპისკოპოსი, ვინ იყო, ან სად იყო ეს ეპისკოპოსი, ან რომი რად დათანხმდა მის დაცხრომასაო?“ კითხულობს გაოცებული ჩვენი ავტორი.

ეს ბატონი აქაც სცდება, როგორც თავის წერილის სხვა ადგილებში, რადგან საქართველოს ადარებს ოსმალეთის საბრძანებელში მყოფთ იმისთანა ტომებს, რომლებთანაც არა ვითარი მიმსგავსება არ აქვს. მაგალითად, მოჰყავს სირიელი კათოლიკები, რომელთაც ჰყოლიათ თავიანთი ტომის ეპისკოპოსები. ჩვენც უპასუხებთ, რომ იმათ შეეძლოთ, ჰყოლოდათ თავიანთი ეპისკოპოსები, რადგან მათი მფლობელი მათივე ტომისა არ არის. ამისათვის მათ ამის გამო არა ვითარი წინააღმდეგობა არ უნდა ჰქონოდათ. ხოლო საქართველოს მუდამ ჰყოლია ქართველი ტომის მეფე. ესეც ცხადია, რომ საქართველოს ეკკლესიის მწყემსები მუდამ ემორჩილებოდენ მეფესა და მათზე ჰქონდათ სულიერი საგნების შესახებაც ერთნაირი დამოკიდებულება. ქართველ კათოლიკებსაც რომ ჰყოლოდათ თა-

---

[222]) დ. ზ. ბაქრაძის ისტორია საქართველოსი, გვ. 189. ტფილისი 1889.

[223]) ქართლის ცხოვრება, გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ, გვ. 463 ⸗ 467.

ვიანთი ეპისკოპოსი, წესით და გვარტომომით მსგავსი მართლ-მადიდებელ ეპისკოპოსებისა და ეს ეპისკოპოსი რომ არ ყოფილიყო სასულიერო საგნებში დამოკიდებული კათოლიკოსსა და მეფეზე, ეს ხომ მოუხერხებელი, ძნელი და თითქმის შეუძლებელი იქნებოდა. ამისთანა მოვლენა ადვილად მოსალოდნელი არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ, მიუხედავად ესრეთი გარემოებისა, მაინც კი უჩვენეთ ჩვენს ისტორია კათოლიკობის წიგნში ზ ზემოთაც, რომ სხვა და სხვა დროს ყოფილან ესრეთი ქართული წესის კათოლიკე ეპისკოპოსებიც.

ხოლო რაც შეეხება იმას, თუ რად დათანხმებულა რომი ამისთანა საეპისკოპოსოების დაცხრომაზედ, მიუგებთ, რომ ამნაირი კითხვის მიზეზი არის ან სომხების უმეცრება, ან მათი სიბოროტე, რადგან ვინ არ იცის, რომ ესრეთი საეპისკოსოს დაცხრომის მიზეზი ქვეყნის სხვა და სხვა მოვლენა და გარემოება არის და არა რომის ნება, ანუ ბრძანება. ნუ თუ ომები, ქვეყნის აოხრება და დევნა და სხვა ამისი მსგავსი მოვლენა დამოკიდებულია რომის ნებასა და ბრძანებაზედ? ნუ თუ ტფილისის ლათინის საეპისკოსოს დაცხრომას და ეგრეთვე სომხების ნახჩევნის საარხიეპისკოპოსოს გაქრობას რომი დათანხმდა? ამისთანა ცხად საისტორიო ამბებზე მარტო ის დახუჭავს თვალებს, ვინც ჭეშმარიტებას გვერდს უქცევს.

21) „ახალციხის კათოლიკები მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდე სომეხ-გრიგორიანების სამღვდელოებას გადასახადს უხდიდენ; უკეთუ ესენი ქართველების ჩამომავალნი ყოფილიყვნენ, ამას არასოდეს არ იკისრებდენო. რა სიმართლე ჰქონდა სომხის კათალიკოსს, რომ მათი სარწმუნოების გამოცვლის წინააღმდეგ ომობდა, უკეთუ ისინი სომხები არ ყოფილიყვნენო?“.

— ამისას მოვახსენებთ: მართალია ახალციხის კათოლიკები ეჩმიაძინის პატრიარქს ერთ დროს ხარჯს უხდიდენ, მაგრამ იმისთვის-კი არა, რომ მათ ნებიერად ეტვირთათ და ტომითაც სომხები ყოფილიყვნენ, არამედ იმისთვის, რომ იმ პატრიარქის მიერ უსამართლო დევნის ეშინოდათ, და ამ ხარჯის ძლევით ისინი იხსნიდენ არა მარტო თავიანთ ქონებას, არამედ თვით სიცოცხლესა და სარწმუნოებასაც,

ესენი სომხებს უხდიდენ ხარჯს, რადგან სომხის ტიპიკონის გამო, სულთნის ერთი ფირმანის ძალით, ესენი ეჩმიაძინის ბრძანების ქვეშ უნდა ყოფილიყვნენ. ამის ერთი უტყუარი მოწმობა გვაქვს თვით სომხების პირით აღსარებული. 1764 წ., როდესაც ახალციხეს გაკათოლიკებული გიორგი ეპისკოპოსი მოსულა, სომხის პატრიარქს, უჩმიაძინიდგან თავისი ეპისკოპოსი პავლე ფამოუგზავნია ამ გიორგის დასაჭერად და იქ წასაყვანად. პავლე ეპისკოპოსმა ახალციხის ფაშას ბევრი ქრთამი მისცა ამისათვის. მაგრამ ახალციხის კათოლიკებმა დროზე გააქციეს იქიდან გიორგი ეპისკოპოსი.— ბოლოს ეჩმიაძინელმა პავლე ეპისკოპოსმა უთხრა ფაშას: „სულთნის ფირმანის ძალით, ახალციხელები უნდა ექვეშევრდომებოდენ ჩემს პატრიარქსო; ახლა კი გაფრანგებულან და მისი მორჩილნი არ არიანო“. [224]) ამის გამო ფაშას დაუბარებია კათოლიკები, რომლებსაც უთქვამთ: როგორ არ ვემორჩილებით მაგათ პატრიარქსო, ყოველ სამ წელიწადში ერთხელ მისი ერთი კაცი მოდის და ვიხდით ხარჯს, რაც-კი გადასახადიაო. ამის გაგონებაზე ფაშას გაუმართლებია კათოლიკები და გაუმტყუნებია პავლე ეპისკოპოსი. ახლა წარმოიდგინოს მკითხველმა, თუ რა გადახდებოდა ამ კათოლიკებს, უკეთუ ხარჯი არ გადაეხადათ. [ამ ამბავს ორი ახალციხელი პავლე ლეონი და ფირალანთ ანტონ სწერენ რომში 27 ოქტომბერს 1764 წ. უკეთუ ეს ხარჯი არ ეძლიათ ახალციხელებს, მაშინ სომხებს უნდოდათ მათთვის ეკკლესიები ჩამოერთმიათ. რადგან ყველა უსამართლობა შეეძლოთ ექმნათ სომხებს ოსმალების დაქრთამვით, ბევრი უღმრთოება კიდეც მიაყენეს. როგორც კათოლიკების წინააღმდეგ ფირმანი სომხებმა ფულით იშოვნეს, ისე ქრთამითვე უნდა ეშოვნათ სულთნის მიერ ფირმანიც, რომლის ძალითაც ახალციხელები ეჩმიაძინის ბრძანების ქვეშ უნდა ყოფილიყვნენ. ეს სომხებისათვის

[224]) Allora disse il veskovo eretico gli Akalzi Kani devono enero sudditi del mio patriarca, per fermano del Grand Turco. (ვრომაგანდის არხივი, Giorgio, vol. 3. № 18.

ადვილიც უნდა ყოფილიყო; დიდი ქრთამის მიცემა არ დასჭირდებოდათ, რადგან ახალციხელებს ამ დროს სომხის ტიპიკონი ჰქონდათ. ამ ტიპიკონის წყალობით სომხები მათ მუდამ ხელს ავლებდენ და ითვისებდენ.

უკეთუ ახალციხელები ტომითაც სომხები ყოფილიყვნენ, მაშინ საჭირო აღარ იქმნებოდა სულთნის ფირმანი: თავით თვისით ეჩმიაძინის შემავალნი უნდა ყოფილიყვნენ, რო. გორც სხვა პროვინციების სომხები, რადგან ეჩმიაძინის კათოლიკოსი საზოგადო და საერთო მამამთავარია ყველა სომხებისა. უწინ მისი მორჩილებისგან თვით სომხის კათოლიკეებიც არ იყვნენ გათავისუფლებულნი. აი, ეს გარემოებაც ცხად ჰყოფს, რომ ახალციხელები ტომით სომეხნი არ იყვნენ და ამიტომ სულთნის ფირმანით დაუქვევრდომეს ეჩმიაძინს.

სომხის მწერალი ამბობს: „თუ ახალციხელები სომხები არ ყოფილიყვნენ, სომხის კათოლიკოსს რა სიმართლე ექმნებოდა, ისინი ედევნაო“. ესეც კაი საბუთია: ულმრთო, უსამართლო კაცს სიმართლე ჰქონდა, რომ ეგოდენი ქრისტიანების სისხლი დაღვარა? ვსთქვათ, სომხების საამებლად, ახალციხის კათოლიკეები სულ ერთიან ნამდვილი სომხები იყვნენ, ნუ თუ მაშინ სომხების კათოლიკოსს სიმართლე ჰქონდა, ამოდენა ულვთოება ჩაედინა ამ კათოლიკეთა წინააღმდეგ! ქონება ერთიან გაუოხრა, ეკკლესიები ჩამოართვა, ბევრი ტყვედ დააჭერინა. მღვდლები და პატრები შორს გაჰყარა და ციხეებში დააპატიმრა, უწყალოდ სტანჯა და ესე თავისი ბარბაროსული მოქმედებით ნერონს არ ჩამორჩა. თუ სომხის კათოლიკების მოსარჩლე იტყვის, რომ ამ კათოლიკოსს სიმართლე ჰქონდა ამნაირი ბარბაროსული მოქმედებისათვის, მაშინ უნდა ვსთქვათ, რომ სომხების ქრისტიანობაც სხვა რაცა ბარბაროსული ქრისტიანობა ყოფილა და არა ქრისტე მაცხოვრის სჯული!

22) „ართვინის ეკკლესიების დასტურის ქაღალდები დაწერილია თათრულის ენით სომეხ კათოლიკების სახელზედ; ეგრეთვე ეკკლესიის კონდაკები პიო IV რომის პაპისგან ერიან ამავე სახელზედ“.—ამისთანა ახალ-ახალი საბუთები

ბლომად მოჰყავს ავტორს „მშაკის“ მკითხველთა თვალების ასახვევად.

— ზემოდ ვნახეთ, რომ სხეა და სხვა გარემოების გამო, სამცხესაათაბაგოში, გასულ დროებში, მოსპობილა ქართველ კათოლიკეთათვის, როგორც ლათინური, ისე ქართული ტიპიკონი. როდესაც ეს ტიპიკონი აღარ იყო, ცხადია, აღარც მის სახელ-წოდებას დასდებდენ კათოლიკებს. პაპს თავის წერილებში (თუ მართლა არიან ესრეთი წერილები, რადგან ჩვენ ვაძებნინეთ, მაგრამ ვერასფერი იშოვეს ამის მსგავსი) სხვანაირათაც არ უნდა გამოეცხადებინა. აქ, ყველამ კარგად უწყის, ტომობა-კი არ იყო საქმე და სალაპარაკო, არამედ მარტო ტიპიკონი. ძრიელ უადგილო იქმნებოდა, რომ ამისთანა წერილში პაპი შესულიყო გვარ-ტომობის გამოძიებასა და გარჩევაში და გაესხვავებინა ქართველი ტომი სომხებში. ესევე აზრი უნდა გამოვთქვათ იმ თათრული წერილების შესახებაც, რომლებსაც ავტორი იხსენებს, რადგან ოსმალეთის მოხელეები ეკკლესიის წესსა და ტიპიკონს ხედავდენ და ამას ყურადღებას აქცევდენ და არა გვარტომობას.

ხოლო უკეთუ მხედველობაში ვიქონიებ ოსმალეთის უწინდელს მტარვალობას, რომლის წყალობითაც მოსპობილა ქართველთ კათოლიკების წესი, მაშინ ცხადად დავინახავთ, რომ დიდათ საჭირო ყოფილა, რათა კათოლიკებს თავიანთი ნამდვილი ტომობა დაეფარათ და სომხების სახელით ცნობილ ყოფილიყვნენ ოსმალეთის მთავრობის წინაშე. ამაში ხელს უწყობდა მათ დროებით მიღებული სომხის ტიპიკონიც. ესეთი გარემოება ცხადად ამტკიცებს, რომ ოფიციალ ქაღალდებში, ვისგანაც უნდა ყოფილიყო დაწერილი, კათოლიკები ქართველ კათოლიკებად აღარ უნდა წოდებულიყვნენ, არამედ სომხის კათოლიკებად. არ დავივიწყოთ ესეც, უწინ სარწმუნოება და ტიპიკონი საზღვრიდა გვარტომის სახელსაც და სდებდა ხშირად გვარ-ტომობის სახელად თვის სახელს. მაგალითად, უწინ აღმოსავლეთში უფრო ფრანგებმა მოჰფინეს რომის ეკკლესიის სარწმუნოება და წესი. ამისთვის აღმოსავლეთის სხვა და სხვა ტომის კათოლიკებს ეწოდათ სახელად

ფრანგი. ამასვე ცხადად ვხედავთ მისიონერების წერილებში მართლმადიდებელი ქართველების შესახებ, რომლებსაც ხშირად უწოდებენ ბერძნებად (Greci), რადგან ბერძნის ტიპიკონი აქვსთ, თუმცა ბერძნის ტომისა არა ფერი აცხიათ. მსგავსადვე მისიონერები თვინიერ ტომის გარჩევისა ზოგჯერ, მარტო ტიპიკონის გამო, უწოდებენ სომხებად იმ კათოლიკებს, რომლებსაც სომხებისა მარტო ტიპიკონი აქვსთ. უწინ ასე სარწმუნოებას და გვარ-ტომს ხშირად ერთმანერთში ურევდენ და ერთის სახელს მეორის მაგიერად ხმარობდენ. ამ საზოგადო ჩვეულების გამო, ქართველ ტომის კათოლიკებსაც, რომლებსაც სომხის წესი მიეღოთ, სომხის კათოლიკები უწოდეს. ნუ თუ ამით ტომითაც სომეხნი გახდენ? სომხის ავტორი, შურით დაბნეული, ამას ამტკიცებს, რომ ქართველი კათოლიკები ტომითაც სომხები არიანო და ამის დასამტკიცებლად მოჰყავს ცრუ საბუთები.

23) „კოსტანტინეპოლში ქართველი ბერების ერთი ნაწილი სწერავს სომხურადაც და ლათინურადაც, როგორც-კი უნდათო. მონასტრის დამფუძვნებელი პეტრე ხარისჭირაშვილი ძრიელ ნატრობდა, რომ თავისი მონასტერი სრულიად დაექვემდებარებინა კოსტანტინეპოლის სომეხ-კათოლიკების სასულიერო მთავროობისთვის, მაგრამ ეს ნატვრა ვერ შეისრულა და შევიდა ლათინის ვიქარის უფლების ქვეშო. „—სომხის ავტორი, როგორც თვითვე ამბობს, ბევრჯერ ყოფილა თურმე იმ კოსტანტინეპოლის მონასტერში

— ახლა თუ თავისი თვალით ნანახზედ ეგოდენ სიცრუეს ამბობს, აქედგან განსაჯოს პატიოსანმა მკითხველმა, თუ რაოდენი სიცრუე უნდა მოიპოვებოდეს მის ვრცელ წერილში იმ საგნების შესახებ, რომლებიც არც თვალით უნახავს და არც სწორედ გამოუძიებია.

ცხადი სიცრუეა, რომ კონსტანტინეპოლში ერთი და იგივე ბერი სომხურადაც ამბობდეს წერვას და ლათინურადაც. (ავტორი ამბობს: «*վրացի վանականների մէջ կայ մի մասը, որ պատարագում է թէ հայերէն և թէ լատիներէն ըստ կամայ*»[225])

[225]) „მშაკი", 1897 წ. № 148.

მაგრამ ეს სიცრუეა. იქ თავიანთ ნებაზე და ქეიფზე არაფერი არ არის. ვისაც სომხის წესი მიუღია, იმან უეჭველად სომხურად უნდა სწიროს და არა სხვა ნაირად, ხოლო ვისაც ლათინის წესი აქვს, იმანაც მარტო ლათინურად უნდა სწიროს და არა სხვა წესზედ. ეგრეთვე ქართველი წესისამ ქართულად უნდა სწიროს და არა სხვანაირად. მართალი არ არის არც ის, ვითამ ხარისჭირაშვილი ნატრობდა სომხების მფარველობის ქვეშ შესვლასაო. ისტორიული ფაკტები ამ ნათქვამს ძირითადად ეწინააღმდეგება. ზედ მიწევნით და დაწვრილებით ვიცით ეს გარემოება. ნამდვილი ეს არის, რო ხარისჭირაშვილი კი არა, არამედ თვით სომხები ნატრობდენ ამას. იქაური სომხები ბევრს ეცადნენ თავიანთი ნატვრის შესრულებისათვის: სწორის გზით რომ ვერ გაიმარჯვეს, სხვა გზასაც მიჰმართეს და უნდოდათ მისი საქმის დაშლა, რაის გამო საქმემ რომამდე მიაწია. იმ დროინდელმა კონსტანტინეპოლის ბრუნონ დელეგატო არხიეპისკოპოსმა რა სცხო სომხების ავკაცობა, მას მფარველობა აღმოუჩინა და ამ მფარველობით დაიცვა ქართველების ახალი მონასტერი სომხების აოხრებისაგან. არც შემდეგში უყურებდენ სომხები კაი თვალით ქართველების მონასტერს. ამის უტყუარ საბუთად, სხვათა შორის, შემდეგ გარემოებას ვიმოწმებთ.

1894 წ. სულთანმა მოინდომა იქ მყოფი ქართველებისათვის ჩამორთმევა ადგილისა, რომელიც მათ ჰქონდათ დიდი ხნიდან. ეს ადგილი საჩუქრად უნდა მიეცა სულთანს ბულგარებისათვის, რათა მათაც თავიანთი სემინარია აეშენებინათ. ამ ცხად უსამართლობაზე, თვინიერ ეროვნისა და საარწმუნოების გარჩევისა, ყველანი ქართველებს გამოესარჩლნენ, შეაგულიანეს და გაამხნევეს. სწორედ ეს გაჭირვება ისარგებლა მაშინდელმა სომეხ კათოლიკების პატრიარქმა აზარიანმა, მიუდგა ურწმუნოებს, ძალა დაატანა ქართველებს ბ ბევრსაც დაემუქრა, რათა ადგილი დაეთმოთ. მაგრამ აქაც ღმერთი შეეწია ქართველებს; მათ მხნედ დაიცვეს თავიანთი სიმართლე და გაიმარჯვეს. ესრე შერცხვენილი დარჩა სომხების პატრიარქი, როგორც უწინ მისი მოსაყდრე ჰასუნი. ყველა ამ გარემოებას ვრცლად

მოწმობენ კონსტანტინეპოლში საფრანგეთის საელჩო კანცელარიის ქაღალდები. აი, მოკლედ ნამდვილი სომხების მოქმედებული ისტორია ქართველების წინააღმდეგ. ესეც ერთი ახალი ფაკტია იმისი, თუ სომხები ყველაფერში როგორ ამახინჯებენ ჭეშმარიტებას.

24) ვრცლად ლაპარაკობს ავტორი, რომ „რუმინიაში სომეხ გრიგორიანები რუმინულად ლაპარაკობენ, მაგრამ ჩვენსავით-კი არ თაკილობენ თავიანთი სომხობის გამოცხადებასო; ავსტრია-უნგრეთის სომეხ კათოლიკების დიდ ნაწილს არ ესმისთ თავიანთი დედაენა, მაგრამ თავიანთ სომხურს წირვა ლოცვას ისმენენ და სომეხ კათოლიკის სული და წესი შენახული აქვსთ პატივისცემითო“.

ეს ბატონი რამდენათაც შორეულს საბუთებს ეძებს ჩვენს წინააღმდეგ, იმდენად უფრო თვითანვე ვარდება თხრილში, რადგან მისი ნაამბობი ესე უფრო მის წინააღმდეგ ღაღადებს. თუ ეს სხვა და სხვა ადგილის სომხები, რომლებსაც ენა აღარ შერჩენაით, მაგრამ-კი იცვენ თავიანთ წესსა და ერობას, ამით ცხადად ამტკიცებენ, რომ ისინი ნამდვილი სომხები არიან, და თავიანთი ვინაობისათვის ვერ უღალატნიათ; თუმცა ამისათვის გარემოება ძლიერ ხელს უწყობს, ბუნების ინსტინქტის ძალით, რა საკვირველია, ამნაირადვე უნდა მოქცეულიყვნენ საქართველოს კათოლიკებიც, უკეთუ ესენიც მათსავით სომხის ჩამომავალნი ყოფილიყვნენ. დღეს თუ ესენი უარყოფენ სომხობას, იმიტომ, რომ სომხები არ არიან და თავიანთ ბუნებაში სომხისას არასფერს ჰგრძნობენ. მათი მოქმედება სხვა არაფრით არ აიხსნება, თუ არ თავიანთი ბუნებრივის მიდრეკილებით, რადგან ყველა არსებას ბუნებითი მიმართობა ინსტინქტი აქვს, რომ დაშთეს იმ არსებასა და ვინაობაში, რაზედაც ღმერთს გაუჩენია, როგორათაც პირველ თავში, უჩვენეთ.

ამ საგანში ინტერესს დიდი არასფერი გავლენა არა აქვს; უკეთუ მას რაიმე გავლენა ჰქონოდა, უეჭველად ამ ინტერესს უნდა ემოქმედებინა ავტორის მიერ დასახელებულ სხვა ან სხვა ქვეყნებში გაფანტულ სომხებზედ, რათა თავიანთი ერობა

უარეყოთ ⸗ შესისხლხორცებოდენ მათზედ უგანათლებულეს ტომებს, რომლებთანაც სცხოვრებენ და რომლების ენაც შეუთვისებაათ. ამ ჭეშმარიტების დასამტკიცებლად კმარა დავასახელოთ სპარსეთში ძველ დროდგანვე გადასახლებული, უკეთ ვთქვათ, ტყვედ წაყვანილი ქართველები, რომელთაც საქართველოსი აღარასფერი ახსოვსთ, სარწმუნოებაც დაჰკარგეს. მაგრამ ერთი რამ-კი შერჩენიათ; ღრმად ჰგრძნობენ თავიანთ ბუნებაში, რომ ისინი თავიანთ მეზობელ და თანამერჯულესავით სპარსელები არ არიან, არამედ გურჯები—ქართველები. ესეც სწორედ მაშინ, . როდესაც ჩყენი ტომის სისხლის მსმელი მტრები მუდამ გარეშემო ჰყოლიათ. დიდი სიკეთე იქმნებოდა მათთვის, რომ ეს გვაროვნობაც (ჩამომავლობა) უარეყოთ, მაგრამ ბუნებამ ყველას სძლია. ⸗ ამისთვის ძალაუნებურათ დარჩნენ იმად, რაც იყვნენ. [226])

25) იოვანე XXII პაპმა XIV საუკუნის დასაწყისში საკუთარი კურთხევის წერილი და კონდაკი გამოუგზავნა ქართველების, რავდენსამე თავადსა. გარნა, როგორც სჩანს, საქმე ძალიან წარმატებაში არ შედიოდა, ვიდრე 1334 წლამდე, ქართველთა მეფის ნება დართვით სომეხ-უნიტორების რიგის ბერები მოვიდენ და ტფილისში დაამყარეს თავიანთ მონასტერი, და ესე ხელი შეუწყვეს კათოლიკეთა საეპისკოსოს დაფუძნებასაო“.

— ეს აზრი ორჯერ გაიმეორა ჩვენმა მოკამათემ. გარნა ამას არ დაკმაყოფილდა, არამედ რუსულ გაზეთში ეს ამბავი დიდის რიხით წარმოადგინა ამ სიტყვებით: „კათოლიკე მისიონერები პირველად საქართველოში მოვიდენ XIII საუკუნეში ⸗ Fratres Praedicatores ორდენისა იყვნენ. ამ „ძმათა» მოქმედებისა თითქმის არაფერი უწყით. იმავე დროს პაპმა ტფილისში იტალიელი ეპისკოპოსი დანიშნა, რომ ამის საშუალებით პირდაპირი მიმართობა ჰქონოდა საქართველოს

---

[226]) იხილე ამ საგანზე ლადო აღნიაშვილის სპარსეთი და იქაური ქართველების შესახებ მშვენიერი აღწერა.—იხილე ეგრეთვე: Mission scientifique en Perse par S. de Morgan, tom. 1. p. 58, 163.

მეფეებთან. პირველი კათოლიკე მონასტერი ტფილისში დომინიკიანთ დააარსეს; ეს მისიონერები უცხოელნი არ იყვნენ, არამედ სომეხ-კათოლიკები, ანუ სომეხ-უნიატნი იყვნენ და აქ სასომხეთიდგან მოვიდენ. XIV საუკუნეში მათ უკვე საქართველოში ვხედავთ. ტფილისშიც საკუთარი მონასტერი დაარსეს და სომეხთა შორის კათოლიკობის ქადაგება დაიწყესო". [227])

— ეს ასე ვრცლად იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ჩვენი მოპირდაპირე ამ სიტყვებს რაცხს უმთავრეს საბუთად თავისი სტატიისა. თავის ნათქვამის დასასაბუთებლად გვისახელებს ავტორებს: ალექსანდრე ვართაბეტ პალიჯიანს, რომელსაც დაუწერია მოთხრობა კათოლიკე მოძღვრებისა სომხებში, გამოცემული ვენნაში 1878 წ. და მეორე იეზუიტის თხუზულებას: P. De Damas. Coup d'œil sur l'Arménie III. Les Arméniens et les envoyés du Pape dans les siècles passés. Paris, 1888 გვ. 106. პირველისთვის უნდა განვიმეოროთ ჩვენი გამოთქმული აზრი მესამე თავში სომხის მწერლების შესახებ ნათქვამი. რადგან საქვეყნოდ უწყებულია, რომ სომხის მწერლები, მეტადრე ამისთანა საგნებში, ხშირად სტყუიან, ამისთვის ამ აზრსაც ისეთივე მოჭორებულ და სომხების ფანტაზიის საგნად ვრაცხთ, როგორც ზემოდ გაჩხრეკი-

[227]) Католическіе миссіонеры первый разъ вступили въ Грузію въ XIII столѣтіи; они были изъ ордена Fratres Praeditores. О дѣйствіяхъ этихъ „Братьевъ", почти ничего не извѣстно. Въ это же время былъ назначенъ папою въ Тифлисѣ епископъ-итальянецъ для поддержанія прямыхъ сношеній съ грузинскимъ дворомъ. Первый католическій монастырь въ Тифлисѣ основанъ доминиканцами; эти миссіонеры были не иностранцы, а армяне-католики или армяне-уніаты изъ доминиканскаго ордена, пріѣзжіе сюда изъ Арменіи.—Мы ихъ находимъ въ Грузіи уже въ XIV столѣтіи. Основавъ въ Тифлисѣ собственный монастырь, они начали тамъ заниматься пропагандой католицизма, среди своихъ соплеменниковъ-армянъ. С. Петерб. Вѣдом. г. 1900. № 156.

ლი ავტორების ნაწერებს. ამიტომ ჩვენთვის ამის მოწმობას არავითარი ფასი აქვს. მიუხედავად ამისა რადგან ბ-ნ სარუხანს ეს მიაჩნია უმთავრეს წყაროდ, ამიტომ რომში დამინიკიანების მონასტრის არხივებს ზედ მიწევნით გავეცანით. ხოლო იქ სრულებით არასფერი შეგვხვედრია სომეხ-უნიტორეების XIV საუკუნეში საქართველოს მოსვლისა და მათ მიერ ტფილისში მონასტრის დაარსებისა.

რაც შეეხება ავტორის მეორე მოწმობას, არც ის არის ჩვენთვის უცნობი. ხსენებული ავტორი ჩვენ გავიცანით და ბევრჯერ გვინახავს კოსტანტინეპოლში. ეს გახლავსთ იეზუიტი. როდესაც 1880 წ. საფრანგეთიდან იეზუიტები განაძიეს, ბევრი იეზუიტი გამოგზავნეს სასომხეთში მისიონერად და ხსენებული ავტორი მათ წინამძღვრად დანიშნეს. ამიტომ იგი დაბინავდა კოსტანტინეპოლში ბ'თავისდა მინდობილი მისიონის სასომხეთის გაცნობა და შესწავლა მოინდომა, რაისგამო სომეხის მწერლების დაწერილი ისტორიის შესწავლას შეუდგა ბ ამ ისტორიებიდან გამოკრებილი უწყებით გამოსცა 1887 წ. ზემოდ ხსენებული წიგნი, რომლის 178 გვ. ამბობს, რომ სომეხ-უნიტორებს ტფილისშიაც ჰქონდათ მონასტერიო. ეს რომ ახალი გამოკვლევა და საბუთი არ არის, არამედ სომხების მწერლებისგან გადმოთარგმნილია, ამის არა ვითარი ეჭვია, რადგან თავის წიგნის შესავალშივე უჩვენებს ცხადად ყველა იმ წყაროებს, საიდანაც ეს უწყება შეუკრებია. ამ ნაჩვენებ წყაროებში ჩამოთვლილია სომხების თითქმის ყველა მწერლები. მაშ ამის ნათქვამსაც ის ღირსება აქვს ჩვენი საგნისათვის, რაც ზემოდ განხილული სომხების მწერლების ნათქვამთ. ეს შენიშვნა კმარა სომეხ მოკამათის ყველა აზრების გაცრუებისათვის. გარნა ჩვენ სომხებივით თვალთმაქცობას არ ვხმარობთ. ცოტას ბევრად არ ვუჩვენებთ, შავს არ ვათეთრებთ, სიცრუეს ჭეშმარიტებად არ ვასაღებთ. ამიტომ მოუხედავად ამისა, რაც ეხლა მივიყვანეთ, წარმოვადგენთ ნამდვილზედ უნამდვილეს საბუთებსა.

ხოლო ჩვენ, ნამდვილის საბუთების ჩვენებით, ვუპასუხეთ, რომ სწორეთ XIII საუკუნეში მოსულმა მისიონერებმა მისი-

ონრებმა დაიწყეს საქართველოში კათოლიკობა და დიდი ნაყოფიც გამოიღეს, ვინადგან იმ დროიდგან დაწყებული კათოლიკე სარწმუნოება მუდამ აღორძინებაში მიდიოდა. პირველი მისიონერები საქართველოში მივიდენ, დომინიკიანები-კი არა, არამედ ფრანჩისკიანები (მინოროტები). 1233 წ. საქართველოდგან მიბრუნებულმა პატრმა იაკობ რუსალენმა მიუთხრა პაპს, გრიგოლ მეცხრეს, თუ საქართველოს მეფე, რაოდენად კარგად ეპყრობოდა მას ბ მის ამხანაგებს. ამიტომ პაპმა ეს პატრი ბ სხვა ახალი მისი თანაძმანი იმავე წელს გამოისტუმრა საქართველოში და გამოატანა მეფესთან სამადლობელი წერილი. (იხილე ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 12). ასე რომ 1230 წლებში მისიონერი ფრანჩისკიანების მონასტერი დამყარებულა ტფილისში პირველად. საქმე რა კარგად მიდიოდა და ფრანჩისკიანებმაც რა კარგად მოიკიდეს ფეხი საქართველოში, იმავე პაპმა, 1240 წ. გამოგზავნა დომინიკიანების ბერები: უგუოჩინო იაკობი, ბენევენტო, რუბინო, პეტრე, ლამბერტი და გვიძარდო. ტფილისში ამათ, 1240, ანუ 1241 წ. დააარსეს დომინიკიანების პირველი მონასტერი და არა ნახჩევნიდან შემოსულმა სომხებმა XIV საუკუნეში, როგორათაც ბრძანებს ბ-ნი სომხის მწერალი [228]). ორივე ორდენის ბერები რა გამტკიცდენ საქართველოში, შეუდგნენ კათოლიკობის გავრცელებას, რაოდნათაც-კი შეეძლოთ, ქართველ ერში. საქმე ისე კარგად წავიდა, რომ ინოჩენტი IV პაპმა 1245 წ. ბლომად გამოგზავნა ფრანჩისკიანების ბერები; ხოლო პაპმა ალექსანდრე მეოთხემ, 1258 წ. ფრანჩისკიანებს დომინიკიანი ბერებიც მოაშველა. ამავე ნაირად გამოგზავნეს ორივე წესის ბერები პაპმა ნიკოლოზ მესამემ 1278 წ. და ნიკოლოზ მეოთხემ, 1289 წ. მართალია ამ მისიონერების ნაღვაწ-ნაშრომის საბუთებს ჩვენამდე არ მოუწევია, გარნა ეს-კი ცხადია, რომ საქართველოში მათ

---

[228]) იხილე ჩვენი ისტორია კათოლიკობისა გვ. 13—17; ეგრეთვე: Voyage de Fr. Ascelin et ses compagnons vers les Tartares: Paris 1634.

XIII საუკუნეში დიდი ნაყოფი უნდა გამოეღოთ. უკეთუ ასე არ ყოფილ იყო, ისე ხშირად და გუნდ გუნდობით პაპები მისიონერებს არ გამოგზავნიდენ საქართველოში. ამის წინააღმდეგ, ვვგონებთ, არ ითქმოდეს რა. კათოლიკობის წარმატება XIV საუკუნის დასაწყისში უფრო შესამჩნევი შეიქმნა, რაისგამო კლემენტე V პაპმა 1307 წ. ორივე წესის ბერები ბლომად გამოგზავნა საქართველოში. პაპმა ივანე XXII ხომ განსაკუთრებული ყურადღება მოაქცია აქაურობას და 1318 წ. ბევრად უმატა ახალი მისიონერების რიცხვსა ორივე წესისას, რაის გამო ქართველობაში ისე გაძლიერდა კათოლიკობა, რომ ქართველები არამც თუ მარტო კათოლიკე დგებოდენ, არამედ თვით ბერებათაც შედიოდენ ევროპელ მისიონერებთან და მათთან ერთად სხვა ურჯულოთა ქვეყანაში მიდიოდენ სარწმუნოების საქადაგებლად. მაგალითად დიმიტრი ქართველი თბილელი, ფრანჩისკიანებთან შემონაზონებული მორჩილი ძმა, კათოლიკე, სარწმუნოების ქადაგებისათვის, ინდოეთის ქალაქს თაჰანას ეწამა სხვა სამ ბერთან ერთად 1321 წ. აპრილის 13, ბზობის წინა ხუთშაფათს [229]).

კათოლიკობის ამნაირად წარმატებამ საქართველო საკმაოდ მოამზადა რომის ეკკლესიასთან შესაერთებლად, რაისგამო ხსენებულმა პაპმა გიორგი ბრწყინვალეს ს საქართველოს მოწინავე პირებს მოსწერა წერილები ს საყოველთაო შემოერთებაზედ მოიწვია. გარნა, იმ დროის სხვა და სხვა მიზეზის გამო, ეს სასურველი ერთობა ვერ მოხდა. ხოლო კათოლიკობა-კი დაუბრკოლებლად ვრცელდებოდა არა მარტო ტფილისის მცხოვრებთა შორის, არამედ საქართველოს სხვადსხვა პროვინციებშიაც. ამისთვის საჭირო გახდა მრავალი კათოლიკების სულიერი საჭიროებისათვის ტფილისში საეპისკოპესოს დაარსება და არა იმის გამო, როგორც მოგვითხრობს ჩვენი მოპირდაპირე სომხის მწერალი, ვითომც რომს მით პირდაპირი მიმართობა ჰქონოდა საქართველოს მეფეებთანო: ესეთი მიმარ-

---

[229]) Luca Waddingo, Annales Minorum, tom. 6 p. 353. Romae. 1614.

ობა მეფეებთან უეპისკოპოსოდაც შეიძლებოდა, როგორათაც იყო ორი საუკუნის განმავლობაში, თეათინელი და კაფუცინი მსიონერების დროს. ამ გარემოებას ცხადად გვიმტკიცებენ თვით ხსენებული პაპის სიტყვები: გასულ ხანში უფროსთა ნებით წასულმა დომინიკიანებმა, მოღვაწეობით და დაუცხრომელის შრომით, როგორც ამ ქალაქის, ისე გარეშე ადგილების მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი „multitudo habitantium“ მოაქციეს კათოლიკეთა სარწმუნოებაზედ; აწ მათ სწამთ და აღიარებენ ყოველსავე იმას, რაც სწამს, აღიარებს და ასწავლის რომის ეკკლესიაო“ [230]). პაპის სიტყვები ერთიან სამუდამოდ ამტყუნებს სომხებს, რომლებიც ამბობენ, ვითამ: „კათოლიკობა საქართველოში წარმატებაში არ შესულიყოს ვიდრე 1333 წლამდე. ამ დროს სასომხეთითგან მოსულიყვნენ უნიტორი სომხები და ამათ მარტო სომხებში განევრცოთ კათოლიკობა“. აქედან ისიც ცხადად სჩანს, რომ არც საქართველოს ერს და არც ევროპიდგან გუნდ-გუნდად მოსულ მისიონერებს მოუცდიათ, რომ სასომხეთში გაკათოლიკებულ იყვნენ სომხები და მოსულიყვნენ საქართველოში კათოლიკობის გასავრცელებლად, ვრამედ უნიტორის სომხების გაკათოლიკების ბევრის წლით უწინ მრავლისგან მრავალი ქართველები გაკათოლიკებულან.

ამიტომ ტფილისში 1329 წ. დაარსდა ლათინის საეპისკოპოსო გაკათოლიკებული ქართველი ერისათვის და პირველ ეპისკოპოსად დაინიშნა დომინიკიანი ფლორენციელი ივანე, რომელიც რავდენისამე წლის წინად საქართველოში მოსულიყო და თავის შრომით ბევრი გაეკათოლიკებინა, ვითარცა მოწმობს ხსენებული პაპი მის ეპისპკოპოსად დანიშვნის კონდაკში. ტფილისის საეპისკოპოსოც უსომხებოდ დაარსდა, რადგან ამ დროს ჯერ კიდევ არ იყვნენ გაკათოლიკებულნი ხსენებული უნიტორი სომხები, რომლებსაც ჩვენი მოკამათე ტფილისის საეპისკოპოსოს დამამყარებლად ხდის. ვინაიდგან ხსენებული უნიტორების წინამძღვარი გაკათოლიკდა 1330

---

230) ჩვენი ისტორია კათოლიკობისა, გვ. 32

წ. და შემდეგში, ამან, თავის მეცადინეობით გააკათოლიკა თავისი თანა ძმები სასომხეთში და არა საქართველოში.

რა დამყარდა ლათინის საეპისკოპოსო ტფილისში, იქ კათოლიკობა უფრო გაძრიელდა, ასე რომ შესდგა ადგილობრივი სამღვდელოება (Clero) და კაპიტოლი, და ცოტა ხნის შემგდომ საეპისკოპოსო ეკკლესიას შეეძინა ბლომად საეკკლესიო ყმები (vassali). ყველა ამათ შესანიშნავი ადგილი ეჭირათ, რაისგამო პაპები ხშირად წერილებსაც უგზავნიდენ [231]).

ხსენებულის ივანე ფლორენციელის, ტფილისის პირველი ეპივკოპოსის შრომის შესახებ ძველი მწერლები მოწმობენ ესრედ; „ყოვლად განათლებულმა ივანე პატრმა, საქართველოში ტფილისის ეპისკოპოსმა, თვისის წესის ძმა-ბერებთან ერთად, დაუღალავად იშრომა ქართველების გასაკათოლიკებლად, ამ ერის გასაწვრთნელად კათოლიკე სარწმუნოებაში ბევრი წიგნი სთარგმნა ქართულ ენაზედ“ [232]). აქედგან ისიც ცხადად სჩანს, რომ საქართველოში კათოლიკობა ვრცელდებოდა ქართველებში და არა სომხებში, რომლებიც იმ დროს აქ არ იყვნენ. ვინაიდგან ამასაც ესე მოწმობს ისტორია: „ივანე ფლორენციელმა თავისი 19 წლის ეპისკოპოსობის განმავლობაში, მეტად შეაყვარა თავი, როგორც ქართველებს, ისე ურჯულოებსაც, რომლებიც მათ გარეშე სცხოვრებდენ“ [233]). ცხადია, არა ვითარი საფუძველი არა გვაქვს, აქ დასახელებულ ურჯულოებად სომხები ვიგულისხმოთ. როგორათაც არ იყო სომხის ერი, ისე არც სომხების უნიტორი მისიონერები იყვნენ საქართველოში ქართველების გასაკათოლიკებლად. ამისთვის მარტო ევროპელი მისიონერები შრომობდენ. ამასაც

---

[231]) იგივე, გვ. 37—44.

[232]) L'année Dominicaine, par le P. F. Charles de S. Vincent, p. 107. Amiens, 1702.

[233]) Henrion Storia Universale delle Missioni catoliche, tom. 1. p. 125 Torino, 1746.

ამავე ადგილს კვალად მოხსენებულია ესრედ: «ფროლენციელმა ივანემ ქართველები გააკათოლიკა და თავისი საეპისკოპოსო ტახტი განაწესა ტფილისშიო.

ესე მოწმობს აქ დასახელებული ისტორია იმავე გვერდზედ: „ივანე ფლორენციელმა, თავისი წესის ბერების გარდა, მისიონის სამსახურში მოიშველია ეგრეთვე წმიდა ფრანჩისკეს წესის ბერებიც, რათა ქართველები და ურჯულოები კათოლიკე სარწმუნოებით შეეერთებინა. ცხადია ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ხსენებული წესის ბერები ფრანჩისკიანები და დომინიკიანები, უკლებლივ და გუნდ გუნდობით მოდიოდენ ევროპიდან საქართველოში კათოლიკობის გასავრცელებლად. ამის გამო ცხადია არა ვითარი მიზეზი და საჭიროება არ იყო, ახლად გაკათოლიკებული სომხის უნიტორი ბერები მოსულიყვნენ საქადაგებლად, ვინაიდგან თუ მართლა კათოლიკობის გავრცელება უნდოდათ და შეეძლოთ, იქვე თავიანთ ქვეყანაში, სასომხეთში, ბევრს საშრომელს იშოვიდენ. მართლაც ასე მოიქცნენ: დაიწყეს თავიანთი მოძმე სომხების გაკათოლიკება.

არც ამ დროების შემდგომ ვხედავთ სომეხ-უნიტორებს საქართველოში, ვინაიდგან 1329 წლიდან მოყოლებული ვიდრე 1493 წლამდე დანიშნულან საქართველოში ლათინის ეპისკოპოსნი 13 პირი და ერთიც ლათინის პატრიარქი, რომლებიც იყვნენ ევროპელნი ფრანჩისკიანები, დომინიკიანები და აგვისტინიანები [234]). ეს ეპისკოპოსები მარტო არ იყვნენ საქართველოში, არამედ მუდამ თან ჰყავდათ ევროპელი თავიანთი წესის ძმებიც. ეს ფაქტი თავისთავათაც ცხადია და არ სჭირია დაკუმენტებით დასაბუთება.

ხოლო საქართველოში ჩვენ ვხედავთ სომეხ-უნიტორებს მარტო 1545 წლებში. სწორეთ იმ დროებში, როდესაც გაძლიერებულმა ოსმალეთმა ევროპელ მისიონერებს საქართველოში შემოსვლის გზა შეუკრა. ამ დროს სომხის-უნიტორები, რომლებსაც ოსმალებისაგან არა ვითარი დაბრკოლება არა ჰქონდათ რა, შემოვიდენ საქართველოში, დაიჭირეს ევროპელი მისიონერებისგან ცარიელა დატოვებული ადგილი და განაგრძეს მათი მისიონი, ესე იგი კათოლიკობის გავრცელება.

---

[234]) იხ. ჩვენი ისტორია კათოლიკობისა, გვ. 49, 50, 61).

ეს გარემოებაც სომხების დიდად გამამტყუნებელ საბუთს გვაძ-ლევს ხელში. სომხები ამბობენ: „სომხის უნიტორებმა საქართველოში განავრცეს კათოლიკობა მარტო სომხებშიო“. გარნა უტ-ყუარი საბუთები, პაპის პავლე მესამის წერილები გვიმტკიცებს, რომ ამ უნიტორებს, სომხებში-კი არა, არამედ ქართველებში გაუვრცელებიათ კათოლიკობა და მთელი საქართველო მოუმ-ზადებიათ რომთან შესაერთებლად, რაისგამო საქართველოს მეფეთა და მთავრების დიდი სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებაათ [235]).

გარნა აქ ესეც უნდა დაუმატოთ, რომ ამ უნიტორების მისიონს საქართველოში დიდ ხანს ვერ ვაუტანია, არამედ დასრულებულა იმავე საუკუნეში, რადგან XVII საუკუნის დასაწყისში, როდესაც ევროპელ მისიონერებს გზა გაეხსნათ და საქართველოში შემოვიდენ, უნიტორი სომხების სხენებაც აღარ იყო.

26) „ახალი ნაპოვნი ხელთ ნაწერები, რომლებშიაც ქა-ართველების სახელები ყოფილან ნაჩვენები, იმას სრულიადაც არ გვეუბნებიან, რომ მისი პატრონები ჩამომავლობითაც ქართველები ყოფილიყვნენო; ხოლო ეგ იმას ნიშნავს, რომ იმ დროს სომხების გასაგები ენა ქართული იყოვო, და ეგ-რეთვე იმისგამო, რომ სომხები ცდილობდენ თავიანთი სახე-ლი და გვარი გადაეკეთებინათ იმ ადგილის გვარების და სა-ხელების მზგავსად, სადაც სცხოვრებდენო“. სომხის ავტო-რი ასე უპასუხებს ახლად აღმოჩენილი ქართული საბუთების შესახებ.

ნუ თუ მეცნიერება იმაში მდგომარეობს, რომ ყველა-ნაირი სიცრუე წამოროშოს და უარყოს, თვინიერ რაიმე სა-ბუთის მოტანისა, ის უტყუარი საბუთები, რომელიც ცხადად ამტკიცებს მის მიერ უარყოფილს ჭეშმარიტებას? ყველამ ცხა-დად ვაცით, რომ დღეს მეცნიერება, საისტორიო საგნების გამოკვლევაში, დამყარებულია ძველ წერილ-საბუთებზედ, რომლებიც იხსენიებენ გავლილი დროის რომელსამე ფაქტს,

[235]) იგივე, გვ. 71—75.

ანუ გარემოებას. ასე ახლახანს გორში და ახალციხეს (1703 და 1705 წ.) დაწერილი საბუთები აღმოაჩინეს, რომლებიც ცხადად გვიმტკიცებენ იქაური კათოლიკების ქართველობას ნათლიღების სახელებით და სხვა გარემოებით. ჩვენი მოკამათე სომეხი-კი, რომელიც თავის წინა წერილებში საბუთების წარმოდგენას თხოულობდა, ახლა ამ საბუთებს ქართველებისათვის უარყოფს და მათ აკუთნებს სომხებს. ყველაფერს თავისებურად ხსნის, ყველაფერს თავისებურად აქარწყლებს: ჩვენს ენას, ჩვენს ზნე-ჩვეულებას, ჩვენს ძველს სახსოვრებს და თვით ჩვენს შინაგან გრძნობასაც უარყოფს და ყველასფერს სომხურ დაღს ასვამს! აი ხსენებულ ახლად ნაპოვნ საბუთებში მოყვანილი ზოგიერთი სახელები, რომლებსაც ჩვენი მოწინააღმდეგე სომხებს აკუთნებს: „რუათი, ყანდინათი, კოლტიათი, მინდორათი, მანანაძე, წალდაძე, ნებიერიძე, მიქელაძე, ხუციძე, ქათამაძი, ზაზათი, ზოზოთი, ბეროთი, ბერომელათი, მალხაზათი, კეჟერათი, გულასპათი, ტეტიათი, ბატონათი, ხახათი, ჯინჯორათი, კაკნათი, ბაბუზათი, ქოლქათი, მელეშანთი, ხიზანათი, ცხელაოი, თელიათი, ტყავაძე, ომიძე, მაისურაძე, ჰოროველათი, მეხჩური, ფილიჭამიათი, გოდელათი, გოდერძათი, თუთულათი, ხუთქალათი, ფარიათი, ნარუათი, მელარიანთი, ნახვრეტათი, ქვათი, ფუფულათი, გედიათი, ქოცეცათი, კენჭიანთი, ილოთი, კაკონათი, კაკოთათი, ხრინწიანთი, ბისტიათი, კოკოჩათი, მიკოთი, ნასყიდათი, ტურათი, ხანიათი, რუხათი, თურვანდათი, ფარემუზათი, ბაინდურათი, მეხრიანთი, თათულათი, კბილათი, ბუდუმლანთი, დოლორელათი, კოჭიბროლათი, სარდალათი, თაყიანთი. დარეჯათი, კანდელაკიანთი, ფისირანთი, ძამათი, ლაქაანთი, ბეშქენათი, ბაბილათი, პაპილაანთი, პუწკათი, ხიხინათი, თუმბულათი, ჩასტანათი, ჩაიქოლათი, გელაჭამიათი, გოგილათი, მალვენათი, ჭოჭუათი, ეთერათი, გოგინათი, პურადათი, ქოჩორათი, ჭიმბურათი, ვეტოთი, ზუბათი, ღვინიათი, ჩიტირეკათი. ამრეზიანთი, მარჯლათი, ტივიზათი, ძანგელათი, ქონიანთი, ჭალიათი და სხ. — (კაცების სახელები): ქრისტესია, ღვთისა, აღდგომელა, მახარა, დარჩია, ოტია,

განია, ბერუკა, ჩიტა, შერმაზანა, ერეკლე, რამაზა, სავა, ნიკო, გოგიტა, ფარსადანა, ნადირა, ხოშა, მახარობელი, კიკინა, ზაალი, ელიზბარა, გლახა, საბა, ჟოჟუა, დათა, კოწია, ავთანდილა, ჯოჯო, ბეჟანა, ზურაბა, ამირანა, პაპუნა, მამუკა, პაატა, გოგია, ბეჟუა, მამულა, შაქარა, ნიკაშა, ზაზა, სეფერა, მალაქია, ნონო, ნონია, იორდანე, საყვარელა, შიოთამაზა, ფარუა, და სხვ.—დედაკაცების სახელები:—მზექალა, მზისადარა, ასთანდარა, მარგალიტა, ვარდიგულა, გულსუნდა იაგუნდა, ნათელო, დედაქალა, დედანო, დარეჯანა. მანიჟავა, თინა, თინათინა, თუთა, თვალშვენიერი, ძუძუნა, თამარა, ლელო, ყბაწითელა, გუნდო, დედება, რუსუდანა. თეთრუა, წარბა, ბანგიანი, ვარდო, ბატონდედა, გულგულა, ყბაჩუა, ლოყაწითელა, გედო, კაკლო, ყაყაჩო და სხ.“ დღესაც ბევრი არიან ამნაირი სახელ-გვარის მქონე კათოლიკები ახალციხეს. ამაში ერთბ იოტაც არ ურევია სომხური მნიშვნელობის ლექსი, ყველა ეკუთვნის ნამდვილს ქართულს მნიშვნელობას. თითქმის საქართველოს ყველა კუთხეში მოიპოვებიან ამნაირი სახელ-გვარის მქონე ქართველები. თუ ახალციხეში ამ სახელების მქონე სომხები ყოფილან, მაშინ უნდა ვსთქვათ, რომ ესრეთი სახელების მქონე სხვა ადგილებში მყოფი ქართველებიც სომხები ყოფილან. აი სომხების მწერლები როგორ ყველაფერს ითვისებენ და ყველას ასომხებენ.

რადგან დაჟინებით ამბობს, თვინიერ რაიმე საბუთის ჩეენებისა, რომ ახალციხეში მცხოვრები სომხების ენა, მეტადრე XVIII საუკუნეში, ქართული იყოვო, ამაზე ჩვენც დავეკითხებით: სომხები ახალციხის მცხოვრებს ქართველებს რიცხვით აღემატებოდნენ თუ არა? თუ მათზე ბევრი იყვნენ, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა, რომ სომხებს ერთიან თავიანთი დედა ენა დაევიწყებინათ და მის ადგილს ქართული შეეთვისებინათ. საზოგადო გამოცდილებით ვიცით, რომ ამის წინააღმდეგი უნდა მომხდარიყო, ესე იგი სომხებს თავიანთზე მცირე რიცხვს ქართველებისათვისაც თავიანთი სომხური ენა თავზედ უნდა შემოეხვიათ ჯ ესრე საზოგადო ენა სომხური უნდა ყოფილიყო. რადგან ბუნებრივი კანონია, რომ რა ელემენტიც სჭარბობს, ის ელე-

მენტი უფლობს და თავის თვისებას სდებს თავისზედ სხვა უძ-
ლურ ელემენტსაც. ხოლო თუ ხომხები რიცხვით უფრო ნაკ-
ლები იყვნენ, ვიდრე ქართველები, რომლებმაც მათ საკუთარი
ენა მოუსპეს და თავიანთ ქართულ ენაზედ დააწყებინეს ლაპა-
რაკი, მაშინ რითი უნდა აიხსნას, რომ სომხების მცირე რიც-
ხვის მიუხედავად, ზოგი კათოლიკე დგებოდა და ამოდენა ქარ-
თველებში-კი ერთიც არ გაკათოლიკებულიყოს, თვით იმ დროს,
როდესაც ბევრი მათგანი მაჰმადიანობას ღებულობდა? ამისთანა
სომხების მიერ უსაფუძვლო გამოგონილის აზრის ახსნას ისევ
მივანდობთ მის გამამგონებს. ვფიქრობთ, ამის ასახსნელად და-
გვისახელონ უბრალო მიზეზი, რომელიც ზემოდ წამოგვიყენეს,
ესე იგი, ქართველები იმიტომ კათოლიკედ არ გამხდარან,
რადგან ლათინის მისიონერები იმათსავით მარხვას არ ინახა-
ვდენო.—უკეთუ ამ აზრს რაიმე საფუძველი და გავლენა ჰქო-
ნოდა, უეჭველად ჯერ სომხებზედ უნდა ემოქმედებინა. რადგან
ყველასთვის ცხადია, რომ სომხებს უფრო ბევრი მარხვები
აქვსთ, ვიდრე ქართველებს და ბერძნებს. ეს გარემოება ხშირად
აღუნიშნავთ ევროპელ მწერლებს. მაგალითად, ერთი ინგლი-
სელი, სომხებში ნაყოფი, ამბობს, რომ ყველაზედ უფრო ბევრს
ჯ მჭიდრო მარხვას მთელს ქვეყანაზედ სომხები ინახვენო [236]).

სომხების აზრი თავიანთი ენის ქართულ ენად შე-
ცვლისა ცხადი სიცრუეა. რადგან ამას თვით ენის სისუფთა-
ვეც ამტკიცებს. ამ გარემოებას კარგად აგვიწერს ჩვენი პატივ-
ცემული მწერალი მამა ი. გვარამაძე: „უკეთუ ჩვენი წინაპარნი
სომხები იყვნენ,—ამბობს იგი ერთს თავის „მშაკის„ წინაალმ-
დეგ პასუხში,—რა ეჭვია,' თავიდგანვე სომხური ენა ექნებო-
დათ შინ, თუ გარეთ სახმარებლად: როგორც სასულიერო
პირნი ეკლესიებში წირვა-ლოცვას სომხურად ასრულებდენ,
ერშიაც იმავე ენას გაავრცელებდენ, მეტადრე ქალაქ ადგილს,
სადაც წერა—კითხვის ცოდნა უეჭველად საჭიროა მოქალაქე
მოვაჭრე მოზარდის ახალ-თაობისათვის! რა დასაჯერებელია,

---

[236]) Ricaut, Histoire de l'état présent de l'Eglise Arménienne, p. 408.

რომ სომხის მღვდელმა თავის მოწაფეს ქართული წერა-კითხვა ასწავლოს და სომხური არა?.... ვსთქვათ ხმარებაში ას წყვად ქართული ენა ყოფილა და მისგამო სომხურისათვის თავი დაუნებებიათ და ქართული შეუტანიათ ხმარებაში შინ, თუ გარეთ და ეკლესიებშიაც. მაშინ იმათ ქართულში, რომ თავიანთი სომხური დედა ენის თითო ოროლა ნაწყვეტებიც არის დარჩებოდა უეჭველად.... ხოლო რადგან არავითარი სომხური ენის ამგვარი ელემენტები არ დაშთენილა ჩვენს ქართულს ენაში, ცხადი ჭეშმარიტება არის, რომ ჩვენი წინაპარნი ქართველთა მოდგმისა და ჩამომავლობისანი არიან, მისთვის წმინდა ქართული ენა ჰქონიათ ხმარებაში. განა უარსაყოფელია ამისთანა ჭეშმარიტება?" ცხადია, ამისთანა სიმართლის მოსმენა სომხებს თ ვს აუტკივებს ⸗ მიზანს შეუშლის. ამისთვის ისინიც ყურებში თითებს იცობენ განგებ⸗ თვალებს ხუჭვენ ამისთანა უტყუარ ფაქტებზედ.

27) „მღვდელი მიქელ თამარაშვილი ორი წელიწადია რომში სძებნის კავკასიის საისტორიო საგნებსა ქართველი კათოლიკების შესახებ, მაგრამ როგორც ჩვენ გვატყობინებენ ნამდვილ წყაროდან, ერთს მაგ საბუთების მცოდნე პირს მისთვის გამოუცხადებია, რომ ეს საბუთები უფრო სომეხ კათოლიკებისათვის სასარგებლო ნივთებს შეიცვენ, ვიდრე ლათინის წესის ქართველებისაო". ესე ჩვენც მოგვწდა სომხის ავტორი.

— აი ერთი ახალი სიცრუის გამოგონებაც! ჯერ შევნიშნოთ, რომ ვილაც ამბავის მიმტან-მომტანს გაიძვერა მელიას ნამდვილ ჭეშმარიტ წყაროდ უწოდებს. მეორედ ეს რომ, თვით თამარაშვილის საიდუმლო კორესპონდენციებიც შეუტყვია, რაისგამო სიხარულით ფრთებიც შესხმია. ეს ბატონები თურმე შორეულ და საიდუმლო საგნებს ისე ხედვენ და ტყობილობენ, როგორც თავიანთ ჯიბის ქისას! ამაზე მეტი ბედნიერება იქნება-ღა? ამ მეჭორის სიტყვით ისე გასჭირებია საწყალ თამარაშვილს, რომ იმდენი ხნის ძებნით ერთი საბუთიც ვერ უპოვია ქართველების სასარგებლოდ; სომხების სასარგებლოდ კი ბევრი რამ შეუკრებია! აი, სომხური სიმართლე და ჭეშმარიტება რა ნაირი ყოფილა! თუ ისე ად-

ვილი ყოფილა სომხების სასარგებლოდ საბუთების პოვნა, რა-
ტომ არ იპოვეს მათ მიერ გაგზავნილმა კაცებმა? სომხებმაც
ხომ კაცები აფრინეს რომში ამ საბუთების შესაკრებად?
სხვათა შორის 1897 წ. სომხებმა გაგზავნეს ერთი მეხიტარი-
სტი მღვდელი, რომელმაც დაარა არა მარტო ვატიკნის არ-
ხივები, არამედ თვით კაფუცინების არხივსაც მიადგა იმავე
დროს, როდესაც თამარაშვილი იმ არხივში შრომობდა. ეგრე-
თვე 1898 წ. დეკემბერში, სომეხ კათოლიკების პატრიარქმა
კოსტანტინეპოლიდან რომში ბლომად მყოფ თავის მღვდლებს
მისწერა და დაავალა, ყველგან ეძებნათ საბუთები ქარ-
თველი კათოლიკების წინააღმდეგ. ზემოდ უკვე ვნახეთ ის
მცირე საბუთები, თავიანთ კაცების შეკრებილი, როგორ
დაამახინჯეს უფროსი ერთად ისინი, რომლებიც ქართველებს
შეეხებიან. ამ მოციქულების გაგზავნას არ დაკმაყოფილდენ.
ამ უკანასკნელ დროებში 1903 წ. აპრილში, სომხის მწერალთ
ერთი უმთავრესი ბელადი, თვით მეხიტარისტი მღვდელი ნა-
ჰაპეტიანი, რომელმაც ტფილისში ქართველ კათოლიკებს
ბევრი უსიამოვნება მიაყენა და მათი მტრობისაგან არ დასცხ-
რა, მივიდა რომში ამნაირი საბუთების საძებნელად, მაგ-
რამ, ისე ჰგავს, ვერც ამან შეისრულა გულის წადილი და
ჩვენდა წინააღმდეგ საბუთები ვერ შეკრიბა.

ხოლო იმის შესახებ, თუ ვის სასარგებლოდ ლაღადებენ
თამარაშვილის მიერ შეკრებილი საბუთები, ჩვენს ისტო-
რიაში ნათლად დავანახეთ. ხოლო ჩვენმა მოკამათე სომხის
მწერლებმა სხვა რომ ვერაფერი გააწყეს, ახლა ამით იჯერე-
ბენ გულსა: ამბობენ ყველა ეს საბუთები ყალბიაო, კა-
ფუცინებმა ქართული არ იცოდენ და რომს ატყუილებდე-
ნო; აი, სომხური ლოგიკა! ეს ბატონები, როგორც თვითონ
ყალბები არიან და ატყუებენ ქვეყანას, ისე სხვებსაც მატყუვ
რად რაცხვენ. რაოდენად უსაფუძვლო და რაოდენად სასაკი
ლოა სომხის მწერალთ ესრეთი აზრები, ამას ყველა ცხადად
ხედავს.

28) „დასაწყისიდანვე ტფილისისა და საზოგადოთ სა
ქართველოს ქალაქების მცხოვრებთა დიდი ნაწილი სომხებ

ყოფილანო". თურმე ამ ავტორის იმდენი სიცრუით და უსამართლობით სავსე წერილების მიზანი ის ყოფილა, რომ ესრეთი დანასკვი გამოელო.

— საწყალი საქართველო! როგორ ერთიან უხეირო ყოფილა დასაწყისიდანვე, რომ მისი შვილების ადგილი სომხებს დაუჭერიათ!!! სომხის ხმარებულ სიტყვას „დასაწყის" არ ვიცით, რა მნიშვნელობა მივსცეთ, რა ხანს ვაკუთნოთ; ქვეყნის გაჩენის დროს, ნოეს დროს, ჰაოსის დაბადების ხანს, თუ ტრთადის ეპოქას. ამიტომ ისევ თავის გამამგონ ავტორს მივანდობთ მის განსაზღვრას.

მართლა თუ დასაწყისშივე ესე ბლომად ყოფილან სომხები ჩვენს ყველა ქალაქებში, აქამდე მათში მყოფი ის მცირი ნაწილი ქართველებისაც უეჭველად უნდა გამქრალიყო, რადგან ცოტას მუდამ გაარარავება მოელის, ბევრს-კი აღმატება. ამ პრინციპის ძალით, რაღა თქმა უნდა, დღეს ყველა ქალაქების მცხოვრები სომხები უნდა იყვნენ, ვინაიდგან დასაწყისიდანვე ესენი ყოფილან უმრავლესნი. ამიტომ ცრუ-მატყუარად და სასჯელის ღირსადაც უნდა შეირაცხონ ისინი, ვინც აქამდე მათ ქართველად რაცხდენ. ეგრეთვე უმეცრად ! დიდ შემცდარად უნდა ჩაითვალონ ის ევროპელი მწერლებიც, რომლებიც თავიანთ წერილებში ასახელებენ ქართველებს და ქართული სახელს უწოდებენ საქართველოს ენას, მაგ: Giorgiani, Iberi, Géorgiens, Gurgi, Грузинъ. და სხ. თუ ქართველების რამე ნაშთი დარჩებოდა, ისიც უნდა გაბნეულიყო აქეთ იქით მთებში. ამისთანა მოვლენის შემდგომ რაღა თქმა უნდა, საქართველო სომხებისა ყოფილა; საქართველო საქართველოდ-კი აღარ დარჩენილა, არამედ სასომხეთად გადაქცეულა. საკვირველია, სომხის მწერალმა როგორ მიაწია ამნაირ მაღალს, ფილოსოფიურს გამოკვლევას! ესეც საკვირველია, რომ სომხის ტომი ამ გამოჩენილ პატრიოტს ახლაც არ უდგამს სახსოვარ ძეგლს, რადგან საკომხეთს უცბად ამოდენა ერი და ქალაქები შესძინა, რაც ვერ მოახერხეს სომხების ძლიერმა მეფეებმა და მწერლებმა.

ხოლო ერთი რამ-კი დავიწყებია ამ საუცხოო ბრი-

ფესორს: არ გვიხსნის იმ სასწაულს, თუ როგორ მომხდარა, რომ დასაწყისში იმ მომეტებულ სომხის მცხოვრებთ თავიანთი ენა დაუტოვებიათ, დაუკარგიათ და მიუღიათ იმ მცირედი რიცხვის ქართველთ ენა ? ფარნავაზ პირველიდგან დაწყებული ვიდრე 1800 წლამდე ქართველი მეფეების ბრძანების ქვეშ ყოფილან?

შეიძლება სომხები ამისთანა საოცარ სიცრუეზედ იმიტომ დამყარებულიყვნენ, რომ დღეს ხედვენ ერთის ? იმავე გვარის-პირებს ქართველებში ? სომხებში. მაგრამ ჩვენ ზემოდ საჭირო ახსნა მივეცით, და საკმაო საბუთებით განვმარტეთ ეს გარემოება. თუ კი უწინ სხვა ? სხვა ადგილებში ბევრ გვარ უბედურ გარემოებათა ძალდატანებით ქართველები მაჰმადიანდებოდენ ძალაუნებურად, ადვილად წარმოსადგენია, რომ ბევრიც სომხის სარწმუნოებას ღებულობდა და სომხებს ეთვისებოდა. ამ ჭეშმარიტების დასამტკიცებლად, ზემოდ დასახლებულ მიზეზთა გარდა შემდეგ ორ მაგალითსაც მოვიყვანთ. პირველი არის ქართველი ბერის ნიკოლოზ ერბახის სიტყვები, რომლებიც 1634 წ. კრებაში წარმოსთქვა, როდესაც სომხები და ბერძნები ქართველ გორელ ნასყიდა ლიპამონს გაკათოლიკებას უშლიდნენ: „ყოველდღივ ჩვენის თვალით ვხედავთ, რომ მრავალნი ქართველნი სომხდებიან და უფრო მომეტებული მათგანი მაჰმადის სარწმუნოებასაც ღებულობს, მაშ ვისაც კი უნდა გაფრანგება რაღად უნდა დაეშალოსო?“ [237]).

ხოლო მეორე 1628 წ. გორში მოსული აგვისტინიანი ბერის, პატრი ამროზის მოხსენებაა რომში 1640 წ. გაგზავნილი, რომელიც ასე ამბობს: „ამ ქრისტიანების ქვეყანაში კვალად შეიძლება ბევრი კეთილის ქმნა რავდენიმე მამულ-სოფლების ყიდვით, როგორათაც შვრებიან სომხები, რომლებისაც თუმცა დიდი სიმძულვარე აქვსთ ქართველებს სარწმუნოების საქმეში, მაგრამ რა-კი მათი ხელქვეითი გახდებიან, ბევრი მათგანი გადადის სომხის წესზედ. ამაზედ უარესიც ვნახეთ, ზოგიერთმა საქართველოში მცხოვრებმა, მდიდარმა ურიებმა გააუ-

---

[237]) თეათინელების არხივი რომში, № 9. 6.

რიავეს რავდენიმე თავიანთი ყმა და მოსამსახურე. ამისთვის თვინიერ რაიმე ეჭვისა, ბევრი ქართველები სიამოვნებით მიიღებენ ლათინის წესსა, უკეთუ შეიქმნებიან ჩვენნი ხელქვეითნი“ [238]). ამისთანა გაჭირვებულ მდგომარეობაში ყოფილან იმდროსაც სპარსელებისგან გაოხრებული დ აკლებული ქართველები, რომლებიც ახლად მობძანებულ მდიდარ სომხებს თავიანთ კლანჭებში ადვილად ჩაუგდიათ.

შევნიშნოთ ამ საბუთის ეს სიტყვა „molti“ ბევრი სარწმუნოებაზედ გადადიოდენო. ამგვარი მოვლენა ხშირი იყო ძველს საქართველოში. ხოლო არსად მოიპოვება იმისთანა მოწმობა, რომ ქართველებს დაეტოვებინოთ სომხების სარწმუნოება და ისევე თავიანთ სარწმუნოებაზე გადასულიყვნენ. მაშ ისინი სომხების სარწმუნოებაში რჩებოდენ თავაანთ ჩამომავლებით. მაგრამ ცხადია, ამ ქართველებმა თუ სარწმუნოება უარყვეს, გვარტომობა უარ არ უყვიათ და არც თავიანთი სახელები დაუტოვებიათ, რადგან დანარჩენი მართლმადიდებელი ქართველები არ ედავებოდენ გასომხებულ ქართველებს თავიანთ გვარისა და სახელის შენახვას.—აწ სომხებს თუ ჭეშმარიტების მოსმენა უნდათ, ეს მოკლე ახსნაც ეყოფათ, თუ არა, ყრუსათვის ცოტა ლაპარაკიც უსარგებლოა.

ამ მოყვანილ საბუთში შევნიშნოთ ეგრეთვე სიტყვა „Giorgiani„ — ქართველები, რომლების გაკათოლიკებასაც პატრები ცდილობდენ. ამ ვრცელ მოხსენებაში, გარდა ამ ზემო სტრიქონებისა, ერთი სიტყვაც არ ყრის სომხების შესახებ, არც მათ მოქცევაზე, იმიტომ, რომ საქართველოში მოსული პატრები, სომხებისათვის-კი არ იყვნენ, არამედ ქართველებისათვის. ამისთანა მრავალი ისტორიული ჭეშმარიტების წინააღმდეგ სომხები მაინც დაჟინებით იძახიან, კათოლიკობა საქართველოში მარტო სომხებს მიუღიათ და მისიონერებს მარტო სომხები მოუქცევიათ და არა ქართველებიო. სომხების ესრეთი ჯიუტობა იმ ბრმას მოგვაგონებს, რომელიც, თვისი უსინათლობის გამო, დაჟინებით შუადღის მზის ნათელს უარყოფდა.

---

[238]) პროპაგანდის არხივი, Glorgia. vol. 1. № 14.

აქ ვაბოლოვებთ ჩვენ მოკამათე სომხების მწერალთა ნაწერების გამოკვლევას. ყველა მათი ნათქვამი სიტყვები და გამოთქმული აზრები რომ გამოგვეძია, ეს წერილი ძლიერ გავრცელდებოდა, ამისგამო მარტო შევეხევით მათ უმთავრეს აზრებს, რომლების გაცრუებით სხვა დანარჩენი აზრებიც თავისთავად უნდა გაცრუვდენ. ამიტომ ყველას აღარ გამოვუდგებით.

მკითხველი ალბათ შენიშნავდა, რომ ართვინის შესახებ მცირე შენიშვნა დავწერეთ და სომხებისთვის პასუხი არ გაგვიცია. იმიტომ, რომ ჩვენმა მწერლობამ ართვინელების ქართველებზედ ბევრჯერ ილაპარაკა, მაგალითად ბუნების კარში ამას ვკითხულობთ: „ჭოროხის ხეობაზედ, საკუთრად ლივანში სძევს ქალაქი ართვინი, სადაც 20000 მეტი სული მცხოვრებია. ამათში ასი კომლი სომეხია, ექვსასი ქართველი ფრანგი და ათას სამასი კომლი გამაჰმადიანებული ქართველი... ართვინში, მეტადრე ეკკლესიაში, აქამდის თურმეიპოება ძველი ხელთნაწერი ქართული წიგნები.“ [239]) აგრეთვე ჩვენს ჟურნალგაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა იქაურ ქართველობაზედ სხვა და სხვა საბუთები. (მაგალითად: 1897 წ. მოამბეში № 12). აგრეთვე ართვინის კათოლიკები და თვით მათი მღვდლებიც, რომლებსაც ყურში ჯერ კარგად არ ჩაწვეთებიათ სომხების უარმყოფლობის და სიცრუის შხამი, ამბობენ და აღიარებენ ქართველ მოდგმობას და ჩამომავლობას. ამისთვის ჩვენ აღარ ვისურვეთ ამ საგანზედ ბჭობა და საბუთების წარმოდგენა. უკეთუ ჩვენი მოკამათე სომხის მწერალი არაფრად ჩააგდებს ამ ცხოველ მოწმეს და ჭეშმარიტს საბუთს, რომლებიც ართვინელების ქართველობას ამტკიცებენ, ცხადია, ამ საგანზედ არც ჩვენ მიერ წარმოდგენილ საბუთებს შეწუნარებს.

აქ ვაბოლოვებთ წერილს, თუმცა წინათვე დარწმუნებული ვართ, ესრეთი პასუხი ყველა ნაირი დოკუმენტებით და-

---

[239]) ბუნების კარი, იაკობ გოგებაშვილის მიერ, გვ. 304—305 ტფილისი, 1891.

საბუთებული, ჩვენს მოკამათე სომხის მწერლებს ცრუ კათოლიკებს, კი არ გააჩუმებს და პირს არ დაუყოფს, არამედ უფრო ააღელვებს და გამოიწვევს მათგან ბევრნაირ უსაფუძვლო საპოლემიკო წერილებს, რადგან მტყუანის იარაღი, სიჩუმე კი არა, არამედ ხმა მაღლა ყვირილი და დაჟინებით ჭეშმარიტების უარის ყოფაა. გარნა მაინც ვისურვეთ ამ წერილის გამოქვეყნება მხოლოდ იმ აზრით, რომ სცნან სომხებმა თავიანთი უსამართლო მოქმედება ჩვენ წინააღმდეგ და დასცხრნენ ესრეთი მტროობისაგან, რათა ერთმანერთში კეთილი ძმური განწყობილება ვიქონიოთ, რაც დიდად შეეწევა ქვეყნის საზოგადო კეთილ დღეობას. ხოლო თუ ესრეთი ჩვენი თავის გამოსარჩლება და სიმართლის გამოქვეყნება სომხებს საწყენად დაურჩებათ და უფრო აღელდებიან, რაც ჩვენი აზრი არ არის, მაშინ ისინი დაამტკიცებენ, რომ მათ სიმართლე არ უყვართ და ეძებენ მიზეზს, შფოთი ჩამოაგდონ და მუდამ უმტრონ თავიანთ მასპინძელ ქართველებს, რაც არ შეშვენის პატიოსან, სვინდისიან კაცს, კარგად განათლებულს და კეთილ ქრისტიანს.

დამატება

ჩვენ უკვე დასრულებული გვქონდა ეს წიგნი, როდესაც მეხითარისტმა მღვდელმა გაბრიელ ნაჰაპეტიანმა ვენეციაში იტალიანურად გამოსცა თავისი წიგნი ქართველი კათოლიკეების წინააღმდეგ.

ვფიქრობდით, რომ ამ ბატონსაც ხელი უნდა ჰქონოდა ქართველი კათოლიკების წინააღმდეგ გამოცემულ სტატიებში, რომელიც სომხურმა გაზეთმა „მშაკმა“ დაბეჭდა „სომხის კათოლიკის და ა. ს.“ სახელით. ახლა-კი ეჭვი აღარა გვაქვს, რომ ესეც ყოფილიყოს ერთი იმ მწერალთაგანი, ანუ მათი სულის ჩამდგმელი და ჩამგონებელი. რადგან ეხლანდელი მისი გამოცემული წიგნი ბევრად განსხვავდება ხსენებული სტატიების აზრებში, ამისათვის წინადვე გვქონდა დაწერილი ამ წიგნში მისი წერილის გამამტყუნებელი პასუხი. ამის და მიუხედავად, მოკლე პასუხი დავაბეჭდინეთ 1903 წ. „ივერიის“ №№. 228, 229, 230, 231, 233, 236-ში, რომელ პასუხსაც აქ მოვიყვანთ კვალად და ცოტა სხვასაც მივუმატებთ.

Gli Armeni cattolici in Georgia e le questioni fra cattolici Armeni e Georgiani.

ეს წერილი სამს მოხსენებას შეიცავს. პირველის სათაური არის. „სომხის კათოლიკები Gli Armeni cattolici in Georgia“ გვ. 1—12. ამ ნაწილში ავტორი აღნიშანვს სომხების შეერთებას რომის ეკკლესიასთან ძველ დროიდგანვე და მათ კეთილ განწყობილებას ერთმანერთში; დიდს სასომხეთში მისიონერების შრომას, განსაკუთრებით სომეხ-უნიტორების დიდ მოღვაწეობას და კათოლიკობის გავრცელებას სომხებში. ასე

რომ 1316—1334 წ. საქართველოში და მის გარეშე სომხის კათოლიკების რიცხვი აჰყავს 19, 000 სულამდე. მაჰმადიანების მიერ სასომხეთის მოოხრების გამო სომხებმა დაიწყეს საქართველოში შეხიზვნა და ქართველთ მეფეებმა, მეტადრე დავით აღმაშენებელმა და სომეხთ მარიამ დედოფალმა მეტად ხელი შეუწყეს მათ საქართველოში გადმოსახლებას, ასე რომ სომხებმა საქართველოს ყოველი ქალაქები გაავსეს და ქართველებს რიცხვითაც ბევრად აღემატნენო; სომეხთ უნიტორებმა ამ სომხებში გაავრცელეს კათოლიკობა, გაკათოლიკებული სომხების რიცხვი იმდენად აღემატა, რომ მათთვის ტფილისში დააარსეს საეპისკოპოსო კათედრა და შვიდი ეპისკოპოსი ავიდა ზედო; მათი დანიშვნის ყოველი გარემოება ამტკიცებს, რომ იგინი იყვნენ მარტო სომხის ერისთვისო; რომსა ბ უნიტორთ მარტო ეს ერი ჰყავდათ მხედველობაში ბ ამის გამო არაფერს ატყობინებდენ საქართველოს მეეფეს და არც საქართველოს სამეფო ქალაქად სთვლიდენ ტფილისსაო; შემდგომ მოვიდენ თეათინელი მისიონერები, მაგრამ მათი შრომა ქართველებისათვის სრულიად უნაყოფოდ დარჩაო; ბოლოს მოვიდენ კაფუცინები საქართველოში: მათი მისიონის ისტორია მეტად ნაკლულევანია, სრულებით არ იხსენებს მათ უწინარეს იმ კათოლიკებს და ტფილისის სომეხ-კათოლიკე კკლესიას, სადაც შვიდი ეპისკოპოსი იჯდაო. ამათ მხოლოდ სომხები გააკათოლიკეს და ყველა ქალაქების კათოლიკენი სულ სომხები იყვნენო. ამას ამტკიცებს აგრეთვე ციციშვილის და სხვა მთავარ-მართებლების წარდგენილი მოხსენება, სადაც კათოლიკედ მარტო სომხებს იხსენებენო. ქართველთ მეფენი და პატრიარქნი მხოლოდ მაშინ იჩენდენ თავს, როცა სომხები მისიონერებს სდევნიდენ; პაპებს სწერდენ ლათინურად წერილებს, რომელიც არც ესმოდათ და არც როდისმე წაუკითხიათო; მათ მოჩვენებით ჰპირდებოდენ რომის ეკლესიასთან შეერთებას, მხოლოდ იმისთვის, რომ მათგან საჩუქრები მიეღოთ. მხოლოდ აგერ ოცი წელიწადია, რაც ერთმა გალათინებულთა გუნდმა თავი გამოიდო. დაიწყო ახლად გაქართველება (neogiorgiani) ყოველ საშუალებას მიმართა და დაუწყო კათოლი-

კეებს ჩაგონება: მრავალი საუკუნეა, რაც თქვენ საქართველოში სცხოვრებთ, ამისთვის თქვენც ქართველი უნდა იყვნეთო. მ. მიქელ თამარაშვილმა არხივებში შეკრებილი საბუთებით გამოსცა ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, იმ აზრით, რომ ვითომ დაემტკიცებინა ქართველ კათოლიკების არსებობა; გარნა ყველა კრიტიკოსმა ქართველებმა, სომხებმა და თვით მეც შევნიშნეთ, რომ ეს გამოცემული საბუთები უფრო სომხებისთვის სასარგებლოა, ვიდრე ქართველ კათოლიკებისათვისო; ეს წიგნი ამტკიცებს ჩვენს წინადადებასაო, რომ როგორც უწინდელი კათოლიკები, ყველა სომხები არიანო; მშვიდობის დასამყარებლად საჭიროა, რომის საყდარმა ურჩიოს ამ ახლად გაქართველებულებს, რომ მიუბრუნდენ სომეხ კათოლიკე სამწყსოს, რომლისაგანაც განშორებულან და გაუყვიათ თავიანთი ტომი ტ ტიბიკონი, რათა გამხდარიყვნენ წარჩინებულნი და კეთილშობილნიო.

ამ წერილის მეორე მოხსენებას, რომელსაც თარიღი უზის 21 ივნისისა 1903 წ. (ვენეცია, გვ. 13—21), ეს სათაური აქვს: „სწრაფი განხილვა კონსტანტინეპოლში ფერიქეოის მონასტრის მისიონერების დასაწყისისა, მათი განზრახვისა, შეხედულობისა და ქართველ კათოლიკეებად გარდაქცევისა. Rapida esposizione sull origine dei Missionari del Convento di Feri-Keuy a Constantinopoli sui loro disegni, vedute e sulla metamorfosi dei giorgiani Cattolici".

ამ წერილის უმთავრესი მიზანია, უჩვენოს დასაწყისი ეხლანდელი ქართველი კათოლიკებისა კავკასიაში. აღწერს, თუ ახალციხელმა მღვდელმა ხარისჭირაშვილმა როგორ ტ რა საშუალებით დააარსა კონსტანტინეპოლში მონასტერი და თუ იქ ნაკურთხმა მღვდლებმა როგორ გაიტარეს ხელში საქართველოს ყველა კათოლიკე ეკკლესია, მეტადრე ტფილისის ერთად ერთი ეკკლესია, რომელიც, ყველას მოწმობით, სომხის კათოლიკის ეკკლესიაოო, თუმცა მასში თავდაპირველად წინამძღვარნი კაფუჩინები და ლათინის ტიპიკონის პოლონელი მღვდლები იყვნენო, ამიტომ მისი ვიქერი მუდამ სომხის მღვდელი ყოფილაო. პრელატმა ორლოვსკიმ, 1878 წ., ახალი ეკ-

კლესია ააშენა და მთლად თავისი ლათინის წესის მრევლით იქ გადავიდა და ძველი ეკკლესია დარჩათ აქაურ ლათინის წესის მღვდელებსო: ამ გარემოებიდან წარმოსდგა ქართველ კათოლიკეების საკითხიო; ქართველმა მისიონერებმა ამ ეკ-კლესიიდგან განაძევეს სომხის მღვდლები და შემდგომ მრევლს ჩააგონეს, თქვენ ქართველი ხართ და არა სომეხიო. აგერ რვა საუკუნეზე მეტია, რაც საქართველოში მკვიდრობთ, რის გამოც დაგავიწყდათ თქვენი სომხური ენა, ჩვეულება და გრძნობაო, გაქართველდითო; თუ ქართველად შერაცხთ თქვენს თავს, რუსის მთავრობაც კარგად მიგიღებსთ და ბევრი სარგებლობაც გექნებათო; ერი ლათინის ტიბიკონზედ გადაიყვანეს და ესრედ ჩამოაგდეს სიმძულვარე ორსავე მხარესო; სომხების ყოველი კვალი ეკკლესიაში ბარბაროსულად მოსპესო და წინამძღვარმა ალფონს ხითარაშვილმა კეთილ მყოფელი სომხების ყველა საბუთები დასწვა გარდა ერთისა: ქართველების ბარბაროსული მოქმედება სომხებისა დი მათი ტიბიკონის წინააღმდეგ მარტო ამ ეკკლესიაში არ ყოფილა, არამედ კავკასიის ყველა ეკკლესიებში ასე ჩაიდინეს და დღესაც ასე მოქმედებენო. ამით ჩემი მისსია ძლიერ დამიბრკოლეს, რადგან, როდესაც მივედი ტფილისში, დავუწყე შეერთებაზედ ლაპარაკი გრიგორიან სომხებს, ამათ ერთად ერთ სიძნელედ მიჩვენეს მისიონერების მტრობა სომხების წინააღმდეგო. ესენი სომხის ეკკლესიის ტომისა და ლიტურგიის წინააღმდეგ ყველანაირ უწესოებას ჩადიანო, რის გამოც ყოველი ჩემი სიტყვა უნაყოფო რჩება სომეხ-გრიგორიანების წინაშეო. ამ მისიონერებმა რომს დააჯერეს, ვითომც გალათინებული სომხების საშუალებით ადვილად შეიძლება კათოლიკობის გავრცელება მართლმადიდებელ ქართველებშიო. აი ასეთის სიცრუით რომსა და საფრანგეთს აჯერებენ ქართველ კათოლიკობის არსებობასო. ბოლოს ურჩევს რომს, თუ მართლა კავკასიაში კათოლიკეების წარმატება უნდა, ტფილისის ეკლესია დაუბრუნოს სომეხ კათოლიკებსაო და მისცეს სომხის წესის ეპისკოპოსიო.

მესამე მოხსენება, რომელიც ვენეციაში რომიდან გაუგზავნია 5 ივნისს, გვ. 21—37,—ამ სათაურით იწყება: „მოკლე

შენიშვნა რუსეთის კავკასიის კათოლიკე მისსიონერებისა და კათოლიკე სომხებსა და ქართველებს შუა აღძრულის საკითხის შესახებ, ჩემი იქ მისვლის წინად და შემდგომ. წარმოდგენა საჩივრებისა წინააღმდეგ ჩემი მისვლისა და ჩემის შრომისა კათოლიკების სასარგებლოდ, Breve cenne sulle missioni cattoliche nel Caucaso Reusso sulle questioni fia cattolici Armeni e Georgiani avanti e dopo il mio arrivo in queste regioni. Esposizione delle accuse che si rivolgono alla mia missione, all'opera mia in favore del Cattolicismo".

1821 და 1828 წლებში სომეხ-გრიგორიანებისაგან აღძრული ფიცხელი დევნულების გამო, საქართველოს კათოლიკენი აღარ ნდომილობდენ, წოდებულიყვნენ სომეხ-კათოლიკედ, არამედ დაირქვეს ფრანგი, ანუ რომის კათოლიკეო. ოსმალოს და რუსის მთავრობის სომხებისადმი წინააღმდეგ პოლიტიკა ზოგიერთმა ლათინის წესის მღვდლებმა გამოიყენეს და მრევლს ჩააგონეს, ქართველ ტომად აღეარებინათ თავიანთი თავი, რის გამო ბევრი სარგებლობა ექნებოდათო; ამ საშუალებით მათ შეადგინეს, აგერ ოცი წელიწადი იქნება, ერთი გუნდი ლათინის წესის ახალი ქართველ-კათოლიკებისა და დაუწყეს შეურაცყოფა და ომი სომხის კათოლიკებს, რაის გამო ზოგიერთი ამათგანი შეუერთდა სომეხ-გრიგორიანების ეკკლესიასო. აქვე აღწერს ართვინის კათოლიკების შემოერთებას, თავის ევროპაში სწავლა-განათლების მიღებას, იქვე მღვდლად კურთხვას, იქიდგან ალექსანდროპოლში მისვლას, თავისს საკვირველ შრომას კათოლიკეების სასარგებლოდ და თავის იქიდან ტფილისში გადმოყვანას. აგრეთვე იხსენიებს ვრცლად თავისს გამოვლილს შეწუხებას, რაიც ვითომ მიუყენებია ტფილისის ეკკლესიის წინამძღვარს მამა პავლე ყალაიჯიშვილსდ რასაც უწოდებს თავისს ხანგრძლივ წამებას. მასთანვე დასძენს, ტფილისის სამრევლო სკოლაში არ მიმიშვეს, სომხური მესწავლებინაო. ჩემი საქციელი, ყოფა-ცხოვრება და მოქმედება მეტად სასიამოვნო და სამაგალითო შეიქმნა მრევლისათვის და ბევრი სომეხი გრიგორია-

ნები მოიზიდა ეკლესიაშიო. მე მუდამ მომხრე ვარ სომხური ტიპიკონისა, რადგან რომისაგან დამტკიცებულიაო, ხოლო ეს გალათინებულები-კი მას, როგორც უნდათ, ისე სცვლიან, ამახინჯებენ და სომეხ-კათოლიკე ეკლესიაში, სომხურის ნაცვლად, ქართული ენა შეაქვთო და სომხის მღვდელს არ უშვებენ თავისი მოვალეობა შეასრულოსო. აქვე მოჰყავს ოთხი მუხლი იმ საჩივრებისა, რომლებიც მასზედ სარატოვის ეპისკოპოსისათვის მიუციათ და თავს იმართლებს ამ ბრალდებულებათაგან. თავისს უმთავრეს მტრად და მოჩივრად სახავს ოთხს: ტფილისის ეკლესიის წინამძღვარს მამა პავლე ყალაიჯიშვილს, მამა ალფონს ხითარაშვილს, მამა ივანე ანტონიშვილს და კაფუჩინს ტრაპიზონში მყოფ პატრი ევგენიოსს, რომელმაც შარშან საქართველოში გამოიარა. ამათ ყველანაირის უშვერის სიტყვებით ამკობს და ჩამოსთვლის ყოველ სიავეს, რაც-კი გაუგონია მათზედ, ტყუილი თუ მართალი, და ბოლოს უჩვენებს სომხებში კათოლიკობის დიდს წარმატებას, ხოლო ქართველობაში კათოლიკობის გაუვრცელებლობას აბრალებს გაქართველებულის მღვდლების უმეცრებას, სულელობას და ანგარებას და მოელის რომისგან წრფელ მსჯელობას.

რა ვნახეთ ეს წერილი გამოქვეყნებული, დიდად გავკვირდით ავტორის მეტიჩრობასა და თავგასულობაზედ, რომ ჩვენს წინააღმდეგ ეგოდენ სიცრუეს და ცილის წამებას ევროპაშიაც ავრცელებს: არ იკმარა, რაც აქამდე სომხური და რუსული გაზეთებით გაევრცელებინათ მის თანამამულიშვილებს. ამისთვის არ გვინდა ყურადღებული დავტოვოთ ესეთი თავხედური წერილი. მიუძღვნით ყველა ნაწილს მოკლე პასუხს.

პასუხი პირველის მოხსენებისა.

სრულიად ჭეშმარიტებას მოკლებული და ფაქტის წინააღმდეგია სომხების ბლომად გადმოსახლება საქართველოში ძველ დროდგანვე. თუ რომ სომხები ყველა ქალაქებში ქართველებზედ მეტი ყოფილიყვნენ, მაშინ თავიანთი ენა და ზნე ჩვეულება-კი არ უნდა დაევიწყებინათ, არამედ თავიანთის

უძლიერესის ზედგავლენით ქართული ენა და ზნე-ჩვეულება უნდა მოესპოთ და ის მათზედ უმცირესი რიცხვი ქართველებისა თავიანთ საზოგადოებაში უნდა შეეთვისებინათ და ყველა გაესომხებინათ. ესეთი მოვლენა აუცილებელი იყო. გარნა საქართველოში სრულებით არსად ვხედავთ ამის კვალს, აგრეთვე არც ერთი ძველი მოგზაური და მწერალი არ მოგვითხრობს იმ დროს, ესე იგი შუა საუკუნეებში, სომხების ყოფნას საქართველოში. ჩვენი ისტორიაც სრულებით გაჩუმებულია ამაზედ. მართალია, ამას ზოგიერთი სომხების მწერლები იხსენიებენ; გარნა უკვე უწყებულია სომხის მწერლების სიყალბე ამისთანა საგნებში. ამისთვის მათ გამოგონილს ამბებს ვერ მივსცემთ საისტორიო ღირსებას და მნიშვნელობას. გარდა ამისა, ბევრი უცხო ძველი მწერლების მოწმობა (რომლების აქ მოყვანა შორს წაგვიყვანს) ხელთა გვაქვს, და გვიჩვენებს გარკვევით, რომ სომხები უწინ, საქართველოში-კი არა, ბიზანტიის საბრძანებელში გადასახლებულან გუნდ-გუნდობით სხვა-და-სხვა დროს ტმტრისათვის ისრე თავი დაუწევიათ, რაც შეუძლებელი იყო საქართველოში, რადგან ხშირად სასომხეთის უბედურება საქართველოსაც სწვევია. ამისთვის სომხების ბლომ-ბლომად გადმოსახლება საქართველოში, უწინარეს მეჩვიდმეტე საუკუნისა, და მათ მიერ ყველა ქალაქების გავსება ეხლანდელი გაზვიადებული პატრიოტი სომხების ცხადი ჭორია, და არა საისტორიო ფაქტი.

ამისი მზგავსი სომხების გამოგონილი ჭორია სომეხ უნიტორების შემოსვლა საქართველოში 1324 წ. და მათ-მიერ კათოლიკობის გავრცელება მარტო სომხებში. ეს სიცრუე ჯერ იმიტომ, რომ სომხების უმრავლესი ერი (როგორც ჰგონიათ) არ იყო საქართველოში; მეორედ იმიტომ, რომ დაწყებული 1230 წლიდან მეთხუთხმეტე საუკუნის ბოლომდე ევროპიდან გუნდ-გუნდობით მოდიოდენ უკლებლივ დომინიკიანი და ფრანჩისკიანი მისსიონერები, რომლებიც ქართველებში ავრცელებდენ კათოლიკობას, ასე რომ გაკათოლიკებული ქართველები მისიონერებადაც მიდიოდენ უცხო ქვეყანაში. ამნაირ მაგალითს ვხედავთ თვით 1321 წ., როცა

სომეხ უნიტორების ხსენებაც არ იყო ჯერ ქვეყანაზედ (იხილე ისტორია კათოლიკობისა, გვ. 28). ამისთვის არავითარი საჭიროება და რაიმე მიზეზი არ იყო, ახლად გაკათოლიკებული სომხის უნიტორი მისიონერები შემოსულიყვნენ საქართველოში, როდესაც სასომხეთში უფრო საჭირო იყო მათი შრომა. ამათ საქართველოში ცოტა დროებით ვხედავთ მარტო მეთევვქსმეტე საუკუნის ნახევარში, როდესაც ევროპელ მისიონერებს, ოსმალების გამო, ველარ შეეძლოთ შემოსვლა. ამიტომ ცხადი და ნამდვილი სიცრუეა, როცა ამბობს სომხის მწერალი, ეგოდნათ გამრავლდა სომეხ-კათოლიკების რიცხვი, რომ მათთვის ტფილისში საეპისკოპოსო დააარსესო. დღეს ხელში გვაქვს უტყუარი ფაქტები ტფილისში 13 ლათინის ეპისკოპოსის დანიშვნის შესახებ. ამათში ერთი სიტყვაც არ არის სომხების გამო. პაპები როცა ეპისკოპოსებს ნიშნავდენ, მათ უსაზღვრავდენ ქვეყანას და ერს ამ სიტყვებით: „ქართველების სამეფო, ანუ ქართველების სამეფოს წარჩინებული ქალაქი ტფილისი და სხ. (იხილე ისტორია კათოლიკობისა, გვ. 32 — 50). ფიქრადაც-კი წარმოსადგენი არ არის, რომ ქართველებში გამოგზავნილი ეპისკოპოსები მათთვის არ ყოფილიყვნენ, არამედ სხვა ტომისათვის. ამას ისტორიებიც ცხადად მოწმობენ. ტფილისის პირველი ეპისკოპოსის ბიოგრაფიაში ვკითხულობთ ამას: „ყოვლად განათლებულმა იოანე პატრმა, საქართველოს ტფილისის ეპისკოპოსმა თავის წესის ძმა ბერებთან ერთად, დაუღალავად იშრომა ქართველების გასაკათოლიკებლად. ამ ერის გასაწვრთნელად კათოლიკე სარწმუნოებაში ბევრი წიგნი თარგმნა ქართულ ენაზედაო. L'année Dominicaine, par le P. F. Charles de S. Vincent, p. 107. ქართველების გარდა საქართველოში იმ დროს (1329 წ.) ურწმუნოებიც იყვნენ და არა სომხები. მისიონერების თავდაპირველი საზრუნველი ქართველები იყვნენ. გარნა ურწმუნოებსაც არ სტოვებდნენ შეუწევნელად. არც ამის შესახებ გვაკლია საისტორიო მოწმობა. პირველის ეპისკოპოსისას ასე მოგვითხრობენ „იოვანე ფლორენციელმა, თავისი ცხრამეტი წლის ეპისკო-

ბოსობის განმავლობაში, მეტად შეაყვარა თავი, როგორც ქართველებს, ისე ურწმუნოებს, რომლებიც მათ გარეშე სცხოვრებენ. იმან თავისი წესის ბერების გარდა, მისიონის სამსახურში მოიშველია ეგრეთვე წმიდა ფრანჩისკეს ბერებიც, რათა ქართველები და ურწმუნოები გაეკათოლიკებინაო". (Storia Universale delle Missioni catoliche tom. 1, p. 125). როგორც სომხის ერი, ისე სომხის მისიონერები გამორიცხული არიან აქ და იმ დროებში კათოლიკობის გავრცელებისათვის არავითარი მონაწილეობა მიუღიათ. როგორც ამ პირველი მისიონერებისა, ისე შემდეგ საუკუნეებში მოსული მისიონერების საზრუნველი და გასაკათოლიკებელი ქართველი ერი იყო, რის გამო მათ შესახებ ევროპაში გზავნიდენ სხვა-და სხვა მოხსენებას, სადაც ერთი სიტყვა არ არის სომხების შესახებ (იხილე ისტორია კათოლიკობისა, გვ. 84—87). სომხებს ასახელებენ მარტო მდევნელებად და მტრებად კათოლიკე სარწმუნოებისა. ესრეთვე ისტორია უტყუარის საბუთებით მოწმობს თეათინელი და კაპუჩინი მისიონერების დიდ შრომას და უხვს ნაყოფს ქართველ ერში. ავტორი ამ ცხადზედ უცხადესის ფაქტების წინაშე განგებ თვალებს ხუჭავს და ცდილობს მათ უარყოფას, მაგრამ დიდად სცდება, რადგან ამ რიგობით უფრო ამტკიცებს თავის სიყალბეს და უფრო ცხად ჰყოფს ამ საისტორიო ფაქტების სინამდვილეს.

ეგრეთვე ყოველ ჭეშმარიტებას მოკლებული და ცხადი სიცრუეა ტფილისში სომხის კათოლიკის ეკკლესიის არსებობა, რასაც ავტორი საუცხოვო დაჟინებით გაიძახის და იჩემებს. ამას არც ერთი მწერალი და არც ერთი მგზავრი არ მოგვითხრობს, ამისი უმცირესი კვალიც არა სჩანს.

1878 წლამდე ტფილისში ერთად-ერთი კათოლიკე ეკკლესია იყო, ესეც მუდამ ლათინის ტიპიკონისა ‌ლ ლათინის წესის მღვდლების ხელში, რადგან ეს ეკკლესია წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს იმ ლათინის წესის ეკკლესიას, რომელიც 1240 წელს ევროპიდამ ტფილისში მოსულმა დომინიკინიანმა მისიონერებმა გააშენეს, რომელიც 1329 წ.

შეიქმნა ლათინის წესის საეპისკოპოსო კათედრად და რომელიც, 1663 წ., კაფუჩინებმა აღადგინეს და მოსძღებს დღევანდლამდე. ამ ეკკლესიის თვით უკანასკნელი ელემენტიც ღაღადებს, რომ იგი ლათინის მოძღვრების გაშენებული, მუდამ ლათინის წესის ეკკლესია ყოფილა და არა სომხისა. მასში სომხის წესის მღვდლები მხოლოდ ზოგჯერ შემთხვევით და დროებით ყოფილან, სტუმრის მსგავსად, როგორც თვით ავტორი მამა ნაჰაპეტიანი ბრძანდება ამ ჟამად. კაფუცინებს თუ პოლონელ მღვდლებს იგინი დროებით მიუწვევიათ მარტო აღსარების სასმენლად უცხო ქვეყნიდგან დროებით მოსულ მეფურნე და ვაჭარ-მუშა სომხებისათვის. ამიტომაც ამ ეკკლესიაში სხვა არაფერი უფლება ჰქონიათ, მართლადაც, რომ დიდი თავხედობა და გლისპობაა ავტორისა, რომ ამნაირ ცხადზედ უცხადებს საისტორიო ფაქტებს უარყოფს და დაჟინებით გაიძახის, ეს სომეხ კათოლიკის ეკსლესიაა, ეს ჩვენ გვეკუთვნისო!

აგრეთვე ძლიერ სცდება ავტორი, რომ მთავარ-მართებლების წარდგენილი მოხსენებანი ჩვენდა წინააღმდეგ საბუთად მოაქვს.

გენერალ-ლეიტენანტის კნორინგის რაპორტში, რომელიც იქმნა წარდგენილი 12 აპრილს, 1802 წ. ნათქვამია:

„Прибывъ въ Тифлисъ сего апрѣля 9-го числа и приступивъ немедленно ко исполненію Всевысочайшаго повелѣнія Вашего Величества, даннаго мнѣ въ 12-й день сентября 1801 года, я сего числа обнародовалъ здѣсь въ соборныхъ храмахъ—грузинскомъ, Армянскомъ, **римско-католическомъ** и въ магометанской мечети და სხ. *).

მათში არც ამ რაპორტში და არც სხვებში ქირთველ კათოლიკეების ხსენება არ არის, ხოლო იმას- კი არ ფიქრობს, რომ ეს განგებ გამოტოვებულია, რადგან საჭიროება ასე მოითხოვდა. 1735 წ. მთელს რუსეთის საბრძანებელში გამოცხადდა

*) რუსული გაზ. კავკაზი 14 აპრილის 1992 წ.

ერთი უქაზი, რომელიც ყველას სასტიკად უკრძალავდა მართლმადიდებელების კათოლიკობაზედ გადაყვანას. ეს კაფუჩინებმა კარგად უწყოდენ. საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს, ეს აღკრძალვაც აქ მაშინვე ძალაში შევიდა; რის გამო კაფუჩინების საქართველოში დარჩენა საეჭვო გახდა. მთავრობამ მათ კიდევაც დაუპირა განდევნა, მთავარ-მართებელი ციციშვილი ვაფუჩინების მეგობარი და კეთილისმყოფელი იყო, გულით უნდოდა მათი დატოვება; ამისათვის განგებ გამოსტოვა ქართველი კათოლიკების მოხსენება და უმაღლესს მთავრობას უჩვენა, მარტო სომხებს და მთიულებს აკათოლიკებდენო. ამავე ნაირად მოიქცნენ შემდეგი მთავარ-მართებლები და მგზავრი-მწერლები.

ეგრეთვე ცხადი სიცრუეა ავტორის გამოთქმული აზრი, ვითომ ქართველი მეფეები რომს ატყუილებდენ და უგზავნიდენ ლათინურად წერილებს, რის შინარსი თვითანაც არ იცოდენ, რა იყოვო. ასე ბავშურად სრულიად არ იქცეოდენ ჩვენი მეფეები. იმათ კარგად იცოდენ, ვის და რასაც სწერდენ, ვინაიდგან ეს წერილები პირველში მუდამ იწერებოდა თავიანთი შინაური საიმედო პირისაგან ქართულად, მერმე აძლევდენ მისიონერებს, რომლებიც ზოგჯერ აქვე სთარგმნიდენ და ზოგჯერაც უთარგმნელ ჰგზავნიდენ რომში. ამის უტყუარი საბუთი ის არის, რომ დღესაც ბევრი მოიპოვება რომის არხივებში მეფეების ქართულად გაგზავნილი წერილები; რავდენიმე წერილი ჩვენც ვიპოვეთ და გამოვაქვეყნეთ ჩვენს გამოცემულს ისტორიაში. ზოგჯერაც მეფეები მისიონერებს ფიცს ართმევდენ, რომ მათი წერილები უმეტნაკლებოდ ეთარგმნათ: როგორათაც ჰქმნა გიორგი მეფემ 1687 წელს და პატრი ჯუსტინომ თავისი მიცემული ფიცი ზედ ნათარგმნ წერილს დააწერა. ამისთვის ესრეთი ულოგიკო აზრი ავტორის ახალი გამოგონილი ჭირია.

არა ნაკლები გამოგონილი და ულოგიკოა ავტორის ახლად გამოქვეყნებული აზრიც, ვითომ ამ ოცის წლის წინად ლათინის წესის მღვდლებს ჩაეგონებინოთ კათოლიკებისათვის, რადგან დიდი ხანია, რაც საქართველოში სცხოვრებთ ბ და-

ივიწყეთ თქვენი სომხური დედა ენა და ზნე ჩვეულება, ამისთვის ქართველობა დაიჩემეთო, რადგან საქართველოს მცხოვრები ხართ და სხ. ესრეთი აზრი ხომ მთლად შემცდარია. ამნაირის მსჯელობით კაცი ბავშვსაც ვერ დაიყოლიებს, რადგან თვით ბუნებრივ ინსტიკტსაც ეწინააღმდეგება, კაცმა უარყოს ის, რაც არის. ამას კაცი აზრადაც ვერ წარმოიდგენს. ნამდვილი საისტორიო ფაქტი-კი ეს არის: როდესაც გაზვიადებულმა პატრიოტმა სომხის კათოლიკებმა და მეტადრე ვენეციიდან მობრძანებულმა მეხითარისტების მღვდლებმა ამოიღეს მიზანში ტფილისის ლათინის წესის ეკკლესიის გატაცება-წართმევა და ყველაფრის გასომხება და ყველგან ღვარძლის თესვა, სწორეთ მაშინ ამოიღეს ხმა კათოლიკებმა ⁄ დაუწყეს პირდაპირობა ამ ძალათ გამასომხებლებს და საქვეყნოთ აღიარეს, რომ ჩვენ ტომით ქართველნი ვართ და არა სომეხნიო. თუმცა ეს სომხები ბევრს დაფაცურდენ, ბევრს ეცადნენ და ყოველი საშვალება იხმარეს, რომ ყველასათვის სომხის ტომობა ეწამებინათ. გარნა ვინც ნამდვილი სომხები არ იყვნენ, მათ ჩაგონებას და ქადაგებას პირი აქციეს და ყურებში თითი დაიცვეს.

აგრეთვე ცხადი სიცრუეა, რასაც ბ-ნი ავტორი ამბობს ჩვენის გამოცემულის ისტორია კათოლიკობისა წიგნის შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ ყველა ქართველმა დიდის სიამოვნებით მიიღო ეს წიგნი. ქართულმა მწერლობამ საქართველოს ისტორიის ძვირფას საუნჯედ შერაცხა და მეორე ქართლის ცხოვრება უწოდა. უკეთუ ეს წიგნი სომხებისათვის სასარგებლო ყოფილიყო, ვიდრე ქართველი კათოლიკებისათვის, მაშინ ხომ სრულიად უადგილო იქმნებოდა ქართველებისგან ეგოდენი თანაგრძნობის გამოცხადება. გარნა ავტორის ესრეთი მსჯელობა გვიმტკიცებს ცხადად ზოგიერთი სომხის მწერლის ერთს შესანიშნავს ჩვეულებას, რომ ან მიითვისოს და ან გააქარწყლოს, რაც-კი ქართველებს კარგი რამ გააჩნიათ. ავტორის გამოთქმული აზრი, ეს წიგნი უფრო სომეხ-კათოლიკებისათვის სასარგებლოა, ვიდრე ქართველ კათოლიკებისათვისო, პირველი და ახალი გამოცემა არ არის: ამ ოთხი ხუთი წლის

წინედ, როდესაც დავიწყეთ საბუთების შეკრება და ჯერ ისევ ნახევრადაც დასრულებული არა გვქონდა ეს წიგნი, სომხის კათოლიკის მწერალმა სომხურის გაზეთის „მშაკის“ № 190-ში 1898 წ. დაბეჭდა ესევე აზრი: „თამარაშვილის შეკრებილი საბუთები უფრო სომხის კათოლიკებისათვისაა სასარგებლო, ვიდრე ქართველ კათოლიკებისათვისაო“. ამისთვის პატიოსან მკითხველთ მივანდობთ, განსაჯონ ხსენებულის სომხის ავტორის ესრეთი საქციელი.

ძლიერ გვაკვირვებს ბ-ნ ავტორის თავგასულობა, რომ თვით რომის წმ. საყდარს რჩევას აძლევს, რომ გაქართველებულ კათოლიკებს ძალა დაატანოს, რათა მიუბრუნდენ თავიანთ სომხურ დედა ენას და ტიპიკონსაო. მამა ნაჭაპეტიანს ჰგონია რომის კარდინალები მასავით სომხური პატრიოტობით აღგზნებულნი იყვნენ და ყველაც მასავით ვენეციის მეხითარისტების უნივერსიტეტში გაწვრთვნილნი იყვნენ, საცა სხვას არას სწავლობენ, თუ არ სომხურ უზომო პატრიოტობას და ყველაფრის გასომხებას.

პასუხი მეორე მოხსენებისა

ამ ნაწილში განმეორებულია პირველი ნაწილის მრავალი აზრი მეტადრე ის აზრები, რომელიც შეეხება ტფილისის ეკკლესიის გასომხებას და კათოლიკების გაქართველებას მღვდლების ჩაგონებით. ამიტომ პირველის პასუხი საკმაოა ამ ნაწილისთვისაც, მხოლოდ მიუმატებთ აქ შემდეგს.

ავტორს ვერ მოუნელებია, რომ კონსტანტინეპოლში ნამყოფი ქართველი კათოლიკე მღვდლები აქ სარწმუნოებაში თავიანთ თანამოძმეებს სულიერ სამსახურს უწევენ, რადგან ეს ეწინააღმდეგება ბატონ მეხითარისტების განზრახვას, რომელიც არის: ყველაფერი მათ ხელში გაიტაროონ და ყველაფერი გაასომხონ. ამისთვის ამ მღვდლებს და მათ მონასტრებს ყველანაირი უშვერის ეპითეტებით ამკობს. ასედაც უნდა იყოს, რადგან მტრობით და შურით განძვინებულისაგან ამის მეტს კაცი სხვას არას უნდა მოელოდეს.

ხოლო ის გვიკვირს, რომ ბ-ნი ავტორი ამბობს, ერი ლათინის ტიპიკონზე გადაიყვანესო. ამ ქართველ ლათინის წესის მღვდლებმა განაგრძეს ის სულიერი მღვდელ-მოქმედება ლათინურ წესზედ, რომელსაც ასრულებდენ უწინ კაფუცინები და პოლონელი მღვდლები; როგორც უწინ, ისე შემდგომ ამ ეკკლესიაში ერთად-ერთი ლათინური ტიპიკონი იყო და ტფილისში მყოფი ყველა ტომის კათოლიკენი ამ ტიპიკონს მისდევდენ, ამ კათოლიკებში თუ სომხებიც ერივნენ, ისინიც თავიანთ აქ მოსვლის დროდგანვე ლათინურ ტიპიკონს მისდევდენ, ვინაიდგან ესრეთია საყოველთაო ჩვეულება. ამის უტყუარი საბუთებია თვით იმავე ეკკლესიის წიგნები (მეტრიკები), სადაც აღწერილია დაბადება, ნათლიღება, ქორწილი და სიკვდილი მრევლისა, და რაიცა ერთპირად ღაღადებს ავტორის წინააღმდეგ. თუ 1878 წ. პრელატმა ორლოვსკიმ ლათინის წესის სხვა ეკკლესია ააშენა და თვითონ იქ გადავიდა, ამათი ძველი ეკკლესია სრულებითაც არ დამცხრალა ლათინის წესის ეკკლესიებისაგან, არც იმისთვის, რომ ძველი ეკკლესია ახალ მობძანებული სომხებისათვის ეთავაზებინა; არამედ იმისთვის, რომ პოლონელები მეტად გამრავლდენ ტფილისში და ძველ ეკკლესიაში ველარ ეტეოდენ. შეიძლება სომხებს სრულიად და ორლოვსკისაც აზრად ჰქონდა ამ ეკკლესიის გასომხება, გარნა არ კმაროდა ამ ბატონების სურვილი და წადილი, არამედ მიუკილებლად უმაღლესი თანხმობა, რომის განკარგულება საჭირო იყო.

საჭირო იყო, ბატონ ავტორს ეჩვენებინა სახელდობრ ის კათოლიკები, რომელნიც, მისის თქმით, გადაიყვანეს ლათინის ტიპიკონზედ და რომლებიც ამ ხსენებულ ძველი ეკკლესიის წიგნებში (მეტრიკებში) აქამდე შერიცხული იყვნენ სომხური ტიპიკონის მქონედ. ამისთანა ფაქტებზედ არ კმარა ცილის წამების დამყარება, არამედ საჭიროა საბუთების წარმოდგენა.

მსგავსი ცილის წამება და სიცრუეა, რომ ბ. ავტორი გვაბრალებს ეკკლესიაში სომხების ყოველივე კვალი მოსპეს ბარბაროსულადო. მეტად გასაოცებელია! რა სომხობის კვა-

ლი უნდა იყოს იმ ეკკლესიაში, რომელიც თავის არსებიდანვე მუდამ ლათინის წესის ყოფილა? მართალია, კედელზედ გრიგოლ გამანათლებელი იყო დახატული, მიგრამ გვნა ეს უეჭველად სომხობის კვალს ნიშნავს? ეს რომ ასე ყოფილიყო, იმასთან მყოფი სილიბისტრე პაპის ხატიც მოსპეს, რადგან ეკკლესიის გოტიკური ახალი მოწყობილობა აღარ მოითხოვდა ესრეთ მხატვრობას: მაშინ ერთისა ლ იმავე ლოგიკის ძალით უნდა ვსთქვათ, რომ პაპის ხატის მოსპობით ეგრეთვე ლათინური ტიპიკონის კვალიც მოსპეს?! ბ. ავტორი თურმე ასე უკულმართად სჯის ყველაფერს. ჩვენ-კი არა ვსპობთ ბარბაროსულად სომხობის კვალს ლათინის ეკკლესიაში, საცა ამის მსგავსი რაიმე არასდროს არ არსებულა, არამედ თვით ბ. ავტორი და მისი დამქაშები არიან ამნაირი ბარბაროსობის ჩამდენი, რომ ძველ ყველა ქართულ ტაძრებში, საცა-კი ხელი მიუწვდებათ, ყველგან სპობენ ქართველთ კვალს და წარწერებს და მათ ადგილს სომხურს აკრვენ. ამის წინააღმდეგ მთელ საქართველოსთან ერთად თვით იმდენი დამახინჯებელი ქვანიც ღაღადებენ.

აქედგანვე სჩანს ეგრეთვე სიცრუეც, რომელსაც ბ. ავტორი ამბობს: გალათინებული მღვდლები სომხური ლიტურგიის წინააღმდეგ ყოველ უწესოებას ჩადიანო. ამას რომ ეთქვა, ლათინური ტიპიკონის წინააღმდეგო, მაშინ შეიძლება როგორმე დასაჯერებელი ყოფილიყო. ვერ მიმხვდარვართ, როგორ მოიქცევიან სომხური ლიტურგიის წინააღმდეგ, როდესაც ეს მათი ტიპიკონი არ არის, და ამ ტიპიკონთან მათ არავითარი საქმე აქვსთ? ხოლო ნამდვილი-კი ის არის, რომ თვით ეს მოჩივარი, ცილის მწამებელი ავტორი იქცევა თავისი ტიპიკონის წინააღმდეგ, რის აქ ჩამოვლა შორს წაგვიყვანს. კმარა, ვთქვათ, რომ თავის ჭეშმარიტად როგორც უნდა, ისე იქცევა ამ ტიპიკონის შესახებ. ნაცვლად იმისა, რომ წმიდად დაიცვას ყველა ის წესები, რაიცა კათოლიკე ეკკლესიას მიუღია და დაუმტკიცებია, გრიგორიან სომხებს ებაძება და მღვდელ მოქმედებაში შემოაქვს მათი წესები, რომელიც კათოლიკე ეკკლესიისგან შეწყანარებული არ არის.

რაოდნათაც ცრუა, ეგოდნათ უმეცარი, როცა ამბობს: გაქართველებულმა მისიონერებმა რომს დააჯერეს, გალათრნებული სომხების საშრალებით ადვილად შეიძლება კათოლიკობის გავრცელება მართლმადიდებელ ქართველებშიო! ეს ბატონი არა მარტო ჩვენ, არამედ თვით რომსაც ჰრაცხს უმეცრად. ერთი რამე ყველასთვის ცხადი განა ის რომმაც არ უნდა იცოდეს? ვინ არ იცის, რომ მრთელ რუსეთის საბრძანებელში სასტიკად აკრძალულია მართლმადიდებლების გაკათოლიკება? ამისთანა გარემოებაში ფიქრადაც წარმოსადგენი არ არის ქართველების გაკათოლიკება. რომისა და ქართველი პატრების ზრუნვა და ცდა მხოლოდ იმაშია, რომ კათოლიკებს შეუარონ და მათში დაიცვან კათოლიკური სარწმრნოება. ამნაირი წინადადების გამოგონებით ეს ბატონი ამტკიცებს მხოლოდ თავის ღრმა უმეცრებას. ბ-ნი ავტორი ამასაც წინანდელ მოხსენებასავით აბოლოვებს რომისადმი რჩევის მიცემით, ამნაირად: თუ მართლა უნდა კათოლიკობის გავრცელება კავკასიაში, დაუბრუნოს ტფილისის ეკკლესია სომხებს და დაუნიშნოს მათ საკუთარი სომეხი ეპისკოპოსი. მამა ნაჰაპეტიანის აზრით, სომხების გაძლიერება კათოლიკობის გაძლიერება ყოფილა თურმე! გარნა ნუ დაივიწყებს, რომმა თავისი დასაჭერი საქმისა თვითონ კარგად იცის, და ამისთანა ცრუ და მოჩვენებული მოციქულის რჩევას ყურადღებას არ მიაქცევს.

მესამე მოხსენების პასუხი.

ბ-ნი ავტორი ამ ნაწილში უფრო ვრცლად და დაჟინებით იმეორებს იმას, ვითომც ამ ოცი წლის წინად ლათინის წესის მღვდლებმა ერი ლათინის წესზედ გადაიყვანეს და ქართველობა დააჩემებინესო. ზემოდ ჩვენი ამ საგანზედ მიცემული პასუხი ამისთვისაც კმარა. ზედვე დასძენს, რომ ამათი მტრობისა და ურიგოდ მოპყრობის გამო, ზოგიერთი სომხის კათოლიკეები გრიგორიანების ეკკლესიას შეუერთდნენო. სრულებით უსაფუძვლოა სომხების ორგულობის გამართლება

ამნაირად, ვინაიდგან ბევრი ხნით უწინ, ორმოცდათერთმეტის წლის წინეთ, როდესაც ჯერ ხსენებაც არ იყო ქართველ ლათინის წესის მღვდლებისა, ზოგიერთი სომხის კათოლიკეები სტოვებდენ კათოლიკე ეკლესიას და გრიგორიანებს უერთდებოდენ. ამისი უტყუარი საბუთიც გვაქვს, რადგან ეს ხშირი იყო. ჯ ყოველ შემთხვევაში საჭირო იყო მინისტრის ნება, თანხმობა, რაც, ცოტად, თუ ბევრად, საქმეებს აბრკოლებდა. თავადის ვორონცოვის საშუალებით ნერსეს კათოლიკოსმა მიმართა იმპერატორს და მოიპოვა საყოველთაო ნება-რთვა, რომელიც მინისტრმა გარდასცა მას 30 ივნისს 1852 წ. ამისთვის ქართველი ლათინის წესის პატრები არაფერს შუაში არიან სომხების კათოლიკობიდან განდგომის საქმეში. მაშ, უსამართლობა და ცხადი ცილის-წამებაა, რომ სომხების ორგულობის ბრალს ქართველ-კათოლიკებსა სდებს.

მამა ნაჰაპეტიანს თავისი თავი საკვირველ კრავად მოაქვს და ამბობს, მუდამ დევნული და წამებული ვიყავ ტფილისის ძველის ეკლესიის წინამძღვრისაგანო. საბრალო წამებული! იმას-კი არ ამბობს, სადამდე იქ ვიყავ, ყველას სული ყელში მოვგვარეო, რაიცა ნამდვილია და რის თქმის ვალიც ჰქონდა, სიმართლის მოყვარული რომ ყოფილიყო. ფეხი შედგა თუ არა ეკლესიაში, ბატონობა დაიწყო, ეკლესიის წინამძღვარს არაფრად სთვლიდა, ყურადღებას არ აქცევდა, რაც უნდოდა, იმას მოქმედებდა და იმას ეწინააღმდეგებოდა ყველაფერში. ვრცელი წერილი მოუნდება, რომ ჩამოვთვალოთ ყოველი მტრობა, რაც მან ჩაიდინა ლათინის წესის მრევლისა და წინამძღვრის მამა ყალაიჯიშვილის წინააღმდეგ. ეს ამბავი საკმაოდ სჩანს თავის გამოცემულ წერილიდანაც, სადაც ვრცლად ჩამოსთვლის ყველა სიავეს, რაც-კი გაუგონია, ტყუილი თუ მართალი მამა ყალაიჯიშვილის შესახებ. მის გასამტყუნებლად კმარა ეს გარემოება გავიხსენოთ: მამა ყალაიჯიშვილი აგერ ოცდა ექვს წელიწადზე მეტია, რაც ტფილისის ძველს ეკლესიაში მსახურობს. უკეთუ ცუდი ვინმე ყოფილ იყო, ან სასულიერო, ან სამოქალაქო მთავრობა მას ეკლესიიდგან განაშორებდა, ჭითარცა ულირსს პირსა. ხოლო მისი ეგოდენი წლის სამსახური ერთსა

და იმავე ეკკლესიაში ამტკიცებს მის პატიოსნებას და პირუ-
ყოფს მთლად ცილის მწამებელს მის მძრახველს.

მსგავსადვე მამა ნაჰაპეტიანმა, უმანკო კრავმა, უსაფუძვლოდ
ბევრი ძვირი სთქვა სხვა მოძღვართა შესახებაც და უფროს
ერთად კაფუცინის პატრი ევგენიოსისთვის, რომელმაც შარშან
საქართველოში გამოიარა და ტფილისში ოთხ დღეს გაჩერდა.
ამ ნაირად ბ. ავტორმა სამაგიერო გადაუხადა ამ ყველასაგან
დიდად პატივცემულს კაფუცინს იმ გამოუთქმულის დიდის სიკე-
თისათვის, რომელიც მან მიაგო სომხებს 1895 წ., როდესაც
ოსმალები უწყალოდ სომხებს ბუზებივით ხოცავდენ. ამ კაფუ-
ცინმა იმ ჟლეტის დროს ტრაპიზონში თავი გამოიდვა, ასობით
სომხები სიკვდილს გადაარჩინა, თავის მონასტერ-ეკკლესიაში
შეაფარა, იქ რამდენსამე კვირას ასვა-აჭამა და, როდესაც მათი
სიკვდილის შიში აღარ იყო, მაშინ გაისტუმრა თავიანთ სახლე-
ბში. მამა ნაჰაპეტიანის ცილის წამება კიდეც ნამდვილი რომ
ყოფილიყო, მაინც უნდა დაეფარა კაფუცინის მიერ სომხები-
სადმი მიგებული სიკეთისათვის. აი როგორი პატიოსანი ბ სიკე-
თის დამსწავლელი ყოფილა!! არა ნაკლები ცილის წამებაა,
რასაც ამბობს ეს ბატონი დონ ივანე ანტონიშვილის შესახებ,
რომ ბევრი ცუდი მსმენია მისი და ორს წინანდელს ეპის-
კოპოსებს იგი სრულებით არ მიაჩნდათ და არაფრად სთვლი-
დნენო. ნამდვილი-კი ეს არის: ეპისკოპოსმა ცოტმანმა ის საქარ-
თველოდან დაიბარა და სარატოვის სემინარიის ინსპექტორად
დაჰნიშნა: ამავე ღირსებაში დასტოვა მის შემდეგ ეპისკოპოსმა
ცერრმა. ხოლო ეხლანდელმა ეპისკოპოსმა როპმა, რა სცნო
მისი დაუფასებელი მიგებული სამსახური, იმავე სემინარიის
რექტორად დანიშნა და მთავრობის შუამავლობით, იგი პაპს
წარუდგინა, რათა მაღალის ღირსებით დაეჯილდოებინა. ყველა
მისი მცნობელნი მას დიდის პატივსცემით იხსენიებენ და დიდ
სასიქადულოდ მიაჩნიათ, რომ დონ ივანე ანტონიშვილს, მთელ
ტირასპოლის ეპარხიის სამღვდელოებაში, უპირველესი ადგი-
ლი უჭერია თავის უმწიკვლო ცხოვრებით ბ მაღალის მეცნი-
ერებით. ცხადია ქართველი კათოლიკე მღვდლის ესრეთი და-
წინაურება, სომხის მღვდელს უამისოდაც ჩვენს წინააღმდეგ

შურით განძვინებულს, გულს ნაღვლით აუვსებდა. აი, რისთვის ცუდი კაცი ყოფილა დონ ივანე ანტონიშვილი.

შესახებ იმ სამსახურისა, რომელიც ამ მეხითარისტ მღვდელს ალექსანდრეპოლსა და ტფილისში მრევლისათვის მიუგია, რისთვისაც მეტად თავს იქებს და თავისთავს დიდ მოციქულად ჯ მშვიდობის მომფენელ კაცად სახავს, შეგვიძლია ეს ვსთქვათ, რომ დღესაც დასტირიან დაკარგვას ასზედ მეტი კაცისას, რომლებიც ალექსანდროპოლის ახლო სოფლიდგან განშორებიან კათოლიკე ეკკლესიას და რომლების განშორების ერთ მიზეზთაგანი ბრძანებულა ეს დიდებული მისიონერი მამა ნაჰაპეტიანი, ტფილისში ხომ თავის უმთავრეს საქმედ გაიხადა მტრობა, შური, დასმენა და ერის აღელვება ლათინის წესის მღვდლების წინააღმდეგ. ცხადია, ამისთანა მისი საქციელი მოეწონებოდათ მხოლოდ კათოლიკების მტრებს, სომეხ გრიგორიანებს, რომლებთანაც მას დიდი განწყობილება ჰქონდა და ბევრ საგნებშიაც მათ უახლოვდებოდა.

ბ. ავტორი აგრეთვე მეტად გათამამებული იქადის, კათოლიკობა სომხებში მუდამ დიდ წარმატების გზას ადგიაო. ჩვენ ამის გასამტყუნებლად ვუჩვენებთ იმას, რაც ცნობის ფურცელმა ჰეტერბურ. ვედომოსტიდგან გადმობეჭდა თავის № 1541, 1901 წ.: ახალ-ქალაქის, ახალ-ციხის, ალექსანდროპოლის და ოლთისის სომეხ კათოლიკეთ არ სურთ, აღასრულონ რომის პაპის ზოგიერთი მოთხოვნილებანი, ბევრი ამ კათოლიკეთაგანი უმთავრესად ახალგაზდები, ეკუთვნიან ეგრედ წოდებულ ანტიჰუსინისტების პარტიას, რომელსაც არ სწამს პაპის უცოდველობის დოგმატი (უნდა იყოს შეუცილებლობის). ამას თურმე კათოლიკობის წარმატებას ეძახის. სხვა მეტს რას უნდა მოელოდეს კაცი იმისთანა თავგანწირულის მისიონერისაგან, რომელიც მხოლოდ სომხობას და ყველაფრის გასომხებას ჰქადაგებს?

აქ დავსძენთ შემდეგს, რაც ევრიაში სიმოკლის გამო არ მოვიყვანეთ.

სომხის მღვდელი ნაჰაპეტიანი, თავის გამოცემულ წერილში, ჯერ აქარწყლებს და ითვისებს ჩვენს დებეჭდილს

წიგნს ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, შემდგომ დასძენს ესრეთ: 1) ამ წიგნის ზოგიერთი საბუთი შეეხება მხოლოდ პოლიტიკას და არავითარი მიმართობა აქვს სარწმუნოებასთანო; 2) ზოგი საბუთი სხვა არაფერია, თუ არ პაპების მეცადინეობა, რათა ქართველი მეფეები შემოეყვანათ ერთობაშიო, გარნა პაპების ესრეთი გულ მოდგინეობა და ცდა ყოველთვის მოტყვილებული დარჩა ამ მეფეების მიუნდობლობით და მოჩვენებული დაპირებითო. ამის დასამტკიცებლად გვიჩვენებს ამ ავტორებს: Moroni, t 30, p. 259 ბ P. Rocco, p. 373; 3) რომის საყდრის წინაშე მისიონერები მეტად აზვიადებდენ თავიანთ ღირსებას და იგონებდენ ახალ ახალ შემთხვევას ქართველების შემოერთებაზედო; თვითონვე თხზავდენ წერილებს და მოჰყავდათ ფაქტები და გარემოებანი, რომლებიც მათი გამოგონილი და სიცრუე იყოო, ეს მზაკრობა კიდეც შეუტყეს მეფეებმა და ამის გამო კიდეც დასჯიდენ, უკეთუ მისიონერებს საჩუქრებით არ დაეკმაყოფილებინათ ეს გამაჰმადიანებული და სპარსეთის ყმა მეფენიო: ამის დასამტკიცებლად უჩვენებს ჩვენი გამოცემული ისტორიის გვ. 613—614; 4) ამ საბუთების ერთი კაი ნაწილი დამახინჯებულიაო; საცა სომხებზედ ლაპარაკია, იქ წერტილები უსვიაო, ხოლო მოყვანილია ის ადგილები, რომლებშიაც მოხსენებულია ერთი, ანუ ორი, ანუ რავდენიმე ქართველი გაკათოლიკდნენო.

თუ რაოდენად სიცრუეა ყოველი ეს, შემდეგი პასუხი ცხად ჰყოფს.

შესახებ პირველი მუხლისა ვუპასუხებთ, რომ ჩვენ გამოცემულს ისტორიაში ერთი საბუთიც არ მოიპოვება, რომელსაც როგორმე არა ჰქონდეს სარწმუნოებისადმი მიმართობა, მაგალითად რუსუდანის წერილი პაპის ონორიო მესამისადმი, გარდა იმისა რომ შეეხება ჯვაროსნობას, პაპს ყველა ქრისტიანების მამად, მთავრად და წმიდა პეტრეს მოსაყდრედ იხსენიებს, რაც არაოდეს შესარაცხია მარტივ საპოლიტიკო წერილად. ამნაირივე მიმართობისანი არიან ყვარყვარე ათაბეგის და გიორგი მეფის წერილები ბურგუნდიის

დუკასთან. ვერც საბა ორბელიანის წერილებს ვუწოდებთ მარტივ საპოლიტიკო საბუთებს, რადგან როგორც მისი მოგზაურობისა, ისე ყველა მისი წერილების უმთავრესი აზრი კათოლიკობა და მისი საქართველოში გავრცელება იყო, ხოლო საპოლიტიკო წერილებს ჰგავს ერეკლე მეფის ორი წერილი ვენეციის მთავრობასთან, იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილების ბ სოლომონ მეფის წერილები პროპაგანდის კარდინალთან, მაგრამ ამათაც მიმართობა აქვთ სარწმუნოებასთან, ესრე რომ მათში გამოცხადებულია, თუ რანაირ პატივისცემაში ყავდათ ქართველ მთავრებს კათოლიკე მისიონერები და როგორი მინდობილობა ჰქოდათ მათზედ. ამიტომ ცხადი სიცრუეა, რაც საც ამბობს ხსენებული სომხის მღვდელი პირველ მუხლში ჩვენი გამოცემული ისტორიისა.

არა ნაკლები ჭეშმარიტების დამახინჯება და სიცრუეა, რასაც ამბობს ავტორი მეორე მუხლში პაპების უნაყოფო მეცადინეობისას და მეფეების მოტყვილებისას. ამის ვითომ ბ დასამტკიცებლად ეან უჩვენა მორონის წიგნის 30 ტომის გვ. 259 და როქქოს წიგნის გვ. 373. ჩვენც სხვა საბუთებს აღარ მოვიყვანთ, არამედ სწორედ ამ ხსენებული ავტორების წერილებითვე გავამტყუნებთ.

აი მორონის ამავე ტომში რას ვკითხულობთ: „პაპის ურბანო მეხუთის მეცადინობით და ღვაწლით 1370 წ. ქართველნი ერნი ერთიან რომის ეკკლესიას შემოუერთდენო“ [1]) იქვე ცოტა ქვემოდ: „ალექსანდრე მეექვსემ ინუგეშა მით, რომ 1496 წ. რომში მიიღო წმიდა ბასილის მონაზონი ნილო, რომელიც ქართველების მეფემ, კოსტანტინემ გაუგზავნა, რათა მისი მორჩილება და ქვეშევრდომობა გამოეცხადებინა, ვითარცა ქრისტეს ნაცვლისადმი... შემდეგ საუკუნეში (XVII საუკ.) სპარსეთის ყეენმა დაიპყრა საქართველო და

---

[1]) Per le premure e per lo zelo del Papa Urbano V. nel 1370, i popoli giorgiani tornarono alle'ubbidienza della romana Chiesa intieramente. (Moroni G. Dizionario di erudizione Storico Ecclesiastico, vol. 30. p. 255, Venezia, 1848.

გახადა თავის სამეფოს პროვინციად; მოაკვლევინა საქართველოს მეფე თეიმურაზ, რომელსაც პაპი ურბანო მერვე აღეარებინა და რომის ეკკლესიას შეერთებოდაო. ინოჩენციო მეთერთმეტის მღვდელთ-მთავრობაში საქართველო კვალად შეუერთდა კათოლიკობასო". [2]) ჩვენმა მოწინააღმდეგემ ამისთანა საბუთებს გვერდი აუხვია და რაც ყალბი იყო, მარტო ის დაიმოწმა. ამის ნაჩვენები მოწმობა არის შემდეგი იმავე გვერდზე: „გარნა 1692 წ. ხალხი წინ აღუდგა კაფუჩინებს და სომხის მღვდლებს, და 1701 წლებში მეფეც ისევ მოუბრუნდა მაჰმადიანობას, რისგამო კლემენტე მეთერთმეტემ მისი წერილის პასუხი აღარ მისცაო". [3]) ეს რომ შეცილებულია და ნამდვილი არ არის, ამას მოწმობს ჯერ ჩვენი მოწინააღმდეგის მიერ დამოწმებული ავტორი, როქო, ვინაიდგან ამ ავტორს ეს სიტყვები მოჰყავს თავის წიგნში და ამბობს: მე ეს ვერ გამიგიაო, [4]) რადგან ამანაც კარგად იცოდა, რომ სომხის მღვდლებს-კი არ დაუწყეს წინააღმდეგობა, პირიქით სომხის მღვდლები კაფუცინების წინააღმდეგ მუდამ აღელვებდენ და აქეზებდენ ხალხს. გარდა ამისა, აქ მოხსენებული მეფე უნდა იყოს გიორგი XI. როცა ეს მეფე წავიდა სპარსეთს, სრულიადაც არ დაუტოვებია კათოლიკე სარწმუნოება, არამედ სიკვდილამდე აღიარებდა ფარულად, რაოდენათაც

---

[2]) Alessandro VI. ebbe la contentezza di ricevere in Roma nel 1496. Nilo monaco di S. Basilio, mandato a lui quale ambascitore da Costantino re dei giorgiani a prestargli sommissione ed ubbidienza, come a Vicario di Gesù Cristo. Nel seguente secolo (XVII) il sovrano di Persia s'impadroni della Giorgia, ne formó una provincia della sua monarchia, e fece morire il re di Giorgia Temuras, che aveva riconosciuto il sommo Pontefice Urbano VIII riunendosi alla Chiesa cattolica. Nel pontificato d'Innocenzo XI la Giorgia tornó all'unita cattolica. (ibid p. 255).

[3]) Ma nel 1692, la plebe infuriò contro i cappuccini, ed i preti armeni, ed il principe tornò al maomettismo nel 1701 circa, per cui Clemente XI non gli rispose alla lettera che gli scrisse. (ib).

[4]) P. Rocco, Storia delle Missioni dei Cappuccini, tom. 3 p. 373.

კი შეეძლო, როგორც თავისი ძმის წული ქაიხოსრო (ხოსრო ხანი). ამის შესახებ სპარსეთში მყოფი საფრანგეთის კონსულის შემდეგი მოწმობა გვაქვს პარიზში, მინისტრთან მიწერილი 1734 წ.: „ეს გენერალი ხოსრო ხანი ძმისწული იყო იმ გიორგი ხანისა, რომელიც თავის კარავშივე მოაკვლევინა მირვეიმ. ისინი ორივე ქართველები და რომის კათოლიკენი იყვნენ“. [5]) აი ამიხთანა ცხადი საბუთის წინააღმდეგ სომხის მწერალს მოჰყავს ცრუ და ყალბი მოწმობა.

ეგრეთვე ცხადი ცილის წამებაა მისიონერების წინაამღდეგ, რასაც ამბობს მესამე მუხლში. ფაქტების გამოგონება, სიცრუით სავსე წერილების მიწერა, რომის მოტყუილება ადვილად წარმოსადგენი არ არის, ხოლო შეიძლება ეს მოხდეს რომელსამე იშვიათ შემთხვევაში მეტად ზნედაცემული პირებისაგან, რომლებსაც სინიდისი და პატიოსნება აღარ შერჩენიათ. გარნა დიდი შეუპოვრობაა, რომ კაცმა ესრეთი ბოროტ-მოქმედება ორი საუკუნის განმავლობაში მოსულ ყველა მისიონერებს მიაწეროს! ნეტავი ამნაირი მატყუვრობით რა სარგებლობა უნდა ჰქონოდათ მისიონერებს, როდესაც ისინი ნებიერად სტოვებდენ თავიანთ ნათესავებს, ქონებას, მშვენიერ სამშობლოს და თავისუფლად მოდიოდენ აქეთ, სადაც შეწუხებისა და ვაი ვაგლახის მეტს არას მოელოდენ და სადაც თავიანთ თავს ხშირად სიკვდილის განსაცდელში აგდებდენ? ამისთანა ცილის მწამებელი უთუოდ ან უნდა იყოს დიდი უმეცარი, რომ მისიონერებისა არაფერი გაეგებოდეს, ან თუ არა, უზომო შურით განძვინებული უნდა იყოს მისიონერების წინააღმდეგ. ამ მწერლის სიცრუე იქიდანაც ცხადდება, რომ მისიონერების წინააღმდეგ ესრეთი ცილის წამების დასამტკიცებლად, მისგანვე დაწუნებული ჩვენი გამოცემული კათოლიკობის ისტორიის 613 და 614 გვერდს

---

*) Ce général (Cosrov Kan) était neueu de Gurghin Kan, le même que Mirveir avait fait égorger sous ses tentes. L'un et l'autre étaient géorgiens et Catholiques Romains. (Mémoire sur la revolution de Perse, vol. 6. Perse, p 346, Archives du Ministère des Affaires étrangères, Paris).

უჩვენებს, რაც სრულებით არ შეეხება მისიონერებს, ვინაიდგან 613 გვ. თემურაზ პირველის მოწერილი წიგნია ურბანო მერვე პაპთან 1626 წ. და 614 გვ. ლაპარაკია ქართველის ნიკოლოზ ბერის, ანუ ნიკიფორე ერბახის შესახებ, რომელმაც თეიმურაზის ეს წერილი გარდასცა რომში პაპს.

აქ ესეც უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორი თავის სიცრუით სავსე წერილის დასამოწმებლად უჩვენებს სხვა და სხვა ავტორების წერილების იმ ადგილებს, რომლებსაც არა ვითარი მიმართობა აქვსთ თავის მიერ წარმოდგენილ საგანთან. მაგ. როცა ამბობს ივანე XXII პაპმა ტფილისში სომხებისათვის საეპისკოპოსო დააარსაო, იმოწმებს რაინალდის (Raynaldus) ისტორიას წ. 1224, 21, და წ. 1240, 32, რომლებშიაც სრულებით არ არის მისი მოყვანილი საგნის შესახებ რაიმე საბუთი, ვინაიდგან პირველ ნაჩვენებ ადგილში არის რუსუდანის და პაპის წერილები ერთმანერთთან. ეგრეთვე მეორე ადგილში გრიგოლ მეცხრე პაპის წერილი რუსუდანთან შეერთების შესახებ. საუცხოვო მწერალ—ისტორიკოსობა თუ გნებავსთ, ეს არის: 1329 წ. მომხდარი ფაქტის დასამტკიცებლად უჩვენებს 1324 წ. და 1240 წ. წერილებს, და იმასაც სულ სხვა საგნის შესახებ!

არა ნაკლები ცილის წამებაა ისიც, რომ მეოთხე მუხლში ამბობს დიდი ნაწილი ამ საბუთების დამახინჯებულიაო. ამის დასამტკიცებლად განა კმარა ავტორის სიტყვები და ცილის წამება? საჭირო იყო ეჩვენებინა, აი ამა და ამ საბუთში გამოუტოვებია ეს სიტყვები, რაც სომხებს შეეხებაო. მაშინ დაამტკიცებდა, რომ მართლა დამახინჯეული ყოფილა. ხოლო ამნაირი გამოთქმით და დაწამებით იგი აცხადებს, რომ ეს დამახინჯება ნამდვილი ფაქტიკი არა, არამედ მისი გამოგონილი ყოფილა. ჩვენ გამოვსტოვეთ მხოლოდ ის ადგილები, რაიც ჩვენს საგანს არ შეეხებოდა. ან თუ არა, რაშიში უნდა გვქონოდა სომეხ კათოლიკეთა შესახები ადგილების მოყვანისაც, როდესაც ჩვენ უარ არ გვიყვია სომხის კათოლიკების ყოფნაც საქართველოში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრული.

სარჩევი

წინასიტყვაობა . . . . . გვ. I—II

თავი I. რა უსაფუძვლოდ უარეოფენ სომხები ქართველ კათოლიკებს. . გვ. 5—19

თავი II. რა ნაირი კათოლიკენი იყვნენ და არიან ჩვენი მოკამათე სომხის მწერლები და საზოგადოდ სომხებს როგორი მიდრეკილება ჰქონდათ კათოლიკობისადმი. . . . . გვ. 20—85

თავი III. როდის გადმოსახლდენ სომხები საქართველოში . . . . გვ. 86—128

თავი IV. რას ამბობენ სომხები ქართველ კათოლიკეთა შესახებ . გვ. 129—264